


ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

29 სექტემბერი 2006

№20



ხევისბერის დაბრუნება
მეამბოხე ფრანსუაზ საგანი
საჭადრაკო პარტიამ რა ჰქმნა?
დაკარგული სამშობლოს საპოვნელად
პირველად... სულხან-საბასთან?!

წმინდანი ჭაში

შინაარსი

პრეფასი	2	კონსტანტინე გამსახურდიას ეპოქის ყველაზე პოპულარული პედაგოგისტი
პრი და პედინერა	5	გრიგოლ რობაქიძე მუსოლინი
პროზა	14	ზურაბ ლავრელაშვილი ორი ნოველა
პირველი შთაბეჭდილება	21	ივანე ამირხანაშვილი როცა ბართმევენი, ყველაზე მათად მათინ გაქვს
დაუწინარი სახელები	22	ლელა ხაჩიძე ყველას რაიმი გვაქვს სახსოვარი (რეზი თვარაძის ხსოვნას)
პოეზია	24	მამუკა ნიკლაური ხევისპარის დაბრუნება
	26	ბელა ჩეკურიშვილი პანდების ოჯახი და სხვა ლექსები
პირველი შთაბეჭდილება	30	ლელა კოდლაშვილი ზომიერი ტრანსცენდენცია
უხსოვთის სმოკრაგიდან	31	მანანა ნაცვლიშვილი მემგომხე საბანი
	32	დაკარგული ცივილიზაციის საძებნელად (ინტერვიუ პიტერ ეკროიდთან)
ღიალოგი	34	ეკა ბუჯიაშვილი ბზაზე მგზავრი მიდიოდა (საუბარი მანანა გაბაშვილთან)
გამოსმაუკავა	38	ნინო ვახანია სამგომლოს გულისათვის, გატომო!..
ეპისტოლე	39	მაია ვარამაშვილი ნიგნების მალაზიის გარეშე
	40	ნუნუ ქადეიშვილი პროტოტიპების დასაზუსტებლად
რეპორტაჟი	41	როსტომ ჩხეიძე საჭადრაკო პარტიამ რა ჰქმნა? (ლევან ბრეგაძე, ეპიგრამა, არტ ბუხვალდი, გორი)
ქრიტიკა	45	ნესტან მყავანაძე „აზარტოვანო თამაშობავ, ფილოლოგიიავ!“
ახალი თარგმანები	47	ჰასანისა და ხალიფა ჰარუნ არ-რაშიდის ამბავი
	59	გიორგი ლობჯანიძე პირველად... სულხან-საბასთან?! (მინანერის მაგიერ)
ნაკვეთები	61	მსხვილსიტყვაობის ნიმუშები
მოზაიკა	63	სიბნელე ერთი ღამისა

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 32) 95-23-24

რეკლამა – (995 77) 48-12-24

გავრცელება – (995 99) 93-18-52

ფაქსი: (995 32) 96-20-62

E-mail: info@mtserloba.ge



დაბეჭდილია საბაზოში "ომეგა ტეგი" PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE
საბეჭდო, თბილისი, სარაქიშვილის 17 TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
ატელფონი: +995 32 53 03 62 TELEPHONE +995 32 53 03 62

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე პოეზიის რედაქტორი – გიორგი ლობჯანიძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

დიზაინერი – მალხაზ იაშვილი მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია

კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – ლევან ჩხეიძე

ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – მაკა ჯაფარიძე

გავრცელების სამსახური – ლევან ბინაძე

გარეკანზე: მანანა გაბაშვილი, „ნატურმორტი“

გურამ დოჩანაშვილი

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 13 ოქტომბერს

კონსტანტინე გამსახურდიას ეპოქის ყველაზე პოპულარული ბელეტრისტი

გამომხაურებანი არ მოგვეკლებია ყველაზე პოპულარულის ვინაობის ამოსაცნობად, მაგრამ ზოგადი სურათი უცვლელი დარჩა. ზუსტად იგივე თანმიმდევრობა შენარჩუნდა, რაც უკვე გაგაცანით.

ოლონდ ალსანიშნავია, რომ:

თუ თავდაპირველად მიხეილ ჯავახიშვილმა მხოლოდ ორი ხმით გაუსწრო კონსტანტინე გამსახურდიას, ახლა სხვაობამ 54-ს მიაღწია.

მიხეილ ჯავახიშვილი – 952

კონსტანტინე გამსახურდია – 898

სხვათა მიერ დაგროვილ ხმებს ამჯერად აღარ ჩამოვთვლით, რადგანაც ამ ორმა მწერალმა საგრძნობლად ჩამოიტოვა დანარჩენები და ისე მოჩანს, რომ გამარჯვებულის ბედი მათ შორის თუ გადაწყდება.

სხვაობის გაზრდა მიგვანიშნებს, რომ გამოკითხვა კიდევ თუ გაგრძელდება, მიხეილ ჯავახიშვილი კიდევ უფრო დანიშნაურდება და მამ... მსჯავრის გამოტანა უკვე შეგვიძლია.

ყველაზე პოპულარული ბელეტრისტი აღმოჩნდა...

თუმც **ნოდარ აფხაძის** ბარათის გაცნობას დაგპირდით.

და ბარემ გადავავლოთ თვალი, თუნდ ნაკლებ მოსალოდნელი იყოს, რომ ის რაიმეს შეცვლის, მითუმეტეს – სრულიად გააბათილებს გამოკითხვის შედეგებს.

„გამარჯობა!

თქვენი ჟურნალის ბოლო ნომერში დასმულ კითხვას მინდა გამოვუხმაურო, კონსტანტინე გამსახურდიას ეპოქის ყველაზე პოპულარული ბელეტრისტის შესახებ.

წინა ორი გამოკითხვის შედეგებიდან გამომდინარე, ვფიქრობ, ეს მწერალი ჩამონათვალში არ უნდა იყოს მოხსენიებული. და გამახსენდა: სოფელში, ბაბუაჩემის ბიბლიოთეკაში, ყველაზე მეტი პარმენ ლორიას ნიგნები რომ არის და, მგონი, პასუხსაც მივაგენი.

შემდეგ ოთარ ჩხეიძის მოგონებაც გამახსენდა პარმენ ლორიაზე, სადაც კონსტანტინე გამსახურდიაც გაიღლევებს. ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ შესაძლოა იქვე იყოს აღნიშნული ამ მწერლის დიდი პოპულარობის თაობაზე.

გისურვებთ ბევრ კარგ მკითხველს!

ნოდარ აფხაძე.

ჩვენი მკითხველი ვარაუდს ეყრდნობა, ხსოვნაში ჩარჩენილი სტრიქონები დააყენებენ სანდო კვალზე, მაგრამ ის თხზულება ველარ მოუძევებია, სადაც ამოეკითხა იმ ყველაზე პოპულარული ბელეტრისტის ვინაობა.

დასახელებით კი დაასახელა.

ის თხზულება კი, რომელსაც ბარათის ავტორი გულისხმობს, ოთარ ჩხეიძის ესეთა – „პროზის ბილიკებზე“, გა-

მოქვეყნებული 1983 წელს გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე და განმეორებული მწერლის სალიტერატურო წერილების კრებულში „რკალი“ (1986), ესეიც და, იმავდროულად, პარმენ ლორიას ლიტერატურული პორტრეტი, რომელიც მწერალთა კავშირის პლენუმის გახსენებითა და კონსტანტინე გამსახურდიას მძაფრი გამოსვლით იწყება. მკაცრი და მრისხანე ყოფილა ის ორატორული სიტყვა, მიმართული გემოვნების დაცემის წინააღმდეგ, და გამომცემლობებისა და სალიტერატურო კრიტიკის წინააღმდეგაც, რომელნიც ხელს უწყობდნენ გემოვნების დაცემას.

ამის თქმა გმირობას უდრიდაო, – ასეთ შეფასებულ იმს გამოსვლა, რადგანაც საბჭოთა რეჟიმის იდეოლოგებს გემოვნებაც კლასობრივი ფენომენი ეგონათ და გემოვნების განსხვავებაც ველარ წარმოედგინათ, რახან გამოცხადებულიყო, რომ კლასები აღარ არსებობს კომუნისტურ საზოგადოებაშიო.

და ამ მკაცრი გამოსვლისას ორატორი მწვავედ მოიხსენიებდა პარმენ ლორიასა და მის რომანებს „ჩაი“ და „მევლუდი“. გემოვნების დაცემის თვალსაჩინო ნიმუშებად მათ მოიხმობდა.

მოგონების ავტორს ისეთი შთაბეჭდილება დარჩება, რომ პარმენ ლორიასა და მისი რომანების ეს საგანგებო მოხსენიება მხოლოდ ჭეშმარიტი ლიტერატურის, ჭეშმარიტი ხელოვნების ბედით დაინტერესებას არ გამოუწვევია. ცოტა პირადულიც გამოერეულა და ეს გალიზიანება კი იმის ბრალია, რომ ერთბაშად და არაჩვეულებრივად გაეთქვა სახელი პარმენ ლორიას მკითხველებში და ამ მოულოდნელ პოპულარობას ყველა დაეგნია. ეგაა, თვითონ ავტორი არ დაბნეულიყო და „ჩაისა“ და „მევლუდისათვის“ ზედიზედ მოედევნებინა რამდენიმე რომანი:

„... საანგარიშოსთან რო ედოთ თვით ბულალტრებსა და სამზარეულოშიც ხელიდან არ უშვებდნენ დიასახლისები“.

მოდო და გადაგეჭარბებინა.

ქალის სახელი – ნაირა – სწორედ მისი რომანიდან მოედებოდა ქვეყანას სულ სხვა ელვარებით, სულ სხვა მომხიბლობით და კიდევ დამკვიდრდებოდა ქართულ ყოფასა და ონომასტიკაში.

ამ სახელის განსაკუთრებული პოპულარობა ისევეა პარმენ ლორიას დამსახურება, როგორც:

ლამარა – გრიგოლ რობაქიძისა.

შორენა – კონსტანტინე გამსახურდიასი.

ოთარ ჩხეიძე იმ გარემოებასაც მიაქცევს ყურადღებას, რომ ძალიან გაუყურდა მაშინდელი, 30-იანი წლების მიწურულისა და 40-იანი წლების, კრიტიკა ამ ახალი სახელის გამოჩენას და იმ კრიტიკულ წერილებში არსად ამოიკითხება, თუ როგორი პოპულარული გახლდათ პარმენ ლორია, ნაყოფიერიც და პოპულარულიც:

„არადა, მისი წიგნები ყოველ წე-
ლინადს გამოდიოდა და მეტოქეობას
ვერ უწევდა ვერავინა პოპულარობა-
ში, ახლა თავს ტყუილად ნურავინ გა-
მოიდებს, ვერავინ უწევდა მეტოქეო-
ბასა. ეს იყო ბესტსელერი, ჭეშმარიტი
ბესტსელერი ჩვენში, მაშინდელ კვა-
ლობაზე, მაშინ არც ასეთი ტირაჟები
იყო და არც ასე ადვილად იყიდებოდა
წიგნი, – ზოგი მაინცა, ენყო, ენყო, ენ-
ყო და ენყო, მერე ჩამოსწერდნენ; მე-
რე გამოსცემდნენ ისე იმასა, ისევე ენ-
ყო, ენყო და ენყო; პარმენის წიგნი
ასევე ჰქრებოდა, ახლა რო ჰქრება
ჩვენში წიგნები“.

ესეც ის სანდო და მიუყერძობელი
მეგზური, მაშინდელ სამწერლო პრო-
ცესში გასარკვევად, და ესეც ის რეა-
ლობა, რომელსაც ვერსად წაუხვალ
და... გრიგოლ აბაშიძესა და გიგო ხეჩუ-
აშვილს ძალდაუტანებლად ამოუდგება
გვერდით კიდევ ერთი სენსაციური სახელი, დიდი და თვა-
ლისმომჭრელი მწერლები და მათი საუკეთესო ქმნილება-
ნი რომ დაეჩრდილა მკითხველის თვალში.

ჭეშმარიტი ბესტსელერიო...

მეტოქეობას ვერ უწევდა ვერავინა პოპულარობაშიო...
ფრთხილ ვარაუდად, საეგებო მოსაზრებად კი არ გა-
მოითქმის, არამედ დაბეჯითებულ შეხედულებად და წი-
ნასწარვე შეაგონებს ყველას, რომ ტყუილუბრალოდ ნუ
გამოიდებენ თავს და მაშინდელ ბესტსელერთა სიას –
დღევანდელი გადასახედიდან შედგენილს – სხვა მწერალს
ნუ ჩაუყენებენ სათავეში.

სიყალბე არ აკლია საბჭოური ეპოქის ქართული ლიტე-
რატურის ისტორიის გადმოცემას და კიდევ ერთი სიყალბე
ნულა მიემატება.

სალიტერატურო კრიტიკა რომ არ მოიხსენიებდა სანი-
მუშო მაგალითად მის ნაწერებს, არც სადავოდ თუ უარსა-
ყოფად, თვალი დაეხუჭათ
და ეს ეკმარათ, მიზეზი ესე-
იში პირდაპირ არ არის დასა-
ხელებული, თუმც მინიშნე-
ბით კი გამჭვირვალედაა მი-
ნიშნებული იმ გაორების
საწყისი, რომ კრიტიკა ქადა-
გებდა, მწერლობა გასაგები
უნდა იყოს ყველასათვისო,
პარმენ ლორია სწორედ ასე
წერდა, – კრიტიკოსები რა-
საც მოითხოვდნენ, – მარ-
ტივად და ყველასათვის გა-
საგებად და მისი ხსენებაც
კი არ უნდოდათ, არამცთუ
მაგალითად დაესახათ სხვა-
თათვის.

სოციალისტური რეა-
ლიზმის ჩარჩოებში ვერაფ-
რით ვერ ემწყვდებოდა მისი



პარმენ ლორია

მისი განსაკუთრებული პოპულარობა დაედასტურები-
ნათ? არ გამოვიდოდა.

ამჯერადაც დაშორებულიყო მკითხველი და სალიტე-
რატურო კრიტიკა.

ოთარ ჩხეიძის ესეიში სხვაც არაერთი საგულისხმო
ცნობაა და, მათ შორის, ის გზაცაა გახსენებული, თუ რო-
გორ შემოსულიყო მწერლობაში პარმენ ლორია.

ქვაყუდეს ერთკლასიანი სამრევლო სკოლა დაემთავ-
რებინა და შრომაში შებმულიყო – ჯერ შინ, მერე ჩაქვის
საუფლისწულო მამულში, მერე ნოვოროსიისკის ცემენ-
ტის ქარხანაში. მერე ჯარშიც ამოჰყოფდა თავს. 20-იან
წლებში სათავეში ჩაუდგებოდა ეგრეთწოდებულ აგიტ-
მხატვრულ ბრიგადას. ამ ბრიგადას თავისი მასალა უნდო-
და – თავისი სცენები, თავისი სკეტჩები, ფელეტონები,
სხარტი დიალოგები, მოკლე-მოკლე პიესები. თვითონ უხ-
დებოდა ამის დაწერა, იუმორისტული თხზულებების შექ-
მნა, და ასე გაიდებოდა ხიდი
თეატრამდე და სალიტერა-
ტურო ასპარეზამდე.

– მოლიერივით მოგ-
სვლიაო, – გაეხუმრებოდა
ოთარ ჩხეიძე.

ის კი თითქოს პასუხად:

– მგონია რამდენიმე
გვერდი მეყოფა, რამდენიმე
ასეულს გადავჭრელებ და
სათქმელი მაინც სადღაც
მრჩება. რომანები ასე გამო-
მეცხადა, თავისთავად გა-
მომეცხადა, თორემ მე თვი-
თონ როგორ გავბედავდი,
ფელეტონების წერაც რომ
მიჭირდა... შენთან წერილი
მინდოდა მომეწერა, მაგრამ
შემეშინდა, რომანი არ გა-
მომსვლოდა.

სამშაბათს, 29 სექტემბერს
ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ თაოსნობით
დოკუმენტური ფილმების სტუდიაში
„მემატინანე“ გაიმართება ჩვენება
ლიანა ელიავას
დოკუმენტური ფილმებისა

„თავისუფლების მისტარია“

(მასალები)

და

„ზერგა მთაში“

დასაწყისი 14 საათზე
დავით აღმაშენებლის №164

მკითხველი კი დაეპყრო და მწერლები ძალიან შეეფიქრიანებინა და გაეგულისებინა.

ალარც ქართველ მწერალთა დელეგაციებში გამოტოვებდნენო...

ერთხელ მოსკოვში უეცრად აღმოაჩენდნენ, რომ პარმენ ლორია აჭარელი მწერალი ყოფილა, და დაეხვეოდნენ კორესპონდენტები, გადაუღებდნენ სურათებს, ჩამოართმევდნენ ინტერვიუს. როგორც დიმიტრი გულიას ექცეოდნენ გამორჩეული პატივითა და მოწინებით, – პირველი აფხაზი მწერალია, ისე პარმენ ლორიასაც გამოაცალკევებდნენ ქართველთა დელეგაციიდან – პირველ აჭარელ მწერალს.

და სთხოვდნენ პნკარედებს: აჭარული ენა არ ვიცით, ამიტომ თქვენ თვითონ დაგვეხმარეთ და სასწრაფოდ ვთარგმნით და გამოვცემთ თქვენს რომანებსო.

მხოლოდ ის ევალეობოდა, თავი მოეკატუნებინა, პნკარედები საჩქაროდ გაემზადებინა და რუსულ გამოცემებს ეს წაწეროდა – თარგმანი აჭარულიდან.

არ იყაბულეზდა ასეთ საქციელს პარმენ ლორია.

ვერ შეწირავდა საქართველოს ინტერესებს საკავშირო სარბიელზე გასვლა-დამკვიდრებას, იქიდან სულაც ევროპის სოციალისტურ ქვეყნებში. დითირამებს არ დაიშურებდნენ რუსი კრიტიკოსები: ეროვნულ უმცირესობებს ჩვენ მოვევლინეთ მფარველად საქართველოში და აგერ, აჭარელი მწერალი როგორ პატივი გვყავსო.

თავიანთ ემისრად დაიგულებდნენ ბათუმსა და აჭარაში და პატივი და დიდება არ მოაკლდებოდა. მაგრამ პარმენ ლორიამ:

– აჭარული ენა არ არსებობს, აჭარა საქართველოს ერთი მხარეა და მეც ქართულად ვწერ ჩემს წიგნებსო.

ციცხელად შემოეცლებოდნენ რუსი ლიტერატორები და ჟურნალისტები.

არც მისი ინტერვიუ გამოჩნდებოდა ალარსად, ალარც მისი ფოტოსურათი.

წამითაც არ ინანებდა.

პოპულარობის მწვერვლიდან გადმოჰყურებდა სალიტერატურო პროცესს და კვლავაც მარჯვედ მიჰკვალავდა მკითხველის გულისაკენ გზას, ვიდრე თვითონვე არ გადაეღობებოდა წინ თავის განთქმულ სახელს.

ამ საქციელის ფსიქოლოგიური სარწულიცაა ამოხსნილი ესეიმი.

რაკილა კრიტიკოსები ვერ აიყოლია, თვითონ აჰყვა კრიტიკას, რათა მისი ყურადღება მიეზიდა, და დაიწყო მათ მიერ წამოჭრილი სქემებისა თუ თემების გამოყენება.

ვერც კრიტიკოსები დააინტერესა და მკითხველიც დაჰკარგა, თუმც კვლავინდებურად გამოიცემოდა მისი წიგნები.

ალარ ედოთ მისი რომანები საანგარიშოსთან ბულალტრებს.

ალარც დიასახლისები ჩასჩიჩინებდნენ სამზარეულოში.

კონსტანტინე გამსახურდიას რომ მოაგონებდნენ: გახსოვს, „მეველზე“ რომ ამბობდიო, – გაიკვირებდა: არც გამიგონიაო.

და ისევე ერთბაშად გაქრებოდა მისი სახელი საზოგადოებრივი ცნობიერებიდან, როგორც შემოჭრილიყო.

მემუარულ ლიტერატურას მაინც შემორჩებოდა. ნოდარ აფხაძეს აქედან წამოაგონებოდა.

და კიდევ არაერთს ჩვენი ჟურნალის მკითხველთაგან:

- ნაირა გელაშვილს.**
- მარინე გელაშვილს.**
- ნატო ინგოროყვას.**
- გივი ალხაზიშვილს.**
- ელგუჯა თავბერიძეს.**
- ბადრი თევზაძეს.**

განსაკუთრებით მაინც ნატო ინგოროყვასა და ბადრი თევზაძის შეხმინებები მოგვეცხო გულზე – ბათუმელებსაც რომ არ დავინცნიათ თანაქალაქელი მწერალი. ისე ეს

ორი პიროვნებაც თუ მოხვდება მოსკოვში, გამორიცხული არ არის, მათაც დაესივონ ლიტერატორები და ჟურნალისტები, ფოტოები ფოტოებად გადაუღონ, ინტერვიუები ინტერვიუებად ჩამოართვან, პნკარედებიც სთხოვონ: ქართველების ხელში თქვენ ვინ გაგახარებდათ

და ჩვენ გვიგულეთ მფარველებად და პოპულარიზატორებად აჭარული მწერლობისაო.

მათი პასუხი წინასწარვე ვიცით.

ნაირა გელაშვილის გამოხმაურებამაც თავისი კოლორიტი შესძინა ამ გამოკითხვას. 40-იანი თაობის მკითხველებს ვერც დააჯერებთ, რომ ეს სახელი ჩვენი საყვარელი და სახელოვანი ბელეტრისტიკოსის პარმენ ლორიას გმირი ქალის გავლენით არ შეურქმევიათ, იმის მიუხედავად, მართლა ასეა თუ არ არის ასე.

... ოთარ ჩხეიძის ესეი კი ამ სევდიან კილოზე მთავრდება.

კონსტანტინე გამსახურდიას ფრაზას რომ ჩაურთავს თხრობისას: არც გამიგონიაო, – ამ სტრიქონებს მოადვენებს:

„ალარავის აწუხებდა, ალარავისა. სხვები ჩნდებოდნენ, სხვები გაიგებდნენ სახელსა, სხვები აწუხებდნენ.“

და აი, მოვიგონებ.

მოვიგონებ და მოვაგონებ, ვისაც თუ კიდევ მოაგონდება...“

ბელგიის ქალაქ ლიეჟში კომისარ მებრას „მამის“ მუზეუმი გაიხსნება

ლიეჟის ხელისუფლებამ გადაწყვიტა ამ ქალაქში შექმნას ფრანგი მწერლის, ჟორჟ სიმენონის, მუდმივმოქმედი მუზეუმი.

მუზეუმის შექმნის იდეა უკვე მოიწონა მწერლის ვაჟმა – ჟანმა, რომელიც მამის სამშობლოში ჩავიდა. აქ დეტექტიური ჟანრის მომავალმა მეტრმა 19 წელი გაატარა. ლიეჟის ხელისუფალთა გეგმით, ჟორჟ სიმენონის მუზეუმი განთავსდება სახლში, რომელიც მწერალსა და ქალაქის ნიჭიერ შემოქმედ ახალგაზრდობას შეკრების ადგილად აერჩია და რომელსაც ირონიულად „ქაშაყიან კასრს“ უწოდებდნენ.

გრიგოლ რობაქიძე

მუსოლინი

ანტლანტიდიან მონაპირი სიო

მარინა პიკოლას სიახლოვეს, ტირენის ზღვის მარინით დამძიმებულ ტალღებზე თავს ისე გრძნობ, თითქოს ნაოჭებადაყრილ, მოშარიშურე აბრეშუმზე იწვე; მშვიდად მიცურავ ამეთვისტოსფერი წყლის ზედაპირზე: ტალღა ტალღაზე გადადის. დროდადრო კი ზღვა განსაკუთრებით მშვიდია, და ასე გგონია, უზარმაზარი ფოთოლი თახთახტოსო გარინდულ ჰაერში. ზღვის მიმოქცევის დროს შორიდან, ძალიან შორიდან, ყურში ჩუმი შარნიშური, თითქმის ჩურჩული ჩაგესმის. შეუმჩნევლად გაიხლოვდება უსასრულობა; მერე კი ნელ-ნელა თავადაც საკუთარ ნათელმხილველ სიზმარში უჩინარდება. დრო და დრო თავს წამოსწევ და სიხარულით გასცქერი კლდოვან კუნძულს. მარცხნივ სოლაროს ციცაბო კლდეებია, მარჯვნივ კი – კასტილიონეს ქარაფები. აქ მთელი ცხოველმყოფელობით შეიგრძნობ ფერებს: მრეშს, რუხსა თუ თვალისმომჭრელად თეთრს. ცოტა ხნის შემდეგ ნაპირზე ბრუნდება, – ყურში უკვე ჩაგესმის მზის ბობოქარი ხმა. ქვა სინათლისკენ მიილტვის. ნიჩბების დარტყმას მხიარულად ეხმიანებიან მოდგაფუნე ტალღები და კაშკაში გაუდით. აი, იქ, მზეს მომწვანო-ოქროსფერი ხელიკი შეფიცვებია, ეს-ესაა რომ გამომძვრალა კლდის ნაპრალიდან. მისი ძალუმად მფეთქავი ყელი გაგრძობინებს მზის სიმხურვალეს. მთელი მიდამო გაუბრუნებია მზის დამათრობელ სასმელს. მარცხენა ფეხის წვივზე მოსკიტის კბენას და საშინელ ქავილს ვგრძნობ. ფეხს ისე ვიფხან, რომ სისხლი მდის. მერე ნაკბენზე გახურებულ რიყის ქვას ვიდებ; ქვა ისრუტავს მწვავი ტკივილს; მზე ჩემ სისხლისმიმოქცევაში შემოიჭრება და მეც მისი ნადავლი ვხდები.

მშვენიერი მიხვეულ-მოხვეული გზებით სულ ზევით-ზევით ავდივარ;

აი, აქ, ჩრდილი წრედ შემოვლებია ხეს. სულ უფრო და უფრო აცხუნებს მზე. აქა-იქ უზარმაზარი, უტყვი კაქტუსები მოჩანს: ისინი იმ უსიცოცხლო ცხოველს მაგონებენ, რომლის სხეულშიც მაცოცხლებელი ძალა თვლემით მიილტვის სინათლისკენ. ერთ-ერთ მოსახვევში ვჩერდები და ზანტად მსუნთქავი ზღვის ზედაპირს ვაცქერი, რომელიც სივრცეში ცისფრად განოლიდა და მარნიშური გაუდის. ქარაფის კიდეებთან ზღვის სილურჯე იმ ნახჭს მაგონებს, წყლის ფსკერიდან ბუდეში ჩასმული საფირონივით რომ ელავს. მერე სიჩუმე ნიჟარების შრილადა გადაიქცევა; იოდის სუნით გაჟღენთილ ჰაერში ნაპერწკლებს ტკაცა-ტკუცი გაუდის; უეცრად გრძნობ, როგორ გეუფლება შიში: ხომ შეიძლება, აი ახლა, ამ წუთში, თხისჩლიქება პანმა! გაიღვიძოს და ქარიშხალივით ჩაგიქროლოს წინ! ცოტა ხანში ვია ავგუსტაზე ვადიხარ. ტანძლიერი ვაზით

დაშალტული სვეტნარის დანახვაზე გახსენდება, რომ აქ, სადღაც, უსიერ ჩრდილში, მზის სხივებით მთვრალი ბახუსი უნდა თვლემდეს. ანაზდად თვალს ჰკიდებ მყუდრო მესერზე შემორაგულ ბუგენვილს.² მისი მზის სხივებით განათებულ, მოლურჯო-მოიისფრო ყვავილები ხალისიანი მზერივით გატკობენ. ღვთაებრივი გრძნობა გიპყრობს და სხეულის თითოეული ნაკვითი შეიგრძნობ მზის დაბადებას.



სანტა მარია ჩეტრელას სამლოცველოს ჩარდახზე ვზივარ; სამლოცველო უფსკრულის თავზე წამომართული კლდის კიდეზე დგას; თვალწინ გადამეშლება კასტილიონეს ბორცვი და ჰოპენშტაუფენების³ ციხე-კოშკის ნანგრევები. შემდეგ ვხედავ: უნგია მარინას, ტუარას, და ტრაგარას; მათ უკან კი – ზღვაში ჩამჯდარი, ტალღების შრიალით გარემოცული ფარალიონის მარადმთვლემარე ქარაფებს; ნელ-ნელ ინავლება დღე, – გაჯერებული სინათლის წყაროს სისავსით. მზე უკვე სოლაროს ზურგს ეფარება, და მთა ზღვის ზედაპირს აღმოსავლეთით უზარმაზარ ჩრდილს ჰფენს, თანდათანობით რომ ფართოვდება. და ფართოვდება. ტალღები მიმოაქცევენ ირიბი მზის სხივებს, წყლის მოჩრდილული სივრცის არე კი ისევ და ისევ იზრდება. ზედაპირზე ციმციმებს ნაზი ქობა, სინათლის სხივებს თამაშით რომ შემოვლებია გარს. ტალღები ხარბად ნთქავენ სხივებს და თავად იქცევიან სინათლედ. ნელ-ნელა, ფარფატივით უჩინარდება საოცრად მშვენიერი, მოკიაფე ფერი, მზეს მიფიცვებული ხოჭოს მომწვანო-მოოქროსფრო ზურგს რომ მომაგონებს. ეს ფერი წყლის ზედაპირზე განოლილ ჩრდილს უფრო ღრმას და ნაზს ხდის. „ოქროს და სპილენძის მადანი“, – გამიეღვებს უეცრად თავში. ეს ატლანტიდის ტაძრის სვეტის ფერია; და, აი, მენსიერებაში ამომიტივტივდება პლატონის⁴ საოცარი მონათხრობი იმის შესახებ, რომ ატლანტიდის მეფეები თურმე „ლიბიის შიდა ზღვის ქვეყნებიდან მოყოლებული, ეგვიპტეზე, ევროპაზე და ტირენიზეც“ ბატონობდნენ. ახლა, როდესაც აქ ვზივარ და ვფიქრობ, რომ ეს ადგილი ერთ დროს ხმელეთს უერთდებოდა და ჩაძირული ტირენის ნაწილი იყო, ასე გგონია, ატლანტიდიდან მონაბერ სიოს ჩავისუნთქავ-მეთქი. ჩემი მზერა კი კვლავ იმ მშვენიერ ფერს ელაცეცება. კრეტაზე, კნოსოსის სასახლეში რამდენიმე ოქროს დანა და დასტანავი იპოვეს. ოქრო რომელიღაც უცნობ ლითონთან არის შედუღებული, რაც მას უჩვეულო სიმტკიცეს სძენს, უპირველეს ყოვლისა კი, მზის სიკაშკაშეს ანიჭებს. ბრეტანის, ატლასიის და სამარიის დოლმენურ სამარხებში⁵ აღმოჩენილი საგნების პატარა-პატარა ნამსხვრევებიც იმავე მზიური სიკაშკაშით გამოირჩევიან. თუ წარმოვიდგინებ, რომ კრეტისა და ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს კულტურა პლატონისა და ჰეროდოტეს მიერ⁶ მოხსენიებული ატლანტიდისა და ხმელთაშუა ზღვის მებოძრზე იშვა, მაშინ მივალთ ჰიპო-

დასასრული. იხ. „ჩვენი მწერლობა“ №19

თეზამდე: ეს ლითონი იმ ოქროს და სპილენძის მადანია, რომლითაც ატლანტიდაში ტაძრის სვეტებს აპირკეთებდნენ.

მზესთან გაყრისას სინათლის სხივები ციალით დაფარვატებენ ჰაერში. დაისი სინათლის ზღვის დღესასწაულს ზეიმობს და ხან ბაც ვარდისფრად და მუქ იისფრად, ხანაც მენამულისფრად გაუდის ციმციმი. მერე ისევ და ისევ მომაჯადოებლად გამობრწყინდება ოქროს და სპილენძის ფერი, და მე თითქმის ვუჩინარდები სინათლის ამ მისტერიაში; უეცრად ისეთი გრძნობა მეუფლება, თითქოს ვილაც სხვა ვიყო. ვინ ვარ მე? საისელი მოწაფე ჭეშმარიტების ძიებაში ქვეყნიერებას შემოვივლის, მაგრამ ვერ პოულობს მას და სასონარკვეთილი ისიდას ტაძარში ბრუნდება; წმინდა ადგილს ფეხს დაადგამს და მამაცი აზრით შთაგონებული, ქალღმერთს საბურველს ჩამოგლეჯს; და აი, აცახცახებული ხედავს, რომ სარკიდან საკუთარი სახე მისჩერებია. ნუთუ ჩვენ ჩვენივე თავის უკანასკნელ გამოცანას ნარმოვადგენთ? ანაზღად ყურში ჩამესმის ხმა: „არარასაგან მოვლინებულს, ხომ შეიძლება და საერთოდ არ გეხილა დღის სინათლე“-ო; და ჩემთვის უმალ ნათელი ხდება ყველაფერი. მე რომ „ვეგიბ“, განა ამაში არ იმალება საიდუმლო? განა შეიძლება შემთხვევითი იყოს, ამ სამყაროს რომ ვხედავ? ვხედავ ამ ფოთოლს, ზღვის სივრცეს და კლდის ციცაბოზე დაგდებულ ქვას, მზის ჩასვლას და ამ საოცარ, ქერა ლამაზმანს, სადღაც კუთხეში რომ მიმჯდარა და მომხიბლავად მიღიმის. დიახ, მე ღმერთის ხელით ჩემივე თავისთვის მიძღვნილი საჩუქარი ვარ. ამის გაფიქრება იმდენად სულისშემძვრელია, რომ მიჭირს ამ ბედნიერების შეგრძნება. ღმერთი ქმნადობის პროცესში საკუთარ თავს უძღვნის სამყაროს. მთელი ტანით ვცახცახებ. ატლანტის ოკეანის სიღრმეში იპოვეს უცნობი ლითონისგან ჩამოსხმული დაფა: „ატლანტიდის კანონთა სჯული“. მასზედ რვაქმიანი ჯვარია ამოტივრული და ვულკანური ლავითა და ძველისძველი ფანგითაა დაფარული. რომელიღაც ცხოველის ბუნდოვანი კონტურები გვაფიქრებინებს, რომ ეს მახვილით განგმირული საზორველი ცხოველი უნდა იყოს. მეცნიერების მიერ ამოკითხული იდუმალი წარწერა კი გვამცნობს: „ღვთის ძე ადამიანებისთვის მოკვდაო“. განა ეს ღმერთის თავგანწირულობაზე არ მიგვანიშნებს? დიახ, ღმერთი საკუთარ თავს სამყაროს უძღვნის. ადამიანში ზეპიროვნული პიროვნულ გამოხატულებას ვპოვებ. იდუმალებით მოცულ ამ პროცესს კაცი ისე წარმოიდგენს, თითქოს ღმერთი გადიოდეს სამსხვერპლო გზას ადამიანისკენ. მაშ, ადამიანი როგორღა მიდის ღმერთთან? და, აი, აქ, საკუთარ თავს მივაყურადებ.

კენტ რიცხვებს ლუნებთან შედარებით უპირატესობა რომ არ ჰქონოდა, ატლანტიდის ათი მეფე ყოველ ხუთ, ხანაც ექვს წელიწადში ერთხელ, პოსეიდონის ტაძარში იკრიბებოდა, რომლის სვეტებიც ოქროთი და სპილენძით იყო მოპირკეთებული. მათ საერთო საქმეებზე უნდა ემსჯელათ და თან გაერკვიათ, რომელიმე მათგანს რაიმე გადაცდომაში ხომ არ ედებოდა ბრალი, რათა იგი შემდეგ სამსჯავროს წინაშე წარმდგარიყო. სამსჯავროს მოწყობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ისინი ერთმანეთს წინასწარ აძლევდნენ საწინდარს. პოსეიდონის წმინდა ტაძრის გარშემო, მდებარე, ლაღად ბა-

ლახოზდნენ ხარები. მას შემდეგ, რაც განმარტოებულნი ათი მბრძანებელი ღმერთს შესთხოვედა, სასურველი მსხვერპლი დაგვაჭერინეო, ინყებოდა ნადირობა ყოველგვარი იარაღის გარეშე, მხოლოდ ჯოხებისა და ქამანდების მეშვეობით. მერე დაჭერილი ხარი ტაძრის სვეტზე აწყავდათ და იქვე, ზევით, წარწერის თავზე, კლავდნენ. მაგრამ ტაძრის სვეტს კანონთა სჯულის გარდა ამშვენებდა ფიციც, რომელშიც წყევლა-კრულვით მოიხსენიებოდა ის, ვინც ურჩობასა და დაუმორჩილებლობას გაბედავდა. შემდგომ ამისა, როდესაც მბრძანებლები, კანონის თანახმად, საზორველი ცხოველის ყველა ნაკვთს ღმერთს შესწირავდნენ, მის სისხლს წვეთ-წვეთად ასხამდნენ წინასწარ მომზადებულ ქვაბში, დანარჩენს კი – ცეცხლს მისცემდნენ ხოლმე. მერე სისხლს ოქროს ფიალებით ხაზავდნენ ქვაბიდან, ცეცხლში ასხამდნენ და ფიცს სდებდნენ, სვეტის თავზე კანონით გავასამართლებთ და დავსჯით ნებისმიერ ჩვენგანს, თუკი მან რამე დანაშაული ჩაიდინა. რაც შეეხება მომავალს, განზრახ არავინ არ დაარღვევს კანონს და მორჩილებას არ აღუთქვამს არც ერთ მბრძანებელს, ვინც ღმერთის სჯულის თანახმად არ განსჯისო. მერე კი, როცა ათივე მათგანი საკუთარ თავსა და შთამომავლობას ხობტა-დიდებას შეასხამდა, ხარის სისხლს სვამდა და ფილას ღვთის წმინდა ალაგს სწირავდა. ფიცის დადების შემდეგ კი, როცა კი ღამე ჩამოვლავდა, და საზორველი ცეცხლი ჩაქრებოდა, ყველანი ულამაზესი, მუქი ლურჯი სამოსით იმოსებოდნენ, და ასე ისხდნენ საზორველი მსხვერპლის სიახლოვეს, რომელსაც ოხშივარი ასდიოდა. მერე კი, წმინდა ადგილის გარშემო კოცონს აქრობდნენ და მთელი ღამე მსაჯულებად და მსჯავრდებულებად გვევლინებოდნენ ყველას მიმართ, ვისაც კი რამე გადაცდომაში ამხელდნენ. გამთენიის ხანს, გამოტანილ განაჩენს ოქროს დაფაზე ამოტივრავდნენ და დაფას, სამოსთან ერთად, ღმერთს სწირავდნენ. მათ სხვა კანონებიც ჰქონდათ, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ის კანონი იყო, რომელიც მათ ერთმანეთის წინააღმდეგ ბრძოლას უკრძალავდა და ერთმანეთის თანადგომას ავალბებდა; გარდა ამისა, წინაპრების მსგავსად, ერთობლივი სჯაბაასი უნდა ჰქონოდათ ომსა და ყველა სხვა საკითხზე, და, უზენაესი ძალაუფლება შემდგომში ატლანტიდის მოდგმისთვის უნდა გადაეცათ“. ასეთ ლეგენდას მოუთხრობს ატლანტიდაზე საისის ნეთ-ისიდას ტაძრის უმალღესი ქურუმი სჯულმდებელ სოლონს,⁷ პლატონის „კრიტოსში“. მონათხრობის ენა იერატიკული ენის⁸ შთაბეჭდილებას ახდენს და თ ა უ რ დ რ ო ე ბ ი ს შორეთიდან მოღწეული ჩურჩულივით ჩაგესმის ყურში. წინადადებები ყოფით ენას გვაგონებს, სადაა და შეუღამაზებელი; მაგრამ მათი მეანდრული ხვეულები ეთერულად მოფარვატე ქსოვილში იჭერენ საიდუმლოს. პაუზები უფრო ცალკეული წინადადების დასრულებას ემსახურება, ვიდრე მათ შორის ბმულობას; ამასთანავე, მონათხრობისადმი მოწინება იგრძნობა და არ ხდება მისი გაშიშვლება, მაგრამ საიდუმლო თავს ვერ მალავს და გამჭვირვალე რჩება. და აი, ყურში თავად ქურუმის ხმა და მისი განუმეორებელი ჟღერადობა ჩაგესმის;

საოცრად იწყება საუბარი „ტიმეოს“-ში: „ო, სოლონო, სოლონო! თქვენ, ელინელები, ჯერაც ყრმობის ასაკში იმყოფებით, და, თქვენს შორის აშკარად არ არსებობს

მსცოვანი კაცი“, და შეკითხვაზე, რატომ გგონია ასეო, პასუხი ასეთი იყო: „იმიტომ, რომ შორეული წარსულისა და მისი გაცნობიერების ტრადიცია არ გაგაჩნიათ“. ეს არ ითქმის ეგვიპტელებზეო, ამბობს ქურუმი და იწყებს თქმულების მოყოლას („კრიტოსში“).

ფიქრებში ვიძირები. ახლა უკვე წარმოვიდგენ, რა გზას გადის ადამიანი ღმერთისკენ; ეს იგივე გზაა, ოლონდ პირიქით: პიროვნულიდან ზეპიროვნულისკენ მიმავალი. განა ის წმინდა წარწერა: „ღვთის ძე ადამიანებისთვის მოკვდაო“, ატლანტიდის ტაძრის სვეტზე ამოტვიფრულ კანონთა სჯულის განმეორება არ არის? დიახ, ჯერ ღმერთი ეწირება მსხვერპლად ადამიანს, შემდეგ კი ადამიანს მოაქვს თავი ღმერთისთვის მსხვერპლად. სწავლულები შეგვაგონებენ, საზორველი ცხოველი სიმბოლურად თავად ღმერთიაო; და, თუ მზორველი მსხვერპლის სისხლს დაღვეს, ღმერთთან წილნაყარი ხდებაო. როდესაც მსხვერპლშენიერვის დროს ფიქრობენ, რომ ღმერთი ადამიანებს ეწირება მსხვერპლად, ეს მართლაც ასეა. ახლა კი გავიხსენოთ „კანონთა სჯულის“ დაფაზე ამოტვიფრული, მახვილით განგმირული საზორველი ცხოველი, რომელსაც ასეთი წარწერა აქვს: „ღვთის ძე ადამიანებისთვის მოკვდაო“. მაგრამ ამის თქმა სწორი არ არის ადამიანის მიერ ღმერთისათვის მსხვერპლის შეწირვასთან მიმართებაში, რადგან, განა შეიძლება ღმერთმა ისევ და ისევ ღმერთს შესწიროს მსხვერპლი? დიახ, ეს ასე უნდა გავიგოთ: ადამიანი ღვთისგან ბოძებულს, მაგრამ უკვე საკუთარ თვითობად ქცეულს, უბრუნებს ღმერთს უკან, როგორც საჩუქარს. მსხვერპლი ყოველთვის თვითმსხვერპლად რჩება, მაშინაც კი, თუ ეს მსხვერპლი ხარია. ადამიანი საკუთარი თავის მსხვერპლშენიერვას ახდენს, ანუ, მსხვერპლად მოაქვს ის, რაც უყვარს, ეს კი ერთი და იგივეა.

სხვაგვარი მსხვერპლი არ არსებობს.

„მაგრამ ახლა, რაც კი რამ მათში ღვთიური იყო და ხშირად ერწყმოდა ადამიანურს, ნელ-ნელა გაქრა, და ადამიანური აზროვნების წესმა უპირატესობა მოიპოვაო,“ – შეგვაგონებს ბოლოს იდუმალეზით მოცული მთავარქურუმი. დიახ, ატლანტიდელები ადამიანები, სახელდობრ კი, „ღვთიური ადამიანები“, andres theioi, მაგრამ მაინც ხომ ადამიანები იყვნენ! ხორციელი დანიდვის სახიერების აღწერით, პლატონს სურს დაფარულად მიგვანიშნოს იმაზე, რომ ადამიანი ორი შესაქმეს მეზობირზე დგას; საკუთრივ ადამიანურისა და ღვთაებრივისა; ამ კვეთის არსებობა ადამიანს ყოველ წუთს უნდა ახსოვდეს. ამრიგად, როდესაც ატლანტიდის მცხოვრებლებმა ადამიანურს მიანიჭეს უპირატესობა, მათ არსებაში ამ ზღვრულ კვეთს საფრთხე დაემუქრა; „მაშინ მათ დაკარგეს არსებულ მდგომარეობაში ყოფნის უნარი და გადაგვარდნენ“... როგორც ჩანს, პლატონს ატლანტიდის სულიერი ფენომენი უფრო აინტერესებს, ვიდრე მითიური კუნძულის ნამდვილობის საკითხი.

სიჩუმეში ისე მივყურდი, თითქოს ეს-ესაა კურთხევა მივიღეო.

ასე მადლცხებული მივიღვარ სანტა მარია კასტელადან. იქვე ახლოს მშვიდად განოლილა პირველქმნილი ჭალა. ასეთ ჭალებში აკურთხებდნენ ხელდასხმულები ღვთითბოძებულ მ გ ე ბ ა ს . ჩემს მზერაში ჯერაც

ირეკლება ოქრო-სპილენძის სხივით შეფერილი ჯადოსნური სილურჯე. და აი, ფიქრებით მუქ-ლურჯ სამოსში გამონყობილ მამაკაცებს ვწვდები. ნაკვერჩხალი ჯერაც მოყვითალო-მოთეთრო ალით იწვის. მსხვერპლმა უკვე მიიღო ღმერთის კურთხევა. ლოცვით შეკრული ხელდასხმულები შედედებულ წმინდა სისხლს სვამენ. მეც ვლოცულობ: უხმოდ, უწადილოდ. განა თავად ეს ლოცვა არ წარმოადგენს ღმერთსა და ადამიანს შორის გადებულ წმინდა გზას? ვგრძნობ, რომ მიყვარს, მაგრამ არ ვიცი, ვინ. კუნძული სადღაც ზევით, სივრცეში აჭრილა და მეც ფრთაშესხმული დავფარფატებ მასთან ერთად. ამ დროს თვალს ვკიდებ მომწვანო-ოქროსფერ ფითრს, მუხის კენწეროს გვირგვინივით რომ შემოსდგომია. მზის სხივების ძალით მცენარეში წარმოქმნილი ქლოროფილი ფითრის მბზინვარებას ლითონისებურ სიმკვრივეს ანიჭებს. დანას ვიღებ და მცენარეს ტოტს ვაჭრი. დ რ უ ი დ ე ბ ი ⁹ ლოცვას ალუფლენდნენ მ ზ ე ო ს ა ნ ფითრს, ვითარცა მენადების სიმბოლოს, იმ მენადებისა, მზის ქურუმი რომ დაფლითეს. როგორც ჩანს, ქურუმს საკმარისად არ აღმოაჩნდა მზის ძალები. ფითრიც ასე შთანთქავს მუხას, რომელსაც საკმაოდ არ გააჩნია მზიური ძალები. ამ მცენარეს „პარაზიტი ბუჩქი“ შეარქვეს. გაუგებარი კია, რატომ, მაგრამ ამაში ოდნავ მაინც გამოსჭვივის წინასწარმოსწავებული ცოდნა.

უკან ვბრუნდები და თან მიმაქვს ფითრის ტოტი, როგორც სოლაროზე ნანახი ატლანტიდური სიზმრის ფოთლოვანი ორნატი.

ხელ-მნიშვა

ტირენის ზღვის სანაპიროზე, მზის გამჭვირვალე ნისლში უჩვეულოდ ციმციმებს მაცოცხლებელი ეთერი: თითქოს ჩუმი სიო მოაქროლებსო ჩაძირული კუნძულის უკანასკნელ სუნთქვას. აქ ადამიანს ფართოდ გაღებულ თვალებში სხივი ჩაუდგება, თუმცა დაღლილ სახეზე მიმქრალი შარავანდედი შემოსდგომია და აქ ყველაფერი რაღაც შორეულსა და გარდასულს ახსენებს. ამ უჩვეულო ორნატს დრო და დრო ნახევარკუნძულზე იხილავს ხოლმე კაცი. იგი ღრმად ჩამალულა ქვეყნის ცალკეულ დიდ არსებათა ფენებში. როდესაც მიქლანჯელოზე ფიქრობ, ისეთი გრძნობა გეუფლება, თითქოს იგი ათასწლეულების წინ გაუჩინარებული, უცხო სივრციდან მოგვევლინაო: ეს ატლანტიდის სივრცე უნდა იყოს. იქნებ მასაც ტვირთად აწევს მოვლენათა რიტმი, არც ლუნ რიცხვებს ანიჭებს უპირატესობას და არც კენტს. ვიდრე სამსჯავროს მოაწყობენ, მბრძანებლები საზორველად ემზადებიან: ჯერ თავად უნდა ეზიარონ ღვთიურ ძალას, წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორ შესძლებენ განსჯას?! ჰოდა, მბრძანებლები „სრულიად მარტონი“ მიდიან საზორველ ცხოველზე სანადიროდ: იმ განაჩენზე, რომელსაც ახლა გამოიტანენ, მათ გარდა სხვა არავინ არაა პასუხისმგებელი; ხარები წმინდა ალაგას „თავისუფლად“ ბალახობენ: ეს კი მესყუელად იმაზე მიგვანიშნებს, რომ მსხვერპლშენიერვა შესაძლებელია აღსრულდეს მხოლოდ როგორც თავისუფალი აქტი; მბრძანებლები ცხოველებს იარაღით კი არ ხოცავენ, არამედ კეტებითა და ქამანდებით ცდილობენ მათ

დაჭერას: მსხვერპლშენიერვა კრძალავს ყოველგვარი უხე-
ში ძალის გამოყენებას. შემდეგ დაჭერილი ხარი აპყავთ
და კლავენ იმ ტაძრის თავზე, იმ „ნარწერის ზემოთ“, სა-
დაც დაფაზე რამდენიმე კანონია ამოტვიფრული; ცოტა
ქვემოთ შევიტყობთ, რომ ეს არის „მამის“ ანუ ღმერთის
სჯული: ატლანტიდელები ღვთიური წარმომავლობისა
არიან; ისინი ცხოველის ყველა ნაკვთს ღმერთს სწირავენ,
თავისთვის კი მხოლოდ სისხლს იტოვებენ, მაგრამ თითო-
ეული მათგანი ერთ წვეთს მიიღებს, დანარჩენ სისხლს კი
ცეცხლს ასხამენ. აქ საქმე ადამიანის ღმერთისადმი
მსხვერპლშენიერვას უფრო ეხება, ვიდრე პირიქით, ადამი-
ანისადმი ღმერთისას; მბრძანებლები ფიცს სდებენ და
თან სისხლს მიათმევენ ცეცხლს. სისხლი და ცეცხლი
ერთად, ღმერთების სტიქიონს წარმოქმნის. ისინი ფიცს
სდებენ არა მხოლოდ საკუთარი, არამედ შთამომავლობის
სახელითაც; მერე სისხლს შესვამენ და ფიალებს წმინდა
ალაგს სწირავენ. სამსჯავრო კი მხოლოდ მაშინ შედგება,
როდესაც სიბნელე ჩამოწვება და საზოგადოებრივი ცეცხლი
მთლიანად ჩაიფრფლავს. ამასობაში მბრძანებლები მუქ
ლურჯ სამოსში გამოეწყობიან; განაჩენს კი ოქროს დაფა-
ზე მხოლოდ დღისით ამოტვიფრავენ და დაფას სამოსელ-
თან ერთად ღმერთს სწირავენ; შემდეგ კიდევ ერთხელ,
თუმცა არც თუ უკანასკნელად, დაადგენენ, რომ უზენაე-
სი ძალაუფლება ატლასის ანუ ღმერთის პირმშოს მოდ-
გმას ეკუთვნის. ყველა ამ წვრილმანს წრედ ის ხაზი კრავს,
თ ა უ რ ს ა ნ ყ ი ს შ ი რომ იღებს დასაბამს. და, რაც
მთავარია: თითოეული წვრილმანი ისე შეერწყმის მთლი-
ანს, თითქოს იგი შესაქმის იმ ორივე ხაზის ურთიერთის-
კენ ლტოლვის წარმოჩენას ემსახურებაო. და, თვალნათ-
ლივ ხედავ, სულიერების სფეროში როგორ დგება ადამიან-
ის ღმერთთან შეხვედრის წუთი. დაიხ, ეს წუთი ეთერულ
სივრცეში სწორედ ღმერთსა და ადამიანს შორის დაფარ-
ვატებს.

ასე გამოვლინდება პლატონის მონათხრობში ატლან-
ტიდელთა არსი, და, სწორედ ამ ატლანტიდური ნიშნით
გამოირჩევა მუსოლინი.

აქ ერთ პატარა შემთხვევას გავიხსენებთ:

„როდესაც ჯარისკაცი მუსოლინი 1915 წელს რაზმთან
ერთად ტოლმეცოში შევიდა, ბაზრის მოედანზე მას დახ-
ვდა ქალი, რომელსაც მისთვის პური, ხილი და გამაგრი-
ლებელი სასმელი მოეტანა.

– ახლა საით მიდიხარ, ბენიტო? – ჰკითხა ქალმა.

– სად წავალ? როგორც ყველა, მეც ომში მივდივარ.
ხომ კმაყოფილი ხარ, შენი, ამ ჩვენი მხარის დასაცავად
რომ ვიბრძვი?

– ჰო. მე კი ოთახი მოგიზადე. ხომ გახსოვს, ის შენი
ძველი ოთახი. როგორც კი შევიტყვე, რომ ჩამოხვიდოდი,
მამინვე ვიზრუნე ამაზე. წამოდი, ამდენი სიარულის შემ-
დეგ ამაღამ მაინც დაისვენე!

მუსოლინი ერთხანს შეეყოყმანდა.

– არა! მე ისეთივე ჯარისკაცი ვარ, როგორც ყველა;
ამიტომ გულზე დაბნეული ეგ სამფერი ყვავილი სახსოვ-
რად გამატანე, და კარგად იყავი!

მერე ის იყო, მუსოლინი ფარაჯა ეკლესიის კიბეზე
გაშალა, თავი წინაპართა ნატერფალით შელახულ ქვებზე
ჩამოდო და ისე გაათია ღამე. თითქოსდა ერთი პატარა
შემთხვევაა, მაგრამ სწორედ ამ პატარა შემთხვევაში

ვლინდება მთელი მუსოლინი. ასე გამოასხივებს ხოლმე
ხანდახან ერთი პატარა დეტალი ხელოვნების ნაწარმოე-
ბის არსს. „მუსოლინი ერთხანს შეეყოყმანდაო“, – ეს არის
იმ სიფრიფანა წყალგამყოფის შეგრძნების უნარი, რომ-
ლის გადაბიჯების უფლებაც ადამიანს არასდროს არა
აქვს. მუსოლინი ამ წყალგამყოფს არ გადაბიჯა, და ეს
მისი მხრიდან მცირედი მსხვერპლშენიერვის აქტი იყო.
მაგრამ ის დიდშიც ასეთია; და, დაძაბულ წუთებში ყოველ-
თვის ინარჩუნებს ზომიერებას. „ბუკნაჭოტი“ იცავს და
უფრთხილდება მის ატლანტიდურ ჯიშს. მან იცის, რომ
ძალაუფლება ძალაა, მაგრამ ისიც იცის, სად გადის ამ ძა-
ლის ზღვარი და აღიარებს: „ძალას შეუძლია მხოლოდ ქი-
რურგის როლი შეასრულოს; მას არასოდეს არა აქვს
ბრძოლაში გამონევის უფლება; იგი თავს კი არ უნდა ეს-
ხმოდეს, არამედ უნდა იგერიებდეს. ძალა ეპიზოდურად უნდა
დარჩეს და არ შეიძლება სისტემად გადაიქცეს“. მუსოლი-
ნისთვის ამის ცოდნა მშრალი „თეორია“ არ არის: იგი მისი
ქმედებების საფუძველს წარმოადგენს.

„ჩვენ განწმენდილი ვართ და ამით ვართ ძლიერიო“, –
აცხადებს იგი. მუსოლინის ეს სიტყვები პირდაპირ ეხება
საქმის არსს. მზორველს მსხვერპლი განწმენდს ყოველ-
გვარი უკეთურებისგან, და, ამ დროს განწმენდა მის სიძ-
ლიერედ იქცევა. მსხვერპლშენიერვის გზით მოპოვებული
სინძინდეს ასაზრდოვებს მ ზ ე ო ს ა ნ მეფეთა იმ ნი-
შატს, რომელსაც „დად“-ს უწოდებენ. „დადის“ მფლობე-
ლი ნელ-ნელა იძენს ქვემარტივი მბრძანებლის შორსმოქ-
მედ ძალას. ამ თვალსაზრისით, მუსოლინის ცხოვრებაში
უაღრესად სიმბოლურად იკვეთება ერთი წუთი. მისი თა-
ოსნობით ყველაფერი მზადაა რომის დასაპყრობად. მისი
თანამებრძოლები არიან ყველგან: დე ვეკი – პიემონტში,
გრანდი – ბოლონიაში, იტალო ბალბო – ფერარაში, ჯური-
ატი – ვენეციაში, რიჩი – კარარაში, ბოტაი – რომში, ფარი-
ნაჩი – კრემონაში, პადოვანი – ნეაპოლში, მარკიზი პერო-
ნი კომპანი – ტოსკანაში, და კარადონა – თავისი მხედრე-
ბის რაზმით – აპულიაში. ახლა ისტორიული ლაშქრობა
რომზე მთელ ძალას იკრებს. 1922 წლის 26 ოქტომბერს
მარადიულ ქალაქს უკვე უახლოვდება ძლევა მოსილი
კვადრუმვირატი: დე ბონო, დე ვეკი, იტალო ბალბო, ბიან-
ჩი. მუსოლინი კი მილანის „სკოლაში“ ზის; იგი ჩინური
„ვეი-ვუ-ვეი“-ს გავლენით ამაღლებულ გუნება-განწყო-
ბას შეუპყრია და ვაგნერის ბობოქარ რიტმებს უსმენს.
მუსიკის ტალღებქვეშ მშვიდად, მაგრამ ენერგიულად
ფართოვდება მისი არსის ს ა ხ ნ ი ე რ ე ბ ა და უძრავ
მდგომარეობაში მყოფი, შორი მანძილიდან ლაშქრობის
მამოძრავებელ ინსპირატორად გადაიქცევა. ამრიგად,
მუსოლინი, ასე უხილავად ისე ახლოსაა თავის თანამებ-
რძოლებთან, თითქოს ს ხ ე უ ლ მ ო ვ ლ ე ნ ი ლ ჰგი-
ებდეს მათ გვერდით. ეს ის დიადი წამია, მუსოლინის ფე-
ნომენს მთლიანად ობელისკის შესაგვანს რომ ხდის.

ასე გამოუხმობს ხოლმე იგი საკრალურ ძალას ატლან-
ტურ-მედიტერანულ გზაზე. ქვემარტივი მბრძანებლის
საკრალური არსი არავითარ შემთხვევაში არ წარმოად-
გენს ცალკეული ადამიანის ინდივიდუალური ჭკრეტის
შედეგად შექმნილ „ცნებას“. აქ საქმე ხალხის პ ი რ -
ვ ე ლ მ დ გ ე ნ ი ს ზეპიროვნულ ცნობიერებას ეხება.
ამაზე დაფარულადაა მინიშნებული ერთ-ერთ უძველეს
ენაში – ქართულში. ქართველები სიტყვას „ბატონი“ მხო-

ლოდ ადამიანთან მიმართებაში ხმარობენ. ღმერთს ისინი არასოდეს მოიხსენიებენ ამ სიტყვით (Herr), რადგან იგი ადამიანზე ზეალმატებულა; მაგრამ, თუ ღმერთს გულისხმობენ, მაშინ ამბობენ: „უფალიო“. და, გასაოცარია: „სიტყვა „ძალაუფლება“ ქართულში ნაწარმოებია არა პირველი, არამედ მეორე სიტყვიდან. ამრიგად, ქართველების აზრით, ძალაუფლება საკრალური წარმომავლობისა უნდა იყოს. და კიდევ ერთი საოცრება: მბრძანებელს (Herrscher) ქართულად სიტყვასიტყვით „ხელ-მნიფე“ (Handreife) ჰქვია; მბრძანებელი მდიდარი უნდა იყოს, რათა გაცემა შეეძლოს, და, ძლიერი, – რათა დაცვა შეეძლოს; მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ნიჭიერებით უნდა გამოირჩეოდეს, რათა კურთხევის უნარს ფლობდეს; თუ კაცობრიობის სულიერ კულტურაში, განსაკუთრებით კი კურთხევის გაცემასთან დაკავშირებით, „ხელის“ სიმბოლურ მნიშვნელობას გავიაზრებთ, გაცემა უნდა აღმოვაჩინოთ, რომ „ხელ-მნიფე“, მბრძანებლის მნიშვნელობით ერთი სიტყვით გამოხატავს „მზის მეფის“ მთელ კონცეფციას. რენე გენონი ებრაულ-არაბულ სიტყვას „Barakla“ თარგმნის „influence spirituelle“-დ¹⁰, რომელიც ითარგმნებოდა როგორც „ხელდასხმა“. ქართულში ეს სიტყვა ხშირად გვხვდება და აქაც სწორედ ხელთან მიმართებაში: „ბარაქიანი ხელი“, რაც „Barakla“-თი სახეს ხელს ნიშნავს და სიტყვა „ხელ-მნიფის“ იდეური შინაარსი აქ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ჩანს.

როდესაც მუსოლინის მბრძანებლად წარმოვიდგინოთ, გვახსენდება ოქროს ხანის სახელწოდება მეფისა: ხელ-მნიფე, და მისი მოვლინება მ ი ნ ი უ რ სივრცეში: „რვა დღეა, რაც მზე ლომის ნიშანში შევიდაო“. დიახ, მ ზ ე ო ს ა ნ და ლომივით ძლიერ კაცს „მნიფე ხელი“ აქვს. ეს ის ხელია, რომს რომ განაახლებს და ააღორძინებს, ვ ი თ ა რ სამყაროს ხატს. „რომი ჩვენი მითოსია“, – ასე განმარტავს მუსოლინი მის მიერ შექმნილი მოძრაობის ისტორიულ ამოცანას.

საშუალ არნივისა და მგლისა

ვია დელ'იმპერო პალაცო ვენეციასთან იწყება, მუსოლინიმ საკუთარ რეზიდენციად რომ გამოაცხადა. ქუჩის თავში აღმართულ მაღალ სვეტზე წარწერა გვამცნობს, რომ ეს გზა გაიხსნა 1932 წელს, მეფე ვიკტორ ემანუელის დროს, როდესაც სახელმწიფოს მეთაური დუჩე იყო. ქუჩა თავისი სიგრძე-სიგანით ბუნებისა და ადამიანური გენიის საოცარ ქმნილებას წარმოადგენს. აქ ციური სფერო ლივლივით ისე ერწყმის სივრცეს, როგორც არსად ამქვეყნიად. ქუჩა დიდებულად და პლასტიურად გამოხატავს რომის სიდიადეს, მაგრამ ისე, რომ მის არქაიზირებას არ ახდენს: წარსული აქ კვლავაც განაგრძობს სიცოცხლეს. თუ ამ ქუჩაზე იმ დროს ჩაივლი, როდესაც მზე უდრტივინველად დგას შუბისტარზე, მიხვდები, რატომ იქცა ეს ადგილი ისტორიის გულისცემად, და, გაგახსენდება ლეგენდა ქალაქზე.

წმინდა ცეცხლს ვინმე ქალწული იცავს. მისი უბინობა შე ე ს ი ტ ყ ვ ე ბ ა მ ცეცხლის სინმინდეს. მაგრამ ქალწულს ემინია, რომ, შესაძლოა, ცეცხლი ჩაქრეს. მალე იგი ომის ღმერთზე ქორწინდება: კერიის მყუდროება ირღვე-

ვა, მაგრამ, სამაგიეროდ, ცეცხლი უხვად მიიღებს მ ა ს ა ლ ა ს. ქალი ორ ვაჟს შობს, რომულსა და რემს. ეს ი მ ო რ მ ა გ ო ბ ა ს მახსენებს, ყოველი თ ა უ რ ი ს დასაბამი რომ ხდება. ბიჭები ტყუპები არიან, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ ორს შორის ჰარმონიულად შეიძლება დაძაბულობის განმუხტვა. ძმების არსებაში წმინდა ცეცხლი ღვივის, მაგრამ, რადგან ბიჭებს ძუ მგელი გამოკვებაეს, ეს ცეცხლი მათში სულ უფრო და უფრო ღვივდება. ძმები აარსებენ ქალაქს, და აი, ერთ დღეს, რომაული ქალაქის განაპირას თორმეტ ძერას დაინახავს; თავად მან, თუ მის მაგიერ კიდევ ვიღაცამ, იცის, რომ ცეცხლი მასსა და მის ძმაში უნდა ინვოდეს ვ ი თ ა რ მზეში, და, რომ ძერებში, არნივები თუ შევარდნების მზის მოდგმისანი არიან. ამის ცოდნა მას უფლებას აძლევს ქალაქს თავისი სახელი უწოდოს: რომი. ასე ხდება არნივი მარადიული ქალაქის ს ა ხ ე ლ რ ქ მ ე უ ლ ი ნიშანი.

არც ერთ არსებას არა აქვს ისეთი საგანგებო კავშირი მზესთან, როგორც არნივს. მის მზერაში მ ზ ე ო ს ა ნ ი თ ე ს ლ ი კიაფობს და მისი ფრთების სწორუპოვარ ირაოში კიდევ უფრო მეტად შეიგრძნობა მზის ძალა; თვალწარმტაცად ყელმოღერებული, თითქოს მიმოიხილავს მიდამოს და საგნებს მიღმა ისე გაჰყურებს სივრცეს, თითქოს არავის ხდისო ყურადღების ღირსად. არნივის მზერა მხოლოდ მზეზეა მიჯაჭვული, და, მხოლოდ მისი ხვედრია, ღია თვალებით უცქიროს მზეს. ძველი ეგვიპტელისთვის ყველაზე დიდი ბედნიერება იყო, თუ ამომავალ მზესთან ერთად მოულოდნელად ცაში აჭრილ შევარდენსაც შეავლებდა თვალს; ასეთ ნუთებში ეგონა, თავად სინათლის-მჩენის ფრთაშესხმული სხივების კონას ვხედავო. ძერა-არნივი-შევარდენის თვალეები ჭეშმარიტად ასხივებენ მზიურ ბრწყინვალეობას; ეს ის საზეიმო ბრწყინვალეებაა, მ ზ ე ო ს ა ნ მეფეთა სახეზე აურას რომ ქმნიდა. ხეფრენის¹¹ მწვანე დიორიტისგან ნაქანდაკარ თავსუკან შემომჯდარ შევარდენს ფრთები მბრძანებლის გარშემო გაუშლია: იგი ფარაონს თან იცავს, და თან თითქოს იდუმალ ძალასაც ანიჭებს. არნივი ინდოელთა ინდრას¹² უკვდავების იწყალს მიართმევს, ხოლო გერმანთა ტომების არნივად გარდასახული ღმერთი ოდინი,¹³ თავის მეუღლეს – გუნიოდს მარადიული ახალგაზრდობის სასამელს – ოდრერირს მოსტაცებს. ერთ-ერთი ქართული ზღაპრის გმირს, „ასფურცელას“, არნივი ფრთებზე შემოისვამს და ციურ სფეროში, მზისკენ გააქანებს. პრომეთეს შემთხვევაში სასჯელს სწორედ ეს მ ზ ე ო ს ა ნ ი ფრინველი აღასრულებს. ტიტანს ციური ცეცხლი შ ი ნ ა გ ა ნ ა რ მ ო უ პ ო ვ ე ბ ი ა , როგორც ეს აღწერილია „რიგვედაში“,¹⁴ სადაც ცეცხლის მბრძანებელმა ეს გზა მსხვერპლშენივით პირველმა გაიარა; პრომეთემ ცეცხლი „მოიტაცა“. ახლა მას არნივი ღვიძლს უკორტინის (რატომ მაინც და მაინც ღვიძლს? პრომეთე მოქმედებს ვ ი თ ა რ მ ე ნ - პ ი რ ო ვ ე ბ ა ; ქართველების აზრით, მათ ენაში ჩანს, რომ ღვიძლი მ ა რ თ ა ვ ს მ ი მ ო ქ ც ე - ვ ა ს „ ს ი ფ ხ ი ზ ლ ი ს ა ს “. თუ ღვიძლი დაუშვავდა, ადამიანი განსაკუთრებით „ფხიზელი“ ხდება. ახლა მზე ტიტანს მასში სწორედ „მენ“-პიროვნების გაძლიერების გამო სჯის. იგი ვერასოდეს ვეღარ შესძლებს, ძილს მისცეს თავი. მაგრამ განა აპურა-მაზდას¹⁵ და მერე მითრასაც, „უძილოებად“ არ მოიხსენიებენ? დიახ, ასეა, მაგრამ

საკუთარ თავში „მენ“-პიროვნებას მათ სრულქმნილ სხივოსნობაში სძლიეს).

ამრიგად, მზესნობის მეფური ხატი-არწივი რომის შემქმნელ ძალად გვევლინება. გადმოცემის თანახმად, კეისრების არსებაში მზიურ ფრინველს ჩაებუდებიან: სხეულსგამოთავისუფლებული მათი სულები, არწივის სახით მოგვევლინებიან. – საზოგადოებრივი ცეცხლიდან არწივის აფრენა იმაზე მიგვანიშნებდა, რომ ეს სულები სინათლის უკვდავ ნიაღვრს, მზეს უბრუნდებოდნენ (ეპოლა).

არწივთან ერთად რომის სიმბოლოს მგელიც წარმოადგენს. ტყუპი ძმები, – რომული და რემი, – ძუ მგელმა გამოკვება. მგლის ბრმა, შიშველი და თავანყვეტილი ძალა არსებითად ცეცხლის ძალის შესაგვანია. ცეცხლის თვისება, – ეს ღვთიური მადლი, – საკუთარი საფრთხის მიჯნაზე დგას, საფრთხისა, რომელიც ასევე ღვთიური ბუნებისაა. პერაკლიტე აცხადებს: „ყველა დაპირისპირება ღმერთში ჰგიბსო“. განა ეს საფრთხე მზისთვისაც ნიშნული არ არის? ფატონს, მზის შვილს, თავანყვეტილი რაშები ისეთ სიმაღლეზე მოისვრიან, რომ მას აღარ ძალუძს მზის ეტლის მართვა და მისი შეჩერება. განა ეს თვალისმომჩრელი მითოსური ხატი სრულიად არ ხდის ფარდას ამ საიდუმლოს? დიან, ასეა, მაგრამ მზესაც ემუქრება საფრთხე, რომ საკუთარ თავს არ მოწყდეს და არ ჩაქრეს. მითიურად მზისთვის ამ საფრთხის სიმბოლო მგელია; ძველად, მზის დაბნელების დროს, შეძრწუნებული ადამიანები თურმე სახლებიდან გამორბოდნენ და გაჰყვიროდნენ: „გაუმარჯოს მზეს!-ო“. მათი აზრით, მზეს შთანთქმით მგელი ემუქრებოდა. მსგავსი ადათი სამხრეთ გერმანიაში დღესაც არსებობს.

ასე და ამრიგად, მარადიული რომი ორი ნიშნის ქვეშ დგას: ეს არის ნიშანი საშუალო არწივისა და მგლისა. კაპიტოლიუმის ბორცვზე¹⁶ არწივი და მგელი გვერდიგვერდ ჰყავდათ გალიებში გამომწყვდეული. ისინი იმ ძერისა თუ ძუ მგლის შთამომავლებს განასახიერებდნენ, რომლებიც, მითის თანახმად, მონაწილე იყვნენ მარადიული ქალაქის დაარსებისა.

როდესაც მზებუნობის დროს ვია დელ'იმპეროზე მიბიჯებ, გრძნობ, ნელ-ნელა როგორ გიპყრობს ზეციური აღმადრენა. უეცრად ჰკიდებ თვალს არწივის ფართოდ გაშლილი ფრთების ჩრდილს და მოგონებით გამოუხმობ პინდარეს¹⁷ საოცარ ხილვას: არწივი უსმენს ქნარს, აპოლონს რომ უპყრია ხელთ:

**აქ, ზევსის კვერთხზე სძინავს არწივს,
ფრინველთა მეფეს, დაბლა ფრთებდახრილს,
დაზნექილ თავზე გადააფარებ შავ, მრუმე
ღრუბელს,
რათა მას რული მოეკიდოს ქუთუთოებზე.
მთვლემარეს ზურგი ტალღისებრ უთრთის,
და შეუპყრია აღფრთოვანებას საამო ხმებით.**

ვია დელ'იმპეროზე კაცი ალტაცებაში მოჰყავს არწივის ხილვას; მაგრამ დრო და დრო გუმანი ლალატობს და ფიქრობს: ვინ იიცს, იქნება აქ, სამალავში ჩასაფრებული მგელი, ხახადაფრენილი ელოდება თავის ნადავლს?! არ-

წივი მონუსხული მისჩერება მზის შუაგულს, თან დიდებული სევდა ჩასწოლია თვალებში: ნუთუ იგი მგლის მითიურ ჩრდილს ხედავს?

არწივი და მგელი – დაჭიმული მშვილდის ეს ორი ლარი, – რომში თავად ბედისწერამ ამოტივტა. ისინი რომის ისტორიაში ყველაფერს მუდმივად მომწესხველს ხდიან. ატლანტიდური დაძაბულობა ადამიანსა და იმას შორის, რაც ადამიანში ადამიანურს აღემატება, მითიურ გამოხატულებას სურათ-ხატებში ჰპოვებს ხოლმე. მუსოლინი, – ეს თავად დაჭიმული მშვილდი, – ატლანტიდის მბრძანებელთა მსგავსად, ოსტატურად წარმართავს დაპირისპირებულთა მდინარებას. იგი თავისი „დადით“ მთლიანად მშვილდის შუაგულში დგება, ძალიან ბევრსა და ძალიან ცოტას შორის, ისე რომ ორივე ლარი თანაბრად იჭიმება, ნატყორცი ისარი კი კვლავაც ახერხებს დაპირისპირებულთა გაერთიანებას, როდესაც შეხვედრისას ისინი თანახმიერებაში მოყავს. ასე ალაგმა მუსოლინიმ მარადიული შუღლი მბრძანებლის ძალაუფლებას – ავენტინსა, და, ქურუმის კურთხევას – პალატინს შორის. ის ხედავდა, რომ ფაშიზმის სულიერი საზრისი უნივერსალურია. 1930 წლის ოქტომბერში მუსოლინიმ განაცხადა: „დღეისათვის ვამტკიცებ, რომ ფაშიზმი, როგორც იდეა თუ როგორც დოქტრინა ან მიღწევა, უნივერსალურია; იგი იტალიურია თავისი კონკრეტული ორგანიზაციით, მაგრამ უნივერსალურია სულისკვეთებით“. ეს ეხებოდა სახელმწიფო მოწყობის საკითხს. იმავე უნივერსალობას ხედავდა იგი რელიგიური გავლენის სფეროშიც. „ჩვენ კათოლიციზმში რომაულ ტრადიციას ვხედავთ, ხოლო ის ავტორიტეტი, რომლის რეზიდენციაც ვატიკანშია, მსოფლიოში ერთადერთ საყოველთაო იდეად გვესახებაო“. ამბობდა მუსოლინი. სწორედ ამ ღრმა თვალსაზრისის წყალობით დაიღო 1929 წლის 11 თებერვალს ლატერანის¹⁸ ხელშეკრულება სახელმწიფოსა და რომის პაპს შორის და უდიდესი მნიშვნელობის სამშვიდობო დოკუმენტი იყო. სინდიკალისტმა¹⁹ მუსოლინიმ ბრძოლაში ადრევე შეიტყო, რომ კაპიტალისტურ ეკონომიკას აშკარა გარღვევები ჰქონდა, მაგრამ მისთვის სრულიად უცხო დარჩა კოლექტივში სოციალური თანასწორობის იდეა. მან შექმნა კორპორაციული სისტემა, რომელშიც ერთმანეთს აწინასწორებს ცალკეულ ადამიანთა შემოქმედებითი ინიციატივა და სახელმწიფო დაგეგმარება. ესეც ერთი სწორი უპოვარი საქმე! თავისი პიროვნების წყალობით მუსოლინიმ გარდასული დროებიდან გამოუხმო საკრალური მბრძანებლობის ფორმას, მას ხელახლა შთაბერა სული და საქმის შემდგომი წარმატების მიზნით, იგი სავოიების სამეფო კარზე შეათანხმა. ამის საუკეთესო დასტური თავად მისი აღიარებაა: „ჩემს სიტყვებს საფუძვლად ის ქმედებები უდევს, რომლებზედაც გავლენას ვერ მოახდენს ვერავითარი თავყრილობები, პრევენციული რჩევები, ცალკეული ადამიანების, დაჯგუფებებისა თუ წრეების მცდელობა, ყურში ჩამწურჩულონ რამე. ეს სიტყვები იმ გადაწყვეტილების შედეგად იბადება, მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ თავში რომ მოვამნიფებ. მათ შესახებ წინასწარ ვერავინ ვერაფერს შეიტყობს და დროულად მხოლოდ ერთი ადამიანი იქნება ინფორმირებული: ეს ადამიანი სახელმწიფოს მეთაური, მისი უდიდებულიესობა მეფეა“.

აი, ასე გამოვლინდება მისი არსების ატლანტიდური ბუნება. ყველაფერი მოუდრეკელი, – მასში მოქნილი ხდება, რადგან ვერაფერი ვერ შეუქმნიდა „დად“-ისეულ სიმტკიცეს ისეთ საფრთხეს, როგორც უძრაობა. მისი ღრმა რწმენით, სახელმწიფოც უნდა ჩავარდეს უძრაობაში. „მან თავისი იდეა ხალხის მეშვეობით უნდა განახორციელოს, და იმავდროულად, თავადაც მუდმივად უნდა განიცდიდეს ცვლილებას“. – და, მუსოლინი ნებისმიერ ისტორიულ მომენტში ამ მცნების ერთგული რჩება. 1922 წლის ოქტომბერში მან განაცხადა: „ჩვენი ვალია, დაუღალავად ავმალდეთ წარმავალ დღევანდებლობაზე; ეს არის ჩვენი რწმენის ჰეროიკული ნიშანი“-ო. და, ასევე ნიშანი ყოველი შემოქმედი ადამიანის რწმენისა, – უნდა დავძინოთ ჩვენ.

დიახ, გოეთეს მსგავსად, მუსოლინიც საკუთარ თავზე მალდებდა მუდმივად.

სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე, დაწინააღმდეგებდა მუსოლინის გაუგზავნა მიმართვა, რომელშიც წერდა: „ამდენი ბრძოლისა და გამარჯვების, წინააღმდეგობების დაძლევისა და ნებისყოფის დაძაბვის შემდეგ, შენ ჭეშმარიტად ბოლომდე მიიყვანე ის საქმე, რაც დიდი ადამიანების ისტორიაში ვერაფერ ვერ შესძლო; დიახ, შენ საკუთარი მითოსი შექმენი“.

პალატო ვენეციას აივნებიდან

ერთ-ერთ კერძო საუბარში მუსოლინი გაკვირვებით შეეხი თავისი ისტორიული მოწოდების საკითხს. თავდაპირველად მის ნათქვამს მსუბუქი ირონია დაჰკრავდა, მერე კი მისი სიტყვები მგზნებარედ გაისმა: „დიახ, ამ ვნებით შეპყრობილი ვარ და მას ფიზიკური ტკივილივით განვიცდი. ეს განცდა მტანჯავს და შინაგანად მანადგურებს. მინდა საკუთარი ნებისყოფის ძალით, ვითარცა ლომის ბრწყალებით, ამ დროებაში ორნატი ამოვტიფრო: აი, ასე!“

გადაჭრით ნათქვამი ეს სიტყვები უბრალოდ მისი შემოქმედებითი ნების ინტენციას როდი გამოხატავს! სიტყვაში „ამოვტიფრო“ უკვე შეიგრძნობ დროში ამოკვეთილ სურათ-ხატს, რომელიც მოვლენებს მისი საკუთარი მოდელის მიხედვით ქმნის და წარმოაჩენს. ადამიანი მხოლოდ იმ „უცვლელი შუაგულიდან“ ლაპარაკობს ასე. დიახ, ეს ორმარცვლიანი „ასე“, მოკლე პაუზის შემდეგ, ვულკანის ნაპრალიდან აღმომხდარი სუნთქვასავით გაისმის: და, მართლაც წარმოიდგენ, როგორ ჩაასობს ლომი ბრწყალებს თავის ნადავლს.

ასე სჩვევია ლაპარაკი მუსოლინის. იგი ძირისძირიდანვე იცნობს სიტყვის სახვით ძალას. მისი აზრით: „დანტეს ესმოდა ის, რაც ბევრმა მწერალმა არ იცის; დიახ, მათ არ იციან, რომ სიტყვები ცოცხალი არსებები არიან. და, როდესაც დანტეს ისინი მოძრაობაში მოჰყავს და მათ თავისუფლებას ანიჭებს, რათა შემდგომ კვლავაც მწყობრში ჩააყენოს, იმავდროულად იმასაც არ ივინყებს, რომ ამ სიტყვების სახით ცოცხალ არსებებთან აქვს საქმე. როდესაც ვწერ სიტყვას „ვარსკვლავები“, მისი ასოები სულაც არ არის მკვდარი, უსიცოცხლო ნიშნები. ისინი ერთად ქმნიან რეალურ, ორგანულ სუბსტანციას“. გასაკვირი არ არის, რომ მუსოლინის სიტყვა ყოველთვის თაურ-

ენის სიზუსტით გაისმის, იგი სიტყვაში ხედავს სურათ-ხატის მორჩს.

მარგერიტა სარფატი ერთ-ერთ შემთხვევაზე მოგვითხრობს, რომელშიც ნათლად წარმოჩინდება დურქეს სიტყვის მაღლი. საქმე ეხება მუსოლინის მუშაობას გაზეთში. „ხანდახან, როცა რაიმე მნიშვნელოვანი პრობლემის წინაშე იდგა, და, თან კარგ გუნებაზეც იყო, მუსოლინის ქალღმერთზე, მისთვის დამახასიათებელი, მეჩხერი ასოებით, ბრილიანტის სიმჭვირვალით გადაჰქონდა აზრები წამოჭრილ საკითხთან დაკავშირებით. ამ დროს იგი, ასე ვთქვათ, ალგებრულ ფორმულებს იყენებდა, რადგან ვილფრედო პასეტოსგანაც იცოდა, რომ პოლიტიკური და ფილოსოფიური აზრები განტოლებების სახით უნდა ჩამოეყალიბებინა. ალგებრული ფორმულები ხომ იმ იდეალურ პოეტურ ნიშნებს ჰგავს, რომლებშიც ადამიანი მოულოდნელად შთაგონებულ აზრს აღმოაჩენს, რა თქმა უნდა, იმ განსხვავებით, რომ ალგებრული ფორმულები თავისი უკანასკნელი მოცულობით ყველასათვის ძალაში რჩება; აი, „რუნები“ კი, ვიდრე საბოლოო სახეს არ მიიღებს, მხოლოდ პოეტის შინაგანი არსისთვის არის ცნობილი: ჩანასახის ჩენჩოსგან გამოთავისუფლებისა და შიშველ სინამდვილესთან შეხების შემდეგ, შესაძლოა, ეს რუნული ნიშნები ოცნებასავით მიმოიფანტოს, მაგრამ პოეტისთვის ისინი მაინც არანაკლებ სიზუსტეს ინარჩუნებენ. ეს სიტყვები შემოქმედებითი თესლის შესაგვანია და მუსოლინის ალგებრული ფორმულებიც სწორედ ამ თესლს მოგვავიწყებენ.“

ყველა დროების უდიდესი პოეტების: ჰომეროსისა თუ დანტეს პოეზია, ტაძრის წარწერები თუ საფლავის ქვის ეპიტაფიები: – ყოველი მათგანი „ნათქვამი“ სიტყვაა. გასაოცარია: თანამედროვე პოეზიის ნიმუშები, მათ შორის საუკეთესონიც კი, უმთავრესად „დანერილ“ სიტყვად რჩება. მართალია, ეს უაღრესად ნატიფი ნიმუშებია, მაგრამ მათ პ ი რ ვ ე ლ თ ა უ რ ი სიტყვის ძალა აკლიათ, მუსოლინის სიტყვა მუდამ „ნათქვამი“ სიტყვაა. ის არც გულს მოცილებული ჩენჩოა და არც ცარიელი სიტყვა; ის ვაჟაკურად გაისმის; ქვაშიმობილი, – იგი სიტყვას ქვის ლოდში ძერწავს, მჭედლის შვილი კი – რკინაში ჭედავს მას. ქვას დაარქმევ თუ რკინას, მის სიტყვას მუდამ დარტყმის ძალა აქვს: ეს ცალკეული თუ ერთმანეთზე მიჯრილი, მრავალფეროვანი თუ ხაზგასმული სიტყვები წინადადებაში ისე ჩაერთვება, თითქოს თითოეული მათგანი – მომდევნოს ტრამპლინი იყოს. ეს ყველაფერი იგავისთვის ჩვეულ, აღმავალ რიტმში ხდება, რათა ბოლოს განიმუხტოს ვ ი თ ა რ სფერული ელვის აფეთქების ძალა.

თუ მუსოლინის მიმართვას დაბეჭდილი ლექსის ფორმას მივცემთ, იგი დითირამბის სახეს მიიღებს. 1915 წლის 24 მაისს მან გამოაცხადა:

**დღეიდან ხალხი იარაღსმულია,
დღეიდან უფრო მრავლად არიან იტალიელები.
ახლა იქ, სადაც ფოლადი ფოლადს ეხლება,
ჩვენს გულებს ერთადერთი შეძახილი აღმოხდება:
გაუმარჯოს იტალიას!**

აი კიდევ, რამდენიმე სტრიქონი 1936 წლის 9 მაისის მიმართვიდან:

ოფიცრებო, უნტეროფიცრებო და რიგითო
შემადგენლობავ,
სახელმწიფო შეიარაღებულ ძალებო აფრიკასა და
იტალიაში,
რევოლუციის ერთგულო შავპერანგიანებო,
იტალიელი მამაკაცებო და ქალებო, რომლებიც კი
ხართ

ჩვენს სამშობლოსა და მთელს მსოფლიოში!

.....
ეთიოპიის ბედი დღეს,
9 მაისს, ფაშისტური ერის მე-14 წელს წყდება.
ლეგიონერებო, აღმართეთ ზევით საბრძოლო დროშა,
იარაღი და გულები,
რათა თხუთმეტი საუკუნის შემდეგ,
რომის ბედისწერის ბორცვებზე,
მივესალმოთ იმპერიის კვლავდაბადებას!

პალაცო ვენეციადან გადმოტყორცნილი მისი სიტყვე-
ბი გულის სიღრმემდე აღწევს.
ერთხელ მან ქალებს ასეთი მოწოდებით მიმართა:

როდესაც ბავშვს ეხმარებით,
იცოდეთ, მე თქვენს გვერდით ვარ-ო.

და ვიდრე „დედა იტალიას“ გული უძგერს, დურჩეს ეს
სიტყვები ბრინჯაოს მედალივით დაამშვენებს მის
მკერდს!

ოცნებებში ჩაძირული დავბორიალობ მორკალულ
ბორცვზე, იმპერატორ ტიბერიუსის სახელს რომ უკავში-
რებენ. ჩვენი ნელთალრიცხვის 26 წელს გამოჩენილა იგი
კაპრიზე. ღვთის ძის დაბადებასთან ერთად აღმოსავლეთ-
ში მსოფლიო მნიშვნელობის ცვლილებები დაიწყო და წარ-
მართობამ ნელ-ნელა დაკარგა ძალა. მიწიერი არსებობით
მობეზრებულმა მბრძანებელმა, როგორც ჩანს, იგრძნო ეს,
და, ამ მ ზ ი უ რ კუნძულზე დაიდო ბინა. აქ ჯერ კიდევ
ცხოვრობდნენ ძველი ღმერთები, და, მბრძანებელს სურდა
დარჩენილი დღეები სიმშვიდეს გაეტარებინა; წინდახედუ-
ლად უსაფრდებოდა საფრთხეს მისი მახვილი მზერა; ქირ-
დვა და დაეჭვება ხშირად გადაურბენდა ხოლმე სახეზე.
ბორცვზე აღმართული მისი სასახლის ნანგრევებზე დღე-
საც შემორჩენილა უკანასკნელი წარმართის კვალი.

ცისკენ აღმართულა დაკბილული, ველური კლდის
ნეკნები. ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს კუნძუ-
ლი უზარმაზარი კლდის ლოდი იყოს, წყლის მორევიდან
ძლევამოსილად ამომართული.

ბორცვს სულ ახლოს ჩაუქროლებს ფრთების ჩრდილი,
რომელიც მალე სწორ ხაზად გაიშლება და სწრაფად ფარ-
თოვდება. შიშნარევი გრძნობა მიპყრობს და, ასე მგონია,
კუნძული ლაღად მისრიალებს ზღვის მოსარკულ ზედა-
პირზე. მაგრამ ეს ყველაფერი ერთ წამს გრძელდება,
ღრუბელი გადაივლის და კუნძული კვლავაც გაყურდება
ნაშუადღევი მზის სხივებქვეშ. ჯერაც ოცნებებში ჩაძირუ-
ლი, ბორცვის კედეს მივუყვები.

უეცრად ყურში ჩამესმის ხმა: „ფრთხილად!“ ალბათ შე-
მეშინებოდა და ქვევით გადავიჩქებოდი, ეს ხმა ასეთი
წკრიალა და მელოდური რომ არ ყოფილიყო. ჩემს წინ უც-
ნობი კაცი დგას; გაცისკროვნებულ სახეზე სათნო ღიმილი

გადაჰფენია. საუბარში მხარს ვუბამთ ერთმანეთს. ენან-
ყლიანი უცნობი თავის კურთხეულ ქვეყანაზე მომით-
ხრობს, და, მეც, ჩემი მოკლე, აღფრთოვანებული შენიშვნე-
ბით, კიდევ უფრო ვაგულიანებ საამისოდ. ამასობაში იგი,
ერთხელ, თითქოსდა სხვათაშორის, იმ კაცის სახელსაც ახ-
სენებს, დღესდღეობით იტალიის საჭეს რომ მართავს. უც-
ნობი გამანდობს, ფაშისტი ვარო. ახლა ვცდილობ, შევიტყ-
ყო, რამ უბიძგა მას, ფაშისტურ მოძრაობაში ჩაბმულიყო,
და, აი უცნობი საკუთარ განცდებს მიზიარებს: „იმ მილანე-
ლი ყმაწვილის, აღდო სეტეს დასაფლავების ცერემონიას
ვესწრებოდი, რომელიც იმის გამო მოკლეს, რომ ფაშისტი
იყო. ფაშისტური რაზმები მწყობრად და ძლევამოსილად
მიაბიჯებდნენ ქალაქში. მერე სასაფლაო ოთხიმხრივ შე-
მოერტყვნენ და ბრძანებაზე მუხბი მოიყარეს; რამდენიმე
ამოსუნთქვაში გავიდა შინაგანი ჩაღრმავების წუთი. უეც-
რად საყვირების ხმა გაისმა; უბედურებით შეძრული რაზ-
მელები მწუხარე სახით წამოდგნენ ფეხზე და, როგორც ეს
რომში სჩვეოდათ ხოლმე, გამოსათხოვარი სალაში მისცეს
ჯალამბარზე დასვენებულ ამხანაგს. ამ დროს ჰაერში ძლი-
ერი ხმა გაისმა: „ამხანაგო აღდო სეტე!“, რომლის პასუხა-
დაც ფაშისტებმა დაიგუგუნეს: „Presente!“ ის ხმა მუსოლი-
ნის ეკუთვნოდა და ამ ხმის გაგონებამ თვალისდახამხამე-
ბისუმალ შემცვალა: ვიგრძენი, როგორ გაცოცხლდა ჩემში
ის ჭაბუკი“. უცნობი ერთხანს სდუმდა, მერე მითხრა: „მეც
აღდო მქვია“-ო, ჩუმად დასძინა: „იმხანად ჯერ კიდევ
ახალგაზრდა ვიყავი“, და ისევ დადუმდა. ჩვენს გარშემო
კრძაღვით აღსავსე სიჩუმეს დაესადგურებინა. უცნობს სა-
უბარი აღარ გაუგრძელებია, ისე დამემშვიდობა.

მზერით ვაცილებ მას, ვგრძნობ: მისი ყოველი ნაბიჯი
ზრდის ჩვენს შორის დარჩენილ მანძილს, და, სულ უფრო და
უფრო მიპყრობს სევდა. გული ჭეშმარიტად იმისთვისაა მო-
წოდებული, რომ შორეული ტკივილი იგრძნოს. ვინმესთან
შეხვედრა ხანდახან რა ბედნიერად გვაგრძნობინებს ხოლმე
თავს! მაგრამ, გამოთხოვებისას, მით უფრო მტკივნეულად
გვიპყრობს სევდა იმის გამო, რომ ველარასოდეს ველარ შევ-
ხვდებით ერთმანეთს. ადამიანი ხომ გამუდმებით მარტოა,
და განა თავად სიკვდილიც მისთვის უკანასკნელი სიმარტო-
ვე არ არის? ისევ ვიძირებით მზეში. საოცარია: როდესაც ხეს
უყურებ და აღფრთოვანებას ვერ მალავ, მაინც ისეთი
გრძნობა აქვს, რომ სხვა ხის დანახვამ შეიძლება უფრო მე-
ტად აღგაფრთოვანოს. მზის შინაგანი ჭვრეტის დროს კი პი-
რიქით ხდება: ასეთი აზრი თავში არ მოგდის, რადგან ერთა-
დერთი მზე არსებობს, და იცი: მის შესაცნობად საგანგებო
გრძნობების გამოვლინებაა საჭირო. ახლა მზის არსის შეც-
ნობას შინაგანად ისე ვცდილობ, თითქოს მისი ახლობელი ვი-
ყო, და, ერთ წამში ვახერხებ ამას. ტანში სასოფროვი
თრთოლვა დამივლის, რადგან მზეში ჩემი საკუთარ სიკ-
ვდილს ვხედავ. სუნთქვა მეკვრის და სული მეხუთება; გაო-
ცებულს, ამ დროს, ჰესიოდეს²² ჩურჩული ჩამესმის: „კრონო-
სის²³ დროს სიცოცხლე „ღმერთების“ სიცოცხლეს ჰკავდა“
და „მარადახალგაზრდული ძალით“ იყო აღსავსე; ეს მარადი-
სობა დასრულდა, „მაგრამ ის ადამიანები უჩინარი ფორმით
კვლავაც აგრძელებენ სიცოცხლეს“. ამ სიტყვებზე კიდევ
უფრო ვცახცახებ, მაგრამ პირქუშ არარასთან შეხება ჩემს
საზღვრებში მოქცეული თვითობის უფრო ამაღლებულ გარ-
დაცვალებას შემახსენებს. რა ნეტარი წუთია! ერთ დროს
ადამიანები მზიური ცხოვრებით ცხოვრობდნენო“ – გამიელ-

ვებს თავში. საოცარია: მზის სხივების შემყურე, ვგრძნობ, როგორ გაუდით ციმციმი იმ უხილავადქცეულ ადამიანებს: – ალბათ მათი არამატერიალური სურათ-ხატნი შინაგან შემკვრივებულ მთლიანობად თუ ქცეულან და ახლა იმ კუნძულის გარშემო დაფარფატებენ, ჯერ კიდევ სამოთხისეული სუნთქვით რომ სუნთქავს. ერთხანს ღრმადწაფიქრებული ვდგევარ. ვისხენებ მავანს, ვინც ერთ დროს ამ ადგილას იდგა და ალბათ ზუსტად ასე ფიქრობდა; ვინ იცის, იქნება ერთხელაც აქ, ვილაც ზუსტად ასევე მიეცემა ფიქრებს და კიდევ გაიხსენებს ვილაცას! – იქნებ მე? ჩვენ ხომ ვილაცაზე შემონახულ მოგონებას ან სულაც ვილაცის მოგონებას წარმოვადგენთ! „მიცვალებული იმ ქვეყანაში ბრუნდება, სადაც ღმერთები ბავშვები იყვნენ“-ო, ამბობდნენ ღვთიურად გულბრუნვილი ძველი ეგვიპტელები. ახლა შესაქმის მარადიული ახალგაზრდობის წყაროს ჩაგვქერი და ვგრძნობ, როგორ ვუჩინარდები საკუთარ „მე“-ში. მაგრამ ამჯერად აღარ მეშინია. ვილაც კვლავ განაგრძობს ფიქრს ჩემში. წლები გადის, ბევრი ადამიანი აღარ არის ამქვეყნად, აღარ იქნება ამ სტრიქონების ავტორიც. უხილავი გახდება ის კაციც, რომელმაც საკუთარ თავზე ასეთი რამ თქვა: „... ჩემი მატერიალგამოთავისუფლებული სული ხანმოკლე მინიერი ცხოვრების შემდეგ ღმერთივით უკვდავი და ყოვლისმომცველი ცხოვრებით იცხოვრებსო“. იტალიის ყოველი კუთხიდან ყოველწლიურად მოედინება ხალხის ნაკადი სან კასიანოს სასაფლაოზე: ქალი თუ კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა. ამ ადამიანის უკანასკნელი სურვილი იყო: ჩემი ოჯახის წევრების გვერდით, სან კასიანოს სასაფლაოზე დამკრძალებით“. ისტორია მას ამ სურვილს შეუსრულებს თუ არა, უკვე სულერთია; – ხანდახან იგი თავისი მ დ გ ე ნ ის ნებას კითხვის ნიშნისქვეშ აყენებს ხოლმე: მიუხედავად ამისა, იმ მოგონებაში, რომელიც ღვთის შვილების ქვეყანაში დაბრუნებულებს აღეძვრებათ, სან კასიანო მისი ნეშტის ერთადერთ განსასვენებელ ადგილად დარჩება. ყოველწლიურად მოედინება სან კასიანოსკენ ხალხის ნაკადი: კაცი თუ ქალი, მოხუცი თუ ახალგაზრდა. ისინი ოთხიგუთხით გარს ერტყმიან სასაფლაოს და მონინებით მოიყრიან მუხლს; რამდენიმე წუთით შინაგან ჭვრეტაში იძირებიან, შემდეგ სერიოზული სახით, უხმოდ ნამოდგებიან და მონინებით უძღვნიან სალამს საუკუნოდ განსვენებულის საფლავს. ამ დროს, რომის ადათ-წესის თანახმად, ძღვეამოსილი შეძახილი გაისმის: „დუჩე!“ მას გრგვინვასავით ერთვის გრძნობამორეული ხალხის ხმა: „Presente!“ ეს შეძახილი უკიდევანო სივრცეში გაიხმინანებს. ზემოთ, ცაში კი, თვალს ჰკიდებ მეფურად მოფარფატე მზიურ ფრინველს. მტანდარტებზე არწივები კრავენ ირაოს.

„ვიდრე ძალმიძს, რომ მზესთან ერთად, ვით მეგობართან,

შენ ჩამოგხედო, ო, დედამინავ, მამ წუ ჩამიქრობ თვალის სინათლეს, ნელთა რბოლაში დაუძღურებულს.

შენზედ გართხმული, შენ მოგმართავ, ო, დედამინავ, ყოველი მხრიდან, მარჯვნივ თუ მარცხნივ, თუ ზურგს შეგვაქცევ, ამ ნეკნებით შენს ზედაპირზე გართხმა მოგვიწევს, აი, მამინ კი, წუ მოგვაყენებ ტკივილს, ძვირფასო, უარმყოფელო, შენ, ყველასთვის უარისმთქმელო.

რასაც შენი წიალიდან ვხაპავ მარადუამს, დაე იმან, ამოყაროს მორჩები სწრაფად, არ მსურს ტანჯვის მძიმე წუთში შენთან შეხვედრა, არ მსურს, რომ გული განგიგმრო, ო, უთვალღებო!

ძველინდური „ათარვაგედა“-დან

კომენტარები:

1. პანი – ბერძნულ მითოლოგიაში ტყეებისა და ჭალების თხისჩლიქება ღვთაება.
2. ბუგენვილი – ხვიარა მცენარე, რომელიც ბრაზილიიდან ევროპაში ჩამოიტანა მეზღვაურმა ბუგენვილმა.
3. ჰოპენშტაუფენები – გერმანელი მეფეებისა და იმპერატორების საგვარეულო დინასტია (1138-1254 წწ).
4. პლატონი – ძვ. ბერძენი ფილოსოფოსი (დაახლ. ძვ.წ. 428/427-348/347 წწ).
5. დოლმენური სამარხები – ადრეული რკინის და ბრინჯაოს ხანის ხიმინჯებზე შედგმული და უზარმაზარი ქვის ფილებით გადახურული სამარხები.
6. ჰეროდოტე – ძვ. ბერძენი ისტორიკოსი (დაახლ. ძვ. წ. 485-424 წწ).
7. სოლონი – ძვ. ბერძენი (ათენელი) პოლიტიკური მოღვაწე (ძვ. წ. 640/635-559).
8. იერატიკული ენა – ძველევგვიპტური წარწერების, პაპირუსებზე დანერული ეროგლიფების ენა.
9. დრუიდები – კელტების ქურუმები.
10. influence spirituelle (ფრანგ.) – სულიერი გავლენა.
11. ხეფრენი – ეგვიპტის ფარაონი (ძვ. წ. XXVII ს. დასასრ. – XXVI ს. დასაწყ.)
12. ინდრა – ძველინდური მთავარი ღვთაება და ომის ღმერთი.
13. ოდინი იგივე ვოდანი – ომის ღმერთი გერმანთა ტომებში.
14. რიგვედა – ძველინდური ჰიმნებისა და ლოცვების კრებულები.
15. აჰურა-მაზდა (ორმუზი) – ძვ. სპარსულ რელიგიაში „ნათელი სანყისის“ ღვთაება, რომელიც ებრძოდა „ბნელი სანყისის“ ღვთაებას – არიმანს. მის სახელს უკავშირდება მაზდეიზმი.
16. კაპიტოლიუმის ბორცვი – რომში განლაგებულია სასახლეები და მუზეუმები; ადრე აქ იყო იუპიტერის, მინევრას და იუნონას ტაძრები;
17. პინდარე – ბერძენი პოეტი; ხოტბას ასხამდა ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებულებს.
18. ლატერანი – პაპის სასახლე რომში. ადრე რომაელი ლატერანი ოჯახის კუთვნილება, მე-19 საუკუნიდან – მუზეუმი.
19. სინდიკალისტი – სინდიკალიზმის მომხრე. პოლიტიკური მიმართულება, რომელიც უარყოფითად ეკიდება ყოველგვარ სახელმწიფო დიქტატურას, გამოდის პროფკავშირების, გაფიცვების, ბოიკოტის და საბოტაჟის წინააღმდეგ.
20. დ'ანუწციო გაბრიელე – იტალიელი მწერალი და საზოგადო მოღვაწე (1863-1938 წწ).
21. პარეტო, ვოლფრედო – იტალიელი ეკონომისტი და სოციოლოგი (1848-1923 წწ).
22. პესიოდე – ძვ. ბერძენი პოეტი (დაახლ. ძვ.წ. VIII-VII სს. მიჯნაზე).
23. კრონოსი – ძვ. ბერძნული ღვთაება, ურანისა და გეას ვაჟი, ზევსის მამა.

გრიგოლ რობაქიძის მხატვრული ენისთვის დამახასიათებელი სიტყვები და გამოთქმები თარგმანის ტექსტში კურსივით არის გამოყოფილი.

ზურაბ ლავრელაშვილი

ორი ნოველა

წმინდანი ჭაში

ფრიგის ქალაქ კოლასეში იმპერატორ ნერონის დროს ცხოვრობდა ვინმე დამასტიოსი, წარმოშობით ბერძენი თუ სირიელი, ფრიად ზნეკეთილი და განათლებული კაცი, ვისაც ამქვეყნად ყველაფერზე მეტად წიგნის კითხვა და მზის გულზე ოცნება უყვარდა, რის საშუალებასაც მას მამისაგან მემკვიდრეობით დანატოვარი სამეთუნეო სახელოსნო აძლევდა, სადაც ათიოდე ხელოსანს ამუშავებდა; მათი მეთვალყურეობა დიდ დროს არ მოითხოვდა და დამასტიოსიც უქმობით ტკბებოდა – მთელ დღეებს ქალაქის ფორუმსა თუ ბიბლიოთეკაში ატარებდა, რათა ან ამ მხარეში ჩამოსული ცნობილი რიტორისტის მოესმინა, ან ძველ ავტორთა თხზულებებს ჩაღრმავებოდა. სამაგიეროდ, დიდად ეკრძალოდა ბრბოს გასართობს: გლადიატორთა ბრძოლას და დოღს. იშვიათად შეივლიდა ხოლმე თეატრშიც, რაღაი წელთა მატებასთან ერთად სულ უფრო და უფრო ეძაღებოდა წუთისოფლისაგან განდგომის სურვილი.

ქრისტიანთა დევნა რომ დაიწყო, ვიღაცამ დამასტიოსს ცილი შესწამა, მათ თანაუგრძნობსო. ამის საბაბი ალბათ დამასტიოსის კარჩაკეტილი ცხოვრება იყო და მისი ასკეტური ხასიათი, რითაც აგრე გამოირჩეოდა თანამოქალაქეებისაგან. ამაოდ იფიცებოდა მსაჯულთა წინაშე სამეთუნეო სახელოსნოს სვეუბედური მეპატრონე, უბრალო ვარო; მაინც ვერაფერმა უშველა, სხვა ქრისტიანებთან ერთად მასაც წყლით გამოცდის განაჩენი გამოუტანეს – წარმართული ადათ-წესის მიხედვით, ბრალდებულს მდინარეში ან ტბორში აგდებდნენ და, თუ დაიხრჩობოდა, მისი დანაშაულიც ამით დასტურდებოდა.

განაჩენი რა მოისმინა, დამასტიოსს თვალთ დაუბნელდა და ტანზე ცივმა ოფლმა დაასხა, მაგრამ ბევრი აღარ აცალეს, ხელ-ფეხი გასაყიდი თხასავით გაუკრეს და ქალაქის ყრუ უბანში, მღვრიე ჭაში ჩააგდეს. ჭა დიდი ხანია გამოუსადეგარი იყო, იქიდან წყალს პირუტყვსაც აღარ ასმევდნენ. გვიმს ხავსი მოსდებოდა, წყალი კი მწუთხე და მყრალი იყო, თუმცა ცივი. თავდაყირა წყალში ჩაშვებულმა დამასტიოსმაც მომაკვდინებელი სუსხი იგრძნო, მაგრამ როგორც ჩანს, ბედისგან დახრჩობა არ ენერა – წელამდეც არ იქნებოდა წყალში ჩაყუდებული, მისი კვართი რაღაცას რომ გამოედო. ამან შეაკავა და სულმეგუბებულმა იმდენი შეძლო, ამოყვინთა. მსაჯულებმა ეს გამამართლებელ ნიშნად მიიჩნიეს და დამასტიოსიც ჭიდან დაუყოვნებლივ ამოათრიეს; მერე საზოგადოებრივი უსაფრთხოების მომიზნებით

ქალაქის დატოვება უბრძანეს, მაგრამ დამასტიოსმა მორიდებით ითხოვა, აქვე დამტოვებო. ალთქმა დადო, ჭა გაენმინდა და წყლის მომლებებს უფასოდ მომსახურებოდა. დანაპირები რომ არ დაერღვია, გვიმზე ჯაჭვით მიება.



მრავალი წელი გაატარა ჭასთან დამასტიოსმა. ნაწყალობევი ლუკმით იკვებებოდა, სასმელად კი ჭის წყალი ჰქონდა. აწვიმდა თუ ათოვდა, სიცხე სწვავდა თუ ყინვა აზრობდა – იქაურობა მაინც არ მიუტოვებია. შემდგომ ამისა ქალაქში ცხოვრება შეიცვალა. ოდესღაც მოძულეული ქრისტიანთა სექტა მოძლიერდა და იესოს მიმდევრებს თავისუფალი აღსარების ნება მიეცათ. და რაკი ხნიერ მოქალაქეებს ჯერაც ახსოვდათ, დამასტიოსი სწორედ რომ ქრისტიანული რწმენისათვის გაასამართლეს, მალე ხმა გაავარდა, ჭაზე ჯაჭვით მიბმული კაცი მარტვილი და წამებულიაო, რამაც დამასტიოსს ლამის წმინდანის შარავანდედი შესძინა. ხეობრებმა და სწეულებმა ჭასთან დენა იწყეს, რაღაი წმინდანის მკურნებელი ძალა სწამდათ. დამასტიოსი გვარიანად შეაცბუნა ბედის ამგვარმა უცაბედმა შემობრუნებამ, მაგრამ რა ექნა! მომსვლელები ბევრს არაფერს სთხოვდნენ დამასტიოსს, უჩოქებდნენ და დაგლეჯილი ტუნიკის კალთას უკოცნიდნენ, დაგვლოცე და წყალობა გვიყავო; დამასტიოსი ჯერ მდუმარედ ისმენდა მათ ვედრებას, მერე რამდენიმეს გამოელაპარაკა და მომლოცველებმაც ეს ლამის ღვთის წყალობად მიიღეს – ცოტა ხანში დამასტიოსს იქაური ეკლესიის მამები ესტუმრნენ და ტაძრად მიყვანება დაუპირეს. დამასტიოსმა იუარა. უხუცესებმა ახლა ჭასთან სანათლაღი ემბაზის აგება შესთავაზეს. დამასტიოსმა ესეც მდუმარედ მოისმინა. ეკლესიის მამები კვლავ უარით გაისტუმრა და როგორც კი მათი ანაფორები თვალს მიეფარა, ჯაჭვი აიკრიფა და ჭაში გადაეშვა. კარგად ახსოვდა ადრინდელი განცდა, რაც თითქმის უცვლელად განმეორდა: მომაკვდინებელი სუსხი ძვალ-რბილში და სისველის ელდა, თითქოს რაღაც ლიპსა და უხამსს ეხებო, როგორც ქვეწარმავლის კანს. განმეორდა ესეც. მზერის დაბინდვა და სულთან გაყრას მიმსგავსებული სიშავის გრძნობა. ჭამ ამჯერადაც დაიჭირა დამასტიოსი, თუმცა ეს უფრო ჯაჭვის გამო მოხდა – დამასტიოსი ყელამდე ჩაეშვა წყალში და ასე დარჩა. იყო კი ეს აღსასრული ან ხსნა?! დამასტიოსი მიხვდა, დიდხანს ვერ გაატანდა და მარტოობაში სიკვდილს ნატრობდა, მაგრამ არ მოკვდა. ამის ნაცვლად ჭასთან კვლავ შეიყარა ბრბო, წმინდანის უძლეველობაზე რომ ყაყანებდა. დამასტიოსი უნდოდ აპყურებდა უცხო სახეებს და გულში წყენა უდღულდა. ყველაზე ნაკლებ ხომ ეს სურდა – წმინდანის როლი! შებინდებისას ჭასთან შეყრილი ხალხი ნავიდ-

წამოვიდა და დამასტიოსი კვლავ მარტო დარჩა. შესცივდა. აკანკალდა. ღამე ჩამოდგა, საგნები გააქრო. დამასტიოსი პირუტყვულმა შიშმა შეიპყრო, მარტოობის შიშმა, აქამდე ხომ მამაცურად უძლებდა განსაცდელს, მაგრამ მარტო არ ყოფილა – უწინდელი ცხოვრება და თანამოქალაქენი გარს ეხვია. ბინძურ წყალში ყელამდე მდგარს თითქოს სხვა სკნელი შემოესალტა და მან ძრწოლა შეიცნო. სიცოცხლის ან სიკვდილის გამო როდი ძრწოდა. საკუთარი სიპატარავე აშინებდა. ცა ძალზე მაღლა და შორი იყო. ვარსკვლავებიც კი არ ჩანდა. ვინ იყო ახლა დამასტიოსი?! საყვარელ ფილოსოფოსთა რჩევები ველარას უშველიდა და მან მწუხარედ ჩაჰკიდა თავი. შიშველი იდგა – ღამეულ სიშავეში ჭვრეტდა ამ კაცს, ოდესღაც ქალაქის მტვრიან ქუჩებში რომ დააბიჯებდა და თავი ნეტარი ეგონა, რაღაი მიაჩნდა, სრულყოფილებას ვენიო; სიცრუე და თავის მოტყუება ყოფილა ეგ ყველაფერი! აკი თამაშობდა დამასტიოსი, მთელი ცხოვრება თამაშობდა და მის თამაშს ცხოვრება ერქვა. ნამდვილად კი უსიხარულოდ მიათრევდა არსებობის ტვირთს, როგორც ახლა უმძიმებს კიდურებს რკინის ჯაჭვი. ჰო, მონა იყო და მონად დარჩა! თავი შესძაგდა. ბარემ ჩავყვინთავ და უამურ ყოფასაც დავეხსნებო, იფიქრა, მაგრამ რაღაცამ შეაყენა. ეს აზრი იყო. დამასტიოსმა დასალტული ხელები ალაპყრო და ვარსკვლავებს გაუნოდა. თვითმკვლელობა მარცხს ნიშნავს, აზრი კი ამოუცნობი რჩება. კაპიტულაცია გამოსავალი როდია – გამოსავალი მარცხის აღიარებაა. მან აბსოლუტური სიშიშვლე და მარტოობა შეიცნო. ამა სოფლის ბინძური წყლითაც მოინათლა. იცისკრებს და აზრიც გაკრთება, გამჟღავნდება. როგორ და რანაირად, დამასტიოსმა არ იცოდა, მაგრამ ის კი უეჭველად ირწმუნა, რაღაც მიჯნას რომ იყო მიმდგარი, რომლის იქითაც სხვა ცხოვრება უნდა დაწყებულიყო.

მოლოდინი მალევე გაუნამტვერდა, როგორც კი მზე ამოიწვერა და იქაურობა გააბრწყინა – დამასტიოსმა დაინახა გამოხუნვებული სივრცე, ნელი-ნელ სილურჯე რომ ეპარებოდა, გაიგონა ფრინველების და ცხოველების ხმაური და მიხვდა, არაფერი შეცვლილიყო. ის ჯაჭვს დაებლაუჭა და ჭიდან ხვნეშით ამოძვრა. გვიმთან ჩაცუცქდა და მოზრდილი ქვა ხელბორკილის რგოლს დასცხო. გამწარებული ურტყამდა, სანამ რკინა გადატყუდებოდა. დამასტიოსი მაშინვე ზე წამოიჭრა: დევნილ ნადირს ჰგავდა, ხაფანგისგან თავდაღწეულს. ნელში მოხრილი, ქურდული ნაბიჯებით გაეცალა იქაურობას. ვინმე მოსდევდა თუ საკუთარ თავს გაურბოდა?! ერთი სურვილი ერეკებოდა დაუნდობლად: უნდა ეარა, მოუღლეოდ, შმაგი ალტყინებით, სანამ ქანცგაცლილი არ დაეცემოდა ან უხილავ მიჯნას მართლა არ მიადგებოდა...

ნაშუადღევს აყვავებულ ველ-მინდვრებს გასცდა, ხრიოკს მიეახლა. სასონარკვეთილება თან სდევდა, როგორც ჩრდილი, როგორც ერთგული ქოფაკი. მზემ გაათბო და ქვეყნიერება მშვენიერი ეჩვენა. მაშ, რაღად

სჭმუნავს? დამასტიოსი ლოდზე ჩამოჯდა უდაბნოს პირას და მიმოიხედა. ქალაქი უკან დარჩენოდა. ქვემოთ გზა იყო, სადაც ადამიანები და პირუტყვები მიმოდიოდნენ. დამასტიოსმა პირი იბრუნა – მათთან არაფერი ესაქმებოდა. მზერა უდაბნოს უსწორა. ფერდობზე ძეძვის მკაფავი შენიშნა. წაღმომარჯვებული კაცი ჯაგნარს მოუყვებოდა. დამასტიოსს რომ უსწორდა, ძეძვის გუდურა ძირს დაადგო და მიესალმა. დამასტიოსმა თავი დაუქნია.

– საით გაგიწვია? – ძეძვის მკაფავმა გუდურიდან თიხის ხელადა გამოაძვრინა, დამასტიოსს გაუნოდა. მანაც ჩამოართვა, მოსვა თბილი წყალი.

– ქალაქიდან მოვდივარ, – დამასტიოსმა ხელადა მიწაზე დადგა, – უზენაესის ვალი მაქვს და მინდა დაუბრუნო.

ძეძვის მკაფავს გაეცინა. პირისპირ ედგა დამასტიოსს, თვალეში შეჰყურებდა, თან მაჯით იწმენდა შუბლზე ოფლს.

– კაი გზა კი აგირჩევია! სახიფათოა ეგ გზა: ან სიცხე დაგვავს, ან ყაჩაღები მოგკლავენ!

– უნდა ვიარო, – პირქუშად მიუგო დამასტიოსმა.

– რაკი არ იშლი, ერთს მაინც გირჩევ, – ძეძვის მკაფავი ხელადას დასწვდა, – ამ ბორცვს იქით განდევნილი ცხოვრობს. ვგონებ, იმან იცოდეს შენი წამალი, რაღაი ვხედავ, ღვთის შეცნობის სიშმაგეს შეუპყრისხარ, – ძეძვის მკაფავმა ხრიოკს ხელი მოატარა, – ბევრნი მოსულან აქ შენსავით. მაგრამ უკან არავინ დაბრუნებულა, როგორც საიქიოდან, – მან გაიცინა და მსუბუქად, ძალდაუტანებლად უთხრა, – ეს სიკვდილის გზაა.

– უნდა ვიარო, – ჯიუტად გაიმეორა დამასტიოსმა.

სამხრობის ჟამს ქვის სვეტს უსწრო, რომელზეც, ძეძვის მკაფავის თქმით, განდევნილი ეყუდა, თუმცა სვეტზე არავინ ჩანდა. ნუთუ მეგზურმა მოატყუა?! დამასტიოსი სვეტის ჩრდილში მიწვა და მალე ჩაეძინა. ძილმა შეება მოჰგვარა, მით უმეტეს, რომ ეს თავისუფლების პირველი დღე იყო. ხალისიანს და იმედიანს გაელვიდა. ოთხივ კუთხივ გზა ხსნილი ჰქონდა, მაგრამ არსად ერქარებოდა. მიზნის უმიზნობამ აქამდე განუცდელი სიხარული აგრძნობინა. გარეული ნადირივით უქმად ისვენებდა, აღარც ფიქრი აწამებდა და დამასტიოსმაც არსებობის სიმსუბუქე შეიცნო: ეს ცა, ეს მიწა, ხეები შორეთში, ხმელი ბალახი, მწერები უმიზნოდ, უქმად იყოფოდნენ; ქვეყნიერება მშვიდად ფშვენდა, ყოველი სულიერი თავისთვის ფუსფუსებდა და მათი ზუზუნი, შარიშური, მოძახილი თუ სტვენა-სივილი უხილავი, მაგრამ იოლად საგრძნობი ჰარმონიის მცირე და განუმეორებელი ნაწილი იყო. დამასტიოსიც მინებდა ამ მომთენთავ, თვლემის მომგვრელ, თითქოსდა სიზმარულ განცდას ცხოვრების საზრისი, აქამდე რომ აწამებდა, უმნიშვნელო და შორეული ეჩვენა: რა ამოოდ დაუნარჯავს წლები ფილოსოფოსთა ნაშრომების დასაზუთხად, როცა უჭირველად შეეძლო ბუნების უშურველი ჭვრეტით დამტკბარიყო!

ღელეში ჩავიდა, წყალი დალია და ეგემრიელა თავისუფლების ყლუპი – სხვა იყო ეს წყალი, ჭის შმორიან წყალს არ ჰგავდა. დამასტიოსმა მზეს გაუცინა და საჭმლის საძებნად წავიდა. აქ თუ დარჩებოდა, მწირ ლუკმაზე მაინც უნდა ეზრუნა, შიმშილით რომ არ მომკვდარიყო.

უდაბნოში დამასტიოსი ველური თაფლითა და მკალით იკვებებოდა და განგებ ეკრძაღვოდა დასახლებულ ალაგებს, სადაც უკეთესი საჭმლის შოვნა შეეძლო. კაკანათს უგებდა ჩიტებს, ციურ მანანას აგროვებდა, ძირხვენების ფესვებს ჭამდა. გახდა, გაირუჯა, უწინდელი სამოსი ბალახისაგან წნულით შეცვალა და ძველი დროის წინასწარმეტყველს ემსგავსა, თუმცა უფრო ველურს ჰგავდა, ვიდრე ღვთის კაცს: დამასტიოსს აღარც ღმერთი ახსოვდა და აღარც კაცი. აზრისაგან დაცლილი მისი მცენარეული არსებობა მთლიანად დღე-ღამისა და მნათობების მონაცვლეობაზე იყო დამოკიდებული. უდაბნოს ნადირივით მზის პირველ სხივებზე თავლს ახელდა და მზის ჩასვლისას იძინებდა. ბინად რალაც ჩალური



მხატვარი მალხაზ კუხაშვილი

ჰქონდა, რომლის შესასვლელსაც ძილის წინ ხის ლარტყებით გმანავდა. დამასტიოსი მიეჩვია ამნაირ ყოფას, შეითვისა, შეისისხლხორცა – სადღა იყო ნაკითხი და განათლებული კაცი, ქალაქის ფორუმზე ორატორებს რომ ეპაექრებოდა და ფილოსოფოსთა ნაშრომების კომენტარებს ადგენდა! თმა-წვერი მოეზარდა და გაუუხეშდა. ხის ტოტისაგან გამოთლილი შუბით გადაივლიდა ხოლმე ხრიოკს საჭმლის საძებნად და თან საკუთარი ჩრდილი ახლდა, როგორც ერთგული ქოფაკი.

მარტო იყო, მაგრამ მალე მწე მოვევლინა – ხაფანგში გაბმული მგლის ლეკვი ნახა, ფეხი მოჰყოლოდა მარყუჟში. დამასტიოსს დიდი წვალეზა შეემთხვა, სანამ ნადირს გაათავისუფლებდა: მგელი უღრენდა და ცდილობდა ეკბინა. კაცმა მაინც დაიხსნა ტყვეობისაგან, მაგრამ მგელს თათი დასჩეჩქვოდა და ვეღარ ადგა. დამასტიოსმა დაუყვავა, საჭმლის ნარჩენები მიუყარა, თუმცა ნადირმა პირი არ დააკარა. მეორე დღეს ისევ ინახულა. მგელი მოწყენილი იწვა, თავი წინა თათზე ჩამოედო. დამასტიოსს მორჩილად და უნდოდ ამოხედა.

კაცი ჩაუცუცქდა, თავზე ხელი შეახო. ნადირი გაიტრუნა, არ შერხეულა. დამასტიოსმა ქვის ფიალით წყალი დაუდგა. მგელმა ხარბად შესვლილა.

– ორდო! – დაუძახა კაცმა მბრძანებლურად. ვერ მოეგონებინა, ეს სახელი საიდან ახსოვდა. ან, იქნებ, თავისით მოსწყდა ბაგეს ეს სიტყვა?

მგელმა დაძახილზე თავი აიღო, ქეშად მოხედა, კისერი მოღრიჯა.

– მომყევი! – კვლავ უბრძანა კაცმა.

ნადირი კოჭლობით გაედევნა. ზოგჯერ შეჩერდებოდა, ენას აქასქასებდა. დამასტიოსიც შედგებოდა და მგელს ამხნევებდა: ხან უყვიროდა, ხანაც ამუნათებდა.

ჩალურს მიაღწიეს და მგელი ნაიქცა. დამასტიოსმა ხელში აიტაცა, ჩალურში შეიტანა. მგელი გულადმა განწვართა მინაზე, ფეხები გაასავსავა და მიყურდა, მაგრამ არ მომკვდარა – ამით მხოლოდ ნდობას უცხადებდა გადამრჩენელს.

ლეკვი რომ მოლოწიერდა, დამასტიოსმა მისი განწვართა განიზრახა. ამიერიდან წყვილად ვიდოდნენ ველზე. მგელი ზაზუნას ორმოებს ან წვრილი ფრინველის ბუდეებს ეძებდა. ნანადირევს თანაბ-

რად იყოფდნენ. მათ შორის უტყვი თანხმობა იყო: აღარც ნადირი მიბრუნებია თავის ბუნაგს და აღარც კაცს უარუყვია მგლური ხერხები ნადირობისას, ნადირმა პირველად მაშინ რომ ნაუჩვენა, როცა სავაჭროდ მიმავალ გლეხებს შარაზე თავს დაესხა და ხორაგი დააგდებინა. უკვე რამდენიმე თვე დამასტიოსს ქორფა ბოსტნეული არ ეჭამა და უხმოდ მიიღო ძღვენი. კაცის ჩუმი დასტურით მგელი მეკობრედ იქცა: მახლობელი სოფლებიდან ქალაქად მიმავალ ადამიანებს დაეძგერებოდა და ბარგს დააგდებინებდა, დამასტიოსი კი ნადავლს იხვეჭდა. მრისხანე და დაუნდობელ ძალად გაერთიანდნენ, თავზარს რომ სცემდა ადამიანებს. დამასტიოსმა პირველად შეიცნო ძალის უპირატესობა გონებაზე, თუმცა გულნაკლული იყო, რალაი შეტაკების სიმძაფრე მგელზე გადადიოდა, თავად კი უფრო მაყურებელი ეთქმოდა. ბრძოლის წინი ახელბდა, მაგრამ თან რალაც აკავებდა. მერე შეშინდა. ეს მაშინ იყო, როცა მორიგი შეტაკებისას გლეხებმა მგელი ორთითი დაჭრეს. წკმუტუნითა და კბილთა კრეჭით მიეგლასუნა

ნადირი კაცს, შველა სთხოვა. დამასტიოსმა ჭრილობა შეუხვია და ჩაფიქრდა. გზასაყარზე იყო: ან თავადაც უნდა გამხეცებულყო, ან მგელი გაეშვა მის არსებაში კვლავ აღსდგა ძველი დამასტიოსი – ფილოსოფოსთა მეტრფე და შეგირდი, და იმან, უწინდელმა დამასტიოსმა, უბრძანა:

„არა ჰქმნა ეგე!“

დამასტიოსმა მგელივით გააკრაჭუნა კბილები და მეორე დღეს შარაზე ფორანს დაესხა შუბით ხელში. ნადირი გაახარა კაცის თანადგომამ, ისევ ერთად იყვნენ. ჩაუსაფრდებოდნენ მგზავრებს, ძარცვავდნენ, ანიოკებდნენ. იმდენად შეანუხეს ის არე-მარე, შეუიარაღებლად ველარავის გაევილო. ქალაქის მმართველებმა ჯარისკაცები გამოგზავნეს ხალხის დასაცავად, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა – დამასტიოსი და მგელი მოუხელთებელნი იყვნენ.

* * *

ჭალაში გრილოდა და მდინარის პირას გამავალი გზის თვალთვალის იოლი იყო. დამასტიოსი და მგელი რბილ ბალახზე იწვნენ. დიდრონი ბუჩქები ჭფარავდათ მგზავრებისაგან. კარგა ხანია უდაბნო მიეტოვებინათ, ჭალა იყო მათი ასპარეზი.

– წყნარად, ორდო! – თავზე ხელი დაადო მგელს დამასტიოსმა. ნადირი გაილურსა. ბალახებში მორჩილად ჩანვა. კაცის უპირატესობას გრძნობდა, ამიტომაც მოზიდული მშვილდით ემორჩილებოდა. ელოდა, როდის ეტყოდა დამასტიოსი, მიზნისკენ გაფრინდო. ჯერჯერობით კი აკავებდა კაცი, დათმენას ურჩევდა. მგელი უქმყოფილო გახობდა, განვა, დაინკმუტუნა და კისერი ნაიგრძელა.

გზაზე ხარებშემული ოთხბორბლიანი საზიდარი გამოჩნდა, რომელსაც იმ ხანაში კაბუკას უწოდებდნენ და რომლითაც მაშინდელი წარჩინებულნი მგზავრობდნენ. მეეტლის გარდა ოთხთვალაში მანდილით სახე-მოზურვილი ქალი იჯდა. ამან გააკვირვა დამასტიოსი, რადგან იმ დროს ქალები ცალად არ მგზავრობდნენ. უნებურად მგელს ხელი უშვა და ნადირიც გაუსხლტა. საზიდრისაკენ გაფრინდა, ვით მშვილდს მოსხლეტილი ისარი. დამასტიოსმა შეჰყვირა, მაგრამ გვიანი იყო: მგელი კოფოზე შეხტა და მეეტლე ძირს ჩამოაგდო. მგლის დანახვისას ქალი წამოხტა, მანდილი მხრებზე ჩამოუცურდა, შეჰკივლა და საზიდარში მიესვენა. დამასტიოსი სამალავიდან გამოვარდა, დაფეთებული ხარებს წინ გადაუდგა, შეაყენა ისინი. მერე ფორანს ჩახედა. ქალი გულშელონებული იწვა, მკვდარს ჰგავდა, უსულოდ მდებარეს. დამასტიოსმა მათარიდან წყალი აპკურა და იმანაც თვალი აღიხილნა, მაგრამ გაბურძღნული ველურის შეხედვისას ისევ შეჰკივლა. სახეზე ხელები აიფარა.

– ნუ გეშინიათ, ქალბატონო! – ხელი გაუწოდა ქალს დამასტიოსმა. წამოაყენა. ქალი მიჰყვა, საზიდარიდან გადმოვიდა. მგელი მინაზე გაშლართულ მეეტლეს ადგა თავზე, წამოდგომას არ ანებებდა. ქალი შეაკრთო ნადირის კბილთა ელვარებამ, მგლის ღრენამ.

– ნადირი არ გეგონოთ, განვრთნილი მყავს! – უთხრა დამასტიოსმა და ბალახზე ჩამოსვა ქალი. თავად წინ ჩაუცუცქდა, თან ბალახის ღეროს კვნეტდა კბილით.

ქალმა მზერა მოარიდა.

– ამ გზებზე სიარული სახიფათოა. უმცველებოდ საით გაგიწვიათ?

ქალმა თავი დახარა, არაფერი უპასუხა. დამასტიოსმა მგელს წაუსტვინა, თავისთან იხმო, მისი თავი ილიაში მოიქცია. ახლა ქალს ორივენი უყურებდნენ: კაცი და მგელი. ქალმა მგელს შეხედა, შეკრთა.

– მეშინია, – თქვა წყნარად.

მინაზე გაგორებული მეეტლე წამოდგა, ხარებს თავს დაუარა, თან რაღაც დაუყვირა ქალს უცხო ენაზე.

– რას ამბობს? – ჰკითხა დამასტიოსმა.

– უკან უნდა დავბრუნდეო.

– თქვენი მსახურია?

– არა.

მეეტლემ კიდევ რაღაც უთხრა ქალს ხმამალა. აღელვებული იყო და საზიდართან ფათიფუთობდა. ნაჩქარევად შეაბრუნა ფორანი, ზედ ამბობდა.

მგელმა დაიღრინა. დამასტიოსი გაუწყრა და ქალს წამოდგომა უშველა.

– საით გაგიწვიათ? – კვლავ ჰკითხა.

– აქეთ ცნობილი წინასწარმეტყველი ყუდობს ქვაბში, – თავდახრით თქვა ქალმა. მერე თავის ამბავს მოჰყვა: მეზობელი ქალაქის მმართველის ცოლი ვიყავიო, თქვა, ქრისტიანი, ქრისტიანად დაბადებული, მაგრამ მმართველი წარმართულ რწმენას არ ეხსნებოდა და ამასაც გამორება განუზრახავს, თუმცა კი სურდა ჯერ იმ წინასწარმეტყველს მოთათბირებოდა, ვისზეც ამდენი რამ სმენოდა. შინიდან გამოიპარა, რათა ღმერთის ნებას მიწდობოდა.

– უკან გაბრუნდი, – ქუშად უთხრა დამასტიოსმა, – ღმერთს ვერ იპოვნი.

– წარმართთან ცხოვრება არ შემიძლია.

– ცხოვრება ისედაც შეუძლებელია, – თქვა დამასტიოსმა, – ჩვენ ვარსებობთ და მეტი არაფერი.

ქალმა ყურადღებით შეხედა დამასტიოსს, მერე მზერა მგელზე გადაიტანა.

– გზას ვერ გაიგნებ, – ისევ ქუშად თქვა დამასტიოსმა, – წინასწარმეტყველი ვერ დაგეხმარება.

ქალმა ხელი გაუწოდა.

– დავიქანცე. იქნებ წყალი დამალევიწო, მერე კი შენთან წავიდეთ.

* * *

ჩალურის ჩრდილში დამასტიოსმა მომავლის გეგმა მოხაზა: ქალი ოჯახისთვის უნდა დაებრუნებინა, თუმცა კი ის შესთხოვდა, დამტოვეო. დამასტიოსი უარობდა. ბოლოს შეთანხმდნენ – ლტოლელი ქმარს დაუბრუნდებოდა, მერე დამასტიოსსაც წაიყვანდა, რათა ამას რწმენისთვის გაემხნეებინა წარმართთა შორის.

– ურწმუნო ვარ, ვერ გამოგადგები, – უთხრა დამასტიოსმა, – დიდი ხანია ღმერთზე არ მიფიქრია.

– ფიქრი არც მე მინდა, – უპასუხა ქალმა, – შენ ჩემი ორეული იქნები.

– მგელი?

ქალი ჩაფიქრდა.

– გყავდეს, ოლონდ მე ნუ მაჩვენებ ხოლმე. მეშინია მისი.

* * *

იმავე დღით გზას გაუდგნენ და ქალაქის ბჭეს შებინდებამდე მიაღწიეს. ქალაქის მმართველი დიდად შეაჩქვიფა მგელ-კაცის ასაბიამი ცოლის ხილვამ, მაგრამ ქალმა დაუყვავა, მაგათ გადამარჩინესო. მადლიერმა მმართველმაც თავის ჭერქვეშ მიუჩინა ბინა მგელსა და დამასტიოსს, რომელსაც თმა-წვერი გაკრიჭეს, აბანოში გაღვრიჭეს და ახალი ტანსაცმლით შემოსეს. დამასტიოსი უწინდელ ყოფას დაუბრუნდა. უმეტესად ქალბატონს ახლდა, საუბრით შეაქცევდა. თავისუფალი იყო: მგელი მონებმა შეიფარეს ხულაში და დამასტიოსიც მარტოხელა კაცის ცხოვრებას მინებდა, თუმცაღა მისი შინაგანი არსი არ შეცვლილა – ისევე უმიზნოდ ცხოვრობდა, როგორც უდაბნოში. ხალხში თუ გაერეოდა, მაინც ვერავის ამჩნევდა. ყველას ეკრძაღვოდა. ქალბატონი თუ აიყოლიებდა ძალის-ძალით, სტუმრებთან იახლებდა, მაგრამ დამასტიოსი მუდამ ცდილობდა, შეუმჩნეველი დარჩენილიყო. თანაბარი, მშვიდი, მოზომილი განრიგი ჰქონდა. დილით ჯაჭვებზე მგელს ასეინებდა ქალაქგარეთ და ორივენი ხარბად გასცქეროდნენ ვრცელ ტრამალებს. ზოგჯერ მგელი გაინევედა, დამასტიოსს გაიყოლიებდა, მახლობელ ჭალამდე მივიდოდნენ და მერე ისევ ქალაქის გაღავისკენ შემობრუნდებოდნენ, თუმცა დამასტიოსს გული ეთანაღრებოდა: რა ან ვინ ენეოდა უკან? ქალი? უზრუნველი ცხოვრება? ერთსაც და მეორესაც მის არსებაში წილი არ ჰქონდა. მთავარი მაინც ფარული აზრი იყო, ამნაირი ყოფა რომ განუსაზღვრა. ნეტავ, მგელი რომ ვიყო, ეგ აზრი თუ გაცხადებოდაო, ფიქრობდა ხოლმე შეურვებული დამასტიოსი და ნადირს ფრთხილად უსვამდა თავზე ხელს. მგელიც ჭკვიანური მზერით ამოხედავდა, დრუნჩით გაეხახუნებოდა. დამასტიოსიც საოცარ თანაზიარობას გრძნობდა ნადირთან, და ამის ახსნა ვერა სულიერისთვის ვერ შეეძლო. ვერც ქალს გაეგო მგლისადმი ამნაირი სიყვარული, ამიტომ ეჩინებოდა, გააგდეო.

– მაშინ ჩემი სულის ნაწილიც უნდა მოვიკვეთო, – ეტყოდა დამასტიოსი.

– მე ვარ შენი სულის ნაწილი.

დამასტიოსს აკვირვებდა ქალის ჟინიანობა. ვერ ხვდებოდა, მისგან რა სურდა.

– ორი სული გვაქვს, მაგრამ ერთნი ვართ, – კვლავ უთხრობდა ქალი, – ქალ-კაცობა მხოლოდ გარეგნული ნიშანია.

– მაშ, მგელიც ჩვენი არსი ყოფილა, – პირქუშად ეტყოდა ისევ დამასტიოსი.

– იქნებ იყო კიდეც, მაგრამ ადრე, ძალიან დიდი ხნით ადრე, – ქალს სახეზე ამ დროს ლელვა ემჩნეოდა, – ადამიანის სული მგელს ვერ იგუებს, ვერ დაიტევს.

– ერთია ყოველი, ფორმა რაგვარადაც არ უნდა იცვალოს. განა მგლის რა ბრალია, ბუნებამ რომ მხეცად შეჭქმნა?

– განემორე მას, მე მომენდე, – ეზრახებოდა ქალი და ხელში ხელს ჰკიდებდა.

– რისთვის? – ჰკითხავდა დამასტიოსი და განზე ინევედა.

– სულის ხსნისათვის.

საუბარი აქ თავდებოდა და დამასტიოსიც ქალს გაეცლებოდა. გრძნობდა, ახლაც ისეთივე უვიცი იყო, როგორც მაშინ, მშობლიურ ქალაქში რომ ცხოვრობდა და ეგონა, თავისუფალი ვარო; ფიქრით იყო დაღდასმული. ავად იყო, მაგრამ სნეულებას სახელი არ ჰქონდა. მკურნებელი საშუალებისათვის ვერ მიეგნო. იქნებ, ამქვეყნად არც არსებობდა ამის წამალი! საშველად მგელთან გასწევედა, რაკი ნადირი მიაჩნდა ჯანსაღად, მაგრამ მგელი ხომ ვერ ეტყოდა, რა სჭირდა, თუკი ამას ვერ შეეცნო ჭირის მიზეზი. მაინც ამშვიდებდა ნადირის სიახლოვე, ცხრებოდა, ირინდებოდა. გუნებაც ეცვლებოდა. სამაგიეროდ, ქალი კაპასობდა მგლის დანახვისას, თითქოს რაღაც ზნემ წამოუარა და დამასტიოსის მოკვლა სწადიაო. დიდხანს ჟინიანობდა, თუმცა მერე მაინც ლღვებოდა, ნებდებოდა დამასტიოსის არჩევანს – მგელი მომიყვანეო, სთხოვდა. დამასტიოსს ახარებდა ქალისა და ნადირის ზავი, მაგრამ ქალი მაინც უფრთხოდა ნადირს, განზე ინევედა. მგელიც დიდად ბედნიერი როდი ჩანდა ქალთან ყოფნით, იღრინებოდა, ბალანი ემლეებოდა ტანზე.

– მეშინია მისი, მეშინია! – ჟინიანად იმეორებდა ქალი და თითქოს გარეგნულადაც კი შეცვალა შიშმა, დააჩიავა, მიასუსტა, სახეზე ფერი გაუკრთო, უძალო ქმნა. მმართველის სახლში ექიმებმა იწყეს სიარული, თუმცა დიასახლისის ავადობის მიზეზს ვერავინ მიუხვდა. მართო დამასტიოსმა იცოდა, ქალს რაც სჭირდა, მაგრამ ფეხს ითრევდა, საკუთარ თავსაც არ უტყდებოდა, ერთხელაც იქნება გადამწყვეტი არჩევანი მომიწევსო.

ასე მიიღია ზამთარი და გაზაფხული დადგა. აღდგომა ახლოვდებოდა, მაგრამ ქრისტიანული ზემის ნაცვლად მმართველმა გლადიატორთა თამაშების გამართვა ბრძანა, ამ სისხლიან ხოცვა-ჟლეტაზე კი, როგორც მაშინდელი წესი იყო, თანამეცხედრე იახლა, თუმცა სისუსტისაგან ქალს ლამის გული წასვლოდა.

დამასტიოსი ქალის სავარძლის უკან იდგა, როცა არენაზე შეიარაღებული მებრძოლები გამოჩნდნენ. მაყურებლები აღრიალდნენ გლადიატორებიც ერთმანეთს ეკვეთნენ. ხმლების ჩახაჩუხს და ფარების ჟღრიალს მაყურებელთა ყვირილი ჰფარავდა. ქალი სავარძელს გადაესვენა.

– მგელი! – წაიჩურჩულა და ხელი არენას მიაშვირა, – აი იქ დგას, ცხადად ვხედავ.

დამასტიოსი მისკენ დაიხარა.

– იქ გლადიატორები იბრძვიან, ქალბატონო! მგელი შინ დავტოვე.

– შინ წამიყვანეთ! – ბრძანა ქალმა.

ბრძოლის უინით ანთებულ მმართველს ცოლის მიზნიანობა გაუკვირდა, მაგრამ სანახაობა მაინც ვერ დათმო და ქალი მსახურებს გაატანა. მონებმა სწრაფად მიიტანეს ფარდებმოზურული ტახტრევიანი მმართველის სახლამდე. ქალი გადმოვიდა, დამასტიოსის მხარს დაეყრდნო.

– მგელი მომიყვანეთ, – თქვა მისუსტებულმა.

დამასტიოსმა დორზე დაჯომა უშველა. ქალი უბრად იჯდა, დამასტიოსს არ უყურებდა. თავი მხოლოდ მაშინ აილო, როცა მონებმა ჯაჭვებში მგელი შემოიყვანეს.

– ახსენით, – თქვა ქალმა.

– ნუ ინებებთ! – შესთხოვა დამასტიოსმა, მაგრამ ქალმა ყინულივით ცივი ხმით ბრძანება გაიმეორა:

– ახსენით და ჩამომეცალეთ!

მონებმა ნადირს ჯაჭვი ახსნეს და უკუდგნენ. დამასტიოსს გააცია. ქალს წინ აეფარა, მაგრამ ქალმა ხელი ჰკრა და ზე წამოიჭრა, მგლისკენ წაღვა ბიჯი. მგელი უძრავად იდგა მარმარილოს მოზაიკურ იატაკზე, დაჭიმული ტორები ძლივსშესამჩნევად უთრთოდა, ქეზად იყურებოდა. ხელებგაშლილი ქალი თითქოს მთვარეულივით მიცურავდა ნადირისაკენ, თითქოს იატაკს ფეხს არ აკარებსო; სამოსის ნაკეციები ფრთებივით უფრიალებდა. დამასტიოსს ისიც კი მოეჩვენა, ჟამის რალაც შეყოვნებისას ქალი იატაკიდან ზე აინია და ჰაერში გაირინდაო, მაგრამ ეს მხოლოდ ჩვენება იყო. მზერაგაყინულ ქალს სახე ღია კარისკენ მიექცია, მგელს ვერც ამჩნევდა, სანამ ზედ არ გადააწყდა. ჟამის იმავენაირ შეყოვნებაში ნადირი შედრკა, უკან დაინია, მერე შეიკუმშა და კამარა შეჰკრა, ქალს ყელში დაეძგერა, წააქცია. მონებს ყვირილი აღმოხდათ, დამასტიოსმა კი ისკუპა და ნადირს დააცხრა, მაგრამ მგელი გაუსხლტა, შავი აჩრდილივით გავარდა კარში. დამასტიოსმა მცველს შუბი წაგლიჯა, მგელს გაედევნა. ტრიკლინუმი რომ გაირბინა, ნადირის გაელვებას ჰკიდა თვალი: მგელი დიდი ნახტომებით მიიწევდა წინ, ერთი-ორჯერ დამასტიოსსაც მოუღრიჯა კისერი, მაგრამ არ შეჩერებულა, სრბოლას უფრო უმატა. შუბმოღერებული დამასტიოსი მიჰყვა, თუმცა წუთსაც არ გაევილო, ფეხები ფუთასავით რომ დაუმიძიდა; ეგონა, დედამინა შემოვირბინეო. სულს ველარ ითქვამდა, შუბი ლამის ხელიდან გავარდნოდა. ამნაირი უძლურება სიზმრად თუ განეცადა, როცა უთავბოლო კოშმარში ხელ-ფეხის განძრევას ვერ ახერხებ. მგელი კი ისევ შავი აჩრდილივით მიქროდა და თითქოს თვალდათვალ იზრდებოდა, ღრუბელს ემსგავსებოდა, თავის ჩრდილს რომ მიაფენს მინდორსა თუ ბორცვებზე. იქნებ მართლაც ჩრდილი იყო? სად გონებაზე დამასტიოსი ამას უკეთ ჩაუკვირდებოდა, მაგრამ ახლა არ ეცალა – მირბოდა და თან აღმაცერად თავის ჩრდილს უყურებდა. ერთგული ქოფაკივით რომ მისდევდა გვერდით. სმენა დაეხმო, გაბრუვდა, სისხლი საფეთქლებში სცემდა და თითქოს ცნობაც წაერთვა, თუმცა გონების ამ სისხლისფერ არმურში (სალამოვდებოდა და დაისის სხივებს შეელება არე) მაინც შეასწრო

მზერა, როგორ ისკუპა მგელმა და ეზოს კუთხეში თაველია ჭაში ჩახტა. დამასტიოსმა ჭასთან მიიბინა, შუბი შემართა, რათა წყალზე გამოჩენილი მგლისთვის დაეკრა, მაგრამ ჭის მუქ ზედაპირზე ბუშტულაც კი არ ჩანდა. დამასტიოსი უფრო დაიხარა, ნადირის დანახვა ენადა, მერე ერთი შეჰყვირა და თითქოს ვინმემ უბიძგაო, ჭაში გადაეშვა.

ამჯერად კი ველარ დაიჭირა წყალმა. დამასტიოსმა კვლავ იგრძნო სხეულის გამთოშავი სუსხი, სულთან გაყრას რომ ჰგავდა. წყლის სიმქისე შემოეხვია ტანზე, თითქოს რალაც ლიპსა და უხამსს ეხებოდა, როგორც ქვეწარმავლის კანს. უმთავრესი მაინც აზრის გაელვება იყო, ჭაში ჩაშვებამდე რომ გაკრთა სიმრუმეში. დამასტიოსიც ეგრე წამიერად ჩაეშვა წყალში, სიცხადის პოვნის დიდი სურვილით, თან ამოო ოცნება ჩაიყოლა, ეგებ, ქალი და მგელი, ამქვეყნად რომ ვერ მორიგებულყვენენ, ჭის სიღრმეში მაინც შეერთდებოდნენო.

ტურისტული ბიურო

გაგიკვირდებათ, მაგრამ ჭილყავი, გასული წლის მაისის ეულ სალამოს ჩემი საწოლი ოთახის ფანჯარაში რომ შემოფრინდა, ნამდვილად ფრანც კაფკა გახლდათ. მანამდე, რამდენიმე ათეული წლის წინათ, ის ერთ ამერიკელ ბნედიან პოეტს სწვევია სტუმრად და ფრიად მდარე ლექსის თხზვის საბაბიც გამხდარა – ეს თავადვე მომითხრო, როცა თავის გარდასახვათა სევედიან ამბავს მიყვებოდა შემლოცველივით წყნარი და დუდუნა ხმით – თუ როგორ გადიქცოდა ხოლმე მრავალი ასეული წლების განმავლობაში ხან კაცად და ხანაც ისევ ფრინველად; ბოლოს ევროპულ დიდ ქალაქში უცხოვრია კაცის სახედ და ბევრი ჭირიც დაუთმენია ადამის მოდგმისაგან, რის შემდეგაც, მორიგ გარდასხეულებამდე ფრინველად მოვლენოდა ამ ქვეყანას – ესა და სხვაც ბევრი მიაბმო უცნაურმა სტუმარმა, რომელსაც კაჟივით მაგარი ნისკარტით გერმანულად ნაწერი ფურცლები ეჭირა. ეს ფურცლები თავაზიანად დამითმო, რათა მეთარგმნა და გამომექვეყნებინა საზოგადოებისათვის ჯერაც უცნობი თხზულება, კაცად ყოფნის ჟამს რომ შეექმნა.

ჩემმა უახლოესმა მეგობარმა და კოლეგამ, დარეს ფრიგიელმა, სიტყვასიტყვით თარგმნა წვრილი გაკრული ასოებით აჭრელებული ხელნაწერი; საამისოდ არც იმდენად დიდი ჯაფა დასდგომია, რადგან ვინც კაფკას სადა და გამჭვირვალე სტილს იცნობს, აგრეთვე ამ უცნაური მწერლის მისწრაფებას ნათელი აზროვნებისაკენ, არც იმის მიხვედრა გაუჭირდება, რომ ხელნაწერის თარგმნა ფრიად სასიამოვნო იქნებოდა ნებისმიერი მთარგმნელისათვის. სწორედ თხზულების ეს ღირსებები გვკარნახობს, ეჭვი არ შევიტანოთ ხელნაწერის ავთენტურობაში – თხზულება კაფკასეული მწერლური არსენალის თითქმის ყველა კომპონენტს მოიცავს,

დანყებულ უპიროვნობითა და უდროობით და უცნაური პარაბოლებით დამთავრებული.

აი ეს თხზულებაც:

„მონყალეო ბატონო!

მაქვს პატივი თქვენი მეგზური ვიყო ჩვენს პატარა ქალაქში, ევროპის ერთ-ერთ თვალწარმტაც მხარეს, ტიროლში რომ შეჰფენია ამწვანებულ მთა-გორებს. რაკი სტუმრობის სურვილი გამოთქვით, თავს მოვალედ მივიჩნევ ქალაქის ღირსშესანიშნაობანიც წინასწარ გაგაცნოთ. გარდა იმისა, რომ ჩვენი მხარე ბალ-ვენახებითა და ჩინებული ღვინით არის განთქმული, აქ მრავალ საყურადღებო არქიტექტურულ ძეგლსაც ნახავთ. მათგან უშესანიშნავესი გვიანი შუა საუკუნეების გოთური ტაძარია, რომელიც ქალაქგარე, ტყეში მდებარეობს და ყოველწლიურად უამრავი ტურისტი სტუმრობს; შეიძლება ითქვას, რომ მნახველთა და მომლოცველთა ნაკადი დღითა და ღამითაც არასოდეს წყდება, რისი მიზეზი არა იმდენად ტაძრის რაიმე უნიკალური აგებულება ან კურნების ძალაა, რამდენადაც ერთი ფრიად უცნაური გარემოება: საქმე ისაა, ძვირფასო ბატონო, რომ უხსოვარი დროიდან ტაძარში კენტავრი ცხოვრობს – არც კაცი, არც ცხენი, არამედ მათი უცნაური ნაზავი, ბუნების მიერ შექმნილი ქიმერა, ჩვენდა გასაოცრად მოვლენილი. არავინ იცის, როგორ გაჩნდა იგი ჩვენს მხარეში – საისტორიო წყაროები ამის შესახებ დუმისს ამჯობინებენ და მართალი გითხრათ, დღეს თავსაც არავინ იწუხებს ეს საიდუმლო ამოხსნას: ჯერ ერთი, რომ კენტავრს უკვე მივიჩნევთ და ბევრი მას ოჯახის წევრზე უფრო ახლობლად თვლის; მეორე და უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ ეს უცნაური ქმნილება ტურისტების მოსაზიდი მშვენიერი საშუალებაა და ყოველწლიურად ხაზინას გვარიანად ავსებს, რაც უამისოდ ძალზე ძნელი იქნებოდა. ვერც კი წარმოიდგენთ, რა უზარმაზარ მოგებას აძლევს კენტავრი ქალაქის მთავრობას, რის გამოც ამ უკანასკნელმა საგანგებო ტურისტული ბიუროც კი დააარსა, რომლის ოფისიც რატუმის შენობაშია განლაგებული. მინდა ერთგვარი სიამაყით გაუწყოთ, რომ მე სწორედ აღნიშნული ბიუროს თანამშრომელი ვარ და, როგორც უკვე გითხარით, სიამოვნებითაც გაგიწევდით მეგზურობას, რომ არა ერთი ფრიად დამალონებელი ვითარება, რაც ბოლო დროს ჩვენი ქალაქის პატივსა და ღირსებას და, რაც მთავარია, მის ბიუჯეტს კატასტროფით ემუქრება. აქამდე საათივით აწყობილი ბიზნესი დღეს განსაცდელის პირასაა და ამის მიზეზი, მე ვიტყვოდი, ერთობ ბოროტი ხუმრობაა ბუნებისა. თქმისაც კი მრცხვენია, მაგრამ პატიოსნება მაიძულებს ყოველივე წვრილად შეგატყობინოთ, რათა იმედგაცრუებული არ დარჩეთ. შესაძლოა, როცა ყველაფერს შეიტყობთ, სტუმრობაც გადაიფიქროთ, მაგრამ, ვიმეორებ, პატიოსანი ბიურგერის სინდისი მაიძულებს საშინელი საიდუმლო გაგიმხილოთ: კენტავრს ფალარათი სჭირს, ჩემო მეგობარო! საბრალო, ნელ-ნელა იხრჩვება საკუთარ ნეხვსა და უწმინდურებაში, როგორც ჭაობში; მო-

ნასტრის ბერები და ქალაქის მთავრობა ყველა ღონეს ხმარობენ, მდგომარეობა ოდნავ მაინც რომ გამოასწორონ, მაგრამ ჯერჯერობით საქმეს სასიკეთო პირი არ უჩანს. სახანძრო რაზმს ყოველდღე ათობით ცენტნერი სკორე გააქვს მონასტრიდან, თუმცა უწმინდურება მაინც არ კლებულობს. მონასტერსა და მის შემოგარენში ისეთი საშინელი მყრალი სუნი ტრიალებს, მიახლოება კენტავრთან უკვე შეუძლებელია. სუნი თანდათან ქალაქს უახლოვდება და სადაცაა ჩვენს სახლებში შემოიჭრება. რა უნდა ვქნათ მაშინ? ამის წარმოდგენაც კი მზარავს! ქალაქის მთავრობა თითქმის ყოველ საღამოს საგანგებო სხდომებს მართავს. გამგეობის წევრები უძილობით ამოღამებული თვალთ იყურებიან ავბედითი ადგილისაკენ, ბევრი მათგანი დარდით აჩრდილს დაემსგავსა, რადგან კენტავრის ტრანი ამოხრჩობას გვიქადის. მანამდე კი გაკოტრება მოგვიღებს ბოლოს. ერთი ხანობა ქალაქის მამები კენტავრის ლიკვიდაციას გეგმავდნენ, თუმცა მომენტი ხელიდან გაუსხლტათ – ცხენ-კაცთან ტყვიის სასროლ მანძილზე მიახლოება შეუძლებელია. მართალია, ავიაციის დახმარებით კენტავრის განადგურება მოხერხდება, მაგრამ ეს მონასტერსაც დააზიანებს. სასულიერო პირებსა და ქალაქის მთავრობას შორის ამის თაობაზე ცხარე კამათი არ წყდება. მანამ კი, სანამ ქალაქის მამები თათბირობენ, რიგითი მოქალაქეები ძრწოლით შევეყურებთ ხვალინდელ დღეს. გაგვითენდება კი ის ოდესმე? კენტავრი ჩვენი ღმერთია, ვინაც დაუმსახურებელი სასჯელი დაგვატყება. როგორ მივიღოთ ეს სასჯელი: როგორც წყალობა თუ როგორც გარდუვალობა? ვინ დაგვიხსნის მოკვდავი ღმერთის ძალმომრეობისაგან? იმედი, უადგილო იმედი ჭიატებს ჩვენი გონების კუნჭულში, რომ ერთხელაც იქნება კენტავრი საკუთარ ნეხვში გაიგუდება, მაგრამ როდის მოხდება ეს? ყველა ხვდება, რომ ამ ახალი წარღვნისაგან – ტრანის აბოპოქრებისაგან ხსნა არ არსებობს. ამაოა ლოცვა და გადარჩენის მოლოდინი, თუმცა ბოლო დროს ბევრს ჰგონია, რომ გასაჭირიდან ტექნიკური პროგრესი დაგვიხსნის; რომ ვითომ სრულყოფილ სახანძრო ტუმბოებით უწმინდურების დაშრეტა შეიძლება, მაგრამ სად წავიღოთ ამდენი ნეხვი? უწმინდურება ჰფარავს ჩვენს სამკვიდროს, მყრალი სუნი გვახრჩობს, ხვალინდელი დღის შიში გვზაფრავს. აი რატომ გწერთ ამ ბარათს, მონყალეო ბატონო, რათა დაფიქრდეთ, ღირს თუ არა გვესტუმროთ, რადგან ვინ მოისურვებს ფულისა და დროის ხარჯვას სკორეში ჩაძირული ქალაქის სანახავად?! თუ მაინც გადაწყვეტთ, ვფიქრობ, ეს ცნობისმოყვარეობაზე მეტად სხვა მოტივით იქნება ნაკარნახევი... დიახ, თქვენ ბედმა გაგიღიმათ, რაკი ჩვენს დაღუპვას დაესწრებით. არ ვიცი, როგორ მოვიქცეოდი თქვენს ადგილას, მაგრამ ჩამოსვლას არ გირჩევთ. ამის თქმას მამბედვინებს ჩემი თქვენდამი პატივისცემა და ჩემი უბედური სამშობლოს საბოლოო, თუნდაც უზადრუკი უფლება – დაიმარხოს ნეხვში დამსწრე საზოგადოების აპლოდისმენტების გარეშე...

ივანე ამირხანაშვილი

როცა გართმევენ, ყველაზე მეტად მაშინ გაქვს

ჩვენს წინაშეა ზურაბ ლავრელაშვილის სამი მოთხრობა: „პილატეს სახარება“, * „წმინდანი ჭაში“ და „ტურისტების ბიურო“. პოსტმოდერნისტული თამაშის სამი ვარიანტი. სამი „არათანამედროვე“ იგავი თანამედროვე ქართული პრაქტიკიდან, სადაც წაშლილია ვარსკვლავიანი ცა ჩვენს ზემოთ და მორალური კანონი ჩვენში.

ჩვენს წინაშე-მეთქი, კი ვამბობ, მაგრამ შესაძლოა ვცდებოდე, რადგან, რამდენადაც ვიცი, პოსტმოდერნისტული ტექსტები, კლასიკისგან განსხვავებით, კოლექტიურ წამკითხველს არ გულისხმობს, უფრო ინდივიდუალურ, დანაწევრებულ აღქმასზეა გამიზნული, – ვინ როგორ გაიგებს.

კარგი იქნებოდა, პოსტმოდერნს კლასიკასთან თამაში კლასაობად არ გადაექცია, მაგრამ, როგორც ჩანს, სხვა გზა არ ჰქონდა და ბოლომდე მიჰყვა ეკლექტიზმის ხიბლს, რითაც თავისი საქმე მაინც გააკეთა – ხელი შეუწყო კლასიკის გადანერგვას თანამედროვე კულტურის მკვდარ უჯრედებში და შექმნა მოძრაობის, სიცოცხლის ილუზია.

ეს თამაშია, ინტელექტუალური თამაში, რომელსაც თავისი წესები აქვს. გაფრთხილება: წესების ცოდნა არ ნიშნავს, რომ თამაში იცი! ყველა ხომ მოჭადრაკე არ არის, ვისაც ფიგურების გადაადგილება შეუძლია.

პოსტმოდერნისტი მოჭადრაკეა, რომელიც მკითხველებს ერთდროულ სეანსს ეთამაშება.

ვინც კარგად იცნობს ზურაბ ლავრელაშვილის შემოქმედებას, მისთვის შეიძლება ცოტა უცნაური იყოს აქ სიტყვა „თამაშის“ ხსენება, მაგრამ ვინაიდან საქმე გვაქვს ლიტერატურულ მიმდინარეობასთან, მეთოდთან, რომლის ესთეტიკა, უპირველეს ყოვლისა, სწორედ თამაშის პრინციპს ეყრდნობა, იძულებული ვართ უპირობოდ მივიღოთ უანრული გამოწვევა, თორემ სხვა შემთხვევაში ამის საჭიროება არ იქნებოდა.

„პილატეს სახარება!“ – მრავლისმეტყველი სათაური, რომელიც შეიძლება ნაწარმოების „მენიუდ“ არ გამოდგეს, მაგრამ წინააღმდეგობრივი შინაარსის მეშვეობით ბევრ რამეს მიგვანიშნებს. მთელი მოთხრობა არის სტილიზებული ოქსიმორონი, სადაც უმეტესად აზრები კი არა, სიტყვები მეტყველებენ. ცალკეულ სიტყვებში გაისმის ემოციური ჰანგები, რომელიც შემდგომ ლაიტმოტივად ლაგდება.

სხვათა შორის, ნატალი საროტმა თავისი შემოქმედების მიწურულს დაწერა რომანი „სიტყვები“, რომელშიც მართლაც მართო სიტყვები, ურთიერთდაუკავშირებელი

სიტყვები და ფრაზები ქმნიან რაღაც სიმფონიის მსგავს მთლიანობას. ეს არ არის შემთხვევითი ექსპერიმენტი. კრიზისულ პერიოდებში სიტყვა აბათილებს, აუფასურებს აზრს და ერთპიროვნული მმართველი ხდება.

მეტი რა არის თანამედროვე ქართული მარაზმი? – აზრის მკვლელობა სიტყვების შხამით.

ლიტერატურას აქვს უფლება გამოიყენოს სინამდვილე სინამდვილის წინააღმდეგ.

წინათქმა პესიმისტურად განგანყოფს. თუ არა უიმედობა, სხვა რა უნდა მოგგვაროს პილატეს, ამ რიგითი ჩინოვნიკისა და უიღბლო პროკურატორის აპოკრიფმა, სადაც ერთადერთი გულწრფელი სიტყვა, რომელიც მას წამოსცდება, არის – „დავიღალე“. მძიმე მეტაფორები და ნერვული სიტყვები რიტმულ სტრიქონებად არის განწყობილი.

უარყოფა და აბსურდი – მძაფრი შთაბეჭდილება!

„პილატეს სახარება“ დღევანდელი ქართული ყოფიერების ანტიკური ალექორიაა. რა მნიშვნელობა აქვს სათაურს ან ანტიურაჟს, ყოფილიყო თუნდაც ბჟეზინსკის ან სოროსის სახარება რა შეიცვლებოდა? მინიშნებებს ზუსტი მისამართი აქვს, აქეთკენ მოყვარო, ქართულ რეალობაში, იმ უჩინმაჩინების პოლიგონზე, რომლებსაც მიზნად დაუსახავთ ტექნიკური პროგრესი და მსოფლიოს გაერთიანება, ახალი პოლიტიკოლოგიების დანერგვა და უღმერთო საზოგადოების ჩამოყალიბება, რწმენის ნაცვლა ინსტრუქციების გავრცელება და გარდაცვლილი მატერიით, დემოკრატით, საზოგადოების გამოკვება.

კარგად შენიშნავს ზურაბ ლავრელაშვილი, ნუმეში გორავს ძველი მისტაგოგი, მის ადგილს კი თანამედროვე პოლიტიკურ მისტიკათა ცერემონიამისტიკა იკავებს.

პოლიტიკა – ბედისწერის ახალი სახე! ეს ჯერ კიდევ გოეთემ შენიშნა. მას შემდეგ რა უნდა შეცვლილიყო. მოიწოდების გუნდი გლობალიზაციის იდეით გაერთიანდა. შინაგანად დაშლილ, პიროვნულად დეზინტეგრირებულ ადამიანებს სთავაზობენ პოლიტიკური გაერთიანების ახალ წესს, რომელსაც დემოკრატიული თავისუფლების შტრიხკოდით ასაღებენ.

მაგრამ რა არის ეს ყბადაღებული დემოკრატია? თვალეზახვეული ფორტუნა! დემოკრატია ვერ გხედავს და არც სურს, რომ დაგინახოს, მან არ იცის შენი ინტერესები, შენი მხარე, შენი ხალხი, შენი მინა, საიდანაც ამოიზარდა შენი ხასიათი, ადათი, ზნე; არ იცის და თუ გაიგო, მაშინ აღარ იქნება ის, რაც არის, გამოეცლება ძალა – „კრატია“, დარჩება უსახო დემოსად და მოიჭამს თავის თავს, როგორც აქამდე მოუჭამია თავი მრავალ ხელოვნურად შექმნილ „დემოსს“.

დემოკრატის ძალა მის სიბრმავეშია.

ანდა, რა არის თავისუფლება? გაცვეთილი მონეტა! თავისუფლება ფარსია, ის არ არსებობს, არსებობს მხოლოდ აუცილებლობა, რომელსაც ცხოვრება გვთავაზობს, თუმცა ცოტათი თუ ჩაუფლრმავდებით, შეიძლება აღმოვაჩინოთ, რომ არც აუცილებლობა არსებობს.

არსებობს მხოლოდ სიცრუის ალგორითმი, რომლის მეშვეობით ყველა ამოცანას ხსნიან. დემოკრატის მსოფლიო ცენტრს აქვს უნივერსალური ტესტები – გენბავთ, უწოდეთ მას გლობალიზაციის სახელმძღვანელო „ტესტამენტი“, რომელსაც წარმატებით იყენებენ მათ მიერ დანიშნული „პროკურატორები“.

* იხ. „ჩვენი მწერლობა“ №18

„პროკურატორებისთვის“ აღარ არსებობს პიროვნება, ხალხი, ერი, საზოგადოება, მათთვის არსებობს მხოლოდ ამომრჩეველი, – უცხოური საფუარით მოზელილი ცომი.

ვინ არის მათი ამომრჩეველი? ეს არის ადამიანი, რომელიც ყოველდღე იმაზე ფიქრობს, რა ჭამოს და რა აჭამოს დამშუულ ოჯახს; ეს არის ადამიანი, რომლის „მოქალაქეობრივი“ ცნობიერება კინოსერიალებს შორის შემთხვევით მოსმენილი ტელეინფორმაციით ყალიბდება; ეს არის ადამიანი, რომელსაც უყვარს ის, ვისაც აყვარებენ და სძულს ის, ვისაც აძულებენ; ეს არის Homo videns – ადამიანი მაყურებელი, ბრბოს ულტრათანამედროვე ნაირსახეობა, ტელეხახელმწიფოს სრულყოფილი მოქალაქე. მისთვის რეალობა არ არსებობს, არ არსებობს არც მინა, არც საზღვარი, არც სახელმწიფო, არც კანონი, არც რწმენა, სამაგიეროდ, არსებობს ტელეეკრანი, მისთვის რეალობა იქ არის, კინესკოპის ჯადოსნურ სარკეში, იქ არის ცხოვრება, იქ ხდება ყველაფერი, თვით რეკოლუციებიც კი.

სადაც შორს წავედი... და მივაღეკი იმ ადგილს, სადაც ლიტერატურული პოსტმოდერნი პოლიტიკურ პოსტმოდერნს უკავშირდება:

პოსტმოდერნის მდგომარეობა არის ისეთი პოსტაპოკალიფსური მდგომარეობა, როცა დგება ისტორიული ინსტიტუტების, პოლიტიკური წარმომადგენლობებისა და დიალექტიკის აღსასრულის ჟამი (ჟან ბოდრიარი).

ზურაბ ლავრელაშვილის მეორე მოთხრობის პერსონაჟი დამასტიოსი ფრიგიაში, იმპერატორ ნერონის დროს ცხოვრობდა, მაგრამ შეიძლება უმბერტო ეკოს „ბაუ-დოლინოში“, ფრიდრიხ ბარბაროსას დროსაც ეცხოვრა.

რა მნიშვნელობა აქვს. არც ის არის მნიშვნელოვანი, ბერძენი იქნებოდა, სირიელი თუ იტალიელი. სულ ერთია, მაინც ჩვენებურია, თანამედროვე ქართველი ცთომილია, რომელმაც არ იცის, რა უნდა, რას ეძებს, რისთვის იბრძვის.

წანარმოების შინაარსის გაგება შეიძლება გააძნელოს მგლისა და ქალის სიმბოლიკამ, მაგრამ თუ მათ დამასტიოსის სახეში გავაერთიანებთ, მაშინ სირთულე ერთიორად გაიოლდება და გამოცანა – ოქსიმორონიც ამოიხსნება: დამასტიოსი წმინდანი არ არის, მაგრამ წმინდანია, რადგან არ უნდა, რომ წმინდანი იყოს.

გამჭვირვალეა მესამე მოთხრობის „ტიურისტული ბიუროს“ ციტირებები, დასახელებულია ფრანც კაფკა, მინიმებულია ედგარ პო და ალბათ იგულისხმება რობერტ მუზილიც, კერძოდ, მისი „შაში“, მაგრამ, სამაგიეროდ, ბუნდოვანია პერსპექტივა წანარმოებში აღწერილი იმ ქალაქისა, რომელიც ღმერთად აღიარებული ცხენკაცის ნებში იხრჩობა.

ზურაბ ლავრელაშვილის ამ მეტარეალურ სარკეში იმედი ნამდვილად არ არის მთავარი პერსონაჟი, მაგრამ გრძნობ, რომ ის სადაც აქ არის. იმედი არის გამოთქმის თავისუფლებაში, გამოხატვის ფორმაში. ამოოხვრამი არ არის იმედი, მაგრამ არის შვევა – საუკეთესო გამოსავალი უიმედობიდან. კარგი პოსტმოდერნის თვისებაა, გაგახსენოს რაღაც, მაგრამ თვითონ არ იყოს ის, რასაც გახსენებს.

არის ქაოსი, მაგრამ ვინ თქვა, რომ ეს დასასრულია? პირიქით, ქაოსში არის წესრიგის დასაწყისი. შეგიძლია თვითონ შექმნა წესრიგი სხვისი ხელით შექმნილი ქაოსიდან. როცა გართმევენ, ყველაზე მეტად მაშინ გაქვს.

დაუპინყარი სახელები

ლელა ხაჩიძე

ყველას რაიმა გვაქვს სახსოვარი

*

რაზი თვარაქის სსოვნას

მოხდა ისე, რომ რეზი თვარაქის ძალიან ადრე, პირველი კურსის სტუდენტობისას შევხვდი. უნივერსიტეტში, 201-ე აუდიტორიაში, მოეწყო მისი წიგნის „გალაკტიონი“ განხილვა. იდეა რევაზ სირაძეს ეკუთვნოდა. მანვე გვთხოვა რამდენიმე სტუდენტს, უფროსებთან ერთად, მონაწილეობა მიგველო განხილვაში. ყურადღებით წავიკითხე ეს წიგნი და მაშინვე მივხვდი, რომ ეს იყო ერთ-ერთი საუკეთესო გზა გალაკტიონის მოუხელთებელი ფენო-

მენისაკენ. ჩემი გამოსვლა არ იყო ვრცელი, მაგრამ ვეცადე ყველაფერი მეთქვა, რასაც ვფიქრობდი. მახსოვს, ავტორს ვთხოვე განეხილა გალაკტიონის „მთავარი“ ლექსებიც.

შეხვედრის ბოლოს გამოვიდა ბატონი რეზი. ჩემდა გასაკვირად, ის საგანგებოდ შეჩერდა ამ „შენიშვნაზე“ და თქვა, რომ მისთვის „მთავარი“ უკვე გალაკტიონის სწორედ ნაკლებად ცნობილი ლექსები იყო და მოიტანა რამდენიმე ნიმუში. ასე გავიცანი რეზი თვარაქე. მასთან შეხვედრა იმითაც დამამახსოვრდა, რომ მომმართა ასე: „ქალბატონო ლელა!“ მაშინ პირველკურსელი ვიყავი, ჩვიდმეტი წლის და აზრადაც არ მომსვლია, თუ შეიძლება რამდენიმე ასე მოემართათ.

წლების შემდეგ შემთხვევით გავიგე, რომ ბატონი რეზი ჩემი გამოსვლის ტექსტს საგანგებოდ ინახავდა. მე ამით ყოველთვის ვიამაყებ.

წლების შემდეგ წილად მხვდა ბედნიერება მასთან მემუშავა ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთველოლოგიის განყოფილებაში. ეს საკმაოდ მღელვარე პერიოდი იყო, მაგრამ ბ-ნი რეზის გამოჩენასთან ერთად თითქოს უკან იხვედა ყოველგვარი პოლემიკა, „პოლიტიკური პრობლემატიკა“ და უსიტყვოდ დაისადგურებდა ხოლმე აკადემიზმი, ადამიანური ღირსების დიდებულება, მარადიული საფიქრალი. იმ დროისათვის ბ-ნი რეზის წიგნებს

უკვე კარგად ვიცნობდი, მაგრამ მაინც მელოდა განცვიფრება. ეს იყო განყოფილების სხდომებზე წაკითხული მისი რამდენიმე მოხსენება პლატონის შესახებ. ეს იყო სიყვარულით გაჯერებული, რწმენამდე მიყვანილი ცოდნა. ბ-ნი რეზი პლატონის ნააზრევს არა მხოლოდ ზედმიწევნით „ახარისხებდა“, არამედ იმ ორიენტირებსაც გამოყოფდა, რომლებმაც განმსაზღვრელი გავლენა მოახდინა კაცობრიობის შემდგომ სულიერ განვითარებაზე.

ქართული ლიტერატურის განხილვა მსოფლიო სააზროვნო კონტექსტში ანუ ისე, როგორც ის ამას იმსახურებს – ესაა რ. თვარაძის მეცნიერული მემკვიდრეობის ერთ-ერთი მთავარი ნიშანი. ამაში მას ხელს უწყობდა, პირველ რიგში, პიროვნული თვისებები, პიროვნული თავისუფლება და მასშტაბი და ამასთან ერთად, ღრმა ფილოსოფიური განათლება.

ბ-ნი რეზი იყო პიროვნული თავისუფლების იშვიათი ნიმუში – ის, ვისაც, ალბათ, არასოდეს უღალატია შინაგანი პრინციპებისათვის.

მე მახსოვს მისი მოხვლა სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში ქართული ლიტერატურის კათედრის გამგედ. მან იმით დაინსო, რომ ესწრებოდა კათედრის ყველა წევრის ლექციას – იქმნიდა აზრს ახალი თანამშრომლების შესახებ და მათვე აცნობდა ამ აზრს. ამას, როგორც წესი, არავინ აკეთებს. მალე ბ-ნი რეზი წავიდა, წავიდა უსიტყვოდ, უკომენტაროდ.

ვიცი, რომ ასევე თავისი ნებით, ძალიან სწრაფად დატოვა მან „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორობის პატივიც... ასე ითავსებდა რეზი თვარაძის უსაზღვრო ჰუმანიზმი და ადამიანებისადმი კეთილგანწყობა ადამიანურივე პრინციპების ხელშეუხებლობას.

ბ-ნი რეზის მოუხდა ზოგიერთ არსებით საკითხში ქართული მეცნიერების რეალურ ავტორიტეტებთან დაპირისპირება და მან მოახერხა ქართველი საზოგადოების თავის სიმართლეში ისე დარწმუნება, რომ ეს კრიტიკა თვითმიზნად არ ექცია. მას ახასიათებდა პოლემიკა აზრთან და არა პიროვნებასთან.

ქართული მწერლობის „თხუთმეტსაუკუნოვან მთლიანობად“ განხილვას რ. თვარაძემ საფუძვლად დაუდო თვით ამ მწერლობისათვის დამახასიათებელი მასშტაბური გააზრება და ეს კანონზომიერება თავისი გამოკვლევების პრინციპად აქცია. მისი მეცნიერული მემკვიდრეო-

ბის ერთ-ერთი არსებითი ნიშანია ძველი ქართული მწერლობის რელიგიურ-ფილოსოფიური ასპექტით განხილვა.

მე მოწმე ვარ იმისა, თუ რა თავგამოდებით ქმნიდა ბ-ნი რეზი „რელიგიისა და კულტურის“ სასკოლო სახელმძღვანელოებს. წლების მანძილზე, ვგონებ, ეს მისი შთაგონების წყაროდ იქცა. რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ რეზი თვარაძე მოგვევლინა ახალ დროში რელიგიის სასკოლო სახელმძღვანელოს ერთადერთ ავტორად. ეს ის წიგნებია, რომლებიც კვლავ დაბრუნდება მომავალში.

ბატონ რეზის ვურეკავდი იშვიათად, მაგრამ ყოველთვის, როცა რაიმე მნიშვნელოვანი ხდებოდა ჩემს ცხოვრებაში. ახლა ვხვდები, რომ ამით თითქოს ვამონმებდი ჩემი გადაწყვეტილების სისწორეს.

რევაზ თვარაძემ ძველი ქართული ლიტერატურის კვლევას ახალი მიმართულება და ასპექტები შესძინა. მან, ფილოსოფიური და რელიგიური მწერლობის ჩინებულმა მცოდნემ, ახლებურად გამოკვეთა ძველი ქართული მწერლობის პრობლემატიკა. ბ-ნი რეზის ეკუთვნის პლატონისა და არეოპაგელის გავლენის საგანგებოდ კვლევაც ძველ ქართულ მწერლობაზე, ისევე, რო-


გორც „ბალავარიანთან“ დაკავშირებული არაერთი საკითხის დასმა და გადაწყვეტა. მას სჩვეოდა საკითხის კომპლექსურად, ფართო კონტექსტში განხილვა, რასაც ნამდვილად იმსახურებს ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები. რევაზ თვარაძემ სამართლიანად უარყო ქართული ფილოსოფიისა და ძველი ქართული ლიტერატურის ცნობილ მკვლევართა არაერთი მოსაზრება, რომლებიც „მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო“ შესულია მათ ფუძემდებლურ გამოკვლევებში.

უცხოელთათვისაა განკუთვნილი 2001 წელს გამოცემული მისი „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ I ნაკვეთი. არც ესაა შემთხვევითი. მის ნაშრომებში აშკარადაა გამოხატული ის აზრი, რომ „ქართული კულტურა თავისი უღრმესი საწყისებით სწორედ ევროპული ტიპის, ხმელთაშუა ზღვის აუზის კულტურათა ტიპის ფენომენი იყო“, რაც თავს იჩინს როგორც შედარებით შედაპირულ, ისე უღრმეს შრეებში.

ამ აკადემიური ბუნების პიროვნებისა და მეცნიერის ხასიათის სხვა მხარეს – დახვეწილ ლირიზმსა და შემოქმედებით ოსტატობას მოწმობს მისი „მოგონებათა წიგნი“, რომელშიც ბევრი რამაა საგულისხმო და საცნაური.



რევაზ თვარაძე



ამ ლექსების ავტორი გურამ ასათიანმა „მწარე პოეტად“ მონათლა:

– მამუკა ნიკლაურში მე მომწონს ერთი არსებითი თვისება: ის მწარე პოეტი, – თქვა მან, – ყოველგვარ სიყალბესთან და ნახევარსიმართლესთან შეურიგებელი პოეტი. ის არ დაეძებს გარეგნულ სილამაზეს, „კომილფო“ მისთვის მიუღებელია...

ეს სიტყვები ცნობილმა კრიტიკოსმა და ლიტერატორმა ახალგაზრდა პოეტის ერთ-ერთი პირველი წიგნის განხილვისას დაწერა.

მას შემდეგ, აგერ, რამდენიმე ათეული წელიწადი გავიდა და „მწარე პოეტი“ მწარე პოეტად დარჩა – ეს განსაზღვრება ზუსტად მიესადაგება მამუკა ნიკლაურის ზნეობრივ პრინციპებს, რაც, უპირველეს ყოვლისა, ლიტერატურულ სიმართლეს, ნათქვამი სიტყვის ნინაშე პასუხისმგებლობას და სიტყვის ღვთაებრივი წარმომავლობის რწმენას გულისხმობს.

მაშინ, კომუნისტური აბლაბუდის პირობებში, არცთუ ადვილი იყო ამ აბლაბუდის წინააღმდეგ მიმართული ლექსების დაცვა და პატრონობა. მამუკა ნიკლაურს ერთი სტრიქონი, ერთი სიტყვაც არ დაუწერია იმ დროისათვის თითქმის სავალდებულოდ გამოცხადებულ „იდეურ თემებზე“. ამგვარი პოზიციისათვის კომუნისტური აბლაბუდის დამცველთა რეაქციაც, ცხადია, ადეკვატური იყო: პრობლემები ბეჭდვაში, სამსახურიდან გათავისუფლება, „ფარული“ იგნორირება და ა.შ. ეს ყოველივე არც მამუკა ნიკლაურს ასცდა.

თუმცა აქ ისიც უნდა ითქვას, რომ არც მოკეთენი მოჰკლებიან „მწარე პოეტს“ და მამუკა ნიკლაური ზეპირ გამოსვლებსა თუ ინტერვიუებში მადლიერებით იხსენებს ხოლმე ლიტერატურულ მხარდაჭერას ისეთი წამდვილი პროფესიონალებისა, როგორც იყვნენ და არიან: ვახტანგ ჭელიძე, ჯანსუღ ღვინჯილია, გრიგოლ აბაშიძე, ლადო ავალიანი, გურამ ასათიანი, თედო ბექიშვილი, დავით მჭედლორი, აპოლონ ცანავა, ლერი ალიმონაკი, თეიმურაზ დოიაშვილი, გივი ალხაზიშვილი...

... მაგრამ, თუ გულწრფელად ვიტყვი, სამადლიერო მას არაფერი აქვს, რადგან ეს ლიტერატორები ერთ კონკრეტულ პიროვნებას – მამუკა ნიკლაურს – კი არ ედგნენ გვერდში, არამედ ეროვნული ლიტერატურის საერთო დანიშნულებასა და ინტერესებს იცავდნენ – ერთ-ერთ პრინციპულ ლიტერატორს ექომაგებოდნენ.

ამ პუბლიკაციით მამუკა ნიკლაური კაი ხნის ლიტერატურული ღუმელის შემდეგ ხვდება თავის მკითხველს. როგორც მოგეხსენებათ, ასეთი „ღუმელები“ მისთვის უცხო არაა – იგი არ ეკუთვნის შემოქმედთა იმ კატეგორიას, რომლებიც სულ „წინა პლანზე“ არიან და შესვენების უფლებას არ აძლევენ დაქანცულ პეგასს...

მამუკა ნიკლაური

სამშობლო

ლელას და ბოცოს

თქვენ იქიდან ხართ, სადაც სიტყვებით,
როგორც გუთნებით, მამულებს ხნავენ,
თქვენ იქიდან ხართ, სადაც სიტყვებს სისხლში
ანროთობენ.

...
ჩალხია საქორეღმა ძმის ღია სამარესთან დაიფიცა:
– შენს მკვლელს შენს სიკვდილს არ შევარჩენ.
მამა-პაპათა სულს ვიფიცები,
მასაც შენი გზით გამოვგზავნიო!..
მაგრამ, ღვთის ნებით, არ ეწერა ამ ფიცს ახდენა –
ჩალხია უცებ დაიღუპა, ზვავმა დაახრჩო
და ცოლმა ასე დაიტირა მიცვალებული:
– დაილოცოს ჩვენი დიდი სალოცავი,
ზვავით ჩაგიხერგა ცოდვისკენ მიმავალი გზა;
ვერ დაიკლაკნა შენს სახეზე ცოდვა გველივით,
ცოდვა ვერ ჩადგა შენს თვალებში მღვრიე წყალივით;
ეგრე უებრო და უეკლო მიხვალ უფალთან...

...
თქვენ იქიდან ხართ, სადაც სიტყვებით,
როგორც გუთნებით, ყამირებს ხნავენ,
თქვენ იქიდან ხართ, სადაც სიტყვებს სისხლში
ანროთობენ.

დროს დაეძვნა დეიდა ელენე

გარდაიცვალა დეიდა ელენე –
თითქოს სიკვდილმა გამოაღვიძა,
დაფეთებული გამოვარდა ძილ-ღვიძილიდან.
ნასულიყო სიყმანვილე –
დედის კალთაში ჩამთბარი ელი-ელენე,
ნასულიყვნენ სიმღერები და თამაშობები –
პატარა ელი რომ მღეროდა და თამაშობდა;
ნასულიყო პატარძალი ელენე –
სილამაზით და სიყვარულით განათებული;
ნასულიყო ქმარიც, მჭედელი თედო –
სულ რკინის სუნი რომ ასდიოდა,
თავის ბუდეს რომ არწივივით დასტრიალებდა;
დაცლილიყო „ელენეს ქალაქი“, –
ალარც მერცხლები იყვნენ,
თბილ ქვეყნებისკენ გაფრენილიყვნენ.
... მოკვდა კი არა, გამოიღვიძა –
თითქოს სიკვდილმა გამოაფხიზლა,
დაფეთებული გამოვარდა ძილ-ღვიძილიდან
და უკვე ნასულ დროს დაედევნა –
თავისებური, საქმიანი ნაცუხცუხებით.

ბიჭიკა ქურხული

შენ ისე მოჰკვდი,
გრიგალი რომ ჩადგება ხოლმე,
დაგასაფლავებს, როგორც გრიგალს ასაფლავებენ
უკიდევანო ტრამალები და დიდი მთები.

თუმცა... არც მთები, არც ტრამალები –
ჩვეულებრივი საფლავი გეყო,
შენ და მედოლე ილარიონას
გვერდიგვერდ გერგოთ ძვალშესალაგი –
მანდაურ წყვილად და აქედან წაღებულ სევდას
ილარიონი გაგიქარვებს დოლის ბრახუნით.

ხეობა

ეს ხეობა ჩვენი ხეობაა –
ჩემი და სალომეს ხეობა.
ის ჩვენ შეეკმენით, ჩვენ დავთესეთ ეს ყვავილები,
ჩვენ გამოვკვიდეთ ამ ხეებზე მწვანე დროშები.
ჩვენ აქ ვართ – კეთილ მდინარესთან და კეთილ
მთებთან,
თბილ ქვეყნებიდან გუგულისგან მოტანილ ხმებთან.
ეს ხეობა სალომეს ხეობაა.
თუ ყურს დაუგდებთ, გაიგონებთ სალომეს სიცილს
და დაინახავთ სალომეს თმებს, სალომეს კაბას;
ეს ხეობა ჩვენი ხეობაა,
ჩვენ ისევ აქ ვართ, აქ ვიქნებით სამარადისოდ –
ვერ დაგვამარცხეს, ვერ გაგვდევნეს ამ ხეობიდან.
აქაა ჩვენი საფლავებიც,
ძეგლად კი ფოთოლგაცვენილი ალვისხე გვადგას –
ზოგჯერ ზედ ჯდება ქედანი და ვერც კი გაიგებ,
მღერის, თუ ტირის...

ქვისაუბრები ნიბლიას – 1992 წელი

ჩაგძინებია ნიბლიავ,
ჩამოგიქროლებს ალალი
და ქარში გაიფანტება
ეგ შენი ბუმბულ-დალალი,
არ არი შენი საშველი,
ჩემი საშველიც არ არი...

მეც ჩემი წერა-მწერალი
მომდევს და კლანჭებს მიღერებს,
მოქშუის, მყრალ სუნს მოანჩქრევს
და სადაცაა მიყვლებს,
ვერც სპილენძის ფარს ვიფარებ
და ვერც კლდეკარის ციხეებს.

მე ტყვიის ზუზუნს გავყვები,
შენ წახვალ ქორის ნივილზე,
ერთ ველზე დავიხოცებით,
ერთად დავგხედავს ცივი მზე,
შენ შენს დარდს ჩამოაკვნესებ
და ფრთას დამაფენ ტკივილზე...

მე ვინ ვარ?!

აკი თქვეს! – უსაზღვრო არის
სიკვდილის ხელგაშლილობა.
მე ვინ ვარ?! – ჩემზეც ვრცელდება
სიკვდილ-სიცოცხლის ცილობა.
მე ვინ ვარ, თან რომ არ წამყვეს
თანწასაყოლი ჭრილობა?

...
თითქოს ის დღე და ის საათი ნაღმებზე აფეთქდნენ –
სამინელი ხმით დაიგრგვინა შენმა ამბავმა:
ზღვამ წაგიყვანა, ზღვამ შეგირთო, ზღვამ ჩაგიხვია,
ზღვა იქცა შენად აღსასრულად, შენად სამარედ.
„შენ გათხოვება გავიგე, სამჯერ მოვკბიჩე მინასა“ –
ასე ამოიმღერ-ამოიტირა ერთმა მეღვინემ თავისი ბედი.
ადრე ვფიქრობდი – რა მაგრად უთქვამს-მეთქი;
ახლა კი ვფიქრობ – რა მწარედ უთქვამს!
ძალიან მწარედ!

...
აკი თქვეს! – უსაზღვრო არის
სიკვდილის ხელგაშლილობა...

ტკივილი – 1994 წელი

როცა მარტო ვარ, მარტო არა ვარ –
მეორე ჩემი ტკივილი არი;
როცა ორნი ვართ, მაინც სამნი ვართ –
მესამე ჩემი ტკივილი არი;
როცა სამნი ვართ, როცა ოთხნი ვართ...
ჩემთან ყოველთვის ტკივილი არი –
გაუცვეთელი, აღმასივით ბასრი ტკივილი,
ჩემი მომავლის გზების მზვერავე,
ჩემი ცრემლების შემგროვებელი;
ჩემთან ყოველთვის ტკივილი არი –
როგორც ძალიან ერთგული და ფრთხილი ნაგაზი.
ის შემომყურებს თვალებში და დუმილით ამბობს:
– არ მოდუნდე და არ მოჩლუნგდე, არ გაიღუნო,
არ გაგიმრუდდეს, არ ჩაგიტყდეს თვალის ისარი
და ბედისწერის დარტყმები არ გამოგეპაროს!
... ჩემთან ყოველთვის ტკივილი არი –
როგორც მთა ნისლთან,
ძალდი – ძაღლთან,
ცეცხლი – შემასთან!

... გადაგაფარო სისხლზე ფოთლები

შენ ვერ მიშველი, ამ ომში ვერ მომეხმარები! –
მე ჩემს თავს ვებრძვი.
შენ შორს ხარ, როცა აჩრდილები მასამართლებენ
და ხანჯლებივით მიქნევენ მზერას.

შენ ვერ მიშველი, ამ ომში ვერ მომეხმარები
ისევე, როგორც ხეს ვერავინ მოეხმარება –
გააფრთხოს მეხი, აარიდოს ელვის ქამარი.
შეძლებით მხოლოდ ეს შეგიძლია:
მომეპატრონო გზაზე დაცემულს,
ამომაცალო შხამიანი ისარი ძვლიდან,
რომ არ დაფრინდეს სისხლზე ყორანი –
სიკვდილის მაცნე, შორს მხედველი, სისხლის მდევარი.
ეს შეგიძლია,
მადლობთ ამისთვის –
თუ ამომადრობ შხამიან ისარს
და ჭრილობაზე დამაფარებ ცრემლიან თვალებს.

მე იქ მიყვარხარ

მე ფიქრითაც ვერ შევწვდები ცა-ვარსკვლავეთის
საუფლოს,
რა ვიცი, რას წერს უფალი ან რა ენაზე საუბრობს?!
და მაინც, მინაზე მეტად, ახლობელია ცა უფრო.
... მე იქ მიყვარხარ – ზევით, სულ ზევით,
სადაც არც ვინმეს თვალია და არც ვინმეს ყური,
არც ვინმე ვინმეს განსასჯელად აღერებულა...
მე იმ სიმარტოვეში მიყვარხარ –
როგორც არწივებს უყვართ არწივები,
როგორც ვარსკვლავებს უყვართ ვარსკვლავები,
როგორც ქარებს უყვართ ქარები.
მე იქ მიყვარხარ – ზევით, სულ ზევით,
სადაც ქარია და ღრუბლებია;
სადაც ისინი არ არიან, ვინც ვერ გაიგო,
რომ სიყვარული თვითონ მოდის, თავისი ნებით
და ის ჩვენს ნებას არასოდეს ემორჩილება.
...
და მაინც მინაზე მეტად, ახლობელია ცა უფრო.

ჯონჰა ხაღური

ტანჯვისთვის იყო დაბადებული.
მიდიოდა და ღრენა-ღრენით მისდევდა ქარი.
მიდიოდა და მისჩხაოდნენ შავი ღრუბლები.
ვერც სეტყვა გაძღა ჯონქას თავზე ჩამოხვავებით
და არც წვიმები დაილაღნენ მისი წამებით.
ამოყვირებული კაცი იყო ჯონქა ხაღური,
სიმართლე ვულკანივით ამოსკდებოდა ხოლმე მისი
პირიდან –
სიმართლე კი... მოგესხენებათ, რა მტრიანი ვინმეა! –
აი, ამიტომ ებრძოდნენ ჯონქას:
თავმჯდომარეც და ხევისბერიც,
მექალთანე ლადიმერაც და ხელმრუდი კოტიაც,
მილიციელიც და მოსამართლეც...
ულრენდა და ჰკბენდა ჯონქა,

ულრენდნენ და ჰკბენდნენ ისინიც,
ებრძოდა და ებრძოდნენ.
ამოყვირებული კაცი იყო –
ამოყვირება ვერავინ ვერ მოაშლევინა.
... და ბოლოს – ნეტავ როგორ შეხვდნენ ერთიმეორეს
ის და სიკვდილი?
მაინც მგონია, რომ თვითონ ჯონქა
გაინეოდა სიკვდილისკენ, როგორც მხსნელისკენ
და გატანჯულ სულს უტანჯველად ჩააბარებდა.
სიკვდილიც შემოხვევდა ხელს და ეტყოდა:
მოდი აქ, შვილო, ეგრე ვინღა გაგიმეტაო,
რა ჭრილობებით სავსე გული მოიტანეო?!

განდევნილები

ლამე ჩვენია – ჩემი და შენი
და მშობლიური ქალაქიდან განდევნილები
შორს, ღამისეულ სივრცეებში ვხვდებით ერთმანეთს.
...
ჩვენ უკვე ვიცით, ლამე მხოლოდ ლამე არაა –
ამ ღამეებში გიგანტური ქარების გმინვა
და კოსმოსური სივრცეების გუგუნის ბუდობს.
ახლა ჩვენია ეს ვეება მიუსაფრობა,
მხოლოდ ჩვენ ვიცით გზის გაგნება ამ ნისლეულში,
მხოლოდ ჩვენ ვიცით, რა ჩურჩული ისმის ამ ტყეში –
ვინ ვის მიელის,
ვინ ვის უხმობს,
ვინ ვისთვის კვდება...
ჩვენია ლამე და ჩვენც ღამის ბინადარი ვართ –
მძიმე, სევდიან ვარსკვლავებად ვკიდევართ ღამეს;
– მე შენ მიყვარხარ! – ჩემი ხმაა ცათა გუგუნში,
– მე შენ მიყვარხარ! – ქარების ხმით მეპასუხები.
...
ლამე ჩვენია – ჩემი და შენი
და მშობლიური ქალაქიდან განდევნილები
შორს, ღამისეულ სივრცეებში ვხვდებით ერთმანეთს.

ხავისბერის დაბრუნება

მე მას ყოველთვის ხატის კარზე ვხედავდი –
ყამთან ნაბრძოლი ლოდების და ხეების გვერდით,
ცალ ხელში სანთლით, მეორეში კი – ხატის ალმით.
ის თითქოს ცის და დედამიწის საზღვარზე იდგა –
ცად ამართული, ცად ასული, ციდან მზირალი;
მაღალზე მაღალ სიმაღლიდან ილოცებოდა,
თითქოსდა ცაზე კითხულობდა, რასაც ამბობდა.
ცა ვარსკვლავების, ღრუბლების და ქარებისაა
და ხევისბერსაც ცით ჩამოჰქონდა
მთვარის წკრიალი, ცის ამბავი, ღრუბლის ნათქვამი.
ზარის ხმას ჰგავდა, ზარივით თრთოდა,

თითქოსდა მხოლოდ ხმა იყო იგი –
 ზეცის ძახილი, ღრუბლების კვნესა, მიწის ვედრება.
 ... და როცა ჩვენი ხევისბერი გარდაიცვალა,
 ის კი არ მოკვდა, ციდან დაბრუნდა.
 და უცებ გახდა მთლად აქაური –
 გასვენების დროს ეს შევამჩნიე:
 უფლის და მიწის სუნი ედო პაპაჩემივით
 და გაცვეთილი ქალამნიდან თითი უჩანდა.

**ლიდელთ ბაბალას
 ხმითნატირალი**

ქალი ტიროდა ქმარს, რომელსაც თავი მოეკლა:
 – ნეტავი ეგრე შეშინებული და გაქცეული არ დამენახე,
 ნეტავი ეგრე ენაგადმოგდებული
 და შეგინებულ-გალანძლული არ დამენახე,
 ნეტავი მაცილისგან ეგრე ნათრევი არ დამენახე
 და ისევ მგლის ჯოგს შეეჭამე ნაწილ-ნაწილად,
 ან წყალსა და ცეცხლს დარჩენოდი,
 თოვლს ჩაენთქი ან მიწის ზვავი წამოგნეოდა,
 ნეტავი შენს შვილს ესროლა შენთვის
 ანდა შენს ძმებს და ბიძაშვილებს შემოჰკვდომოდი!..
 ვტირი და ცრემლი მენანება,
 შენ არ ხარ ჩემი ცრემლების ღირსი! –
 უცრემლოდ ვტირი.
 ეშმაკთან წადი, ქაჯთან წადი, მაცილთან წადი! –
 ასე ჩასძახა ლიდელთ ბაბალემ
 თავის მეუღლეს, რომელიც ღამით
 მართლა მაცილის გზას დასდგომოდა –
 გაპარულიყო სახლიდან და თოკი წაელო...
 ახლა კი ხიდან ჩამოსხნეს და ძირს დაასვენეს.
 ქალმა იცოდა გაცივებულ კაცს ვერ შესძრავდა
 ცივი სიტყვების ცივი ნაკადით –
 ის ახლა მხოლოდ ცოცხლებისთვის ლაპარაკობდა,
 მათ აფრთხილებდა:
 აგერ, მაცილი!
 მისი კვალი და მისი სუნი,
 ყური დაუგდეთ, აქ მაცილის ფეხის ხმა ისმის!..

მგლისა და ბაბოს გაბაასება

შუაზამთარში, შეღამებისას,
 სოფელში მარტოდ დარჩენილ ბაბოს
 ჩირდილის მგელმა გამოჰყმუველა საჩირდილოდან.
 გაეპასუხა გაბრიელიც:
 – ეჰეჰე, აქ ვარ, ჩირდილის მგელო,
 შენც შეგანუხა თოვლმა და ყინვამ?
 შენც შემოგეჭრნენ შიმშილი და მიუსაფრობა?
 კვლავ სევდიანად გამოჰყმუველა ჩირდილის მგელმა –
 მგლის ენა გაბომ ასე თარგმნა თავის ენაზე:
 – ჰო, ძნელი გახდა თავის გატანა,

ალარც ძვალა ახლა სადმე, არც პურის ქერქი
 და არც დაცემულ საქონლის ლეში;
 სოფელი მოკვდა, გზებზე ახლა მხოლოდ თოვლია.
 – ეჰ, მგელი ხარ და აჯანყებულ მუცლისთვის ჰყმუი,
 მე კაცი ვარ და სხვა რამ ჭირი მეჭრება ფიქრში –
 რომ მოვკვდე, ჩემი დამმარხავი არავინ არი,
 მღრღნელებს დარჩებათ ჩემი ძვლები
 გამოსალრღნელად...
 ამით დასრულდა საუბარი. მგელი გაჩუმდა.
 იმ ღამეს მგელი დაესიზმრა – მტირალი მგელი,
 ინვა ეხში და დასდიოდა მსხვილი ცრემლები,
 ცოცხალ გაბრიელს და მკვდარ სოფელს ტიროდა
 მგელი.
 ... დილით ვარცლიდან ამოიღო მრგვალი პურები
 და დააგორა საჩირდილოს მიმართულებით:
 – აჰა, შეჭამე პური, მგელო, ჩვენ ორნი დავრჩით,
 და მევალეა ამ მძიმე ჟამს შემოგეშველო...

**ბაბოს ზარნაშო, პაპა გიგია და
 დიდგორული ქარიშხალი
 გაესაუბრნენ**

მამალი აღარ ყიოდა, ეტყობა, მოკვდა.
 ძალი აღარ იყეფებოდა, ეტყობა, მგლებმა შეჭამეს.
 კვდებოდა გაბო – უკანასკნელი მკვიდრი სოფლისა.
 თოვლმა ამოქოლა სარკმლები
 და ავადმყოფმა აღარ იცოდა – გარეთ დღე იყო თუ
 ღამე იყო.
 სიბნელითა და დუმილით ჰქონდა გამოტენილი პირი
 და მზერა.
 ავად იყო – ავი დევი ბობოქრობდა მის გულ-გვამში
 და გარეთ დევნიდა გაბრიელის სულს.
 სიცხისგან გათელილ ავადმყოფს ზარნაშომ
 შემოჰკვივლა...
 კიდევ და კიდევ გამეორდა შემოკვივილი.
 გაბო მიხვდა, რომ მას ზარნაშო კი არა,
 სიკვდილი შემოჰკვიოდა:
 – ნუ გეშინია, შენკენ მოვდივარ,
 მე გამოგიხსნი მაგ სიბნელიდან!..
 ზარნაშო რომ მიჩუმდა,
 ახლა ოცი წლის წინათ გარდაცვლილი პაპა გიგია
 გამოელაპარაკა:
 – ჰკვდები გაბრიელ?..
 აბა, შენ იცი, კაცურად მოკვდი!
 ტან-ფეხი გაშალე, სახე დაილაგე,
 სიკვდილს მოკუნჭული და ელდანაჭამი ნუ დახვდები!
 დაუმარხავი არ დარჩები. გზა გაიხსნება –
 ან მონადირე ჩამოვივლის, ანდა შვილები მოგაკითხავენ.
 სახლის კარები მაგარია, მანდ ნადირი ვერ
 შემოაღწევს...
 ... მერე დიდგორის ქარი გამოელაპარაკა გაბრიელს,
 მაგრამ ქარს უკვე აღარავინ უსმენდა...



ბელა ჩეკურიშვილი

ჩინური სიმღერა

ძაფზე ვკიდევარ ქალაქის ჩიტად
და სასწაულის მოხდენას ველი.
და სულ ერთია, ვიქნები ციდა,
თუ გაჭიმული ერთი მტკაველი,
მე ამ ყუთიდან გაფრენა მინდა
და ჩემს სურვილზე ყოველდღე ვმღერი.

ნუ მიმატოვებ, უფალო, როცა,
პატარა ნისკარტს მივმართავ მზისკენ,
არ მახსენდება არც ერთი ლოცვა,
თვალდახუჭული მივყვები სიზმრებს,
აქ, კუთხეში რომ ობობა ცოცავს,
ისიც კი, თითქოს, მონყალედ მიმზერს.

ჯერ არ მინახავს არც ერთი ფერი,
ზეცის ლაჟვარდზეც მხოლოდ მსმენია,
როცა გაცრეცილ ფარდას შევცქერი,
იმ სივრცეებზე ვფიქრობ დღენიაგ,
სადაც ტყეებში პატარა ჩიტებს
ხის ბუდეები ჩაუფენიათ.

ხანდახან ვხედავ, კედელზე ჩრდილებს
როგორ ატოკებს ორპირი ქარი.
ქალაქის ფრთებზე დამივლის თრთოლვა,
ქალაქის გულში გაჩნდება ბზარი,
რომ ყოფილიყო ეს ძაფი ცვილის,
რომ ყოფილიყო ცვილი დამდნარი...

ზღურბლზე

ქალი:
ჩემი შეღებილი თვალები და ღიმილი,
გადახსნილი მკლავები და საკინძე,
გულზე ჩამოგანყდები ღილივით,
ვინმე მიპოვის და... გამიძლებს.
შენი ნასროლი სიტყვები და ისრები,
კევრში შესაბმელი ხარები და საცოლე,
სანაახელი ყურძნით რომ ივსება,
ფეხით შედგები და... დანურავ!

კაცი:
ჩემი გადავლილი ჭიუხი და კლდეები,
მზისთვის შენირული ვერძები და ხარჯიხვი,
მკლავზე დაკრული დოლაბი,

ჭოროხის ტალღებში ჩახვევა.
შენი ჩამქრალი ბუხარი და სანთელი,
დევების ცოლობა და ქორნილი,
და როდის იყავი მართალი,
უერთგულესი და მორჩილი?!

ქალი:
შენთვის ჩამოშლილი თოკი და ნაწნავი,
ნალალატევი სახლი და მშობლები!
მოილხენდი და კოცონზე დამწვავდი,
მოინყენდი და მტოვებდი...

კაცი:
შენთვის აგებული კოშკი და ტაძარი,
მოგებული ბრძოლა და ომები!
მოილხენდი და კოცონზე დამწვავდი,
მოინყენდი და მტოვებდი...

ქალი:
მე მაინც შენამდე მოვედი!

კაცი:
მეც ხომ შენამდე მოვედი...

* * *

მტრედად და ძერად და ხოჭოდ და ყვავილად,
აქლემის კუზად და აფთარის ბრჭყალებად,
ტურების კივილად, ბატკნების ბლავილად,
ღვარცოფს და ქარიშხალს თავს რომ აფარებდა,
შიშად და ტკივილად, ცოდვად და სასჯელად,
პურად და ღვინოდ და თივად და ქერად და
სიცხედ და ნესტად და ბორბალზე დამსჭვალულ
ნალად და ტყავებად, ჟამი რომ ქელავდა,
კიდობანს მოვდევედი
სამი მეოთხედი ღმერთების სისხლი და
წყალი და ცეცხლი და მინა და ჰაერი,
ნაკვალევს ვტოვებდი ქვაში და ცისკრისას
ვგალობდი, მჯეროდა, ვინმე ჩემნაირი,
ქვამად და თევზად და მარჯნად და მედუზად,
ზღვებად და ტბებად და წყაროდ და ჩანჩქერად
სიცოცხლეს იკრებდა დაშაშრულ სხეულზე
და გადარჩებოდა.
და გადამარჩენდა.

ალთქმული ძვეყანა

რეზოს, რომელიც ვერ ნავიდა

მიდიხარ
და წასვლა ისე საჭიროა,
გული გვიფართხალებს
და კედლებს ვასკდებით.
სხვა არის გადასვლა აქვე, საჭოროად,
ანდა შესაძენად პურის და საკვების.
მიდიხარ
და ვრჩები მოცვლილი კბილივით,

ანდა გაზეთივით,
 გუშინ რომ ვარჩევდით
 და ვიცით,
 წასვლა ისე საჭიროა,
 არასდროს ვინანებთ, თუნდ მებათასედით
 გამართლდეს ეჭვები...
 მიფრინავ
 და ვიცი, მინატრებ ფრენისას,
 რომ ალთქმულ მინაზეც მე მოგენატრები,
 ქუჩაში ხუჭუჭა გოგოს რომ შენიშნავ
 წითელი კაბით და წითელი ბანტებით.
 გაცილებ
 და ისე ხმამაღლა ვიციანი,
 თითქოს დედამინა შუაზე იყოფა.
 ვხვდებით,
 ერთმანეთი რომ გადავარჩინეთ
 ამ წასვლით
 და აღარ გვჭირდება
 სიტყვები.

* * *

მითხარი რამე შარაგზების სიმარტივეზე,
 სიარულით რომ იღვევა მხოლოდ.
 ვერ გამოგყევი,
 ვერ ვაქციე ქალაქებს ზურგი,
 ვერ გავიძარცვე ძველი სამოსი,
 ვერ ვიფიქრე ფრინველთა და ყვავილთა მსგავსად,
 ვერ გავბედე დაკაკუნება დაგმანულ კარზე,
 ვერ დავიჯერე რომ გამიღებდნენ,
 შიშველ ქვაზე ვერ დავდე მაღლი,
 უგნური ვიყავ,
 სადუკეველთა მოდგმა-ჯილაგის,
 ღვარძლად იქცა ჩემს ბაგეზე ნათესი იფქლი,
 ვერ გამოგყევი,
 კოჭლი ცხვარივით ჩამოვრჩი ბილიკს
 და ვიდრე ტყის პირას
 ჩასაფრებული მგლების წყვილი ორად გამგლეჯდეს,
 მითხარი რამე შარაგზების სიმარტივეზე,
 მაპოვნინე ლოდებქვეშ წყარო...

ჰანდეგის ოჯახი

ცოტნეს

ჩვენმა სიყვარულმა,
 ერთმანეთის მიმართ სწორხაზოვნად რომ ვრცელდებოდა,
 მხარი იცვალა
 და სადღაც, მესამე წერტილში შეერთდა.
 იქიდან ახლა პანაწინა პანდა იცინის
 და ითხოვს:
 ჩემს ძილსა და სიზმარს,
 შენს ფიქრს და ღვიძილს,
 ჩვენს მოგონებებს გეთსიმანიის ბაღზე
 და თვითონ ბაღსაც,

ითხოვს ყველა ლექსს შენგან დაწერილს
 და მერე ადგილს იმ ლექსებში,
 და ყველა სიტყვას,
 აქამდე მხოლოდ ერთმანეთისთვის რომ ვიმეტებდით,
 და ყველა ნაბიჯს,
 რასაც კი დავთვლით არყოფნიდან დასასრულამდე...
 და მაშინაც კი,
 როცა უხმოდ მოვდივარ შენსკენ,
 ხელისგულები შენს მხრებზე რომ ჩამოვასვენო,
 თვალები ისევ იქით გამიბრის,
 იმ წერტილისკენ,
 ჩვენი სიყვარული სამკუთხედად რომ გადააქცია.

ამირანთან

*წელს მყინვარწვერზე მოწყობილ
 ალპინიადაში 9 ქალი მონაწილეობდა*

იდუმალ ნისლებში,
 ქარსა და თოვასში
 ქალები მყინვარზე
 მიდიან, მიდიან...
 ნაპრალებს ავსებენ
 მზერით და სიცილით
 არ აფრთხობთ სიმალლე
 და კლდოვან მწვერვალებს
 დღეს მათი რიდი აქვთ...
 მუხლებით ამსხვრევენ
 ყინულზე ბილიკებს
 და სიკვდილ-სიცოცხლეს
 ფრჩხილებით ჰკიდიან,
 ჯიუტი კივილით,
 თოკებში ჩაბმულნი,
 ქალები მყინვარზე
 მიდიან, მიდიან...
 ნაკვალევს წითელი
 ვარდებით ნიშნავენ,
 ჩუმი და სასტიკი
 ბრძოლა გაუმართავთ,
 იციან,
 ავია ბებერი მყინვარი,
 მაგრამ აივლიან,
 რადგანაც ქალები,
 რადგანაც ქალები,
 მიდიან
 ამირანთან!
 ტრიალებს ნამქერი
 და მთებიც ტრიალებს,
 ეს მდებრთა ლოცვაა,
 შუქად რომ გაიფანტა,
 მათ სურვილს ვერავინ,
 ვერვინ შეარყევს
 და ავლენ,
 ავლენ,
 ქალები
 ამირანთან...

ლელა კოდალაშვილი

ზომიერი ტრანსცენდენცია

ბელა ჩეკურიშვილისათვის საკუთარი ლექსები რეალურ ყოფაში პერიოდულად დაკარგული და უამიდან უამზე მოძიებული ვირტუალური თავშესაფრებია და ამიტომ უპირველესად ერთი მიზანი ამოძრავებთ — როგორმე ჩაეტიონ ჩვეულებრივობაში და არამც და არამც არ გააარანორმალურდნენ; რადგან თავშესაფარი მყარი, აპრობირებული მასალისგან უნდა იყოს ნაშენი, სხვაგვარად ვერ დაიცავს ქარისგან და ყინვისგან. ეს რეალობა ყოფაში ქაოტურად გაფანტული აბსტრაქტული ფსევდო„ქოხების“ პოეზიაში კაპიტალურ „შენობებად“ დაბრუნების მცდელობაა, რათა გამოსავალი იპოვოს, რათა შეეფაროს და გაირინდოს, რათა, უბრალოდ, დანაიდების შრომით ტკბობა განიცადოს და მეტი იქნებ არც არაფერი სურდეს...

მაშ, რა ხდება, რა არ ასვენებს ახალგაზრდა პოეტ ქალს? და ალბათ დროა, ვიფიქროთ — საკუთარი ინდივიდუალიზმი და სუბიექტივიზმი, ფსიქოლოგიურ წვდომათა პანანინა, მაგრამ მისთვის მნიშვნელოვანი შედეგები, ერთი შეხედვით მარტივი, თუმცა კი „სისხლით“ მიღწეული პასუხები, რომლებიც იქვე ბადებენ კითხვებს და, რაც მთავარია, სიყვარულის აბსოლუტურობის იდეისკენ სწრაფვა, რომლითაც გაჯერებულია ყველა მოაზროვნე ადამიანის სიცოცხლის გზა.

ბელას ლექსებს ერთგვარი კათეხიზმური მელოდია გასდევს — ღმერთი სუფევს ყველგან და ყოველთვის, მაგრამ არა როგორც გამოსავალი, არამედ როგორც პრობლემა იქამდე ვერმისვლის, უამრავი დაბრკოლების ვერგადალახვის, ინფანტილური უმწიბრობის განცდა.

თოვზე ვკიდევარ ქალაღის ჩიტად და სასწაულის მოხდენას ველი, და სულერთია, ვიქნები ციდა, თუ გაჭიმული ერთი მტკაველი. მე ამ ყუთიდან გაქცევა მინდა, და ჩემს სიმღერას ყოველდღე ვმღერი.

უნდა თუ არ უნდა ადამიანს, მისდაუნებური ღმერთისმადიებლობის გზას ადგას მისი აღიარებითა თუ არსებობის უარყოფით. ღმერთის არსებობის კოსმოლოგიური დასაბუთების მცდელობაა ჩვენი ყოველი ნაბიჯი და თუნდაც ბელა ჩეკურიშვილის ლექსებში გაელვებული ქურუმები თუ ბრაჰმანები, რომლებიც იქნებ ავტორისგან მალულად ამრამებში საკულტო წესებსაც კი ალასრულდებენ, მაგრამ იმ მთლიანობის იდეისკენ ისწრაფვიან. რაც უფრო უყვარა ადამიანს შესამეცნებელი ობიექტი, მით მეტი სურვილი აქვს, გაუმხილოს მას მუდმივი მეტამორფოზების და ზრდის ფონზე დაგროვილი საკრამენტები, თუმცა გაყალბებული ფრაზებიც გაიჟღერებს ხოლმე.

მითხარი რამე შარავების სიმარტივეზე, სიარულით რომ იღევა მხოლოდ. ვერ გამოგყვები, ვერ გავიძარცვე ძველი სამოსი, ვერ ვიფიქრე ფრინველთა და ცხოველთა მსგავსად, ვერ ვაქციე ქალაქებს ზურგი, ვერ გავბედე დაკაკუნება დამგანულ კარზე, ვერ დავიჯერე, რომ გამიგებდნენ, შიშველ ქვაზე ვერ დავდე მადლი, უგნური ვიყავ... სადუკველთა მოდგმა-ჯილაგის...“

და აქ თორის მრავალრიცხოვანი მცნებების განხილვას არც აპირებს ავტორი, სადუკველები „ტრადიციის“ გამო გაილევებენ მხოლოდ, ტრადიციის — არ დაეპნეს რელიგიური „სანელებლები“. ეს არის მისი ერთგვარი დპარმის პრინციპი, მორჩილების ეთიკა. ამ ქუდექვეშ თავს უფრო დაცულად გრძნობს, იმდენად დაცულად, რომ ხანდახან არ გაურბის, შექმნას ერთგვარი ტრადიციული „რეპი“.

შიშად და ტკივილად, ცოდვად და სასჯელად, პურად და ღვინოდ და თივად და ქერად და სიცხედ და ნესტად და ბორბალზე დამსჭვალულ ნალად და ტყავებად უამი რომ ქელავდა... კიდობანს მოვდევი...

ეს მისთვის ახალი სტილია, თუმცა კი არანორმალურობისგან თავდასაცავად არქაიზებული. რატომ უფრთხის ბელა ჩეკურიშვილი მკითხველის ყურადღების მიპყრობას, რატომ ცდილობს, არ ააფორიაქოს ლიტერატურისმოყვარული საზოგადოება და დარჩეს შეუმჩნეველი, ამასთანავე ვერ დაფაროს დიდი სურვილი — გადმოგვიშალოს თავისი ალქმები, რომელსაც სისადავისა თუ მოკრძალებულობის გამო ხშირად იწონებ, ხანდახან შეიძლება იწუნებ კიდევ. ალბათ ეს არის ქალის ის მოკრძალებული ტიპი, რომელიც ახალი, მკვეთრი ფერის კაბით პირველ დღეს რიდით გადის ქუჩაში, ძირითადად კი გავრცელებული ფერები ურჩევნია, რათა შეუმჩნეველად შეერიოს ხალხს. ბელა ჩეკურიშვილი იშვიათად „იცვამს“ მკვეთრი ფერის „კაბებს“, აკეთებს გრძელვადიან პაუზებს და ალბათ ამიტომ დიდი ხნის მერე ყოველი გამოჩენა უჭირს. პოეტური სითამამე მხოლოდ „კორვალოის“ დოზირებული წვეთებია მისი მკითხველისათვის. ზომიერი ტრანსცენდენცია — აი, ბელას პოეტური კრედიო თუ ამოსავალი ნერტილი, რელიგია, მითოლოგია, მისტიციზმისკენ სწრაფვა, სიყვარული, ნაპოვნი თუ ვერნაპოვნი პასუხები მარადიულ თემებზე და სპონტანურად შემოჭრილ პრობლემებზე, კითხვებზე... კითხვებზე... ეს ყველაფერი კი მთლიანობაში მოზაიკაა, ათასგვარი ფერადი კენჭით აჭრელებული, რომელიც ერთ, მთლიან ფიგურად ქცევას ლამობს, მაგრამ, რა თქმა უნდა, განწირულია სრულყოფილებამდე ვერმიღწევისთვის.

და მაინც, რა ანუხებთ ქალებს? რა ანუხებს კონკრეტულად ბელა ჩეკურიშვილს როგორც პოეტს, როგორც ქალს, როგორც ადამიანს ცნობიერი ანმყოთი, რომელიც თავის თავში არაცნობიერ მომავალს და კიდევ უფრო არაცნობიერ წარსულს გულისხმობს, რა არის მისი პოეტური მისია და ამ ყოველივე ზემოთაღწერილის ფონზე მიზანი და, თუ გნებავთ, კარმული „ვალი“ სამსარას ჯაჭვზე? ალბათ ის, რაშიც ძალიან ცოტანი თუ ვუტყდებით საკუთარ თავს, ხშირად არ გვშველის არც სარკის წინ ხანგრძლივად დგომა, არც ფიზიონომიური სიმშველე, არც სექსუალური სწრაფვანი და შემდეგ ამ ყველაფერზე ინტელექტუალური სჯა-ბასი. ეს სწორედ ის არის, რაც ვერ ვაპატიეთ ერთმანეთს მამაკაცმა და დედაკაცმა კოსმიური ტრავადიის პირველშედეგიდან მოყოლებული დღემდე. ამ ურთიერთვერგანხორციელებულ „ბოლმას“ დღემდე ვინახავთ გულის კუნჭულში.

ეს არის დაკარგული სამოთხის გამო ნოსტალგია, მდგმურობისა და მსხემობის ქვეყანაში ვერდამკვიდრების ტოტალური განცდა, ქალისა და კაცის მარადიული ქიშპობა აბსოლუტური სიყვარულისკენ მიმავალ, ანუ ღმერთთან დაბრუნების მცდელობის გზაზე.

ალბათ ამ იდეალისთვის ღვრიან „ცრემლებს“ ბელას ლექსებიც, ალბათ ამიტომ მოგვწონან კიდევ, ყველა იმ ზემოთგანხილულ-ჩამოთვლილი პრინციპების არსებობისა თუ არარსებობის მიუხედავად...

მეამბოხე საგანი


ზუსტად ორი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩრდილოეთ საფრანგეთის პატარა ქალაქ ონფლერის ერთ-ერთ კლინიკაში გარდაიცვალა 70 წლის „დიდი ფრანსუაზა“, როგორც თვითონ უწოდებდა თავის თავს. იგი დაიბადა, როგორც ჩვეულებრივი ფრანგი გოგონა ფრანსუაზა კუარეზი 1935 წლის 21 ივნისს და გარდაიცვალა 2004 წლის 24 სექტემბერს, როგორც საყოველთაოდ ცნობილი მწერალი ფრანსუაზა საგანი.

კიდევ ერთხელ დადასტურდა ძველი ჭეშმარიტება: მწერალი კლასიკოსად რომ იქცეს, ჯერ უნდა მოკვდეს. ფრანსუაზა საგანმა ეს თვალნათლივ დაამტკიცა. მის არც ერთ წიგნს წილად არ ხვდომია ასეთი გამომხაურება. ფრანსუაზა საგანს თავისი ხანგრძლივი ლიტერატურული ცხოვრების განმავლობაში არც ერთი პირველხარისხოვანი პრემია არ მიუღია, ის არც ერთი ორდენით არ დაუჯილდოებიათ, თუმცა საფრანგეთში უამრავი პრემია და ორდენი არსებობს. ბოლო წლებში მისი შემოქმედება საერთოდ არავის გახსენებია. სტატიები მის შესახებ მხოლოდ ყოფითი ქრონიკის გვერდებზე ქვეყნდებოდა. მკითხველს დანერვილებით მოუთხრობდნენ მის კონფლიქტებზე საგადასახადო სამსახურებთან, ცუდად იხსენებდნენ მის მეგობრობას პრეზიდენტ ფრანსუა მიტერანთან.

სულ რამდენიმე დღე იყო გასული მწერლის გარდაცვალებიდან, ვინც ყირაზე დააყენა თავისი ქვეყნის ზნეობრივი პრინციპები და უცებ აღმოჩნდა, რომ ის ფრანგული ლიტერატურის კლასიკოსია. რამდენიმე საათში შეამბოხიდან და საზოგადოებრივი მორალის დამრღვევიდან ის საკუთარი, განუმეორებელი სტილის შემქმნელად იქცა ლიტერატურასა და ცხოვრებაში. პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა განაცხადა: „საფრანგეთმა დაკარგა უბრწყინვალესი და ყველაზე ემოციური ავტორი...“; ხოლო პრემიერ-მინისტრმა დასძინა: „მილიონობით ფრანგი დღეს უდიდეს მწუხარებას განიცდის“. ფრანგული პრესა აჭრელდა განცხადებებით იმის შესახებ, რომ ამქვეყნიდან წავიდა მწერალი, რომელიც თანამედროვე საფრანგეთის სიმბოლო იყო, რომელსაც კარგად უჭრიდა ირონიული და ზუსტი კალამი, რომელიც გამოირჩეოდა განსაკუთრებული აზროვნებით. „ქვეყნის ცოცხალი ლეგენდის“ გარდაცვალების გამო თითქმის ყველა ოფიციალურმა პირმა ვალდებულად ჩათვალა თავი, გამოეთქვა საკუთარი აზრი...

ფრანსუაზა საგანი ომის შემდგომი საფრანგეთის სიმბოლოა. მან თან გაიყოლა სამოციანელთა თავისუფალი სული, რომელიც თვითონვე შექმნა. საზოგადოება შეძრა მისმა პირველმა რომანმა „გამარჯობა, სევდავ“. მასში ჩვენი დროისთვისაც კი ძალზე თამამად იყო აღწერილი მონარქი გოგონასა და მისი უფროსი საყვარლის ურთიერ-

თობა. საზოგადოება კი 1954 წლამდე იმ ზნეობრივი წესებით ცხოვრობდა, რომელიც საუკუნეობით არსებობდა: გოგონამ დახურულ სკოლაში უნდა ისწავლოს, შემდეგ გათხოვდეს, შვილები გააჩინოს... ადიულტერები მხოლოდ გასული საუკუნეების რომანებში იყო დასაშვები, კეთილშობილ ქალიშვილებს კი მხოლოდ თავიანთი საქმროები უნდა ჰყვარებოდათ. საშუალო სტატისტიკური ფრანგის ცხოვრება, წარმოშობით სწორედ მათ რიცხვს ეკუთვნოდა თვითონ ავტორიც, მოკლებულია ყოველგვარ სიურპრიზებს, ბედის ყოველი შემობრუნება წინასწარაა ცნობილი და მას ადამიანისთვის არაფერი მოაქვს, გარდა ნაცრისფერი ყოველდღიურობისა. ასეთი ცხოვრება კეთილშობილი ოჯახის ქალიშვილს, რომელიც პარიზის მოსაწყენ ბურჟუაზიულ რაიონში ცხოვრობდა, სულაც არ აძლევდა ხელს. ჰოდა, ქვეყნის ყველაზე პრესტიჟული კათოლიკური კოლეჯის დამთავრების შემდეგ მეგობარ გოგონას გამოუცხადა:



ფრანსუაზა საგანი

„ამ ზაფხულს რომანს დაწვნი, სახელს მოვიხვეჭ, გავმდიდრდები და „იაგუარს“ ვიყიდი“. შემოდგომაზე წიგნების მალაზიებში მართლაც გამოჩნდა წიგნი, რომელსაც ხელს აწერდა ფრანსუაზა საგანი. ფსევდონიმი მომდინარეობს მარსელ პრუსტის გმირის – ქალბატონ საგანსკაიას გვარისგან, რომელიც მთავარი გმირია ეპოქალური რომანისა „დაკარგული დროის ძიებაში“. წიგნის პირველი ტირაჟი 3 000 ეგზამპლარი იყო, ერთი წლის შემდეგ კი უკვე მილიონი ცალი გაიყიდა. რომანი ბესტსელერად იქცა. კონსერვატიული „ფიგაროს“ პირველ გვერდზე დაიბეჭდა ფრანსუა მორიაკის რეცენზია, რომელშიც მან ფრანსუაზა საგანს „მომხიბვლელი ემპაკუნა“ უწოდა. კრიტიკოსებს დღემდე ვერ გაურკვევიათ, ქება იყო ეს თუ პირიქით. ფრანსუაზა საგანის ორასგვერდიანმა თხზულებამ დაარღვია ომის შემდგომი საფრანგეთის ოჯახური ფასეულობები. გაჩნდა აზრი,

რომ ქალის ცხოვრება მხოლოდ მას ეკუთვნის და სხვას არავის. საგანი ამას მხოლოდ თავისი ნაწარმოებებით როდი ამტკიცებდა. ის თავისუფლად არღვევდა საზოგადოებაში მიღებულ წესებს. საზოგადოებას თუმცა აღაშფოთებდა ეს, მაინც კვალდაკვალ მიჰყვებოდა მას. საგანი უკვე თავის წესებს ჰკარნახობდა საზოგადოებას. ქალების „რეპერტუარში“ გაჩნდა ვისკი, მანქანით სწრაფი ქროლა, ლამის კლუბები... ფრანსუაზა საგანს ინტერვიუებს სთხოვდნენ, სოლიდურ კონტრაქტებს სთავაზობდნენ, საღამოებზე იწვევდნენ, პირადი ცხოვრების მოწყობასაც კი ჰპირდებოდნენ... დიდება უცაბედად „დაატყდა თავს“. შესაძლოა, სწორედ ამიტომ, როგორც მისი ბიოგრაფები წერდნენ, ის მამასთან – მდიდარ ფრანგ მრეწველთან წავიდა და ჰკითხა, რა ექნა ჰონორარისთვის, ერთ-ნახევარი მილიონი ფრანკისთვის. მამამ დაუფიქრებლად უპასუხა: „რაც შეიძლება სწრაფად დახარჯე. ფული შენთვის უბედურებაა“. ამ ფრაზამ ყველაზე უკეთ დაახასიათა ფრანსუაზა საგანის მთელი ცხოვრება. ის ხომ თითქმის სულ იმას ცდილობდა, როგორმე თავიდან მოეშორებინა ფული, გამუდმებით აქეთ-იქით ფანტავდა, ხან კაზინოში აგებდა, ხან კი უამრავ საჭირო თუ არასაჭირო საყიდელზე ხარჯავდა... 22 წლის

ფრანსუაზა საგანი ცოცხალი ძლივს გადაურჩა სამიწელ ავტოავარიას. მალე მან აღნიშნა, რომ ამ ინციდენტმა თვალნათლივ დაანახვა, თუ რა მყიდველი სიცოცხლე. ჰოდა, ეს სიცოცხლე მისთვის ერთგვარ ატრაქციონების პარკს დაემსგავსა – მხიარულების ზღვა და ცოცხალი შიში. შემდეგ კარუსელი კიდევ უფრო სწრაფად დატრიალდა – მწერალმა 24 რომანი და 8 პიესა გამოსცა. ფრანგული გაზეტების მფლობელები ბედნიერები იყვნენ, თუ მისი ნარკვევების გამოქვეყნების საშუალება მიეცემოდათ, მისი ჰონორარები კი სულ უფრო და უფრო მატულობდა.

ბოლო ხანებში წარუმატებლობები სდევდა. ჯერ იყო და ნარკოტიკების შენახვასა და გავრცელებაში დადანაშაულებს, შემდეგ ხანგრძლივი და მოსაბეზრებელი პროცესი დაიწყო, ოჯახური უსიამოვნებებიც არ აკლდა. მაგრამ ფრანსუაზა საგანს თავისი ცხოვრების რთულ მომენტებში მუდამ შევლოდა სიცოცხლის გაუნელებელი სურვილი, რომელიც არასოდეს ტოვებდა. გარდა ყველა სხვა ფაქტორისა, თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში მწერალს გამოესარჩუნნენ საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა მიტერანი, ისრაელის პრემიერ-მინისტრი შიმონ პერესი და დიდი

ბრიტანეთის პრემიერი მარგარეტ ტეტიჩერი. ფრანსუაზა საგანის სახლი, რომელიც პარიზის ცენტრში მდებარეობდა, ასობით მწერლისთვის, მხატვრისა თუ მსახიობისთვის ნამდვილ მექად იქცა. მწერლის ახლო მეგობრებმა მის საფლავთან დაიფიცეს, რომ ეს სახლი არასოდეს დაცარიელდება.

საფრანგეთს არ სურს თავისი 60-იანი წლების დავიწყება, მას მუდამ აქვს ამ პერიოდის ნოსტალგია, ერთთავად უკან იყურება. ფრანსუაზა საგანის გარდაცვალება, ვინც იმ წლების გამოხატულება იყო, კიდევ უფრო მეტად ამორებს 60-იან წლებს დღევანდელობას, მას ისტორიის კუთვნილებად აქცევს. დღეს იგონებენ ფრანსუაზა საგანს და ამასთან ერთად იმ უზრუნველ ცხოვრებას, რომელიც მასთან ერთად წავიდა, ცხოვრებას, როცა არავინ არ ფიქრობდა ხვალინდელ დღეზე და მხოლოდ დღევანდელით ტკებობდა.

მომამზადა
მანანა ნაცვლიშვილი

ბრიტანელი მწერალი პიტერ ეკროიდი დაიბადა ქალაქ ლონდონში 1949 წლის 5 ოქტომბერს. კემბრიჯის უნივერსიტეტის კლერის კოლეჯში მიიღო ბაკალავრის ხარისხი. მოგვიანებით გახდა მელონის სტიპენდიანტი და ორი წელი ამერიკის შეერთებულ შტატებში იეილის უნივერსიტეტში სწავლობდა.

ლიტერატურული კარიერა პოეზიით დაიწყო. მისი ლექსების კრებულებს შორის აღსანიშნავია „ლონდონელი ძუნწი“ (1973) და „პერლის დროსტარება“ (1987). მოგვიანებით ბელეტრისტიკას მიჰყო ხელი და აღიარებაც მოიპოვა – 1987 წელს იგი უკვე „ბუკერის პრემია“-ზე იყო წარდგენილი.

1973-77 წლებში მუშაობდა ჟურნალ „სპექტიტორში“, 1978 წელს კი თანამმართველი რედაქტორი გახდა. 1984 წელს მწერალი სამეფო საზოგადოების წევრად დაასახლეს. ამჟამად რადიოგადაცემების წამყვანი და კრიტიკოსია.

ეკროიდი ყოველთვის განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ლონდონისადმი. მისი ბოლო ნაშრომებიდან ღირსშესანიშნავია „ლონდონის ბიოგრაფია“, რომელშიც ლონდონის აღწერილობა და საუკუნეთა ისტორიაა მოცემული. ამ არაჩვეულებრივ ნაშრომს მოჰყვა „ალბონი: ინგლისური წარმოსახვის სანყისები“, რომელშიც ინგლისის კულტურის ისტორიაა განხილული ანგლო-საქსური ეპოქიდან დღემდე.

2003-2005 წლებში ეკროიდი 6-ტომიანი დოკუმენტური ნაწარმოები შექმნა – „დროში მოგზაურობა“, რომელიც 8 წლის ასაკამდე ბავშვებისათვის იყო გამიზნული. ეს გახლდათ მისი პირველი საბავშვო წიგნი, რომელმაც დიდი გამოხმაურება ჰპოვა.

დაკარგული ცივილიზაციის საძებნელად

*

ინტერვიუ
პიტერ ეკროიდთან

– პირველ რიგში მაინტერესებს, რატომ დაინტერესდით ტომას მორით?

– აღვიზარდეთ კათოლიკედ და, ბუნებრივია, ამ მნიშვნელოვანმა ისტორიულმა ფიგურამ ჩემში ინტერესი გამოიწვია. უფრო საგულისხმო მოტივი კი ალბათ ის არის, რომ იგი ლონდონელი იყო, ამასთან, ლონდონის მჭვრეტელი. სხვა კონკრეტული მჭვრეტელების მსგავსად, როგორებიც არიან

უილიამ ბლეიკი და ჩარლზ დიკენსი, ტომას მორიც ჩემი ინტერესებისა და შეხედულებათა სფეროში ექცევა. გარდა ამისა, იგი გახლდათ მეტად გამორჩეული ლონდონელი გვიან მეთხუთმეტე და ადრეულ მეთექვსმეტე საუკუნეებში – პერიოდში, რომელსაც თამამად შემიძლია განუმეორებელი ვუნდო. ასე რომ, გარკვეულწილად ტომას მორის მეშვეობით დაკარგული ცივილიზაციის გაცოცხლება მსურდა.



– რატომ აფასებთ ამ პერიოდს დაკარგულად?

– ეს კათოლიკური კულტურა გახლდათ, ვიდრე „რეფორმაცია“ გაანადგურებდა მას – მორმა კი თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი ამ რეფორმაციასთან ბრძოლაში გაატარა. იგი ცდილობდა ლონდონის კათოლიკური თვითმყოფადობა შეენარჩუნებინა. ლონდონი, და მთლიანად ინგლისიც, ამ დროისათვის ევროპული ცივილიზაციის ნაწილი

იყო, როგორც სარწმუნოებით, ასევე ინტელექტუალურადაც. უფრო მეტიც, ლონდონი მეთექვსმეტე საუკუნის ადრეულ წლებში კლასიკური განათლების ცენტრად ითვლებოდა. სწორედ ამიტომ შეიძლება ამ პერიოდის ლონდონურ ცივილიზაციას დაკარგული ვუნოდო.

– რატომ ფიქრობთ, რომ ტომას მორის დღესაც იტაცებს და აღფრთოვანებს მკითხველს?

– რა ვითხრათ?! მე აღფრთოვანებული ვარ ტომას მორით, რადგანაც იგი შუასაუკუნეების ცივილიზაციისა და კათოლიციზმის უკანასკნელი პრინციპული დამცველი იყო. და არა მხოლოდ... მორის მნიშვნელოვანი ფიგურა გახლდათ მთელი მსოფლიოსათვის – მაგალითად, ის ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელმაც მხარი დაუჭირა ქალთა განათლებას და თავისი პრინციპები პრაქტიკულად განახორციელა კიდევ ჩელსიში, საკუთარ სკოლაში.

– საკმაოდ განსხვავებულად არის დახატული მისი პიროვნება ფილმში „კაცი ყველა სეზონისათვის“.

– დიახ, ამ არაჩვეულებრივ სურათში მორი თითქმის თანამედროვე გმირად არის გამოყვანილი, ის წარმოგვიდგება ინდივიდუალური ცნობიერების პიროვნებად. ჩემი ინტერპრეტაციით კი ეს ანაქრონისტული პორტრეტი. იგი გახლდათ ადამიანი, რომელსაც სწამდა ტრადიციების, რელიგიური ორდენისა და ძალაუფლების. მორი იურისტი იყო, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება ორთოდოქსული სამართლის დაცვას შეაღია, რადგან დარწმუნებული იყო, ამ სამართალში განსახიერებოდა უფალი დედამიწაზე. იგი არ იცავდა მხოლოდ საკუთარ აზრს, მორი სრულიად ცივილიზაციის სახელით იბრძოდა, ცივილიზაციისა, რომელიც ამჟამად საფრთხის წინაშე იდგა.

– ფიქრობთ, რომ სწორედ ამიტომ აღგვაფრთოვანებს დღესაც მორის პიროვნება?

– დიახ, მორი განათლებული და ჭკვიანი პიროვნება იყო, ღრმა რწმენითა და რელიგიური განათლებით. მას მართლაც რომ შეიძლება ვუნოდოთ „კაცი ყველა სეზონისათვის“, ამ ნათელი სულისა და რთული ბუნების პიროვნებას ძალდაუტანებლად შეეძლო ცხოვრების თამაშში ჩართულიყო, რადგან იცოდა თუ რაოდენ ცარიელი და ამაოა ყოველივე საუკუნო ცხოვრებასთან შედარებით. ასეთი საოცარი და ულავი რესურსების მქონე ადამიანი ყოველთვის იწვევს აღფრთოვანებისა და იდუმალების შეგრძნებას. ეს ერთ-ერთი მიზეზია, თუ რატომ მიწოდდა მისი ბიოგრაფიის დაწერა – რათა ამომეხსნა მისტერია და მკითხველისათვის რეალური პორტრეტი დამეხატა, მისი სამყარო მეჩვენებინა.

– თქვენ ასხენთ, რომ იგი იურისტი იყო პროფესიით. რას გულისხმობთ?

– იგი იურისტი იყო, როგორც პროფესიით, ასევე თანდაყოლილი ალღოთი და ინსტინქტივითაც. უნდა გაიხსენოთ, რომ მაშინდელი საზოგადოება და კულტურა, როცა მორმა განათლება მიიღო, კანონებისა და სამართლებრივი ურთიერთობების ქარცეცხლით იყო მოცული. მთელი ცხოვრება ტრადიციული მოვალეობა-ვალდებულებათა ჯაჭვს წარმოადგენდა და ამ მოვალეობების შესრულება მორისათვის უფლის კანონების დაცვას უტოლდებოდა. კანონზე საუბრობდა ზუსტად ისე, როგორც საუბრობდა თავის ეკლესიაზე და მისი დამოკიდებულება კანონის უზენაესობისა და

ძალაუფლების მიმართ ვლინდებოდა მის მიერ სასამართლოში წარმოებულ თითოეულ საქმეში.

– ცოტა ხნის წინ სენატორმა ჰენრი ჰაიდმა, პალატის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარემ თავის კოლეგებს მოუწოდა, მე-16 საუკუნის ქრისტიანებისგან აელოთ მაგალითი და თომას მორის სიტყვების ციტირება მოახდინა: „როდესაც სდებ ფიცს, შენი სული ხელში გიჭირავს.“ თქვენი აზრით, როგორი იქნებოდა მორის აზრი პრეზიდენტ კლინტონის გარემოში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით?

– მართლაც რომ საინტერესო პარალელი გაავლეთ. როდესაც ჰენრისა და ენ ბოლენის ქორნილი კანონიერად გამოცხადდა, მორმა თავის სიძეს უთხრა: „უფალო, მოილე მოწყალება, რათა ამ საქმის ფიცით განმტკიცება არ იყოს საჭირო“. იგი ფიქრობდა, რომ უფლის წინაშე ფიცის დადება ყველაზე ნმინდა და საპასუხისმგებლო საქმეა – ფიცი არ უნდა გატეხო, თუნდაც სიკვდილი ან სირცხვილი გემუქრებოდეს. იურიდიული კანონის სამყაროში ფიცი მხოლოდ-დამხოლოდ რწმენისა და სინდისის გამოცდაა – ამიტომ თქვა მან უარი, მეფის განქორწინების ცერემონიაზე ფიცი დაედო, რადგან იცოდა, რომ ამით უარყოფდა ეკლესიისა და, შესაბამისად, უფლის კანონებს დედამიწაზე. მას არ შეეძლო ამის გაკეთება, ის ვერ წამოიღო თავის ცნობიერებას, ვერ უარყოფდა პირად შეხედულებებს. იგი იურისტი გახლდათ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისთვის ძნელი ასატანი იყო კანონის ზედაპირულობა და მეწვრილმანეობა, ასევე აუტანელი იყო განსხვავებული ინტერპრეტაციები – კანონი სამყაროს სული იყო, კანონი უძღვებოდა მის სულსაც. ამას ვერაფერი შეცვლიდა.

– და საბოლოოდ მოგწონთ თუ არა მისი პიროვნება?

– ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა ნამდვილად გამიჭირდება. ვცდილობ გავუგო და გარკვეულწილად მესმის მისი, სხვანაირად ვერ შევძლებდი მის გაცოცხლებას მკითხველისათვის. მეკითხებით, მომწონს თუ არა – ეს იგივეა, მკითხვით, მომწონს თუ არა ჩემი რომანების პერსონაჟები. შეუძლებელია მოგწონდეს ან არ მოგწონდეს ისინი, ერთადერთი რაც გევალება, მათთვის სულის შთაბერვაა, მათი გაცოცხლება მკითხველისათვის. სულ ეს არის.

– და არა მხოლოდ პერსონაჟების, თქვენს რომანებში ლონდონსაც აცოცხლებთ. ამ ქალაქს თქვენს ყველა ნამუშევარში აქტუალური ადგილი უჭირავს.

– დიახ, რაღაც კუთხით ეს მართალია. ლონდონი ყოველთვის მდიდარ მასალას მანვდიდა ჩემი წარმოსახვისათვის. შეიძლება ეს პრეტენზიულადაც კი გაისმოდეს, მაგრამ, ვფიქრობ, ჩემს ნიგნებში ეს ქალაქი ხორცშესხმულ და რეალურ პერსონაჟად იქცა. მე ვწერ მის ისტორიას ან ბიოგრაფიას არაპირდაპირი გზებით, ყველა ჩემი ნიგნი, მხატვრული ლიტერატურაა ეს თუ ბიოგრაფია, ერთი დიდი ნიგნის შემადგენელი თავებია, ნიგნისა, რომელიც მხოლოდ მაშინ დასრულდება, როცა ჟამი მოაწევს ჩემი გარდაცვალების. და ვიმედოვნებ, სწორედ მაშინ გახდება შესაძლებელი ეს ქალაქი აღქმულ იქნას დროის ხასიათისა და ადამიანის ყოველდღიურობაში წარსულის თანამგზავრობის მეტაფორად.

ინგლისურიდან თარგმნა
ქეთი ჩხეიძე

ეკა ბუჯიაშვილი

გზაზე გზაპრი მიდიოდა

*

საუბარი
მანანა გაბაშვილიან



ბით: ასეთი კულტურის, ისტორიული წარსულის მქონე ხალხს როგორ დაგემართათ ის, რომ როცა რუსეთი დაჩოქილი იყო და საბჭოთა ჯარი იხრნებოდა, თქვენ ერთმანეთს დაუპირისპირდით, ატეხეთ ომი და ქვეყანა ასეთ მდგომარეობამდე მიიყვანეთ... მართალია, ყველგან იყვნენ და არიან დესტრუქციული ძალები, მაგრამ თქვენს სამშობლოში ისინი ყველაზე მეტნი აღმოჩნდნენ.

ბევრნაირი დარტყმა მიეყენებინა არეულობას ყველა სფეროსათვის, მათ შორის, განათლებისათვის.

ნიგნიერების გაუფერულებასთან ერთად, თაობებს შორის ხიდიც ჩატეხილიყო...

დროთა კავშირიც დარღვეულიყო...

მაცნე რა გადაარჩენს ამ ქვეყანას, – ფიქრობდა ახალგზასაყართან შეჩერებული მანანა გაბაშვილიც, კიდევ უფრო შორს, წარსულს სწვდებოდა მისი მზერა, იმ ანთებულ სანთელს, მის წინაპრებს რომ მოჰქონდათ, მოჰქონდათ... და უკვე იცოდა, რომ ამ გზაკვალარეულ და სასოწარკვეთილ ქვეყანას ისევ და ისევ განათლება თუ გადაარჩენდა.

პოლიტიკიდან იძულებით წამოსულმა პედაგოგიურ ასპარეზზე გადაინაცვლა. რუსულ და ქართულ სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში ასწავლიდა, უძიძიმეს პირობებში, გაყინულ საკლასო ოთახებსა და აუდიტორიებში. სირთულეები დასაძლევნი იყო, ახალგაზრდობას კი ცოდნა და სწორი ორიენტირები სჭირდებოდა.

– განათლებისა და ფუნდამენტური მეცნიერების გარეშე არც სახელმწიფო არსებობს. ასეთ შემთხვევაში მხოლოდდამხოლოდ მომსახურე ერის ბედი შეიძლება გერგოსო.

ეს მტერ-მოყვარემაც კარგად იცოდა.

ქალბატონი მანანაც მეცნიერული მუშაობის პარალელურად ღირსეული წინაპრების ღვანლს ამზერებდა, მათ ცოდნას და გამოცდილებას ახლებურად აწვდიდა თაობებს იმ წიგნების სახით, მისი ძალისხმევით და თაოსნობით რომ გამოიცემოდა. წიგნები ხომ უწყვეტი კავშირია თაობებს შორის და მარადიული ღირებულება.

– ის შეუცვლელიაო, – ამბობს ქალბატონი მანანა, – ახლახან, შემთხვევით ასეთ ინფორმაციას მოვუსმინე: ამერიკაში თურმე მთელი მოძრაობა დაწყებულია წიგნისათვის მკითხველის დასაბრუნებლად. საზოგადოებაც კი შეუქმნიათ და მისი პოპულარიზატორები მსოფლიოში ცნობილი ადამიანები არიანო.

ბოლო წლების განმავლობაში მანანა გაბაშვილის ზრუნვით გამოიცა რამდენიმე წიგნი...

„აივინიანი ქალაქი“ – მე-19 საუკუნის თბილისის შესახებ დაწერილი ეს რომანი ქალბატონი მანანას მამას, ვალერიან გაბაშვილს ეკუთვნის, თუმცა წიგნი, ნიკოლოზ

გზა იყო გაკვალული და ეტყობოდა, რომ ამ ბილიკე-ბით უკვე ევლო სხვას. ყოველ ნაბიჯზე ხვდებოდა დატოვებული ღვანლი და მადლი, ის მადლი, სახელად ეროვნული საქმე რომ ერქვა... და ისიც მიდიოდა, მიდიოდა, წინაპართა კვალიდან აკრეფილ სიკეთეს აგროვებდა და უმყუდროვებდა, უმყუდროვებდა... ანთებული სანთელივით.

ოღრო-ჩოღროები მასაც ბევრი შეხვდებოდა. უნდა დაედლია, რათა ხვალ საკუთარი ადგილი ეპოვნა, საკუთარი სანთელი დაენთო – იმათსავით, იმ სახელოვანი წინაპრებისვით, რომელთა ჩამომავალს სხვა არჩევანი არც ჰქონდა, თუმცა, ცხოვრება გზასაყართან მაინც დააყენებდა... და ქალბატონი მანანა გაბაშვილიც თავისას აირჩევდა, იქ დადგებოდა, სადაც გული გაუწევდა, სადაც ქვეყანა დაუძახებდა...

მიიკლაკნებოდა გზა... აღმართებისა და დაღმართებისაკენ.

იდგა 90-იანი წლები – ისტორიული მომენტი გასულ საუკუნეში.

უზარმაზარი საბჭოთა იმპერია იშლებოდა.

თვალსა და ხელს შუა მთავრდებოდა ერთი ეპოქა და იწყებოდა ახალი.

დრომ და ვითარებამ ქალბატონი მანანა გაბაშვილიც ეროვნულ მოძრაობამდე მიიყვანა. დამოუკიდებელი საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატს თავისუფალ საქართველოს მომავალი ეიმედებოდა, მაგრამ ბედისწერა სხვა რამეს უმზადებდა – მასაც და ქვეყანასაც.

გაივლის წლები და ქალბატონი მანანა იტყვის:

ჩვენ ხელიდან გაუშვით ის მომენტი, რომლითაც ბევრმა ქვეყანამ ისარგებლა, ეს იყო საერთაშორისო ვითარება, რომელიც გვაძლევდა შანსს უკეთესი მომავლისათვის, ჩვენ კი ეს შანსი დავკარგეთ... და დასტურად ერთ ასეთ ფაქტს გაიხსენებს:

1993 წელი იდგა.

აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში მოხსენებას კითხულობდა ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი ზიგნეე ბუეზინსკი.

ლამპის შუქზე საუბრობდა სტუმარი და ასეთ რამეს ამბობდა:

წარმოშობით პოლონელი ვარ, უდიდეს პატივს ვცემ საქართველოს, მაგრამ გაცოცხლებული ვარ თქვენი მოქმედე-

გაბაონის ფსევდონიმით გამოვიდა და დიდხანს არავინ იცოდა ავტორის ნამდვილი ვინაობა, თვით მისმა კოლეგებმაც კი.

რომანი, მასში დასმული საკითხებით, დღესაც აქტუალურია და თანამედროვეობას ეხმიანება. რომანში XIX საუკუნის თბილისის, საქართველოსა და კავკასიის ისტორია ასახული. რომანი თბილისის ერთგვარი მუზეუმიც კი არის. სხვათა შორის, თხზულება კინემატოგრაფიულიც არის და თავის დროზე, 80-იან წლებში, როცა პირველად გამოიცა, მაშინვე დაინტერესებულან რეჟისორებიც, მაგრამ „იქ“ – ზემოთ – უარი უთქვამთ: ამას მოსკოვი არ დაუშვებსო. იმ პერიოდში მიჩქმალულა რომანი, ის წლები დუმილში გამოუვლიათ კრიტიკოსებს, მხოლოდ აკაკი ბაქრაძე გამომხაურებია, ეს იყო და ეს!

ამ რომანის მრავალსერიან სატელევიზიო ფილმად გადაღებაზე განაცხადი 90-იან წლებშიც წარუდგენია რეჟისორ კახა კახაბრიშვილს, მაგრამ შემდგომი ცნობილი მოვლენების გამო ეს გეგმაც ჩაშლილა. დღესაც მისი გადაღება დღის წესრიგში დგას.

ეროსი მანჯგალაძეს თითქმის ზეპირად სცოდნია ეს რომანი და ერთ-ერთი პერსონაჟის როლის შესრულებაზე ოცნებობდა თურმე.

მწერლისა და მეცნიერის ბედიც ქვეყნისას დამგვანებოდა.

ვალერიან გაბაშვილი 1911 წელს, ციმბირში, პოლიტპატიმრის ოჯახში დაბადებულა. თვეების ჩამოუყვანიათ საქართველოში. თურქი იქაური მილიონერი ეხვეწებოდა: ბავშვი გზაში დაგვლუპებათ, მე შვილი არ მყავს, დამიტოვეთ და გავზრდით.

საქართველოში უნდა ჩამოსულიყო, საქართველოსავე სასახელოდ უნდა გაზრდილიყო და დედაც წამოიყვანდა – ცივი და შორეული გზებით სამშობლოში.

სასახელოდაც გაიზრდებოდა.

ვალერიან გაბაშვილი ცნობილი აღმოსავლეთმცოდნე, განათლებული პიროვნება, პოლიგლოტი იყო და ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში დედანში კითხულობდა თურმე მხატვრულ საისტორიო ლიტერატურას სხვადასხვა ენაზე.

ცოდნა და განათლება აერჩია ორიენტირად.

ესეც გარდამავალი პერიოდის არჩევანი იყო. 1921 წელი ჩავლილი იყო, საქართველო დამარცხებულიყო, მამამისი სამშობლოს დამოუკიდებლობას შეეწირა – გადასახლებიდან აღარ დაბრუნებულა. და აი, სწორედ ასეთ დროს, ცოდნის დაგროვებით და თაობებისათვის გაზიარებით ემზადებოდა მომავლის საქართველოსათვის, თუმცა, გზასაყართან ისიც დაეყენებინა ცხოვრებას: ან მწერალი უნდა გამხდარიყო, ან მსახიობი ან მეცნიერი.

კოტე მარჯანიშვილს აუყვანია დასში წარმოსადგეი, ლამაზი გარეგნობის, მეტყველი ლურჯი თვალებით. მამის თეატრი ეროვნული ტრიბუნაც იყო. 1930 წელს თეატრის საიუბილეო კრებული რომ გამოიცა, ცნობილ მსახიობთა გვერდით, ვალერიან გაბაშვილიც არის მოხსენიებული. ვახტანგ ტაბლიაშვილი კი, თავის მოგონებების წიგნში, რომელიც არც ისე დიდი ხნის წინათ გამოიცა, ვერიკო ანჯაფარიძის, უშანგი ჩხეიძის, სხვა ცნობილი მსახიობების გვერდით ვალერიან გაბაშვილსაც იხსენებს და წერს: დასანანია, რომ იგი წავიდა თეატრიდან, კოტე მარ-

ჯანიშვილსაც გული დასწყდა, მაგრამ მას იმოდენა ცოდნა ჰქონდა, თეატრში რომ დარჩენილიყო, ალბათ უფრო დასანანი იქნებოდაო. ასე გავიდა საგანმანათლებლო ასპარეზზე, მეცნიერების გზაზე, ახალგაზრდებს ცოდნას უზიარებდა, აღმოსავლეთმცოდნე-ისტორიკოსთა სკოლა შექმნა. მისი არჩევანი ივანე ჯავახიშვილთან შეხვედრამ განაპირობა...

ცხოვრება უამრავ სირთულეს დაახვედრებდა.

მამამისი 1918-1921 წლების დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის წევრი იყო, ამიტომ მტრის შვილის იარღილს ჩამოჰკიდებდნენ, თუმცა, მან კარგად უწყოდა, რომ რაკი ის გზა აერჩია, რომლითაც მისი ღირსეული წინაპრები მიდიოდნენ, რაკი ეროვნულ საქმეს მიჰყვებოდა, ისიც უნდა სცოდნოდა, რომ მისი ცხოვრება ია-ვარდით მოფენილი არ იქნებოდა.

„ბიობიბლიოგრაფია“ – ასეთი სათაურით გამოიცა ორენოვანი (ქართულ და ინგლისურ ენებზე) წიგნი, რომელშიც განხილულია ვალერიან გაბაშვილის შემოქმედება და მოცემულია მისი ნაშრომების სრული სია. ქალბატონი მანანას თქმით, ეს არის მნიშვნელოვანი და საჭირო წიგნი მკვლევართათვის, აღმოსავლეთმცოდნეთათვის.

– წიგნი მსოფლიოს ყველა სამეცნიერო ცენტრში გავიტანეო, – ამბობს, – ვთვლი, რომ ამით ორი დიდი საქმე გაკეთდა: ერთი – თვითონ ეს მეცნიერი გავაცანი მსოფლიოს, მეორე – საერთაშორისო ასპარეზზე წარვადგინე ქართველ აღმოსავლეთმცოდნე-ისტორიკოსთა სკოლის დონე.

ამ წიგნით დაინტერესებულან უცხოელი მეცნიერები, წიგნს გამომხაურებაც მოჰყოლია. შედეგად ვალერიან გაბაშვილის ერთ-ერთი სტატია, რომელიც ირანში უნდილაძეების მოღვაწეობას ეხება, ინგლისურად ითარგმნა და უახლოს მომავალში ამერიკულ სამეცნიერო ჟურნალში დაიბეჭდება.

2001 წლის 1-2 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი ვალერიან გაბაშვილის 90 წლის იუბილესადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციას მასპინძლობდა. აქ წაკითხული მოხსენებების საფუძველზე შეიკრა კრებული, რომელიც ძველი და შუა საუკუნეების, ასევე, ახალი და უახლესი პერიოდის მახლობელ აღმოსავლეთის და საქართველოს ისტორიის აქტუალურ პრობლემებს შეეხება. ქალბატონი მანანას ძალისხმევით მომზადებულ ამ კრებულში საქართველოს და აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიის არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი ახლებურად არის დანახული და გადანყვეტილი.

ვალერიან გაბაშვილი სიძე იყო ცნობილი ისტორიკოსისა და ეთნოგრაფის სერგი მაკალათიასი. ქართული ეთნოგრაფიის და მეცნიერული მხარეთმცოდნეობის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა, პროფესიონალმა არქეოლოგმა, ნუმიზმატმა და სამუზეუმო საქმის სპეციალისტმა მთელი ცხოვრება ამ ეროვნულ საქმეებს შესწირა. მისი მეუღლე ცნობილი მკვლევარებისა და საზოგადო მოღვაწეების, ვახტანგ და ლადო კოტეტიშვილების და გახლდათ. თავის მოგონებებში „ცხოვრების გზაზე“, რომელიც ხელ-

ნანერის სახით არსებობს, სერგი მაკალათია წერს: ჩემი მეუღლე იმის გამო მომეწონა, რომ დიდი პატრიოტი იყო.

XX საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან ხუთი ათეული წლის მანძილზე გამოიცემოდა მისი წიგნები საქართველოს სხვადასხვა მხარის შესახებ („მთიულეთი“, „ხევი“, „ხევსურეთი“, „ფშავი“, „თუშეთი“, „მთის რაჭა“, „ბორჯომის ხეობა“, „ლიახვის ხეობა“, „ძამას ხეობა“ და სხვა). მათ შორის იყო „სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია“, რომელიც 1941 წელს გამოვიდა და ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა.

1992 წელს პარტიზანულად გამოუციათ.

შუაზე გაუყვიათ წიგნი – მხოლოდ ისტორია დაუსტამბავთ და იქვე შეპირებიან მკითხველს: ეთნოგრაფიასაც მალე გამოვცემთო, მაგრამ...

ამ ამბიდან ათეული წლების შემდეგ, 1992 წელს, ინკოგნიტო გამოცემელს ეს წიგნი დამახინჯებული სახით წარუდგენია მკითხველისათვის. არცთუ დიდი ხნის წინათ კი ქალბატონ მანანას ქუჩაში სრულიად შემთხვევით უნახავს მთლიანი შინაარსით გამოცემული „სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია“, რომელიც თურმე შეცდომებით ყოფილა დაბეჭდილი და, ცხადია, არც გამოცემლობა ყოფილა მითითებული.

ინკოგნიტოს ვერც პირველ და ვერც მეორე შემთხვევაში ვერ მიაკვლიეს, ამიტომ ამ წიგნის გამოცემის საკითხიც დამდგარა სერგი მაკალათიას შთამომავლების წინაშე. ქალბატონი მანანას თაოსნობით ეს საქმეც დაგვირგვინდა – წიგნი უკვე შევიდა მალაზიათა ქსელში.

– მაინც საიდან მოსდევდათ ამ ადამიანებს ძალა ასეთი ეროვნული საქმეების საკეთებლად?

– საიდან და უწინარესად, ოჯახიდან, – მიპასუხებს ქალბატონი მანანა, – დაპყრობილი ქვეყნის პირობებში ოჯახების როლი განსაკუთრებული იყო, ისინი გადასცემდნენ თაობიდან თაობას ხსოვნას საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ, სიმართლეს ჭეშმარიტ ეროვნულ მოღვაწეებზე, ვისაც იმპერია, როგორც წესი, სდევნიდა. ჩემს ოჯახში კი ეს ადამიანები კოლეგებიც იყვნენ და ნათესავებიც, საერთო საზრუნავითა და საფიქრალით გაერთიანებულიები.

ცხოვრების გზაზეც ერთმანეთს უმსუბუქებდნენ ტვირთს. ისინი მეფის რუსეთის დროს დაიბადნენ, დამოუკიდებელ საქართველოს მოესწრნენ და საბჭოთა ეპოქაში დაასრულეს სიცოცხლე. მათი ცხოვრება სამ საინტერესო პერიოდს გაივლის და ყველა დროს, ყველა მომენტში, ისინი თავიანთ მრწამსსა და ღირსებას ინარჩუნებდნენ.

მიუყვებოდნენ ამ გზას საცალფეხო ბილიკებით. იცოდნენ, რომ თავისი წილი ხნული თვითონ უნდა გაეჭრათ საკუთარი მარცვლის დასათესად, არც ქარს დაგიდევდნენ და არც ქარტახილებს...

– სად მცალია ამათი ინტრიგებისათვის, – ამბობდა თურმე სერგი მაკალათია, – მე ჩემი საქმე მაქვს გასაკეთებელიო.

ქალბატონმა მანანამ მონოგრაფიას „სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია“, სერგი მაკალათიას ბიოგრაფია

ნაუმიძვარა. ფაქტობრივად, ეს პირველი ბიოგრაფიაა მეცნიერისა და მკითხველი ბევრ საინტერესო ფაქტს შეიტყობს მის შესახებ. ბიოგრაფია დასურათებულია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ექსპედიციების დროს გადაღებული ფოტოებით. სწორედ ამ ბიოგრაფიიდან ვიგებთ, რომ:

სერგი მაკალათია ახლადგახსნილი უნივერსიტეტის პირველი სტუდენტი იყო. თემებზეც, უშუალოდ, ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით მუშაობდა, თუმცა, ვიდრე აქამდე მოვიდოდა, არაერთ განსაცდელს მოუმზადებდა ცხოვრება.

მამით ხუთი წლის ასაკში დაობლებულა.

დედას მეუღლის ანდერძი: ყველაფერი გაყიდე და შვილებს კარგი განათლება მიეცო, პირნათლად შეუსრულება. ოთხივე შვილი გზაზე დაუყენებია.

რთული გზა ერგო სერგის. სახელმწიფო უხეშად ერეოდა მის ცხოვრებაში. სდევნიდნენ... 1942-ში დააპატიმრებდნენ კიდევ.

დისერტაციასაც ერთს მოსკოვში, მეორეს ლენინგრადში დაიცავს.

იქაც ჩააკითხავენ დისერტაციის ჩასაშლელად, მაგრამ არც მაშინ დაიხვეს უკან და პირველი ქართველი ეთნოგრაფი დოქტორი გახდება.

საშვილიშვილო საქმეს ჩასდგომოდა სათავეში – საქართველოს მუზეუმში საარქივო მასალების დალაგება, კატალოგების თარგმნა რუსულიდან ქართულად და მათი მონესრიგება. თუმცა, ამას ხელი არ შეუშლია იმისათვის, რომ 1949 წელს მუზეუმიდან გაეშვათ...

მის მიერ დაარსებული გორის მუზეუმიდანაც გაათავისუფლებდნენ...

მერე გორში, პედაგოგიურ ინსტიტუტში ასწავლიდა, თბილისის უნივერსიტეტს არ გააკარეს.

ოთარ ჩხეიძეს დოკუმენტურ რომანში „ჩემი სავანე“, სერგი მაკალათიას პორტრეტი დაუხატავს და მისი ხასიათის ბევრ თვისებას გვიჩვენებს: პრინციპულობა, საქმისადმი თავდადება, პატრიოტიზმი...

სტუდენტებს იმის მიხედვით იმახსოვრებდა, ვინ რომელი ძეგლის სანახავად ჰყავდა ექსკურსიაზე წაყვანილი, – წერს ოთარ ჩხეიძე.

უხაროდა თურმე როცა ხედავდა მათში სიყვარულს სამშობლოსადმი, ხელს უწყობდა სწავლაში, გაჭირვებულებს მატერიალურად ეხმარებოდა, უკიდურესად შეჭირვებულებს თავისთანაც კი აცხოვრებდა.

ლექციას რომ კითხულობდა, ისეთ აუდიტორიას აირჩევდა, გორისციხე რომ ჩანდა. ერთხელაც გამწვანებიდან მოსულან თურმე. აღშფოთებულა სერგი:

სად გაგონილა ციხე და გამწვანება, ესე იგივეა, მტერი შეუსიონ კალთებზეო.

მტერივით იკიდებდნენ ფეხს ნანგრევები.

მერე აღარც აღებულ ციხეს გაჰყურებდა სერგი მაკალათია, – იგონებს მწერალი ოთარ ჩხეიძე და დასძენს:

„თავი ჩაეკიდა, თითქოს რო მკლავები ზურგს უკან გაუკრავთო, თითქოს რო სტამბოლის ბაზარზე მიჰყავთ დამარცხებული მეციხოვნეო“.

ცხრა მარტის ამბების გამო ისეთი ლექცია ნაუკითხავს რუსის ჯარისათვის, აღშფოთებულან „იქ“, ზემოთ. დააბეზლებდნენ!

შეაჩვენებდნენ!

იხტიბარს არ გაიტყვებდა!

სუკის მასალებში წერდნენ:

თბილისში ჩამოსვლის უფლება არ აქვს, ის კი თავის ნებაზე დაიარება, იმის მაგივრად, გორის მუზეუმისათვის ბელადების სურათები შეიძინოს, სულ სხვა მასალებს აგროვებსო...

წერდნენ და წერდნენ... აწრიპინებდნენ კალმებს. ივსებოდა მათი საქალაქელები.

სერგი მაკალათიას ჩანთა კი ქართული ტრადიციების, ისტორიის, ეთნოგრაფიის შესახებ მოპოვებული საინტერესო ცნობებით ივსებოდა.

ბევრს მოგზაურობდა.

ხალხი საგანგებოდ მისთვის მართავდა თურმე სანახაობებს, რათა კარგად ჩაენიშნა ყველაფერი.

ხევსურეთში ხევისბერი საგანგებოდ მისთვის საუბრობდა ნელა, რომ ამ საერო საქმის მკეთებელ კაცს ჩაწერა მოესწრო.

ჩქარობდა, რომ დავიწყებისათვის განწირული ბევრი მასალა აღენუსხა. ამ ცნობებს ის ზოგჯერ სიცოცხლისათვის საშიშ ვითარებაში აგროვებდა.

თუშეთში მოგზაურობისას ყაჩაღებს დაუჭერიათ. შემთხვევით გადაჩრჩენილა სიკვდილს. გზიდან იწერებოდა: ფოტოაპარატი და ფული გადავმალე, ექსპედიციას ვაგრძელებო.

მიდიოდა და მიუყვებოდა ხან აღმართებსა და ხან დაღმართებს.

რა თავის ნებაზე დასეირნობსო – შფოთავდნენ „იქ“, ზემოთ.

სერგი კი:

– სად მცალკა მაგათი ინტრიგებისათვის, მე ჩემი საქმე მაქვს საკეთებელიო.

ამჟამად ქალბატონი მანანა გამოსაცემად ამზადებს სახელმძღვანელოს: „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან“, რომელიც 1957 წელს ვალერიან გაბაშვილის რედაქტორობით გამოიცა, კარგა ხანია, რაც ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა და მოუთმენლად ელოდება სამეცნიერო საზოგადოება და სტუდენტობა.

პარალელურად ქალბატონი მანანა საქართველოს ისტორიის საკითხებზე მუშაობს – ამთავრებს მონოგრაფიას: „საქართველოს საზღვაო პოლიტიკა და ინტერესები XIX სს.“ თამარის ეპოქასა და „ვეფხისტყაოსანს“ იკვლევს. ორიგინალურად აშუქებს თამარ მეფის საგარეო პოლიტიკას, საზღვაო ინტერესებს. მისი განსაკუთრებული ინტერესის საგანია შავი ზღვის ისტორია, კერძოდ, ტრაპიზონი, საიდანაც ბევრი რამ აიხსნება საქართველოს ისტორიაში და პირიქით.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს და ქართულ საქმეს აცნობს დასავლეთს ქალბატონი მანანას ძმა, ნოდარ გა-

ბაშვილი. მან იტალიაში ორი მონოგრაფია („იუგოსლავია და კავკასია“ და „რომის ეკლესია და საქართველო“) გამოსცა. ამჟამად კი გამოსაცემად მზად აქვს ნაშრომი „საბჭოთა კავშირის დაშლა და მისი შედეგები“.

ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის ფაშს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე იყო. მამის მსგავსად პოლიგლოტია. ამის შესახებ ქალბატონი მანანა ერთ კურიოზსაც გვიამბობს:

ერთხელ, მოსკოვიდან იაპონელები ჩამოსულან საგარეო საქმეთა სამინისტროში. ერთმანეთს იაპონურად ესაუბრებოდნენ იმის თაობაზე, თუ როგორ ჩაგრავენ ქართველები ოსებს... და, უცებ, ამ საუბრის დამსწრე ნოდარ გაბაშვილი მიბრუნებია სტუმრებს, იაპონურად გაუცია საკადრისი პასუხი და მთელი ლექცია ნაუკითხავს იმაზე, რომ იაპონელებს თავად ჰყავდათ ეროვნული უმცირესობა, რომელსაც არცთუ კარგ დღეში აყენებდნენ.

მოსკოვში დაბრუნებულ გაცეხულ სტუმრებს უთქვამთ:

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში ერთი ისეთი კაცი მუშაობს, ყველა ენა და ყველაფერი რომ იცისო.

ერთხელ მატის თვითნასწავლ მხატვრობაზე აზრი ჰკითხეს, მან კი უპასუხა: არ არსებობს ასეთი ცნება, მხატვარი ან ხარ, ან არაო, – მეუბნება ქალბატონი მანანა, როცა ამ გატაცების და იმ 70-მდე ფერწერული ნამუშევრის შესახებ ვეკითხები, რომელთა გამოფენასაც უახლოეს მომავალში გეგმავს.

ერთხანს ქალბატონი მანანაც უფრო ხელოვნებისაკენ იხრებოდა, გზასაც, ალბათ, უფრო აქეთ აირჩევდა, მაგრამ... გულმაც და ქვეყანამაც, მოულოდნელად, სხვაგან დაუძახა.

როცა პოლიტიკის შესახებ ვეკითხები, მპასუხობს, რომ თავის დროზე ამ ასპარეზზე ყოფნამ ბევრი რამ ასწავლა, ის გამოცდილება შესძინა, რომელიც, როგორც ისტორიკოსს, შემდგომ მუშაობაში გამოადგა.

ეს იყო დრო, როცა ისტორიის უშუალო მონაწილე იყო.

ეს იყო პერიოდი, როცა საქართველოს შექმლო უკეთესი ქვეყნის საფუძველი ჩაეყარა და მალე მიეღწია ნანატრი მომავლისათვის. ის შანსი ხელიდან გაეშვა და ახლა უფრო რთული გზის გავლა უნევდა.

– პირდაპირ გაოგნებული ვარ, ეს როგორ დაგემართათო, – მხრებს იჩეჩავდა ბჟეზინისკი ოკეანისგაღმა...

აქ კი...

მიდიოდა მგზავრი თავის გზაზე – სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ეპოქაში. ცოდნა აერჩია ტვირთად და მიჰქონდა, მიჰქონდა... მომავლის საქართველოში.

ხანდახან ქარი ნამოუქროლებდა, ქარტყილი დაატყდებოდა, ის კი უმყუდროვებდა, უმყუდროვებდა... ანთებული სანთელივით...

და მიდიოდა...



მანანა გაბაშვილი, „მამის პორტრეტი“

ნინო ვახანია

სამშობლოს გულისათვის, ბატონო!..

„ჩვენი მწერლობის“ მე-18 ნომრის ყდამ დანახვისთანავე მომნუსხა. გაურკვეველმა, მაგრამ სანუკველმა განცდამ ერთიანად შემძრა და ამაფორიაქა. რალაც დიდებულმა და ამაღლებულმა ძველი, საგულდაგულოდ ნავლნაყრილი გრძნობა გამიღვიძა. ნეტა რამ აღმანთო და ამაგიზგიზა? რა ნაცნობი და ახლობელია ის, რასაც განვიცდი – სახელისათვის ამაცი თრთოლა. ნეტა სად არის ეს ულამაზესი ციხე-სიმაგრე? რა თავგადასავალი აქვს? რით ვარ მასთან დაკავშირებული? ვერ ვიხსენებ, მაგრამ სიამაყისა და თავმოწონების ჟრჟოლა კვლავ მივლის და თავს არ მანებებს. ჟურნალი კრძალვითა და მოწინებით გადავშალე. წარწერა გარკვეულად გვაუწყებს: მალბორფის ციხე-სიმაგრე (პოლონეთი). ყველაფერი ნათელია, მაგრამ ამავე დროს ყველაფერი – გაურკვეველი, ბუნდოვანი და შორეული.

მერე პირველად ის უცხოური ნოველა წავიკითხე, რომლის ქვეშაც მიმზიდველად ეწერა: თარგმნეს პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა. დიახ, ჯოზეფ კონრადის „პრინცი რომანზე“ მოგახსენებთ. წავიკითხე თუ არა, უეცრად დაბინდული გონება გამინათდა და ყველაფერი ცხადად გამახსენდა. მე ხომ იმ პატარა ბიჭის პაპა ვარ, ვინც პრინცი რომანთან და სხვა პატრიოტებთან ერთად ჩემი სამშობლოს თავისუფლებისათვის ვიბრძოდი. პატრიოტიზმი, სამშობლო, არისტოკრატია – დღეს ეს უკვე მოძველებული, გაკოტრებული თემებია. მაშინ კი, 1831-ში ყველანი – ებრაელი იანკელი, მეფუნდუკე, მამულის მთელ ნისქვილთა მოიჯარე და სხვები პოლონეთის სიყვარულმა გაგვავერთიანა. ჩვენთან ერთად იყო როგორც ერთი რიგითი ჯარისკაცი პრინცი რომან სანგუსკო – დიდი გვარის, უმაღლესი არისტოკრატის წარმომადგენელი. იგი წარბმუხრელად ხვდებოდა ყოველგვარ ხიფათსა და საშიშროებას, მთელი ბრძოლის მანძილზე თავს არ ზოგავდა, წინა ხაზზე იდგა. როცა ყველაფერი დასრულდა, დამარცხებულმა აჯანყებულებმა თავი მოიყარეს ციხე-სიმაგრეში, რომელიც ჯერაც პოლონელებს ეპყრათ. იქ შევხვდი პრინცს. ვიცანი, მაშინვე ვიცანი, თუმცა ეს არაფრით გამოიმჩნევენია. ვიცოდი, დიდი უბედურება ჰქონდა გადატანილი. ამიტომ თავიდან მეც სხვებივით მეგონა, რომ მხოლოდ მძაფრი და ყოვლისშთან-მთქმელი მწუხარების გასაქარვებლად აიღო იარაღი ხელში. მერე კი ყველანი დაავრწმუნდით, რომ მწარედ ვცდებოდი. ჭაბუკი პრინცი შეუერთდა ეროვნულ აჯანყებას მხოლოდ რწმენით.

როცა 1804 წ. საქართველოში, მთიულეთში იფეთქა აჯანყებამ, მეც იქ ვიყავი, მათ შორის. ჩვენთან ერთად ახალგაზრდა ალექსანდრე ჭავჭავაძეც იბრძოდა. დიდი გარსევანის ვაჟი, რუსეთში დაბადებული და აღზრდილი, იმპერატორების ნათლული, სახლიდან გამოიპარა და ეროვნულ აჯანყებას შეუერთდა რწმენით.

მეც ვერიე იმ ფანატიკოსთა შორის, 1832 წ. შეთქმულ-ბით რომ სცადეს სამშობლოს გამოხსნა დამპყრობისაგან. საგამომძიებლო მასალებში არაფერია ნათქვამი ჩემს შესახებ? რა ბედენაა! ეს ხომ არისტოკრატთა შეთქმულება იყო (აკი ასე მონათლეს ოფიციალურად), მე კი უბრალო გლეხი ვარ. სინამდვილეში მთელი ერი ერთი გრძნობით იყო განმსჭვალული და მთელი ქვეყანა მზად იყო, აჯანყების დღეს იარაღით დაეცვა საკუთარი დამოუკიდებლობა. თუკი სწორედ არისტოკრატიაა ის წრე, ფენა, კლასი, რომლის მოვალეობა-დანაშნულებაც საუკუნეების განმავლობაში იყო ერის წინამძღოლობა, მაშინ ერქვას იმ შეთქმულებას არისტოკრატების, თავადების... და თუმც პატრიოტობას „ჩვენს ჰუმანისტთა ფაქიზი გემოვნება ბარბაროსობის გადმონაშთად მიიჩნევს“, მაინც სამშობლოს უანგარო სიყვარული გვეერთიანებდა იმ დიდებულ დროს დიდსა და პატარას, ქალსა და კაცს. ყველანი მზად ვიყავით, ჩვენი თავი მსხვერპლად მიგვეტანა სამშობლოს საკურთხეველზე. ნეტა გამიზრდა თავის დადების უფლება არ წაერთმია ჩვენივეს განგებას. როგორ ეცადენ, ახალგაზრდულ შეცდომად, დაუდევრობად, ჭკუასუსტობად ჩაეთვალით ჩვენი საქციელი. არადა ყველას რწმენა, ფანატიზმი, სიყვარული გვეერთიანებდა.

პრინცი რომანი, არა, თეკლა ბატონიშვილის ვაჟი, ალექსანდრე, გადასახლებაამაც ვერ გატეხა. ბოლომდე კეთილშობილ არისტოკრატად დარჩა და ზნეობრივი გამირობის მაგალითს აძლევდა თანამემამულეებს. უმწიფებს ქისითაც ეხმარებოდა და რჩევითაც, ერთადერთ ქართულ ჟურნალს სახსარს საკუთარი ნივთების გაყიდვით ან გაგირავებით უჩენდა, ქოლერიან ქალაქში უშიშრად დადიოდა უნუგეშოთ ნუგეშს ჰყენდა... მისი გარდაცვალების შემდეგ ტყუილად როდი მოთქვამდნენ სიონის ეზოში თავმოყრილი გლახაკები, ან რა გვეშველება, ჩვენ ვილა გაგვიკითხავსო.

მე ჰაკი, არა, ის პეტრე ვარ, მეჯინიბის ვაჟი, ვისაც ერთგულემა აკვინდანვე შეუთვისებია და სისხლში გაჯდომია. ამიტომაც შევწირე თავი უყოყმანოდ პრინცსა და სამშობლოს. როცა დემეტრე თავდადებული მტრის ურდოში მიდიოდა, ეს მე შევხვდი გზაში და ჩემი ორი ვაჟი შევთავაზე ჩვენი ქვეყნისთვის მტლად დასადებად...

მე ის პატარა ბიჭი ვარ, ვისაც უკვე მოხუცმა, დამჭწნარმა და სრულიად დაყრუებულმა პრინცმა თავზე დამადო თავისი გამხმარი ხელი. მაშინ ძალზე ძნელი იყო, დამეჯრები-ნა, რომ ეს თავზარდამცემი და იმედის გამაცრუებელი კაცი ოდესლაც ჭაბუკი იყო, მდიდარი და მომზიბლავი. შემდეგ კი იგი იქცა ჩემთვის ცოცხალ ნიმუშად, ვინც აღმატებული გახლდათ ადამიანთა შორის და შეეძლო ღრმად შეგრძნება, მტკიცე რწმენა და მგზნებარე სიყვარული.

ნეტავი იმას, ვისაც რწმენა, სიყვარული და ფანატიზმი სიცოცხლის ბოლომდე შერჩენია.

მინანერი:

ისე, „პრინცი რომანი“ ქართულად არ დანერვილა და მართლა ჯოზეფ კონრადისაა თუ ეს ლიტერატურული მისტიფიკაცია?

და კიდევ – მართლა ასე ბრძანა ქალბატონმა კეიტმა, მეორეხარისხოვანი ნაწარმოებია, მაგრამ მაინც წაიკითხეთო? თუ მართლა ასეა, რა გზაა. ბატონო პაატა, ბატონო როსტომ, თქვენ მაინც თარგმნეთ ხოლმე ასეთი შედეგები და გამოაქვეყნეთ, ჩვენ კი, ვისაც ჯერ კიდევ შეგვრჩენია გრძნობათა სინრფელე, ან სხვაგვარად, პატრიოტიზმი, მაინც სიამოვნებით წავიკითხავთ ხოლმე.

წიგნების მაღაზიის გარეშე



ეს ფოტო 1932 წელსაა გადაღებული. ფოტო პროვინციებში ახალი ხილია და მოსწავლეებს სახეზე დაძაბულობა ემჩნევათ. პროვინციელი ფოტოგრაფები ცდილობენ თავისებური ესთეტიკა შეიტანონ იმ მოდურ თავშესაქცევში: სვეტებს შუა ფარდას აფარებენ სილამაზისათვის. განლაგება ოთხ მწკრივად და ბევრი გაცემული თვალი.



ახლა 1945 წლის 29 აპრილია. ყველას ელიმება. ცოტაც და ომიც დამთავრდება. ღირსია ეს ფოტო უკვდავყოფისა. ამიტომაც მიაწერეს: „გადავიღეთ 1945 წლის 29 აპრილს“.



1937 წელს საბჭოთა ხელისუფლება უკვე ყველგან ეძებს ხალხის მტრებს. ეს ფოტო 37 წლის შემდეგაა გადაღებული. სიღნაღის რაიონის მასწავლებელთა კონფერენციაზე. ორ მათგანს სახე ნაშლილი აქვს. ჯერ კიდევ ბევრის სახე ნაიშლება, ბევრის სახელის ხსენებაც აიკრძალება. ეს შიშია და არა უარყოფის მცდელობა. ჯერ სიმართლისა და ტყუილის გარჩევის დრო არ დამდგარა. მთავარია სხვების სახეც გადაურჩეს ნაშლას.

ისტორიას დიდი ქალაქები უკეთ ირეკლავენ, ამიტომ იქ უფრო ხშირად ეძებენ წარსულის ნაკვალევს. მაგრამ პროვინცია ყოველ სიახლეს თავისებურად აფერადებს. ჩვენს პატარა დაბა-ქალაქში რომ გაივლი, სიძველის ნაკვალევს ვერ იპოვი. გგონია მთელი ცხოვრება არაფერი შეცვლილა. არადა, ლამის საუკუნეა, რაც წნორი არსებობს.

1915 წელს კახეთში მატარებელი შემოვიდა. ბოლო გაჩერება წნორისწყალთან ჰქონდა. სწორედ ამ ტრანსპორტით მოვიდნენ პირველი წნორელები ოთხი კუთხიდან და ალბათ არც ერთ მხარეს არ ახსოვს გვარების ასეთი მრავალფეროვნება, ერთმანეთში გათქეფილი, რუსულ-ქართული დასახლებები.

ვინ იცის, რამ ჩამოიყვანა ხალხი ამ ჭაობიან ადგილას, სადაც არც კარგი მოსავალი იცოდა და არც რაიმე შემოსავ-

ლის წყარო არსებობდა. დასახლდნენ და წლების მანძილზე მალარიას ებრძოდნენ – დროსთან ერთად გაბედულებაც იყო საჭირო, რომ ამ საზოგადოებრივ გაბედულებად დასახლდნენ, სანამ ბოლომდე ამოაშრობდნენ ცხელების კერას. აქ უკვე საქმის გაკეთებაც შეიძლებოდა – აი რა იზიდავდა მოსახლეობას ამ მხარეში. სჭირდებოდათ რკინიგზის მუშაკები, უფრო მეტად კი გაბედული ექიმები, რომლებიც არ გაექცეოდნენ მძიმედ დასწავლებულებს. და კიდევ ერთი აუცილებლობა – სკოლა, თუმცა ძნელია სკოლა დაარქვა იმ ბარაკებს, სადაც სცივით, შიათ, რაკილა გაჭირვებული დროა, მალე მეტადაც გაუჭირდებათ, რადგან ბევრის სახე ფოტოებიდანაც ამოიშლება „ხალხის მტრის“ სახელით. ადამიანები კი ესთეტიკას მაინც ქმნიან (ესთეტიკასთან ერთად მათიანესაც). მაშინ ფოტოგრაფია იყო ის საუცხოო საშუალება,

რომელიც დროსაც ინახავდა და სილამაზეც შეჰქონდა ობიექტივში.

წნორი ისტორიული დასახლება სულაც არ იყო. მისთვის უცხო რამ გახლდათ არქიტექტურული ხიზლი. ის მუშათა ქალაქად იქცა. გაჩნდა ქარხნები საყვირებით, მოგვიანებით კი ერთი ორიგინალური ტრანსპორტი – საბაგირო – საოცარი სანახაობა, მაღლიდან დანახული ალაზნის ველი და ნისლების ზღვაში ჩაძირული სიღნაღი.

არსებობდა ისტორიის შავი ფურცლებიც: კულტურის სახლში სამაგალითოდ დასჯილ კულაკებთან მებრძოლ მწყემსთა სასაფლაო. რეპრესირებული რაიკომის მდივანი ნითლიძე (რომელიც „დაისაჯა“ სიღნაღში ტიფის გავრცელების ბრალდებით) და კიდევ ბევრი სახე ნაშაღეს და ბევრიც ხალხის მტრად გამოაცხადეს.

დღეს კი იმ დახავსებულ ლიანდაგებს დავყურებთ, რომელმაც წნორში უამრავი ხალხი წამოიყვანა. წნორიც სწორედ მათ შეარქვეს, როგორც თელიანი, მუხიანი. ეს ნესტის-მოყვარული ხე-წნორი ნელ-ნელა გამოილია. ასევე გაქრა ალვის ხეების ხეივანი, რომელიც მშობლიურის იერს აძლევდა ქალაქს, რათა პრამატულ ნაგებობათა ერთობლიობად არ გადაქცეულიყო. და დარჩა წარსულის სიმბოლიკა: წნორის ხე, საბაგირო და მატარებელი.

ოდესღაც ვილაცა განათლებაზეც ფიქრობდა, მაგრამ ეს ოდესღაც... ამ პატარა ქალაქში დღესაც ძველებურად ქმნიან ისტორიის ახალ ფურცლებს, მარკეტებით, აზარტული ტოტალიზატორებით – ოღონდ წიგნების მალაზიის გარეშე.

მაია ვარაშაშვილი
წნორი

პროტოტიპის დასაზუსტებლად

ბატონო როსტომ,

კოტეს სახელთან დაკავშირებით, პრესასა და რადიო-გადაცემებში მავანი აყალბებენ და თავისად ასაღებენ კოტეს მონათხრობ ფაქტებსა და განცდებს. ამას მე ვერაფერს ვუხერხებ – მუდამ ჩრდილში ყოფნა მირჩევნოდა; მაგრამ რაკი „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე რამდენჯერმე განმიანდა კოტეს სახელი, მინდა ჩემი მოსაზრება გაგიზიაროთ.

გაზეთის ერთ-ერთ ნომერში გიგი ხორნაული მიზანდასახულად აცხადებს, თითქოს ჯონქას პროტოტიპი მამამისია. ეს არ არის მართალი. რომანის მთავარი გმირი თავისი აზროვნების უნარით, საქციელით თვითონ ავტორია (ამას თქვენც აღნიშნავთ ერთგან).

კოტესთან ჩემი შვიდწლიანი მეგობრობა უფლებას მაძლევს ვაღიარო, რომ პროტოტიპების პოვნა ჩვენს თანაკურსელთა და ნაცნობებს შორის ძნელი არ იყო (ჩაგუ, რეზო, კიჭა, კიტი, იოთამი, ციციწო, ეგნატე ლაზაშვილი, დ. ციხისელის გარემოცვა, შიბზიკა და სხვა).

თიანეთში მირზასთან სტუმრობისას კოტე მწერდა, ჩარგალში ვიყავით და ჩემი რომანის გმირს სახელად ჯონქა შევურჩიეო. გვარი – ხორნაული ლადო ბალიაურმა უკარნახა, ხოლო ციხისელების ასულს ჩემი თხოვნით დაარქვა მანანა.

რედაქციაში ხელნაწერების მიტანამდე ყოველ მოთხრობას, რომანის ყოველ თავს მიკითხავდა, ამდენად რომანის გმირთა პროტოტიპებიც ჩემთვის ნაცნობი იყო.

პერსონაჟთა შესაქმნელად, როგორც თვითონ ხუმრობით ამბობდა, „შეჯვარების მეთოდს“ იყენებდა. მაგ. კიჭას და რეზოს ფიზიკური მონაცემები, ნიშან-თვისება „შეაჯვარა“ მესამე პერსონაჟის საზრიანობასა და საქციელთან და მიიღო კიჭა თორაძე. ოღონდ მისი პროტოტიპი გიგია (მაჩაიძე) და არა ჟაკი, როგორც თქვენ წერთ. კემელავას „გამომჟღავნების“ მოშველებით.

რომანის პირველი თავის გამოქვეყნებამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ჩვენს ფაკულტეტზე, ყველანი პროტოტიპების ამოცნობას ლამობდნენ. ნ. კემელავა დიდხანს უბრად იყო კოტესთან, რადგან მისი ახლო მეგობარი (კიტი) ყველამ მაშინვე გამოიცნო. მალე გივისთან ერთად ენაკვიმატი გამოხდომებით ბევრჯერ გვატკინა გული (თუმცა კოტეს დაღუპვა ისე გულწრფელად დაიტირა, ყველაფერი ვაპატიე). არ ვიცი, ჟაკის პროტოტიპად გამოცხადება (და ბევრი სხვისიც) საიდან მოიტანა.

ჟაკი არასოდეს ყოფილა კოტეს არც მეგობარი, არც თანმხლები პირი. რაც შეეხება გივის, მასთან კარგა ხანს ჰქონდა ურთიერთობა, მალე მიუხვდა მის მზაკვრულ საქციელს და საბოლოოდ ჩამოშორდა.

ჟაკის იერ-სახე მხოლოდ ერთხელ გამოჩნდა რომანში (ყავისფერ კოსტუმიანი „შიბზიკა“), მასხოვს, უნებლიეთ წამოვიძახე – ამ შიბზიკას მანანას სახლში რა უნდა-მეთქი. კოტემ მაშინვე ჩაამატა ხელნაწერში ეს ფრაზა.

მაპატიეთ, ბატონო როსტომ, დრო რომ წაგართვით, მაგრამ მინდოდა ჩემი ზოგიერთი მოსაზრება და ფაქტი თქვენ გცოდნოდათ.

პატივისცემით

ნუნუ ქაჯიშვილი



კოტე ხიმშიაშვილი

როსტომ ჩხეიძე

საჭადრაკო პარტია მ რა ჰქმნა?

*

ლევან პრეპაძე, ეპიგრაფი, არტ გუსტავლდი, გორი

მე ვენაცვალე კარგ ღვინოს!
რაც უნდა, ის თქვას სხვამ.
სამოთხე დაგვაკარგვინა
ჭამამ და არა სმამ.

გედევან ხელაია უცნობი გერმანელი ავტორის ამ ეპიგრამით დაინწყებდა თავის გამოსვლას და დასძენდა: უკვე რამდენჯერმე გამოვიყენე სხვადასხვა სუფრაზე და ისე მოეწონათ, გამეორებით რომ მამეორებიანებენ, სხვა ნიმუშების ნაკითხვასაც მოხოვენი.

თავს გამოიღებდა, უარს იტყოდა თუ რა!..

ლევან ბრეგაძეა მინვეული გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში – 2005 წლის 22 აპრილს, ბიბლიოთეკის დიდი დარბაზი გადაჭედებდა და სტუმარი კი უნდა წარუდგეთ არა როგორც ლიტერატურის კრიტიკოსი და მკვლევარი, არამედ როგორც... იუმორისტი – უცხოური ეპიგრამების მის მიერ თარგმნილი კრებულით „სააშკოოდ, სალალო-ბოდ“ და ამერიკულ პამფლეტისტზე, არტ ბუხვალდზე, საუბრით.

სტანდარტიზაციის მოულოდნელი ხიბლი – ამ ორიგინალურ სახელწოდებაში მოაქცევს უჩვეულო აღნაგობის პამფლეტთა სერიას, რომელიც ჯერ ამერიკელთა და შემდგომ მთელი მსოფლიოს თვალწინ დაამსხვრევდა მოარულ შეხედულებას: სტანდარტიზაცია, ერთი და იმავე ხერხის დაუსრულებელი განმეორება საკმაო ნაკლია ლიტერატურული ქმნილებისათვის. არა, უმეტეს შემთხვევაში კვლავაც ასე იქნებოდა, მაგრამ არსებობდა გამონაკლისიც, როდესაც სწორედ გასტანდარტულება იწვევდა ლალ სიცილს და არცთუ მოსაწონ საზოგადოებრივ მოვლენათა არსშიც უფრო ხელშესახებად გვახედებდა.

თანაც არა მხოლოდ ამერიკულ საზოგადოებრივ ყოფაში.

ის ტენდენციები, რაც იქ, რამდენიმე ათწლეულის წინ გადავლილიყო – და, სხვათა შორის, გადავლილიყო არტ ბუხვალდისა და სხვა მისებრ ჟურნალისტთა დიდი თავგამოდებითაც – ჩვენში ახლა გამოჩნდებოდა და ფეხსაც მოიკიდებდა. ამიტომაც პამფლეტთა ეს ციკლი მარტო ლიტერატურული თვალსაზრისით კი არ იპყრობდა ქართვე-

ლი მკითხველისა თუ მსმენელის ყურადღებას, არამედ სოციალურ-პოლიტიკურითაც.

ასე რომ: ბუხვალდს ეს ახალი მოვალეობაც დაჰკისრებოდა – ჩვენშიც მიეღო უშუალო მონაწილეობა ყოფით დაბრკოლებათა გადალახვაში.

ჯერ გედევან ხელაია განაგრძობდა თავის სიტყვას და პაატა ჩხეიძეს გადახედავდა: მე და პაატა ერთმანეთს რომ შევხვდებით, აუცილებლად უნდა გავიხსენოთ ხან რომელი და ხან რომელი ეპიგრამაო.

თვითონ პაატა, თავყრილობას რომ გახსნიდა და ლევან ბრეგაძეს წარუდგენდა სტუდენტობას – და არამარტო სტუდენტობასა და ლექტორებს, სხვა არაერთი წიგნიერი გორელიც შემომატებოდა ამ ლიტერატურულ საღამოს – ამ უცნობი ავტორის ეპიგრამას დაიმომწებდა სანიმუშოდ:

ჩემს მონივნებს ბრიყვთა მიმართ არა აქვს ზღვარი, ჩვენ მათი ვალი სამუდამო ვალად მიგვყვება, რადგანაც, რომ არ ყოფილიყვნენ ბრიყვები სხვანი, მაშინ ჩვენ თვითონ მოგვინევდა ყოფნა ბრიყვებად.

და საუბრისას იმასაც აღნიშნავდა: ლევან ბრეგაძეც გერონტი ქიქოძის იმ თეორიის დამადასტურებელია, „წითელი და შავი“ მთარგმნელს ყველაზე სანდო საზომად რომ მიაჩნდა – თარგმანი მაშინაა ჭეშმარიტად ღირებულის, როდესაც გათქმევენებს, ავტორი სწორედ ასევე დაწერდა, ქართველი რომ ყოფილიყო.

გედევან ხელაიას მოხიბლავდა ეს აზრი და თავის მხრივაც ხან მარციალისის სატირულ-იუმორისტულ მინიატურას გაიხსენებდა, ხან ლესინგის, ხან გოეთესი, ხან ჰაინესი, ხან პუშკინისა: აბა, ავტორი არ ვიცოდეთ, თუ ქართული ეპიგრამები არ გვეგონოსო.

და გაიხსენებდა ყველას... ზეპირად.

უბით დაატარებდა ამ პატარა წიგნს, წამდაუნუმ ჩახედავდა ხოლმე და ასე შემოხეპირებოდა.

მითუმეტეს, სუფრის კანონებიც სთხოვდა.

გადადგებოდა უნივერსიტეტის რექტორობიდან, სხვა რექტორები სავარძლებს რომ ჩაბლაუჭებოდნენ, ეს იოლად გამოეთხოვებოდა თავის კაბინეტს, მაგრამ სამეცნიერო საბჭო არ მოეშვებოდა და, რაკილა ბატონი გედევანი უარზე დადგებოდა, სასამართლოში აღძრავდნენ სარჩელს: დაგვიბრუნეთ რექტორადო.

დიდად უცნაური რამ ხდებოდა.

მოხსენით კი არაო, რექტორობა ხელახლა აიძულეთო.

სასამართლო გედევან ხელაიას გამამტყუნებელ განაჩენს გამოიტანდა, ანუ... კვლავ რექტორის სავარძელში დააბრძანებდნენ.

მარციალისის რომელიმე სულიერი შთამომავალი აქაც რომ გამოჩენილიყო, ეს ამბავი უეპიგრამოდ არ ჩაივლიდა.

თუმც რა მარციალისი უნდოდა, ფშავ-ხევსური მე-ლექსენიც სიხარულით ჩართავდნენ თავიანთ რეპერტუარში, ოღონდაც ყური მოეკრათ.

ახლა კვლავ გადამდგარიყო.

სასამართლო უკვე აღარ ჩაერეოდა მის ცხოვრებაში.

უნივერსიტეტი მღელვარებდა, ათასგვარი ჭორ-მართალი ტრიალებდა და გარკვევით მაინც ვერავინ გარკვე-

ულიყო, რას გულისხმობდა რეფორმა – თავისთავად ასერიგად აუცილებელი, მაგრამ ხელოვნურად გადმოღებული, დაუხვეწავი და ბუნდოვანი, უფრო აბსტრაქტული, ვიდრე რეალური და სასწავლო პროცესში ამიტომაც ძნელად დასამკვიდრებელი.

ჩვენს თანამედროვე მარციალისს თავზე დაეყრებოდა უხვი მასალა და ლამის კიდევ დააბნევა – რომელი ერთით დაეწყო.

ფშაველ და ხევსურ მელექსეებსაც.

არტ ბუხვალდს ხომ თავისთავად.

მთელი ქვეყნის საზოგადოებრივი ყოფა ირეკლება აქაც ათასფერადი გარემოებებითა და პერსონაჟებით.

მეორდებოდა კაცობრიობის ცხოვრების ბრუნვაც, მივიწყებული ზემოთ მოტივირებდა, კარგად ნაცნობი და შეჩვეული სადღაც იძირებოდა და ყველა ადამიანი ისე ჩანაცვლებოდა ვილაცას, ეპიგრამათა ამ კრებულის პერსონაჟთა მიღმაც ძალდაუტანებლად შეიძლება ჩვენს თანამედროვეთა ამოცნობა საერთოდ და გორის უნივერსიტეტის სტუდენტებისა და ლექტორების სილუეტებიც გამოსჩანდა სააშკოოდ, სალალობოდ შექმნილ ციკლში.

ჩემი გამოსვლისას ამასაც მივაქცევდი ყურადღებას, ახალგაზრდებს მოსაზრებას გაუზიარებდი, ეპიგრამების გაცნობისას თქვენი ნაცნობები წარმოიდგინეთ ზოგადი პერსონაჟების მიღმა-მეთქი, და ისე აფუსფუსდებოდნენ, ახმაურდებოდნენ, დარბაზსაც მოავლებდნენ მზერას და გონების თვალთაც გადახედავდნენ გარშემომყოფთ, უკვე ამ თამაშზე გადაერთოდნენ და მარინე გიგაშვილი, ყველა ჩვენი წამოწყების უცვლელი მონაწილე და ერთ-ერთი თაოსანი, ხუმრობით მისაყვედურებდა: სალამო კი არ ჩაგვიშალოო.

მეც სასწრაფოდ გავაფრთხილებდი დარბაზს, ახლავე არ არის აუცილებელი, ეპიგრამების მისადაგებას თქვენი ნაცნობებისათვის ყოველთვის მოასწრებთ, და კარგი იქნება ერთმანეთს თუ გაუზიარებთ თქვენ-თქვენს ვერსიებს, რომელი უფრო მარჯვე გაიგივება აღმოჩნდება-მეთქი.

რალაც ვიქტორინასავით გამოდიოდა – ამ იუმორით აღსავსე პანია წიგნის თავისებურ გაგრძელებად.

– შენ თვითონაც შეიძლება სათაურების ნაცვლად მწერლების სახელები ჩაწერო და გამოაქვეყნო კიდევ, – მარინე გადმომილაპარაკებდა, – საკმაოდ სახალისო მასალა იქნება.

და ვხვდები, რომ მოულოდნელად გადმოსროლილი იდეა მართლაც შესაძლოა მხიარული ციკლის შესაქმნელად გამოდგეს. რედაქტორები მოერიდებიან – იუმორი, მეგობრული შარჟი, შეხუმრება ვაითუ სწორად არ გაგვიგონ პერსონაჟებმა და გაგვინანწყენდნენო? საჩქაროც რა არის. თუ აღვადგენ გაზეთს ან ჟურნალს, იქ მე თვითონ გამოვიყენებ.

და გონებაში უკვე გაიღვებებს ცალკეული სახელები და ისე ძალდაუტანებლად ერგებიან ეპიგრამებს, თავის შეწუხება ოდნავადაც არა მჭირდება.

აი, თამაშა!..

ამასობაში ზაზა ცოტნიაშვილის ჯერიც დამდგარა, ახალგაზრდა კაცის, მაგრამ უკვე ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკისა და უცხო ენების

ფაკულტეტის დეკანის, სადოქტორო დისერტაციაც რომ გაუმზადებია და, რაც მთავარია, არ აკლდება არცერთ აქაურ სალიტერატურო შეკრებას, ხან მონაწილეა, ხანაც თაოსანი.

და ამჟამადაც:

„გამოვხატავთ რა განსაკუთრებულ მონივნებას გორის უნივერსიტეტის დიდი ტრადიციების წინაშე, ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით მივესალმებით ცნობილ მწერალსა და მთარგმნელს ბატონ ლევან ბრეგაძეს. დღეს ქართლს სტუმრობს და საკუთარი თარგმანების ახალ შესანიშნავ კრებულს „სააშკოოდ, სალალობოდ“ წარუდგენს ორიგინალური ხედვის მთარგმნელი. ჩვენს წინაშეა კლასიკური ეპიგრამა და მისი თარგმანის მაღალი ხელოვნება.

თარგმანი უძველესი წარსულის ლიტერატურული ფენომენია, მისი შესრულება რამდენიმე ენის ზედმიწევნით ცოდნას, ამ ხალხთა ისტორიის, ტრადიციისა და ნაციონალური აზროვნების წვდომას მოითხოვს.

ლევან ბრეგაძის მიერ შესრულებული რთული სამუშაოს ერთი მაგალითი ნათელ წარმოდგენას გვიყალიბებს მის ფაქიზ გემოვნებასა და დედანთან მიდგომის თავისებურებაზე.

თუ ა. სუმაროკოვი 1759 წელს დანერს:

**Танцовщик ты богат; профессор, ты убог.
Конечно, голова в почтеньи меньше ног.**

დღეს ლევან ბრეგაძე ამ ეპიგრამას ქართველ მკითხველს ასეთი სახით სთავაზობს:

**ფეხბურთელი „ვოლგაში“ ზის, პროფესორი ფეხით დადის,
რაც ნიშნავს, რომ თავზე მეტად ჩვენში ფეხებს სცემენ პატივს.**

თვითონ ამას თარგმანს არც უწოდებს, მაგრამ სწორედ შემოქმედებითი თანაზიარობის ნიმუში გვაქვს ხელთ.

სხვადასხვა ეპოქაში შექმნილ ნააზრევთა სულიერი თანხვედრა და მკითხველამდე სათქმელის ზუსტად და შთამბეჭდავად მიტანა ნაციონალური აზროვნების წყობის გათვალისწინებით მთარგმნელის დიდი ძალისხმევის ნაყოფია.

დიდი მადლობა ბატონ ლევანს ასეთი საჩუქრისათვის, და ამ ჟანრის კიდევ არაერთ მსოფლიო შედეგს უნდა მოველოდეთ მისგან“.

რაკილა ეპიგრამა და კაფია ერთმანეთისაგან არც განირჩევა, თავყრილობაზე ცნობილ მოკაფიავეთა ყოფნასაც თავისი განსაკუთრებული ლაზათი აქვს. ეგაა, ბაბუა ალუდაური ფოტოაპარატით ტრიალებს, ტიპაჟებს არჩევს, იმ დღის განწყობილებათა სრულყოფილ აღბეჭდვას ლამობს და ტრიბუნასთან ადგილს ტრისტან მახაურს უთმობს, ვისაც არ მობეზრდება ამ ჟანრებზე საუბარი, მათი შედარება-შეპირისპირება, თუკი არ დავაოკეთ და არ შევპირდით, რომ კაფიას ცალკე ლიტერატურულ სალამოს მიუძღვნით – ან ისევ გორში, ან სხვა ქალაქში, წასასვლელი არ გავგაჩნია თუ რა.

„ეპიგრამა თავდაპირველად საფლავის ქვაზე, ძეგლზე, კედელსა თუ საოჯახო ნივთზე შესრულებული ხოტბითი ხასიათის წარწერას ერქვა. დროთა განმავლობაში ეპიგრამამ მნიშვნელობა იცვალა და მწვავე სატირულ ლექსად ჩამოყალიბდა. ეპიგრამა მკვეთრად გაემიჯნა ეპიტაფიას, თუმცა ეპიტაფიებშიც აისახა ირონიული დამოკიდებულება წუთისოფლისადმი. სანიმუშოდ მინდა მოვიტანო ერთი საფლავის ქვიდან ამოწერილი ლექსი:

**მე ვამბობდი: მე ვარო,
შენაც იტყვი: მე ვარო,
შენაც ისე დასწვები,
როგორც მე აქ ვწევარო.**

სატირულ-იუმორისტული შინაარსით ეპიგრამასთან ახლოს დგას გალექსება და კაფია. დაცინვასთან ერთად ორივე ჟანრის ნიმუშებში თითქმის თანაბრად მოიპოვება სიბრძნის მარცვლები, გვხვდება აფორისტული გამოთქმები, სენტენციები.

ლევან ბრეგაძემ ქართველ მკითხველს მიაწოდა დახვეწილი პოეტური ენით თარგმნილი ეპიგრამები. დაკვირვებული მკითხველი ამ პანია ნიგნით მიიღებს სრულყოფილ ცოდნას ეპიგრამის, როგორც განსაკუთრებული პოეტური ჟანრის, შესახებ.

ხანდახან მგონია, რომ ნიგნში მოთავსებული ანონიმი ავტორების უკან დგას თვითონ ლევან ბრეგაძე – არა მარტო მთარგმნელი, არამედ როგორც ავტორი, მახვილი გონების პატრონი და მაღლიანი კალმოსანი“.

მიხეილ მახარაძე რომ გამოჩნდება დარბაზში, ლევანი არტ ბუხვალდის პამფლეტს კითხულობს გატაცებით. დამსწრენი სიცილით ასდევნენ ამერიკელი ჟურნალისტის გონებასაზვილურ სიუჟეტებს, ჰიპერბოლიზების ხერხი სრულ აბსურდად რომ აქცევს იმ საზოგადოებრივ ტენდენციებს, რომელთა მომძლავრება-დამკვიდრებასაც ასე შეუპოვრად აღდგომოდა წინ ბუხვალდი ამერიკის შეერთებულ შტატებში, და ასეთი მიზანდასახულობით გადაეხალისებინა პამფლეტის ჟანრი.

უპირველესად მაინც დაუშრეტელი იუმორის წყალობაა ჰიპერბოლიზების ასეთი წარმატებით გამოყენება.

თავს არაფრისდიდებით არ შეგანყენს.

გაგართობს და გაგახალისებს.

და საკმაოდ მწვავე საზოგადოებრივი მოვლენების არსშიც ჩაგახედებს მთელი სიგრძე-სიგანით.



ტრისტან მახაური, გედევან ხელაია, როსტომ ჩხეიძე, ლევან ბრეგაძე და ზაზა ცოტნიაშვილი

მიხეილ მახარაძე ბათუმიდან თბილისში მიიჩქარის გადაუდებელ საქმეზე და გზად პაატას შეეხმიანება – ერთობლივად თარგმნილი ნიგნის, ალექსეი ლოსევის „ალმოსავლური რენესანსის“ სასიგნალო ეგზემპლარების გადაცემას ეშურება.

ფილოსოფიის ინსტიტუტში დამეგობრებულიყვნენ, ცხოვრების ბრუნვა-ტრიალს სხვადასხვა მხარეს გაერიყა ორივე, მაგრამ კეთილი ურთიერთობა არც არასოდეს განწყდებოდა მათ შორის. პაატა პოლიტიკიდან მეცნიერებასა და ლექციებს დაბრუნებოდა, მიხეილი ახლა გადასულიყო პოლიტიკურ ასპარეზზე და ეს გადასვლა აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეობით დაეგვირგვინებინა. არა, ფილოსოფიას საერთოდ და კერძოდ კი, ქართული რენესანსის თეორიას ვერასოდეს გამოეთხოვებოდა და ეს პატარა ნიგნიც ამ გაუნელებელი ინტერესის დასტური გახლდათ.

იქნებ თავისებური ნოსტალგიისაც...

გორში ერთი-ორი წუთით შერბენა თუ ჩათქვა, მაგრამ პაატასაგან შეიტყობდა თუ არა, ლევან ბრეგაძესთან გვაქვს შეხვედრაო, იმ გადაუდებელ საქმეს ცოტათი გადასწვდა და შუა საღამოზე რომ შემოგვესწრებოდა, მორიდებით, წელში მოხრილი გაუვლიდა წინ ჩვენს მაგიდას და, რაკილა ცარიელი სკამი ლევანის გვერდით იდგა, იმას მიაშურებდა.

ლევანი პამფლეტის კითხვაში ჩაფლულა.

„მეტისმეტად მოხუცი ბრძანდებით“ – ასე დაუსათაურებია არტ ბუხვალდს ეს იუმორისტული ქმნილება, ასეთი მახლობელი ჩვენი სინამდვილისთვისაც, ორმოცი წელი უკვე ხნიერებას რომ გაიგივებია.

თუკი ეს ტენდენცია გაგრძელდება, რა შეიძლება მოხდეს?

არ გაგიკვირდეთ, თუ კადრების განყოფილებაში ასეთ საუბარს შეესწრებით:

– თქვენ კარგი ანკეტური მონაცემები გაქვთ, მაგრამ...

– რა მაგრამ?

– სამუშაოსათვის ძალზე ხნიერი ბრძანდებით...

– როგორ თუ ძალზე ხნიერი, მე ხომ 23 წლისა ვარ!..

– ნუ ლელავთ. პირადად თქვენს მიმართ არავითარი პრეტენზია არა გვაქვს, მაგრამ გამოცდილებით ვიცით, რომ თქვენი ტოლები მთელი ძალით ვერ მუშაობენ...

– მესმის, მაგრამ შემამომნმეთ! შემიძლია ყოველგვარი სამუშაოს შესრულება. კვირაში ორჯერ ჩოგბურთს ვთამაშობ, კოლეჯში ფეხბურთელთა გუნდის კაპიტანი ვიყავი, შესანიშნავი ჯანმრთელობა მაქვს.

– მესმის, მაგრამ არა მაქვს საშუალება, ყოველ მთხოვნელს ინდივიდუალურად მივუდგეთ. სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ თქვენი ასაკის ადამიანები ხშირად ცივდებიან, ემართებათ რადიკულიტი და იშიასი. ჩვენი დაზღვევის აგენტი უარს იტყვის მიღებაზე, ასეთ რისკზე ვერ წავალთ.

– თუ მე უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ვერ ვიმოვნი სამსახურს, რა ვქნა მომავალში?

– რატომ არ გინდათ პენსიაზე გასვლა?

– რის პენსია, მე ხომ ჯერ მუშაობაც არ დამინყია?“

მაგრამ ვერაფრით დაეხმარებიან ამ მეტისმეტად ხანშიშესულ ადამიანს. ის რომ სამუშაოზე მიიღონ და კლიენტი დაინახავს ნელში მოხრილ 23 წლის მუშაკს, რა შთაბეჭდილება შეექმნება კომპანიაზე?

მოხუცია, მეტისმეტად მოხუცი!..

და თვითონ ის, ვინც 23 წლის მთხოვნელს უარით ისტუმრებს, რამდენი წლისაა?

რამდენის და... ცამეტისა.

ესეც ჰიპერბოლიზების ხერხის მომხიბველობა და ეფექტი!..

მიხეილ მახარაძე ცარიელ სკამს მიაშურებდაო...

ამ სკამზე თავიდან პაატა ჩამოჯდებოდა.

მერე ზაზა ცოტინაშვილს დაუთმობდა და კარის მხარეს გადაინაცვლებდა – სალამოსაც ასე გაუძღვებოდა და პატარ-პატარა საუნივერსიტეტო საქმეებსაც ასე უფრო ადვილად შეუთანხმებდნენ.

დიდი ფუსფუსი კი ასტეხოდათ.

კლარა ელჩიბეგაშვილი რომ შემოვიდოდა ბოდიშებით: ისეთ განამანაში ვარ, დიდი სურვილის მიუხედავად, ორიოდ წუთით თუ დაგესწრებითო, – ზაზა იმას დაუთმობდა სკამს და განაპირას გადაინაცვლებდა. უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი საგანგებოდ მომზადებულიყო ამ თავყრილობისათვის და სიტყვითაც გამოვიდოდა – ფილოსოფოსის თვალით გახედავდა ეპიგრამის ისტორიას, სიტყვას იმ ქარგაზე ამოახვევდა, თუ რამხელა სიბრძნე ჩაბუდებულა კომიკური, იუმორით აღსავსე სამოსელის მიღმა. ერთხანს იჯდებოდა და მერე უჩუმრად გაიხურავდა კარს.

ლევანი რომ პამფლეტის კითხვას ჩაათავებს და ახალი ნიმუშის გაცნობამდე თავის ადგილს დაუბრუნდება, პაატა მიხეილ მახარაძის სახელს გამოაცხადებს: შემთხვევით გაიგო ჩვენი სალამოს თაობაზე და რა მოათმენინებდა, გულითადი სიტყვით თვითონაც არ მიემართა დღევანდელი შეკრების გმირისათვისო.

ლევანს თავის გვერდით კლარა ელჩიბეგაშვილი ეგულეებოდა და უეცრად სულ სხვა რომ წამოდგებოდა, თანაც ვის აქ ყოფნასაც სულ არ მოელოდა, გაოგნებული ახანამებდა წამნამებს.

ხან იმისკენ გააპარებს მზერას, ხან მე გამომხედავს.

ამასობაში ის ერთ საუკეთესო ლიტერატორად აცხადებს ლევანს, პროფესიონალიზმის ხორცშესხმად, სინანულით აღნიშნავს: ეპიგრამების წიგნს ჩემამდე ჯერ არ მოუღწევია, მაგრამ ცალკეულ ნიმუშებს კარგად ვიცნობ საგაზეთო თუ საჟურნალო პუბლიკაციებიდან და გარკვეული წარმოდგენა შექმნილი მაქვს, თვითონ ლევანს ხომ ვიცნობ და ვიცნობ და მისი ხელიდან გამოსული ლიტერატურული მასალა მხოლოდ საუკეთესო შეიძლება იყოს – მოულოდნელიც და ახალიც, ღრმაც და მახვილგონივრულიცო.

ლევანი კი:

– მოიცა, ეს რომელი მიხეილ მახარაძეა? – მეჩურჩულეზა.

– რა დაგემართა, მიშა მახარაძეს აღარ იცნობ?

– ეს ჩვენი მიშაა?

– აბა, ვინ უნდა იყოს.

– მოჩვენებები ხომ არ დამენყო... აქ...!

– აქ კლარა არ იჯდა?

მიხეილი კი პირველ გაცნობას იხსენებს: საჭადრაკო უნივერსიადაზე შევხვდით ერთმანეთს, მე ფილოსოფიის ფაკულტეტის გუნდში ვთამაშობდი, ლევანი ჟურნალისტიკის ფაკულტეტისაო.

თუ ვინმე სხვა მიხეილ მახარაძეა, მისი ძველი მეგობრის მსგავსი და ალი-კვალი, სტუდენტური სპორტული შერკინება საიდან ეცოდინებოდა?.. ესე იგი... ესე იგი... და ორატორი:

– ის პარტია ლევანმა მომიგო, საკმაოდ დაძაბული თამაში კი იყო.

– მართლა მიშა ყოფილა, – აღმოხდება ჩვენს ეპიგრამისტს.

ახლალა ირწმუნა.

რა იყო მაინც – იმ საჭადრაკო პარტიის ხსენება იავნანასავით ჩაესმა თუ?..

ისე კი თუ ეს ეპიზოდი ოდესმე ლიტერატურულ ქარგაში მოექცევა, სათაური უკვე გამზადებულია:

საჭადრაკო პარტიამ რა ჰქმნა?

მაგრამ სალამო ამ აკორდზე მაინც ვერ დასრულდება.

ვერც არტ ბუხვალდის პამფლეტები დააბოლოვებენ მის კომპოზიციურ ქარგას.

ხომ ვიცი – ტრისტან მახაური კაფიას თხზავს გუნებაში და ბაბუა ალუდაურს ისეთი მომღიმარი მზერით გადახედავს, ეტყობა, პერსონაჟად იმასაც გულისხმობს.

ბაბუა რალაცას ხვდება და გუნებაში ისიც სტრიქონებს უყრის თავს – უპასუხოდ ხომ არ გაუშვებს.

ლევანი ჯერ იმ სატირულ-იუმორისტული მინიატურით – „ღვინის საბაბი“ – აპირებს შეხვედრის მონაწილეებთან გამომშვიდობებას, უცნობი ეპიგრამისტი საბაბს საბაბზე რომ დაახვავებდა ღვინის სმისათვის: ესაო და – თუკი მოყვრისგან კარგი ამბავი ისმისო, ესაო და – შობა და აღდგომაო, ქორნილი და ნათლობაო, ესაო – ავდარიო, ესაო და – ორი თვის უნახავ ძმაკაცთან შეხვედრაო, ესაო და – სამსახურში რომ მოენყეო... ისე კი საბაბს მაინცდამაინც ნუ დაეძებთ, ღვინის სმა უსაბაბოდაც შეიძლებაო.

გედევან ხელაია ბუტბუტით ასდევს. სუფრებზე, ეტყობა, ამ იუმორისტულ მინიატურასაც ხშირად ამეორებიანებენ.

ლამის წამოშლილები ვართ, მაგრამ უეცრად ლევანი ლეოლოდ ფრიდრიხ გიუნთერ ფონ გიოკინგის სხარტულას – „რელიკვია“ – მოიშველიებს სალამოს ყველაზე მოხდენილ, ყველაზე ღრმა ფინალურ აკორდად:

მარცხნივ ნადი, – მითხრეს, – თალებს გასცილდი და მონასტრის განძსაცავში გახვალ. ინახება იქ იმ კიბის ნაწილი, იაკობმა სიზმარში რომ ნახა.

და შეერევა მხიარულებას უცნაური და აუხსნელი სევდა.

ნესტან მჟავანაძე

„აზარტოვანო თამაშობავ, ფილოლოგიაავ!“

ნუ დავაბრალებთ კორექტურას სათაურის ბოლო სიტყვაში ერთურთის გვერდით თავმოყრილ ხმოვნებს, ასე ინება თვითონ ავტორმა, რათა მეტი სიძლიერით შეგვეგრძნო და დაგვენახა ხიბლი თამაშის.

საკმარისია ჩანვდე ლოგოსის ლაბირინთებს, სულის ხვეულებს, მაშინვე მიხვდეთ, რად უნოდებენ ფილოლოგიას სიტყვის სიყვარულს. სხვაგვარად შეუძლებელიც იქნებოდა, რადგან, მხოლოდ გრძნობით შეერთებული სინტაქსური წყვილის ფონზე უნდა გაგვეგო ენისა და ლიტერატურის მადლქმნილი ძალა, რომელიც ისე მოულოდნელად დავატყვებდა თავს, რომ ველარ ვთოკავთ აჟივლებულ სიამოვნებას.

განცდის ეს განსაკვიფრებელი სიმძაფრე სიტყვათქმნადობის ოსტატებთან შეხვედრისას გვაგინყებს სევდას, მოწყენილობას და, თავისი შემაშფოთებელი ბედისწერით, მაინც გვანვდის შვების სასთუმალს, მაშინ კი, ვინ იცის, მერამდენედ ვნირავეთ მადლობას არსთა გამრიგეს, რომლის წყალობითაც მივუახლოვდით ქართული სიტყვის საოცრებასთან წილნაყარ მწერალს, უფრო მეტიც: გავეცანით სიტყვით გრძნეულ, სიტყვასთან განდობილ, სიტყვით შეპყრობილ, გნებავე შეთქმულ შემოქმედს, რომელმაც დაამსხვრია მის წინ აღმართული კედელი, გაარღვია წრე, რომელიც გარსშემოავლეს ხელოვნების მადლით შთენილებს და რომლებიც მერე იშვიათად დაღატობდნენ მემკვიდრეობით მიღებულ ლიტერატურულ ტრადიციებს.

მან უღალატა არსებულ წესებს, განერიდა ერთფეროვნებას და ჯერაც „უცნობი გამოთქმებით, უცხო აზრებით, აქამდე სხვისგნით ვერმიწვდომილით, ჯერ ვერ ნათქვამით და არსმენილით“ მოგვაქცია სიყვარულით დანთქმულ არეში, გვაგრძნობინა სიტყვის სიცოცხლე, იდუმალება და – თავისი აზროვნებით, მანერით, სტილით – დაგვამსგავსა მგზავრს, რომელიც მშვიდად, ტაატიტ, ნებივრად მგზავრობს, მაგრამ გაჩერება ძლიერ ამინებს, აკრთობს, რადგანაც იცის, ჩამოსვლა უკვე შემოსალტული ჰარმონიის დაკარგვას ნიშნავს.



გურამ დორჩანაშვილი ხაშურში. წმიდა ექვთიმე ათონელის სახელობის სასულიერო ლიცეუმი „ფარგალიტი“ (2005 წლის 11 დეკემბერი)

მან, მართლაც, შეძლო ეთქვა ჩვენთვის (მკითხველსათვის) ისეთი რამ, სხვამ რომ არ იცის, თუნდაც ეს: „სიტყვა სანუკვარ ქალს ჰგავდა, იმასაც ჰქონდა თავისი თედოები, მკერდი, ეპ, თვალწარბი და მხრები ისეთი, მაგრამ ბრმასავით უნდა შეგეცნო, გახურებული ხელისგულებით მთრთოლვარე შეხებით...“ სხვა ამგვარებიც: ... თანაც ისე ჩაგვიწნა სულში, სიხარულით უმალ შევცბუნდით...

...
მიმიხვდით არა, ვის შესახებ გესაუბრებით?..
...

გურამ დორჩანაშვილის სიტყვიერი ხელოვნების საგანძურს, სადაც უნდა მოვეკრათ თვალი, მიახლოების სურვილთან ერთად უჩვეულო ვნებათაღელვებით გამოწვეული ჟრუანტელიც თან გვეუფლება, ამავე დროს წიგნის ნაკითხვის წადილიც ისე წაგვიკიდება, ვართ თუ არა მზად, ვცდილობთ ხელიდან არ გავუშვათ მოსალოდნელი მძაფრი შეგრძნება.

მწერლის განმარტებანი, დაკვირვებანი, სიტყვის თამაში, და სითამამე ეფექტის მისაღწევად, პერსონაჟთა მეტყველებაში ჩადებული მათი ხასიათის შეცნობის ხერხი, დახვეწილი იუმორის ნიჭი, დამოკიდებულება მშობლიურ ენასთან, ლექსიკური, ორთოგრაფიული, პუნქტუაციური გაუცხოება – ფილოლოგიის, აზარტოვანი თამაშობის ნაყოფი გახლავთ... ყოველივე ამის შემდეგ, როცა მკითხველად ყოფნის სასწაულსაც ირწმუნებ, მიხვდები, ყველაფერი ერთ ნეტარ მიზანს ემსახურება: ლიტერატურის სიყვარულს, რადგან „ყოველი ნორმალური მოთხრობის ნაკითხვის შემდეგ

ხდები ოდნავ უკეთესი, ვიდრე ხარ, უფრო ჭკვიანი, ვიდრე იყავი...“

მწერალს ამ ურთულესი მისიის შესასრულებლად „ძიება, დაკვირვება და პირდაპირობა სჭირდება“, მხოლოდ ასე ხდები დიდი მწერალი – მგელზე ამხედრებული ამაცი გლახა, არწივით მხარზე...

და თუ ვინმესი სჯერა მწერალს, უპირველესად ჩვენი – მკითხველის ეიმედება, ესალბუნება, ეხალისება, მისი თანადგომა და სიყვარული, მოწყალე თვალი სჭირდება.

როგორ არ ელოლიავება, ეფერება მკითხველს, ზოგჯერ აქებს, ადიდებს, ზოგჯერ მოკრძალებულად საყვედურსაც აგემებს და ყოველივეს თან სდევს იუმორის ლაღი თარეში: „მოწყალეო მკითხველო, გონიერო, ძლიერ შეგნებულო, კარგო და ძვირფასო, მინდვრის გვირილავ, ამოლტილო მკითხველო, გულით კეთილო და აზრით ბრძენო, განსჯით დაფიქრებულო, შირაზის უცნობო ვარდო ეროვნულ ქალაში...“

მკითხველისადმი გამოხატული მიმართებები ისე საამოდ შეგიყოლიებს, რომ არც კი ფიქრობ თავის დაღწევას, მწერალსაც სწამს შენი „გასრივ-დამყოლი და კეთილად

გაზარ-გონების“. შემკულ სიტყვათა ჰარმონია, კიდევ ერთხელ წარმოგვიდგენს გურამ დოჩანაშვილს საოცარი ენობრივ-ალლოს შემოქმედად.

სიტყვით თამაში, აზარტული, მოუთოკავი, თავაშვებული, ნაირ-ნაირი გამოთქმები, კომპოზიციები, ფრაზები უხვი და ურიცხვი, ემოციების მორევი... თავად მწერალი კი – აზარტოვანი მოთამაშე (ვინც გრამატიკა ფრიადზე იცის, გთხოვთ მომიტყევთ სიტყვათა ასეთი შეთანხმება, არადა „ოვან“ სუფიქსით ნაწარმოებ სიტყვებს მწერალთანაც საკმაოდ ვხვდებით, სამართლიანად დასძენდა კრიტიკოსი ლევან ბრეგაძე, „ეს ემფატიკური სტილის პაროდიაა“).

ერთ-ერთ მოთხრობაში აღსარებასავით გვიმხელს მწერლი თავის გულისნადებს, მე კი ეს მონოლოგი იმ კრიტიკოსებისადმი მიმართული პაროდია მგონია, უმართებულო განაჩენით, ქართული ენის „მსხვერვა“ და გრამატიკული წესების აღრევა რომ დასდეს ბრალად შემოქმედს. ამგვარი ნააზრევის აბსურდულობა არაერთგზის დამტკიცებულია დამაჯერებელი არგუმენტებით, მაგრამ ეს ამონარიდი მაინც სულ სხვაა:

„დავილაღევი, ადამიანი ვარ მეც, მერე რა, რომ მხოლოდ მელნის შემშრობ ქალაქთანაა მაქვს და არა ამბავთ ორომტრიალში, საქმე, ეჰ, მართლა კარგა მაგრად გადავიქანცე, რადგან მე-საწყალ-ბეჩავ-უგრამატიკო გრძელგრძელაებ წინადადებებს უცოდინრად, ვარაუდითა, უფიცი, ვწერდი, და ჰოჰო, უკმეხი, რა დიდ გულზე ვიყავი ბიჭო? – განსაკუთრებით ალაგ-ალაგ; წამდაუნუმ ხომ თვით გრამატიკას ჩემი, ზოგ კარავივით მოკლე ჭკუით, ხშირად აბურხად ვიგდებდი ვითომ, ეს მე, სიტყვათა ცოდნის უხამსი, და ეგეც რომ არა, ისიც მანითლებს ზოგჯერ ზოგიერთი ვარდივით, ორთოგრაფიულ ლექსიკონსაც კი, იგივე ჩემის ჭკუით, მოკლე ჭკუაოვ შე ჩემისავ, ალაგ-ალაგ რომ ვითომც შეუსაბამოები რომ აღმოვუჩინე... და ვაშაყირებდი ვითომ, ვეანგლებოდი უნიჭოდ, რაღა, ადვილია-ხომ, სხვისა შრომისა ათვალწებით შეფასება და აუარება სწორ სიტყვათაგან თუნდ კორექტურაც არ იყოს, მოსუსტობების გამორჩევა, ჩასაფრებული ვიყავ რაღა...“

ყველაფერი კი იქეთენაა მიმართული, სრულყოფილად შევიმეცნოთ მწერლის ყოველი ნაწარმოები, არ დავივინყოთ ჯერ კიდევ ადრე თქმული: „სამოსელი პირვე-

ლია სიტყვა... და მაგ სამოსელს რაც უფრო მეტ ხალხს გადაანვდენ და გადააფარებ, უფრო მდიდარი შეიქმნები, უფრო ტანჯული“...

...
ვერ გავექეცი სიტყვათქმნადობის მაესტროსთან შეხვედრის სურვილს. ათი წლის წინათ ერთ-ერთ გაზეთში დავბეჭდე ინტერვიუ გურამ დოჩანაშვილთან, რომელიც უშუალო საუბრის შედეგი არ ყოფილა, ჩემთვის სასურველ კითხვებზე პასუხებს მწერლის ქმნილებები მაძლევდა. ამგვარი „გასაუბრება“ დიდი კრძალვისა და სიყვარულის დასტური გახლდათ მხოლოდ.

ინტერვიუს დასასრულს კითხვაზე: „როგორ ფიქრობთ, ბატონო გურამ, რა მოხდებოდა, ყველა რომ თქვენნაირი იყოს“-მეთქი, შესანიშნავი პასუხი აღმოვაჩინე მისსავე ნაწარმოებში: „ერთი ის ვიცი, ომი არ იქნებოდა, არ გამოიგონებოდა არავითარი ჯანდაბა და დოზანა, არ იქნებოდა ჯა-მუ-შო-ბა, ავად თვალ-თვა-ლი, ქურდობა და მკვლელობა, სამშობლო ყველას გვეყვარებოდა და სხვის სამშობლოსაც პატივს ვცემდით...“

...
სიტყვა... სიტყვაატანილი შემოქმედის განცდის საუფლო, უსამანო, თვალუნვდენელი, რომლის სხივქვეშ იღვენებდა გურამ დოჩანაშვილის ყველა მოთხრობის არსი:

„და თუმცა ქვეყნად არ არსებობს ორი ისეთი რამ სიტყვა, ერთმანეთს რომ ზუსტად შეესაბამებოდეს, მაინც გვეჯეროდეს ღრმად, და გვწამდეს, რომ – არსებობენ, ესენია – წყალობა და სასწაული – ზენყალობა და ღვთის სასწაული და იმ ცრუსილაღეთი როგორც დავგიდგა ასეთი ყოფა, ამ გაჭირვებით, ბოლოსდაბოლოს მიმხვდარიყავით, და მიგვეგნოს მადლი, და ამ წყალობით შევეისთვისაც კი მიგვეღწიოს, შევება არაა, არა განცხრომა, არამედ შრომა, ამ ჩვენს ყოფაში, ვაი-ჩვენ, რომ სასწაულია, და ისიც გვწამდეს, რომ ყველაფერი ხდება ამ ქვეყნად, რადგან ტყუილუბრალოდ არ არსებობს არცერთი სიტყვა, მათ შორის ძნელიც – სასწაული, და გვწამდეს, ხდება და მოგვეძიოს სიყვარული ცისა და მიწის...“

...
ტყუილუბრალოდ არც ის სიტყვა არსებობს ქვეყნად, რომლისაც ავტორს (მკითხველებსაც) ძალიან სჯერა.
„ – მომავალი“.

წელს პრინც ასტურიელის პრემიის ჟიურიმ მთელი მსოფლიოდან – ალბანეთსა და გერმანიიდან თურქეთსა და ურუგვაიმიდე – 27 კანდიდატურა განიხილა. ჯილდო – 50 ათასი ევრო – გადაეცა ამერიკელ პოლ ოსტერს.

იგი დაჯილდოვდა როგორც „ერთ-ერთი ნამყვანი ამერიკელი მწერალი, რომელმაც შექმნა საკუთარი ლიტერატურული სამყარო“. მის შემოქმედებაში „რეალობა და ფანტაზია ერთმანეთს ერწყმის ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში“.

დიპლომირებული ლიტერატურათმცოდნე ოსტერმა კოლუმბიის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სამი წელი საფრანგეთში გაატარა. თარგმნიდა მალარმეს, სარტრსა და სიმენონს, დაუმეგობრდა სამუელ ბეკეტს. 20 წლის შემდეგ კი (1993 წელს) მიიღო ფრანგული პრემია „მედიჩი“ რომანისათვის „ლევიათანი“. არც ბეკეტთან მეგობრობას ჩაუვლია ფუჭად: მისი მთავარი ნაწარმოების „ნიუ-იორკის ტრილოგიის“ გამოსვლის შემდეგ კრი-

ტიკოსებმა ოსტერი უდიდესი აბსურდისტის თითქმის ერთადერთ მემკვიდრედ აღიარეს.

თუმცა ოსტერის შემოქმედება საკმაოდ მრავალფეროვანია: მის ერთ-ერთ რომანს ძალდი ჰყვება, მეორე კვალდაკვალ მისდევს დევილ ჰამეტის „მალტის შევარდენში“ მოხსენიებულ სიუჟეტს. მის ნაწარმოებებში ყოველთვისაა იდუმალება და მისტიციზმი. მის გამირთავან ერთ-ერთი – მუნჯი კინოს ვარსკვლავი – ანდერძად იბარებს, გაანადგურონ მისი ყველა ფილმი. თითქოს თვით მწერალიც თავის შემოქმედებას „ილუზიების დიდი წიგნივით“ უყურებს. მის რომანთა შორის აღსანიშნავია „ტიმბუკტუ“, „ორაკულის დამე“, „მისტერ ვერტიგო“, „ილუზიათა წიგნი“. პოლ ოსტერი ასევე ცნობილია როგორც კინემატოგრაფისტი: მისი სცენარის მიხედვით გადაღებულია ფილმები: „კვამლი“, „ნაღვლიანი სახე“, მის რეჟისორულ ნამუშევრებს კი მიეკუთვნება ფილმი „სადა ხარ, ლულუ?“

ჰასანისა და ხალიფა ჰარუნ არ-რაშიდის ამბავი

იყო და არა იყო რა, ღვთის გარდა არავინ იყო. ხალიფა ჰარუნ არ-რაშიდის! უამს ბაღდადში? ერთი მდიდარი სოფდაგარი ცხოვრობდა. ამ სოფდაგარს ერთ ირანელ ვაჭართან ჰქონდა ალებ-მიცემობა გაჩაღებული. ეს ირანელიც ძალიან მდიდარი და ზედმინევენი ღვთის-მოსავი კაცი იყო. ერთადერთი შვილი ჰყავდა და მზე და მთვარე თავის ვაჟზე ამოსდიოდა.

გაზაფხულის ერთ მზიან დილას ბიჭი სწორებმა ბაღში ლხინზე მიიპატიჟეს. მამა თავიდან უარზე იყო და შვილის იქ გაშვება არ უნდოდა, მაგრამ ამხანაგები მოვიდნენ და მამამისს შეევედრნენ:

– ჰასანს ჩვენთან გვიან ღამემდე არ დავტოვებთ და შინ დროულად გამოვისტუმრებთო.

ბოლოს მამაც მოლბა და ბიჭს უთხრა:

– ჰასან, ნადი, მაგრამ იბრაჰიმის ღმერთს გეფიცები, შინ რომ დაბრუნდები, თუ პირიდან ღვინის სუნი ამოგდიოდა,³ შუაზე გაგაპობო!

ბიჭმა პირობა მისცა, წვეთს არ დავლევო, ამხანაგებს გაჰყვა და წავიდნენ.

ბაღში ჰასანს საუცხოო ჯამაათი დაუხვდა. მემუსიკენი უკრავდნენ, მომღერლები მღეროდნენ, ტანკენარი მოცეკვავეები ცეკვავდნენ, ძველი ღვინო, არაყი, ბატკნის ცვრიანი მწვადი, მწყერი, გნოლი და შამფურზე წამოცმული წინილები. ჰასანს მანამდე ასეთი ლხინი არასდროს ენახა. ამხანაგებმა დაუყინეს, გინდა თუ არა, ღვინო დალიეო. ჰასანი კი იფიცებოდა, მამის შიშით წვეთის დალევაც არ შემიძლიაო.

ამ მოცეკვავეებში ერთი მაინც ყველაზე მიმზიდველი და გამორჩეულად მწყაზარი იყო. ჰასანმა მას თვალი ჰკიდა თუ არა, სისხლი აუჩქროლდა და ქალსაც ვაჟი გულში ჩაუვარდა. ამხანაგებს ჰასანის თრთოლვა შეუმჩნეველი არ დარჩენიათ. ქალი შეაგულიანეს, ვაჟისათვის ღვინო მიეტანა და ეთქვა, თუ არ დალევ, ძალიან მენწყინებო!

იმდროინდელი მოცეკვავე ქალები ყველა პატიოსანი და ქალწული იყო და თუ თვითონ ქალი არ მოინდომებდა, რომელიმე ჭაბუკის ვნებასა და ნებას აჰყოლოდა, მათთვის ბრუნდებდნენ შეხედვაც კი არავის შეეძლო.

ქალმა მინის ფიალა ღვინით გაავსო და ჰასანს მიართვა. ჰასანმა უთხრა:

– მომხიბვლელი სახემწყაზარო, მე დალევა არ შემიძლიაო!

გოგომ უთხრა:

– ჩემი სულის სიტკობებავ, ცოტა ინებეო!

ბიჭმა უთხრა:

– სულო, თავად სულზე უტკბესო, ღვინის დალევა ჩემთვის ძალზე სახიფათოაო.

გოგომ წააქეზა:

– რა ხიფათი! შინ გამთენიისას დაბრუნდები. მამა-შენს ამ დროს ღრმად ეძინება და საიდან გაიგებს, რომ ღვინო დალიეო!

ჰასანმა მიუგო:

– დარწმუნებული ვარ, თუ ამაღამ ღვინო დავლიე, ხვალ მამაჩემი არ მაცოცხლებსო!

ქალი გაუძალიანდა:

– ვერც ერთი მამა ვერ შეიძლებს შვილი სიცოცხლეს გამოასალმოს. ასე მხოლოდ ფუჭად იქადნებიან. მე კი აქედან ფეხს არ მოვიცვლი, სანამ ამ ფიალას არ ჩამომართმევ და ბოლომდე არ გამოცვლიო!

ჰასანი დაყაბულდა, შენი ბაგის ერთ კოცნაში სიცოცხლეს მივცემო და მიურითმა:

ერთი კოცნა მაგემე მარგალიტის მწვიმარი

შენი ბაგის კუთხიდან;

თუმც ერთი რას მეყოფა,

სამჯერ-ოთხჯერ მაკოცე,

რადგან მალე სიცოცხლეს უნდა გამომასალმონ.

ქალს ფიალა ჩამოართვა, ბოლომდე გამოცალა და ძელგი ღვინის გემო ქალის ქორფა ბაგეების ნერწყვით გააზავა.

ჰასანს ღვინო რომ მოეკიდა, უცებ მუეძინის⁴ ძახილიც გაიგონა, დიდ არს ალაჰიო.⁵ ამ ხმის გაგონებაზე ადგილიდან წამოიჭრა და ქალს მიადახა:

– ჩემო ტურფავ, ცუდად ნუ მომიგონებ. ვიცი, ეს საქმე, რისკენაც მიბიძგე, ჩვენი გაყრა-განშორებით ჩათავდებაო!

ქალმა მშვიდად მიუგო:

– ჰასან, ნუ დავიხოცებით, თორემ ცოცხლები ერთურთის გზას ყოველთვის მივაგნებთ. მე კი შენ მეტს მაინც არვის მოვინდომებო!

გვიან ღამით ჰასანი შინ დაბრუნდა. კარზე დააკაკუნა და შიგნიდან შემოესმა:

– ვინ აკაკუნებსო?

ჰასანმა დაუძახა:

– მე ვარ, გამიღეთო!

კარი გააღეს და ბიჭმა კარს უკან მდგარი მამა დაინახა. მამამ ჰკითხა:

– ჰასან, დამპირდი, შინ დროულად დავბრუნდებიო და ამ დროს ბრუნდებიო?!

ბიჭმა უთხრა:

– მამი, ყველა იჯდა, ილხენდა და მხიარულობდა. ერთი წამით სასთუმალზე თავი არ მიმიღია და თვალის არ მომიხუჭავსო!

მამამ უთხრა:

– შვილო, შენ იქ ლხინში არ გიძინია. მე კი აქ კართან ვიჯექი, გზას გამოვცქეროდი და შენს მოლოდინში თვალზე რული არ მომეკარაო!

მერე დასძინა:

– აქეთ მოინი, უნდა დაგყნოსო, ვნახო, ღვინო ხომ არ დაგიღვევიაო.

ჰასანს სიმთვრალე მორეოდა, თან სატრფოსთან გაყრით გუნება ამღვრეოდა, ამიტომაც ველარ მოზომა, მამას მკერდზე ხელი მიჰკრა და მიაძახა:

– გამეცა, დამაძინე! ვთქვათ, დაველიე კიდეც, მერე ამით რა დაშავდაო?!

მამა შვილის უზრდელობამ გააცხარა. უთხრა:

– ყველაფერი გასაგებია! ახლა ნადი, აზანის დროა! დილაზე იძინე, დილით კი ღვთისთვის მიცემულ ალ-თქმას შევასრულებო!

ჰასანი წავიდა და დაიძინა. მამაც მიწვა და ძილი მოერია. დედას კი მთელი ტანი უკანკალებდა და შიშით თვალი არ მოუხუჭავს. დაელოდა, ქმარი როდის დაიძინებდა. როცა დარწმუნდა, უკვე ღრმა ძილშიაო, წამოდგა, შვილს უჩუმრად დაუძახა და უთხრა:

– შვილო, ადექი, ხვალ მამაშენი უთუოდ მოგკლავს! რაკილა დაიფიცა, თავის ალთქმას უეჭველად შეასრულებს! აჰა, ეს ოქროს ქისა აიღე, ღამეულად ზღვის ნაპირთან მიდი და ამ ქალაქიდან გადაიკარგე, თორემ დილით გვიანლა იქნება, მამა უთუოდ სულს ამოგართმევსო!

ბიჭს დილის ნიაგი მიელამუნა და ცოტა მოაფხიზლა. დედას ჰკითხა:

– ნუხელ ისეთი რა ჩავიდინეო?

დედამ მიუგო:

– ღვინო რომ დალიე, ეგ არაფერი, შინ დაბრუნებულმა, მამას ხელი ჰკარი და უკმეხად შეეპასუხე. ვიცი, აქ თუ დარჩები, მამაშენი ამას არ გაპატიებს და გულს შენი იარით დამიდაღავსო!

ბიჭი წამოდგა, ოქროს ქისა აიღო, დედას შუბლზე აკოცა, გამოემშვიდობა და გზას დაადგა.

იარა, იარა და ზღვის ნაპირთან მივიდა. ხედავს, ერთ გემს იალქნები აუშვია და სადაცაა, ნავსადგურიდან უნდა გავიდეს. ხელით ანიშნა, მეც მოვდივარ, ნუ დამტოვებთო და გემბანზე აიყვანეს. ხომალდში ჩაჯდა და ჩაიდუღუნა:

– ღმერთო, შენი სასოებითაო!

ხომალდმა კი იცურა, იცურა და ბაღდადს მიაღწია. ვინც ბაღდადისკენ მიდიოდა, ყველა ჩამოვიდა. ჰასანმა იფიქრა:

– კარგი იქნება, მეც აქ ჩამოვხდე. მამაჩემს აქ ნაცნობები ჰყავს და სხვა ქალაქში წასვლას ისევ აქ დარჩენა მირჩევენიაო.

ხომალდიდან გადმოვიდა და რაკილა დილა-სისხამი იყო, ქალაქის ქუჩებში სეირნობას მოჰყვა. უცებ იმ სოფდაგარს მოკრა თვალი, რომელიც ირანში მამამისთან რჩებოდა ხოლმე. მივიდა მასთან და უთხრა:

– ძიაკაცო, გამარჯობაო!

სოფდაგარს მისი დანახვა ძალიან გაუკვირდა და ჰკითხა:

– შვილო, აქეთ რა ქარმა გადმოგაგდო?! მამაშენმა ამხელა გზაზე მარტოდმარტო როგორ გამოგიშვა?! წამო, დუქანში შემომყევი. დაჯექი, ცოტას დაისვენებო!

ბიჭი დუქანში შევიდა და დაჯდა. შუადღისას ვაჭარმა უთხრა:

– ადექი, ჩემთან სახლში წავიდეთო!

იქ რომ მივიდნენ, ცოლმა ჰკითხა ვაჭარს:

– კაცო, ეს ვინ მოგიყვანიაო?!

ვაჭარმა მიუგო:

– ეს ჩემი იმ ირანელი ამხანაგის ვაჟია, ერთმანეთს რომ საქონელს ვუგზავნიდითო!

ქალმა უთხრა:

– ძალიან კარგი, მაგრამ მამამისმა ასე ახალგაზრდა ყმანვილი ამხელა გზაზე როგორ გამოუშვა. ამ საქმეში რაღაც საიდუმლო იმალება და თუ კარგად გაჩხრეკ, სიმართლეს შეიტყობო!

ჰასანმა რომ ვაჭრის ცოლის სიტყვებს მოკრა ყური, გულმა ბაგაბუგი დაუწყო. ვაჭარმა კი დაუძახა ბიჭს და უთხრა:

– ჰასან, მე და მამაშენს ერთმანეთისათვის ძმობის ფიცი მიგვიცია და იგი ძმაზე მეტად მიყვარს. შენც, რაკილა მისი ვაჟი ხარ, ჩემს შვილად მეგულვი. სიმართლე მითხარი, როგორ მოხდა, რომ ამხელა გზაზე მარტოდმარტო ჩამოსულხარო.

სიმართლე თქვი, რომ მართლისმთქმელი კაცი შეიქნა, შეგან – სიმართლე, შენვენა კი არსთგამრიგისგან.

თუ მომატყუებ, მამაშენს წერილს მივწერ და შენი სიცრუეც გამოაშკარავდება. სიმართლე კი როგორც არ უნდა იყოს, ის მაინც მეცოდინება, როგორ მოვიქცეო!

ჰასანმა დაინახა, რომ სიმართლის გარდა სხვა გზა არ დარჩენოდა. ვაჭარს თავისი ამბავი უცდომლად მოუთხრო და ბოლოს უთხრა:

– აი, ახლა აქა ვარ, სახლიდან გამოქცეული და მთელი ჩემი ავლადიდება ის ერთადერთი ქისა ოქროა, დედაჩემმა რომ გამომატანაო!

ვაჭარმა მიუგო:

– კეთილი. რაკი ეგრეა, მე ჩემთან დიდი პატივით მოგასვენებ. შენც როცა მათხოვრები მოვლენ ხოლმე, ცოტადენი ფული უწყალობე, რომ გულკეთილი და მდიდარი კაცის სახელი გაგივარდეს. მე, ჩემი მხრივ, ხალხში შენზე ვიტყვი, რომ ირანიდან ძმისშვილი მესტუმრა, საქონელი კი უკან მოუდის და რამდენიმე დღეში ჩამოვამეთქი. ამასობაში მცირედ რამეს შენს სახელზე ვიყიდი და ერთ პატარა ფარდულსაც გაგიხსნი. დაჯდები, ივაჭრებ და ღვთის ნების აღსრულებას დაველოდებითო!

ჰასანი დაყაბულდა.

მალე ბიჭს მთელ ბაღდადში სახელი გაუვარდა, ერთი ირანელი ვაჭარია, ასეთ და ასეთ თვალ-წარბიანი, სახემწყაზარი და კეთილალნაგო.

ჰასანის ცნობისნადილით დუქანში მუშტარი მუშტარზე მოდიოდა. თვითონ ჰასანი კი დილიდან შუად-

დღემდე დუქანში იჯდა, მერე სადილად მამამისის მეგობარ სოვდაგარს შეუვლიდა, ისადილებდა და სალამომდე ისევ უკან, თავის დუქანში ბრუნდებოდა ხოლმე.

ერთ დღეს ჰასანი მდინარის ნაპირას სეირნობდა, რომ ერთ მშვენიერ ასულს გადააწყდა, რომელიც იმ მოცეკვავე ქალს ძალიან ჩამოჰგავდა. ბიჭმა თავისდაუნებურად დაუძახა:

– ქალბატონო, შენს სამსახურად მიგულებ და შინ მესტუმრო!

გოგომ მიუგო:

– ამ სასიამო ამბავში თუნდ სულიც რომ მთხოვონ, სულსაც დავთმობდით, რადგან იგი სულზე ტკბილია!

რამდენი ხანია, შენ დაგეძებ. დღემდე ათჯერ მაინც შენს დუქანშიც ვყოფილვარ და ფარჩა მიყიდი. აქ შენი სურვილით ჩამოვედი და ვადიდებ უფალს, რომ დღეს თვითონვე მიცან და შენთან სახლშიც მეპატიჟებო.

ბიჭი უცებ გონს მოეგო და მიხვდა, რომ შეცდომა მოუვიდა. იფიქრა, როგორ გამოვასწოროო. ქალს მიუბრუნდა და უთხრა:

– მე ამ ქალაქში უცხოდა ვარ. ბინადაც ბიძის სახლში ვდგავარ და შენი იქ მიპატიჟება არ შემიძლია. შენ კი, თუ აქაური ხარ და სადმე ადგილიც გეგულება, ნამიყვანე და ქირის გადახდა ჩემზე იყოსო!

რაკი ეს ქალი ვეზირის ასული იყო და ხალიფა ჰარუნ არ-რაშიდის სასახლის კარზე მიღებული, ჭაბუკს უთხრა:

– ნამო, წავიდეთ. ერთი ადგილი მეგულებათ!

ბიჭს გაუძღვა და ხალიფას სასახლეში მიიყვანა.

ხალიფას მებაღემ ვეზირის ასული რომ დაინახა, ჭიშკარი გაუღო და შეიპატიჟა, შემობრძანდით. ბაღში შევიდნენ და გოგომ მებაღეს უთხრა:

– ამაღამ შენი სტუმრები ვიქნებითო!

მებაღემ მიუგო:

– მობრძანდით. თქვენი ხმალი და ჩემი კისერიო!

ბიჭმა მებაღეს ფული მისცა და უთხრა:

– ამით რამდენიმე ბოთლი ღვინო და ერთი სამწვადე ბატკანი გვიყიდეთ!

მებაღე წავიდა და ღვინო და ხორაგი მოიტანა. დასხდნენ და სმას შეუყვინნ. ცოტა ხანში ქალ-ვაჟი შექეფიანდა და მებაღეს ღვინოზე პატიჟი დაუნყო. კაცი თავიდან გაუძალიანდა, მაგრამ მერე ვაჟმა თავი აუწია და ქალმა ერთი თასი ღვინო ძალისძალით დააღვინა. მებაღეს სუფთა ღვინო უცებ მოეკიდა. ქალმა ჰკითხა:

– ძიაკაცო, აქ უდიზ ხომ არ მოგეძევებათო?!

მებაღემ მიუგო:

– მშვენიერო, აქ რა საკრავიც გინდა, ყველაფერი გვაქვსო!

გოგომ უთხრა:

– ნადი, მოიტანო!

მებაღე წავიდა, საკრავები მოიტანა. უდი ქალს მისცა, ნეილაბაქი⁷ – ვაჟს, ხოლო ზარბი⁸ თავისთვის დაიტოვა.

მებაღეს ღვინო უფრო რომ მოეკიდა, წამოდგა და სასახლის ზოგი ჩირაღდანი აანთო. მერე ცეკვა-სიმღერა წამოიწყეს და ცოტა ხანში ისეთი ტამ-ფანდურა გაჩაღდა, რომ სიმღერის ხმა მთელ სასახლეს მოედო და ხალიფის ყურამდეც მიაღწია. ხალიფა ბაღში გამოვიდა და სასახლის ჩირაღდნები რომ ანთებული დაინახა, იფიქრა:

– დიდება უფალს, მე სასახლეში სტუმარი არვინა მყავს და აქ ეს რა ამბავია?! გათენებას დაველოდები და დილით ყველაფერი გამოირკვევაო!

ესენი კი დილამდე ცეკვავდნენ და მხიარულობდნენ, ცალკე მებაღე, ცალკე ვაჟი და ცალკე კიდევ ვეზირის ასული.

მეორე დილით ხალიფამ მებაღე თავისთან იხმო. მებაღე ეახლა და მეფეთა საკადრისი პატივი მიაგო.⁹ ხალიფამ ჰკითხა:

– ნუხელ ბაღში რა ხდებოდა? ჩემს უნებართვოდ რა ცეკვა-თამაში და ლხინი გაგიჩალებიაო?!

მებაღემ ნირმუხრელად უპასუხა:

– ღმერთმა სამყაროს ყიბლა ჯანზე ამყოფოს! ამას წინათ ვაჟი შემეძინა. გუშინ წინადაფუცვითე და ნათესავები გვიან საღამომდე არ მომეშვენნ, გინდა თუ არა, გვაქეფო! გვიანი რომ იყო, თქვენს შეწუხებას მოვერიდე და რაკილა წინდანინ ვიცოდი, ხალიფა უარით არ გამომისტუმრებდა, ნებართვა აღარც კი მითხოვია, სასახლის ზოგი ჩირაღდანი ისე ავანთეთო!

ხალიფამ მიუგო:

– კეთილი და პატიოსანი. მამ, სამხიარულო მიზეზიც გქონიაო! – და მებაღეს ერთი ქისა ოქრო უწყალობა, რაკილა ვაჟისთვის წინადაფიცვითავს, ხარჯიც ბევრი გექნებოდაო. მერე ნება დართო და უკან გამოუშვა.

შემინებული ვეზირის ქალი ფიქრობდა, ღმერთო, მებაღე ხალიფას რას ეტყვის, ნუხელ რა სტუმრობა მქონდაო, ამიტომ კაცი დაბრუნდა თუ არა, წინ შეეგება და ჰკითხა:

– მითხარი, რა ქენი, შენი დარდით აღარა ვარო!

მიუგო:

– ქალბატონო, ღვთის მაღლით, უკან ხელცარიელიც კი არ გამომისტუმრაო!

ჰკითხა:

– რა უთხარო?

მიუგო:

– ვუთხარი, ამ ცოტა ხნის წინ ბიჭი შემეძინა და გუშინ წინადაფუცვითე-მეთქი. ამიტომაც აღარაფერი უთქვამს. ისე კი, დღეს ღმერთმა დამინდო და იოლად გადავრჩიო!

ქალმა უთხრა:

– უკან რომ უვნებელი დაბრუნდი, ეგ ამბავი უეჭველად უნდა აღვნიშნოთ! ნადი, ღვინო იყიდე და მოიტანეო!

მებაღემ მიუგო, კეთილიო, მარტო წავიდა და ღვინო და მწვადი მოიტანა. ვახშობამ ისე მოაწია, რომ ბაღიდან არც ქალი გამოსულა და არც ჭაბუკი. ძეგლი ღვი-

ნით გუშინდელივით კარგად შეხურდნენ და შექეიფიანდნენ. ტანთ გაიხადეს და ტბაში გადაეშენენ. ტბიდან კი ერთმანეთზე ლამ-ალიფივით¹⁰ ჩაკრულ-ჩახვეულები ამოვიდნენ. მოლზე წამოკოტრიალდნენ და ვნება-სურვილების ბედაურს ხან ერთი მიაჭენებდა, ხან – მეორე. შებინდებულზე წამოდგნენ და ისევ ჩანგსა და ჩალანას მიუსხდნენ. ამასობაში ღვინოს მებაღეც გვარიანად დაეებარბაცებინა. ადგა და ახლა ხეთა კენწეროებზე ჩამოკიდებული ის ჩირაღდნებიც ააბრდღვიალა, რომელთაც მხოლოდ მაშინ თუ აანთებდნენ ხოლმე, როცა ხალიფას ელჩები ჰყავდა სტუმრად მოწვეული. ამ ჩირაღდნების ანთებისას კი მთელი ქალაქი სადღესასწაულოდ ჩირაღდნდებოდა.

ხალიფამ სასწრაფოდ ვეზირი მოიხმო და ჰკითხა:

– ამაღამ სასახლეში რა ამბავიაო?

მიუგო:

– არ ვიციო!

ხალიფამ უბრძანა, მეზღურებად გადავიცვათო. ჩაიცივეს მეთევზის ძველმანები, ხელში ბადე დაიჭირეს და სასახლის გალავანს დაუყვინ, ქვემოთ ჩავიდნენ და ცოტაოდენი თევზი დაიჭირეს. მერე იქვე კოცონი დაანთეს და თევზის შეწვას მიჰყვეს ხელი, რომ თან ენახათ, სასახლის ბაღში რა ამბავი იყო.

ხალიფა დააკვირდა და ნახა, რომ სასახლის ბაღში ისეთი არაფერი ხდებოდა. მხოლოდ მეზღურე და ვილაც ქალ-ვაჟი ჩამომსხდარიყვნენ. ქალი უდს უკრავდა, მეზღურე – ნეის და ჭაბუკი – ზარაბს. ხალიფამ თქვა:

– დიდება უფალს, მე მეგონა, აქ ელჩები დამიხვდებოდნენ. ისე, მეზღურეს რამ გააბედვინა, ხეთა კენწეროების ჩირაღდნებიც აებრდღვიალებინაო?!

ღვთის წინაშე, ხალიფას უდისა და საზის ჟღერა კიდევაც ეამა. ჯაფარს¹¹ მიუბრუნდა და უთხრა, წინ წავიდეთო!

თევზი წამოიღეს და ნელ-ნელა ისე წინ წაიწიეს, რომ მონადიმეებმა ცეცხლის შუქზე მათი სახეების გარჩევა შეიძლეს. მეზღურემ რომ ისინი დაინახა, დაუტაცხანა:

– ხალიფას სასახლეში უნებართვოდ ცხვირის შემოყოფა როგორ გაბედეთო?!

ხალიფამ მიუგო:

– ჩვენ მდინარის იქითა ნაპირზე ვთევზაობდით და თვითონაც არ შეგვინიშნავს, აქ როგორ აღმოჩნდითო! მეზღურემ უთხრა:

– აქ ხომ ხალიფას მორევია. ხვალ რომ შეიტყოს, მის მორევში ვილაცებს უთევზავიათ, ერთი მითხარით, რა პასუხი გავცეო?!

ხალიფამ უპასუხა:

– ამ საღამოს შენც ხომ აანთე ხეთა კენწეროების ჩირაღდნები?! ხალიფას ბრძანება შენ ასე დაარღვიე და მე კიდევ – ისე, რა მოხდა, ხალიფას ჯილეებიდან სულ ორიოდ თევზი დავიჭირე. ერთი შევწვით და შევჭამეთ, მეორეს კიდევ თქვენ შეგინვავთ და მოგართმევთო!

მერე თევზი შეწვა და ქალს მიაართვა. ქალმა ცოტა შეჭამა და ხალიფას უთხრა:

– მეზღურე, აქ მე თვითონაც სტუმარი გახლავარ, შინ არა ვარ და თან ისეთიც არაფერი მაქვს, რომ საცვლოდ მოგცეო!

ხალიფამ მიუგო:

– მშენიერო, მონყალების სათხოვნელად არც მე მოვსულვარ! მე თუ თევზი შევწვი და მოგართვი, სამაგიეროდ, შენ უდზე დაუკარი და ცოტა გაგვართეო!

მერე ხალიფა, ერთი ჩვეულებრივი კაცივით მომლიმარი და მხიარული, მეზღურეს გვერდით მიუჯდა და ჰკითხა:

– ესენი ვინ არიან, ხალიფას სასახლეში რომ შემოვიყვანიაო?

მეზღურემ მიუგო:

– ჭაბუკს არ ვიცნობ, ქალი კი ვეზირის ასულია. მთხოვა, გულით მწაღია, ბალი ელჩთა სტუმრობის საღამოებზე გააჩირაღდნო. მეც ხათრი ველარ გავუტეხე და ასეც მოვიქეციო.

ხალიფამ უთხრა:

– კარგი გიქნიაო!

მერე ჭაბუკს მიუჩოჩა და ჰკითხა:

– საიდანა ხარ? მე მეზღური კაცი გახლავარ და თითქმის მთელ ქალაქს ვიცნობ, შენ კი დღემდე არასოდეს მინახავხარო!

ჭაბუკმა თავისი თავგადასავალი რომ უამბო, ხალიფა ახლა ქალთან გადაჯდა და ჰკითხა:

– ეს უცხოელი ჭაბუკი სად გაიცანიო?

ქალმა მიუგო:

– ამ ჭაბუკს კარგა ხანია ვიცნობ და რაკილა მასთან განმარტოებისათვის სხვა ადგილი არსად გამაჩნდა, თავი ხალიფას სასახლეში შემოვავარეთ. ახლა კი საგონებელში ვარ ჩავარდნილი, ხვალ, შინ რომ დავბრუნდები, მამაჩემს რა პასუხი გავცეო.

ხალიფამ ქალს უთხრა:

– წარმოიდგინე, ვითომ მე ვარ მამაშენი და რას მეტყვიო?

– ეჰ, მეზღურე, სხვა გზა არ მქონდა იმის გარდა, რომ ამ ჭაბუკს დავენებოდი. მკითხავენ, რატომო? იმიტომ, რომ ეს ჭაბუკი მინდოდა-მეთქი.

ხალიფამ მიუგო:

– რომ გკითხონ, თუ ეს ჭაბუკი გინდოდა, ხელის სათხოვნელად რად არ მოვიდაო?

მიუგო:

– ვეტყვი: ეს ჭაბუკი უცხოელია და ხელის სათხოვნელად კიდევ რომ მოსულიყო, მაინც არ გამატანდით. ამიტომ გადავწყვიტე, ასე მოვექცეულიყავ. ღვთისთვის უჯერო საქმე ხომ არ მიქნია, რომ სასჯელად სიკვდილს ვიმსახურებდე?! ღმერთი მონყალეა! მეზღურე, ღმერთს მაღლობა უთხარი, რომ ხალიფა ჰარუნ არ-რა-შიდი უცხოებსა და გაჭირვებულებს ეხმარებაო!

ხალიფამ გოგოს უთხრა:

– ღმერთი კი მონყალეა, მაგრამ ასე მაინც არ უნდა მოქცეულიყავით, თქვენ გამო ხომ ახლა საბრალო მეზღურეს მოხვდებო!

ქალმა ფიალა ღვინით გაავსო, მეზადურს მიანოდა და უთხრა:

– შენმა სიტყვებმა ქეიფის იშტა დამიკარგა და გული დამიძძიმა. აჰა, ეს ფიალა გამომართვი, გამოსცალე და ილოცე, რომ ხალიფამ მეზადეს არაფერი დაუშავოსო!

ხალიფასაც ეს უნდოდა, ქალს ფიალა ჩამოართვა, ბოლო წვეთამდე გამოსცალა, მერე შიგ თევზის მოზრდილი ნაჭერი ჩადო და ისევ მწდეს მიუბრუნდა:

– ხათუნ,¹² ჩემი ლოცვა უეჭველად შესმენილი იქნება! მაგრამ თუ გინდა რომ ვილოცო, სანამ მე ლოცვას მოვითავებ, შენ ადექი და უდზე რამე მშვენიერი დაუკარიო!

ქალმა უთხრა:

– კეთილი და პატიოსანი. ოღონდ ერთი პირობით: ცეკვისას ყველანი წამოვიშალოთ და ერთად ვიცეკვოთო!

ხალიფამ მიუგო:

– კეთილი. ყაბულს ვარო!

მეზადემ მაყალი მოიტანა და ხალიფას უთხრა:

– ძმაო, მოდი ჩვენს ქარავანს შემოუერთდიო!

მერე ფიალა გამოსცალა, ხალიფას გადაანოდა და დაამატა:

– მეზადურო, ერთი ასეთი ლხინი ჩვენთვის თვითონ უფალ ღმერთს სდომებია! აიღე, დალიე! გუშინდღამდე სიცოცხლეში წვეთი ღვინოც კი არასდროს გამისინჯავს, მაგრამ გუშინ ამ წარმტაც ხათუნს უარი ვერ ვუთხარი. ალბათ ამიტომაც დღეს ხალიფას ხელიდან იოლად დავუძვერო!

მეზადურმა გაიცინა და ჰკითხა:

– წუხელაც ასეთი ლხინი გქონდათო?

მეზადემ მიუგო:

– დღევანდელს ვერ შეედრებოდა, მაგრამ ურიგო არც წუხანდელი ლხინი ყოფილა. დილით კი ხალიფამ თავისთან მიმიხმომო.

მეზადურმა ჰკითხა:

– მერე, თავისთან რომ მიგიხმომო, რა გითხრაო?

მეზადემ მიუგო:

– ისეთი არაფერი, მკითხა, წუხელ რა ამბავი იყო, რომ მთელი სასახლე გამიჩირადნეო? მიუფე: ამას წინათ ვაჟი შემეძინა, წინადავუცვითე და ლხინიც ამიტომ გავმართე-მეთქი. ხალიფას აღარაფერი უთქვამს, ხალათიც მიბოძა, მაგრამ ხვალ, მეზადურო, ღვთის ანაბარა ვარ: ან ჩემი ტყუილი გაჭრის, ან თავს მომჭრიანო!

მეზადურმა უთხრა:

– მე ვილოცებ, რომ ღვთის შენეწვით, თავი არ მოგაჭრან. თქვენ კი ქეიფს ნუ ჩაიშხამებთ, ლხინი განაგრძეთო!

მერე ჭაბუკმა თქვა:

– თქვენ მეზადურს თითო ფიალა ღვინო ყველამ მიანოდეთ და ახლა ჩემი ჯერიც მოვიდაო!

ჯამი გაუვსო, მეზადურს მიანოდა და უთხრა:

– მეზადურო, რაკი ღამეს ათევ, ღმერთი შენს ლოცვას უთუოდ შეისმენს. მე კი ერთი უთვისტომო კაცი ვარ, ჩემს სატკივარს ვინ გაიგონებსო?!

ხალიფამ ღვინო დალია. მერე ქალმა უდი აილო და დაკვრა წამოიწყო. ჯერი ცეკვაზე რომ მიდგა, გოგო, მეზადე, მეზადური, ჯაფარ ვეზირი და ჭაბუკი ყველანი აცეკვდნენ. ხალიფამ იმ ღამით ისეთი დრო ატარა, სიცოცხლეში ასე არასოდეს უსიამოვნია.

ამასობაში შუალამე გადავიდა. მეზადურმა თქვა:

– ძმებო, ახლა კი წასვლის ნება მოგვეცით! დღეს ისე გამოვთვევით, რომ ხვალინდელი სარჩო ხელიდან დაგვისხლტაო!

ჭაბუკმა ჰკითხა:

– მეზადურო, ერთ ღამეში რამდენ თევზს იჭერთო? მიუგო:

– ზუსტად იმდენს, რომ დღიურ სარჩოდ გვეყოს. მარაგს არასოდეს ვინახავთ, რადგან ღვთის სულდგმულისთვის სულის ამორთმევა უჯერო საქმეაო!

ჭაბუკმა ჯიბეზე ხელი გაიკრა, ათი თუმანი ამოიღო და ჰკითხა:

– ეს თქვენი ხვალინდელი სარჩოსოდენი თუ იქნებაო? მეზადურმა მიუგო:

– ჩვენი სარჩო თქვენს მოწყალებაზე მეტი სულაც არ არისო!

ბიჭმა უთხრა:

– მე აქ უცხოდა ვარ. ჩემი მოწყალება ამაზე ბევრად მეტია. ეგეც არ იყოს, ახლა მოწყალებას არ ვიძლევიო!

ამის შემდეგ მეზადური ბაღში თავშეყრილ ჯამათს გამოემშვიდობა და წავიდა. ისინიც ადგნენ და დაიძინეს. დილით ჯერ ისევ ძილის სამოსელი ეცვათ, რომ ხალიფას ჩალვადრები მეზადის წასაყვანად მოვიდნენ და განაცხადეს:

– ხალიფა მეზადურსა და ყველას, ვინც ბაღში მასთან ერთადაა, თავისთან უხმობსო!

მეზადემ მწარედ ამოიოხრა და ჩაილაპარაკა:

– ეს რა უბედურება დამემართა?! ხალიფა მე რომ თავს წამაცლის, ეგ არაფერი, ამ უცხო ჭაბუკსა და ვეზირის ქალსაც იმავეს უზამსო!

ქალმა უთხრა:

– ნუ გეძინია! მე უწესო და ღვთისთვის უჯერო საქმე არ მიქნია. ხალიფაც თუ რამეს მეტყვის, მივუგებ, ბიჭს თვითონ გავყევი, მინდოდა და ცოლად მივთხოვდი-მეთქი.

მეზადემ უთხრა:

– მერე, რომ გითხრას, რაკი მისი ცოლი გამხდარხარ, ადექი და ქმარს თან გაჰყევიო, რას იზამთ? ეს კაცი აქ უცხოა და შენს დასაბინავებლად ადგილი არსად მოეძევებაო!

ბიჭმა თქვა:

– ღმერთმანი, მე თვითონ აქ ერთი კაცის სახლში ვარ შეხიზნული, რომლისთვისაც მამაჩემს ძმობა-მოყვრობის ფიცი მიუცია. ერთი-ორი ღამით ქალის იქ წაყვანა შემიძლია, მაგრამ არა – მუდმივადო!

გოგომ უთხრა:

– შენ ჯავრი ნუ გექნება, თუ საქმე აქამდე მივიდა, სადმე თუკი ერთი-ორი ღამის გასათევი ადგილი გაქვს, წამიყვანე, დანარჩენი კი მე მომანდეთო!

ბიჭმა მიუგო:

– ერთი-ორ ღამეს შემიძლიაო!

მერე წამოდგნენ და ჩალვადრებს ხალიფასთან გაპყვნენ. ხალიფამ მებაღეს ჰკითხა:

– წუხელ რა ამბავი იყო, რომ ხეთა კენწეროების ჩირალდნებიც კი ააბრდღვიალეო?!

მებაღემ მიუგო:

– ღმერთმა ხალიფას ჯანი მისცეს! ეს ყმანვილი ჩემი ნათესავია. აქაური არ არის და ჩვენს ქალაქში გუშინ ჩამოვიდა. როცა შეიტყო, ნინა დღით ჩემს ვაჟიშვილს წანადავუცვიტე, მითხრა, ეგ ამბავი უეჭველად უნდა აღვნიშნოთ! მივუგე, მე ერთი ღარიბი მებაღე გახლავარ. ბიჭის წინადაცვეთისთვის გუშინ ღვინო უკვე გადავიხადე-მეთქი. მითხრა, შენ ნუ ნალვობ, დღევანდელის ფულს მე თვითონ, ჩემი ჯიბიდან მოგცემო! მეც, რაკილა ეს ჩემი ნათესავი შორიდან ჩამოვიდა, გული აღარ დავწყვიტე და ვაპურმარილე. ახლა კისერი ჩემია, დანდობა და წყალობა კი ხალიფასი იყოს!

ხალიფას გაეცინა და უთხრა:

– მებაღე, უცხო რომ არის და არ გინდოდა, გული დაგენწყვიტა, მართალია! მაგრამ ეს სიმართლის მხოლოდ ნახევარია, თუმცა კარგი, ეგრე იყოს, როგორც შენ ამბობო!

მერე მსახურებს უბრძანა, მებაღე ცალკე გაეყვანათ და თავისთან ახლა ქალ-ვაჟი მიიხმო. ჭაბუკს მიუბრუნდა და უთხრა:

– უცხო ჭაბუკო,

მართალი თქვი, რომ მართლისმთქმელი კაცი შეიქნა,

სიმართლე – შენგან, გამარჯვება – არსთგამრიგისგან!

მითხარი, საიდანა ხარ და ჩვენს ქალაქში რამ მოგიყვანაო?

ჭაბუკმა დაინახა, რომ მართლის თქმის გარდა სხვა გზა აღარ ჰქონდა, ამიტომ იქიდან მოკიდებული, როცა მამას სწორებთან ერთად ღვინოში წასვლის ნებართვა სთხოვა, იქამდე, როცა სასახლის ბაღში მოხვდა, ყველაფერი წვრილად უამბო.

ხალიფა ახლა გოგოს მიუბრუნდა და ჰკითხა:

– ამ ჭაბუკმა ყველაფერი მართალი თქვა? ახლა შენ მითხარი, საიდანა ხარ, ვისი შვილი ხარ და ეს ყმანვილი სად გაიცანიო?

გოგომ იფიქრა, რომ ტყუილის თქმა ხეირს არ დააყრიდა და ხალიფას მიუგო:

– მეც სიმართლეს გეტყვი და ხალიფამ ეგებ ჩემს სატიკივარს სალბუნიც კი გამოუძებნოს. სამყაროს ყიბლა ღმერთმა ჯანზე ამყოფოს! მე თქვენი მარცხენა ხელის ვეზირის ქალი ვარ. ორი-სამი თვეა, ამ ვაჟის ჩვენს ქალაქში ჩამოსვლის ამბავი შევიტყვე და მას შემდეგ ძილი და მოსვენება დამეკარგა. ერთ დღესაც ვაჟის დუქანში მივედი და რალაცის ყიდვას ვაპირებდი, რომ გულში მისი სიყვარულის ისარი განმეწონა და ორი თვის მანძილზე მასთან ყოველდღე დავდიოდი, რომ

ეგებ ერთი თბილი სიტყვა მაინც გამეგებინა. გუშინ ვაჟი სასეირნოდ გამოვიდა. მეც უკან მივყევი და ვცდილობდი, რომ თვალში მოვხვედროდი. ბოლოს ბიჭმა სამსახური შემომთავაზა და მეც მანამდე აღარ მოვეშვი, სანამ მეტყოდა, ხათუნ, მე სახლი არა მაქვს და შენ თუ სადმე ადგილი გეგულება, წამოგყვებიო. ახლა თავი ჩვენი, სამართალი და დანდობა – ხალიფასიო!

გოგოს არც იმის თქმა დავიწყებია, გუშინ, თქვენს ბაღში რომ ვილხენდით, ორი მებაღური დავინახეთ, თევზი დაეჭირათ და თავისთვის მიდიოდნენ. დავუძახეთ და ჩვენს ჯამათში მოვიპატიჟეთო.

ქალი რომ ამ ადგილამდე მივიდა, ხალიფას გაეღიმა და ჰკითხა:

– მაშ, თქვენთან მეთევზეებიც დაპატიჟეთო?

ქალმა მიუგო:

– ხალიფა ღმერთმა ჯანზე ამყოფოს! მერე რა მოხდა, განა მეთევზეც ღვთის შვილი არ არის და გული არა აქვსო?!

ხალიფამ ვეზირი თავისთან იხმო და უთხრა:

– შენი ქალი მაჭანკლის გარეშე გათხოვილა და ნუკი გაუნყრები, თორემ თუ გავიგე, რომ განურისხდი, იცოდე, საქმე ჩემთან გექნებაო!

ვეზირმა მიუგო:

– ღმერთმა ხალიფა ჯანზე ამყოფოს, ცუდი არც არაფერი მომხდარაო!

მერე ხალიფამ ქალაქის ყადი დაიბარა, იმ ქალ-ვაჟის აყდი დაანერინა, ქალის ხელი ვაჟს მისცა ხელში და უთხრა:

– ჭაბუკო, თუ საქმე წინ წაიგდე და შემოსავალი გაიჩინე, ჩვენც ხომ ეგ გვინდა, თუ არა და, ჩემთან მოდი და რალაც ჯამაგირს დაგინიშნავო!

ვაჟმა ქალს ხელი ჩასჭიდა, ხალიფას სამოსის კალთაზე ემთხვია და უთხრა:

– ჩემი სიცოცხლე თქვენ გენაცვალეთ, თქვენთან შემოსვლა რომც მოვიდომო, სულერთია, კარისკაცი აქ ფეხს მაინც არ შემომადგმევენებს და როგორ მოვიქცეო?

ხალიფამ რალაც დაწერა, ჭაბუკს მისცა და დაარიგა:

– როცა ჩემთან შემოსვლა მოგინდება ხოლმე, ეს უჩვენე და წინ ვერავინ გადაგელობება. შენი სინრფელისთვის, ასი წელიც რომ ვიცოცხლო, გიპატრონებ და შეგინახავო!

ბიჭმა ქალადი ჩამოართვა და გარეთ გამოვიდა. ხალიფამ კი ისევ მებაღეს უხმო, ყური აუწია და უთხრა:

– ხალხში შენს შერცხვენასა და გაბიაბრუებას მოვერიდე, მაგრამ ამის შემდეგ დაიმახსოვრე, ჩემი სასახლე სასტუმრო არ გახლავსო!

მებაღე მიწაზე დაემხო და შეჰლაღადა:

– მბრძანებელო, ვინანიებო!

ხალიფამ უთხრა:

– გუშინ მებაღურმა თქვენი გადარჩენისათვის რომ ილოცა, იმ ლოცვის მაღლით, ხელს აღარ გახლებ. აქედან გასწიო!

გაოცებულმა მეზადემ წამოიძახა:

– ღმერთმა იმ მადლიან მეზადურს უშველოს, რომ მისი ლოცვა შესმენილ იქნა, თორემ ხალიფას თავსა ვფიცავ, არ მეგონა, თუ ცოცხალი გადავრჩებოდიო!

ბიჭმა კი წამოიყვანა ქალი, მეჩეთის ერთ კუთხეში დასვა და უთხრა:

– შენ აქ დამელოდე. მე წავალ, მამაჩემის ძმადნაფიცს თავს მოვუქონავ, რომ ეგებ, შენი შინ მიყვანის ნება დამართოსო!

მერე წავიდა, მამის ძმადნაფიცთან მივიდა და მიესალმა:

– ძიავ, სალამიო!

კაცმა წყრომით შეხედა და ჰკითხა:

– შვილო, აქამდე სად იყავიო?

ბიჭი იძულებული იყო, სიმართლე ეთქვა. კაცი უარესად გაუწყრა და უთხრა:

– ნადი, მოიყვანე. შინ წავიდე და ვნახოთ, რა იქნებაო!

ბიჭი წავიდა და ქალი მამის ძმადნაფიცის სახლში წამოიყვანა.

ვაჭარს ცოლმა ჰკითხა:

– ეს ვინლა მოუყვანიო?

ვაჭარმა ცოლს ბიჭის ამბავი უამბო. თურმე, ნუ იტყვით, ქალს ვაჟი თავისი გოგოსათვის შეეგულეებინა და ახლა რომ მთელი იმედები წყალში ჩაეყარა, ქმარს გაჯავრებით მიიძახა:

– მე არავის მოახლე არ ვარ და ეს ვაჟი აქ ერთ ღამეზე მეტხანს ნულა დარჩებაო!

ცოლ-ქმარი რომ ამ ლაპარაკში იყვნენ, მათი გოგო საუბარს ყურს უგდებდა და ამბობდა:

– შეხე, ხალხმა სულ დაკარგა ნამუსი! თვითონ ორისამი თვე რომ ჩვენთან ეგდო, ეგ არაფერი, ახლა ადგა და ვილაც გომბიოც მოათრიაო!

ვეზირის ქალი კი ფიქრობდა:

– ჩვენ სანყლები, მგონი, აქ ამაღამაც კი ვერ დავრჩებითო!

იმ დღით სადილი შემოიტანეს და ისადილეს. მერე ვეზირის ქალი წამოდგა და გარეთ გავიდა. ვაჭარმა ბიჭს უთხრა:

– ძმაო, აქ ბაღდადია! ქალს მარტო გარეთ ნუ გაუშვებო!

ბიჭი ფეხზე წამოიჭრა, ცოლს უკან გამოუდგა და ჰკითხა:

– საით მიეშურებო?!
ქალმა უთხრა:

– სახლის მოსანახად გამოვედი. მამაშენის ძმაკაცის ცოლსა ჰგონია, ცოლად ვილაც ქუჩის ქალი მოგიყვანიო!

ბიჭს გაეცინა და უთხრა:

– ჩვენში დარჩეს და, ერთმანეთი ხომ, მართლაც, ქუჩაში გავიცანიო!

ქალმა უთხრა:

– ყმანვილო, ცოტა ხათრიჯამად იყავ! მარტო ყურზე ისეთი საყურე მიკეთია, მისი ბადალი ხალიფას მთელ საგანძურშიც კი არ მოიძევება! ცალი საყურეც რომ გავყიდო, იმ ვაჭრის მთელ სარჩო-საბადებელს აინონისო!

ბიჭმა უთხრა:

– ხათუნ, საყურე შენია და მასთან მე რა ხელი მაქვს?! თვითონ კი, აქ რომ ჩამოვედი, ათასი თუმანი მქონდა და ამ თანხის ნახევარი უკვე დამეხარჯა. ახლა ხუთასიოდე თუმანი შემომრჩა და აბა, ამ ფულით კაცმა რა უნდა გააკეთოსო?!

ქალმა უთხრა:

– რაკი შენი ცოლობა მოვინადინე და გამოგყევი, საყურეს კი არა, თავსაც განაცვალებ. შენც ცოტა ფხა და ყაირათი გამოიჩინე, ივაჭრე, ქონება დააგროვე, რომ ხალხის საცინად ასაგდები არ შევიქნათო!

ბიჭმა მიუგო:

– კეთილი და პატიოსანო!

მერე უკან გაბრუნდა და ბიძას ყველაფერი უამბო. კაცმა უთხრა:

– ახლა ამ წესიერ ქალს ქუჩაში ხომ არ დავტოვებთ? ხელი მოკიდე და შინ შემოიყვანეო!

ბიჭმა ქალი უკან დააბრუნა და კაცმა, უნდოდა თუ არა, ახალგაზრდებს ერთი ცალკე ოთახი დაუთმო. ვაჭრის ცოლსაც ერთი კვირა ხმა არ გაუღია. კვირის თავზე კი ქმარს დაუძახა და უთხრა:

– მე ამ ბიჭს მხოლოდ იმიტომ ვმასპინძლობდი, რომ მინდოდა, ცოლად ჩემი ქალი მიმეთხოვებია. ახლა რაკი წავიდა, და ძურნა ბალახივით ტანსაცმელზე სხვა გომბიო მიიკრა, ჩვენ თავი დაგვანებოს და აქედან მიბრძანდეს. მე აქ არც ქარვასლა მაქვს და არც სასტუმრო. მამამისის ძმადნაფიცი ხომ ხარ, თუ დაინახავს, საკმარისი პატივი ეცი! ამის შემდეგ კი თავისი საქმისა თვითონ



მხატვარი კარლო ფაჩულია

იცოდეს! ნავიდეს და სახლიცა და ცხოვრების სახსარიც თვითონვე მონახოსო!

ვაჭარმა მიუგო:

– მართალია, მაგრამ ახლა ღამეა და ბიჭს ვერაფერს ვეტიყვი. გათენდეს და დილით დუქანში რომ მოვა, იქ მოველაპარაკებო!

მეორე დილით ვაჭარმა დუქანში ბიჭი თავისთან იხმო და უთხრა:

– შვილო, ხომ იცი, ამქვეყნად ყველგან გადამწყვეტ სიტყვას ქალები ამბობენ. მეც ახლა, ბევრიც რომ მოვინდომო და ჩემი ცოლის წინაშე ქომავად დაგიდგე, ოთხ-ხუთ შვილს მომაყრის, წავა და ბედის ანაბარა მიმატოვებს. რაც სხვა ქალი შეირთე, იმის შემდეგ შენზე გული აიყარა, ამბობს, ამის მერე მის მასპინძლობას აღარ ვაპირებ, ცოლი ხომ ითხოვა, ადგეს და სახლსა და სარჩო-საბადებელზეც თვითონვე იზრუნოსო!

ბიჭმა უთხრა:

– კარგი, რა გაეწყობაო!

ღამით ვაჭრის სახლში მიბრუნდა და ცოლს ყველაფერი უამბო. უთხრა:

– ვაჭარმა ბოდში მოგვიხადა, მეტად ჩემთან ველარ დაგტოვებთ, ბინა მოძებნეთო!

ქალმა უთხრა:

– კეთილი, რამეს მოვიფიქრებთო!

მეორე დილით ჩადრი¹³ მოიხვია და ბინის მოსაძებნად გაეშურა. დაღალთან მივიდა და ჰკითხა:

– სადმე ბინა ხომ არ გეგულებათო?

მიუგო:

– დიახო!

წინ წაუძღვა, ქალი უკან გაიყოლა და ერთ ავეჯ-დგამით განყობილ სახლთან მიიყვანა. ქალმა ჰკითხა:

– ამ ეზო-კარში ქირა რამდენი უნდა გადავიხადოთო?

დაღალმა უთხრა:

– ათი თუმანიო.

ქალმა ჰკითხა:

– არ შეგიძლია, რვა თუმნად გაგვიხერხო?

დაღალმა მიუგო:

– თუ რვა თუმნად გაგიხერხე, ჩემი შუამავლობისა ათი თუმანი გადამიხადა, თუ ათ თუმნად – თვითონ ხუთ თუმანს დავჯერდებო.

ქალი დაყაბულდა. დაღალი ნავიდა, ცოტა ხანში უკან მობრუნდა და უთხრა:

– რვა თუმნად მოვახერხე. ახლა წამო, ყადისთან ნავიდეთ და ქირავნობის წიგნი დავენეროთო!

ქალი ყადისთან ნავიდა და ქირავნობის წიგნი დააწერინა. მერე ქმართან მიბრუნდა და უთხრა:

– ეზო-კარი კი ვიქირავე, მაგრამ ავეჯ-დგამისა რა მოგახსენო.

ბიჭმა უთხრა:

– საყვარელო, ხომ იცი, მე სულს იქით არაფერი მებადია. ვაჭართან ნავალ, ეგებ, რამე ავეჯ-დგამი გვათხოვოსო!

ცოლმა უთხრა:

– ნადი, რამე იღონე, თორემ ცივ სოხანეზე წოლა მოგვიწევსო!

ბიჭი ვაჭართან ნავიდა და სთხოვა:

– ძიავე, სახლი კი ვიქირავეთ, მაგრამ საწოლ-ქვეშაგები არა გვაქვს და რამეს ხომ ვერ მოგვიხერხებდით?

ვაჭარმა უთხრა:

– დამელოდე, შინ ნავალ და ვნახავ, ეგებ რამე მოგიხერხო.

ცოლთან მივიდა და უთხრა:

– საყვარელო, ამ ცოლ-ქმარზე გული მენვება. ერთი აქ უცხოა და პატრონი და გამკითხავი არავინა ჰყავს, მეორეს მშობლები და ნათესავები განრისხებიან. სახლი კი იშოვეს, მაგრამ ეგებ, მცირედი ავეჯ-დგამი გვეთხოვებინა, სანამ ფულს თავს მოუყრიან და თვითონაც რამეს მოწვეიანო!

ქალი ბუზლუნს მოჰყვა:

– დამიხედეთ, ახლა მზითვიც უნდა გავატანო! თუ რამეს მივცემთ, ხომ ერთიანად მოსპობენ და მოინარიკლებენო!

კაცმა უთხრა:

– მეტი გზა არ არის, ერთი ლამპა, ერთი ხელი ლოგინი და ერთი პატარა ხალიჩა გავატანოთ, რაც არ უნდა იყოს, მამამისს ჩემთვის პატივი უციაო!

ქალმა უთხრა:

– კარგი, კარგი! ერთ ხალიჩას, ერთ ხელ ლოგინსა და ერთ ლამპას მივცემ, ერთ ჯამს, ქოთანსა და ქვაბსაც მივაშავებო!

კაცმა ყველაფერი მეზარგულს შემოანყო, შინიდან წამოიღო, ჭაბუკს მიუტანა და უთხრა:

– აიღე, შვილო, რაც არის, ცოლს ესეც რის ვაი-ვაგლახით გამოვნიწენო!

ბიჭმა ნივთები აიღო და შინ წაიღო. ვეზირის ქალმა ხალიჩა დააფინა, ნათხოვარ ნივთებს ადგილი მიუჩინა, მერე ყველაფერს თვალი გადაავლო, ჩამოჯდა და მწარედ ატირდა.

ბიჭმა ჰკითხა:

– რა გატირებსო?

მიუგო:

– როგორ თუ რა მატირებს?! ჩვენი მოახლის ოთახიც კი ამ ჩვენს სახლზე მდიდრული და პენიანიანო!

ბიჭმა მიუგო:

– ჩემს ქვეყანაში ნაკლებ მდიდარი არც მე ვყოფილვარ, მაგრამ რას ვიზამთ, ბედმა ასე მოიტანაო!

მეორე დილით ქალი ადგა, ბაზარში ნავიდა, საყურე გაყიდა და იმ ფულით რიგიანი ავეჯ-დგამი შეიძინა. შინ მიიტანა. ნათხოვარი ნივთები მოხიკა, ქმარს მისცა და უთხრა:

– ნაიღე, ვაჭარს თავისი ნივთები უკანვე დაუბრუნე, მაგრამ იქნებ, მამაშენის ხატოთ, ერთი მაღლი კიდევ გიყოს: დუქანი გიქირავოს, საქონლის საყიდელ და საბრუნავ ფულს კი მე მოგცემ, რომ ივაჭრო და ცხოვრება ავანყოთო!

ბიჭი ვაჭართან მივიდა და უთხრა:

– ძიავე, აი შენს ნივთებს უკან გიბრუნებ, მაგრამ ერთი თხოვნა კიდევ მაქვს და ნუ გამინყრები: თუ მინდომებ, საქონლის თავნს ჩაგინიარებ და ვაჭრობის მენილედ გამიხადე; თუ ასეთი მამობრივი ზრუნვა გეზედმეტება, მაშინ, ეგებ, ერთი პატარა საქულბაქის გახსნაში მიშველო!

ვაჭარმა მიუგო:

– არა, შვილო, კარგი რომ ყოფილიყო, მოზიარეს თავისთვის ღმერთიც გაიჩენდა.¹⁴ მენილეობისა რა მოგახსენო, მაგრამ დუქნის გახსნაში კი დაგეხმარები და მერეც ხელს მუდამ წაგაშველებო!

მართლაც, ვაჭარმა მალე ჭაბუკს დუქანი გაუხსნა და სავაჭროდ თავისთვის ახალმიღებული საქონელიც უფეშქაშა. ბიჭმა საქმე თანდათან ააწყო. მისი სილამაზისა და ჯავარსრულობის ამბავი ქვეყანას მოედო და მთელი ბაღდადის ქალები სავაჭროდ მხოლოდ მის დუქანში მოდიოდნენ. ასე განსაჯეთ, ხალიფას ანდარუნის ფარჩა-ატლასიც კი მისი საქულბაქიდან მარაგდებოდა.

ერთ დღეს ბიჭის დუქანში უფროსი ვეზირის ქალიც მივიდა. ამ დროს იქ მისმა დამაც შემოიარა. ექვსი თვე იყო, დებს ერთმანეთი აღარ ენახათ, გახარებულები ერთურთს მოეხვივნენ და კოცნა-ჟრიაშული გააჩაღეს. ბიჭს გაუკვირდა და ცოლს ჰკითხა:

– ვინ ბრძანდება, ასე რომ კოცნი და ყელზე ეხვევიო?

ცოლმა მიუგო:

– ჩემი და გახლავსო!

ბიჭმა უთხრა:

– მერე აქ რას უდგახარ?! და თუა, სახლში მიიპატიუე და ამასობაში მეც შემოგესწრებითო!

ქალმა და შინ წამოიყვანა. როცა იქ მივიდნენ, დამ დაინახა, რომ პატარა ეზო-კარი აქვთ, მაგრამ მოვლილი და დასუფთავებული. ნაშუადღევს შინ ჭაბუკიც მობრუნდა. სადილად დასხდნენ და მასლაათი გააბეს. ქალმა დას ჰკითხა:

– შეგიძლია, საქმე ისე მოაწყო, რომ დედ-მამასთან შემომარიგო?

ქალმა უთხრა:

– შენ ხათრიჯამად იყავ, რაკი თქვენი სახლი ვისნავლე და თქვენთან მისვლა-მოსვლა შემიძლია, ეგებ მშობლებსაც რამე მოვუხერხო და შემოგირიგოთო!

გოგო ცოლ-ქმართან სამხრობამდე დარჩა, მერე გამოემშვიდობა და შინისკენ გასწია. შინ რომ მივიდა, დედამ დაუცაცხანა:

– ნამუსგარეცხილო, აქამდე სად ეგდე?! შენც ხომ არ გინდა, შენი დასავით ითრიალოო?!

გოგომ უთხრა:

– არა, ბატონო, ცუდ და საძრახის ადგილას სულაც არ ვყოფილვარ, ჩემს დასთან გახლდითო!

რაკი დედას შვილი ექვსი თვე იყო, აღარ ენახა, გოგოს ჰკითხა:

– შენი და სად მოძებნეო?

გოგომ მიუგო:

– ბაზარში ფარჩას ვყიდულობდი და იქ გადავანყდი. ის იყო, ერთმანეთს მოვეხვიეთ და გადავკოცნეთ, რომ ვილაც ბაზაზი მოვიდა და ჰკითხა: ეგ ვინლაა, რომ კოცნი და ელაციცებიო? უთხრა: ჩემი დააო. მერე გავიგე, თურმე ის ახალგაზრდა ბაზაზი მისი ქმარი ყოფილიყო! ქმარმა უთხრა: შენი და შინ წაიყვანე და სადილად ჩვენთან დაიტოვეო! მეც ცნობისნადილი მომერია, სად ბინადრობენ, რას აკეთებენ, როგორ ცხოვრობენ-მეთქი და ამიტომაც გავყევი. ამა და ამ უბანში პატარა სახლ-კარი აქვთ, მაგრამ ბედს არ უჩივიან. დედი, რომ იცოდე, ჩვენი სიძე რა ლამაზი და ღირსეული ჭაბუკი ყოფილა! ემჩნევა, ჩემი და მასთან თავს ბედნიერ ქალად გრძნობსო!

დედამ მიუგო:

– ლამაზი ჭაბუკი რომ არის, ცხადია, რაკილა შენმა დამ მასთან ცხოვრება ამჯობინა და დედ-მამაზე ხელი აილოო!

გოგომ შეაპარა:

– დედი, არ გინდა ჩემი აბჯი¹⁵ ნახო?! ცუდი ხომ არაფერი გაუკეთებია! ბოლოს და ბოლოს, არც დაუკითხავად გათხოვილა. გათხოვების ნება თვით მართლმორწმუნეთა მბრძანებელმა ხალიფამ დართოო!

მერე უთხრა:

– როგორ გირჩევენია, აბჯისთან შენ წამოხვალ თუ თვითონ მოვიდესო?

დედამ უპასუხა:

– აქ რომ მოვიყვანო, მეშინია, მამათქვენმა არ ნახოს და უსიამოვნება არ შეამთხვიოსო!

გოგომ უთხრა:

– მაშინ ადექი და წამომყევი, სანამ ჯერ კიდევ დღის შუქია, მიგიყვან და აბჯის გაჩვენებო!

იქ რომ მივიდა, ქალი მოეხვია დედას და მწარედ აქვითინდნენ. მერე დედამ უთხრა:

– ნამუსგარეცხილო, ნულარ ინვინტლები! დედ-მამა რომ გდომებოდა, ასეთ სირცხვილს ხომ აღარ შეგვათხვევდი! იმ ამბის შემდეგ მამაშენს თავი ზემოთ ველარ აუნევიო!

გოგომ მიუგო:

– დედი, საძრახისი არაფერი გამიკეთებია! მაღლობა ღმერთს ისე აენყო, რომ ხალიფამ მეც და ჩემს ქმარსაც ღვიძლი მამასავით გვიპატრონა. დღემდეც ჩემმა ქმარმა ხალიფას სახედარიც რომ მიუყვანოს, მისი ხელიდან მაინც მიიღებს და უარს არ ეტყვისო!

დედამ ჰკითხა:

– შენი ქმარი რა კაციო?

გოგომ მიუგო:

– ვაჭარიო.

ქალმა უთხრა:

– ძალიან კარგი. ღმერთმა ხელი მოგიმართოთო!

გოგომ სთხოვა:

– დედი, რაკი ასე აენყო, ეგებ მამის შემორიგებაც მომიხერხო.

დედა კი წამოდგა, გამოემშვიდობა და შინ წამოვიდა.

ამ ამბიდან სამი დღის შემდეგ უმცროსმა დამ დედამისს უთხრა:

– მინდა, ჩემს აბჯისთან წავიდეთ!

დედამ მიუგო:

– ეგ მე არ მეხება. ნადი, ნებართვა მამაშენს სთხოვე!

ქალმა მამას ჰკითხა:

– მამი, ჩემი დის სახლში თუ გამიშვებო?

მიუგო:

– შვილო, მეშინია, შენც მასავით წამუსგარეცხილი არ გამოდგე. ჯერ ის სირცხვილიც კი არ ჩამოგვირეცხავს, რაც მაგან გვაჭამაო!

გოგომ კი თავისი დაიყინა და ბოლოს მამაც დაიყოლია. უთხრა:

– კარგი, ოღონდ იქ ერთ ღამეზე მეტხანს ნუ დარჩები!

ასე, თანდათან, გოგომ დასთან მიმოსვლა დაიწყო. ბოლოს მოსახდენიც მოხდა: ჭაბუკის გულიდან გამოვარდნილმა სიყვარულის ბასრმა ისარმა უმცროსი დის გულ-გვამშიც გაიარა და გოგოს სიძე ისე შეუყვარდა, რომ გონი აერია. ერთხელ ბიჭი დაიმარტოხელა და უთხრა:

– მე შენ მეტი არვინ მინდა, ცოლად შემირთეო!

ჭაბუკმა მიუგო:

– ერთმა კაცმა რომ ცოლად ორი და შეირთოს, არ შეიძლებაო!

გოგომ უთხრა:

– კანონიერ ცოლად თუ არ დამისვამ, საყვარლობაზეც ყაბულს გახლავარო!

ერთი სიტყვით, ქალს გუნება ისე აემღვრა და გონება ისე დაებინდა, რომ მხოლოდ სიძეზე ლაპარაკობდა და კვირის შვიდი დღიდან ოთხ დღეს მაინც დასთან რჩებოდა. ღამით კი უფროს დას ყავაში ძილის წამალს უყრიდა და ბანგავდა. და რომ ღრმა ძილს მიეცემოდა, თვითონ მის ქმარს ყელზე მოეხვეოდა და ეხვეწებოდა, გინდა თუ არა, ჩემთან დანეჭეო!

ერთ ღამესაც სიძეს იმდენი ელაპარაკა, ეხვეწა და ემუდარა, რომ ამასობაში დას გამოეღვიძა და ნახა, რომ ქმარი გვერდით აღარ ეწვა. ჯერ იფიქრა, ალბათ, ცოტა ხნით გარეთ გავიდაო, მაგრამ მერე რალაც ჩურჩული შემოესმა. ყური მიუგდო და ქმრის ხვეწნა-მუდარა გაიგონა: გამიშვი, საცაა, გაეღვიძებო! მერე თავისი დის ხმაც გაარჩია: შენ გენაცვალე, როგორ შემიძლია შეგე-ლიო? გაიღვიძებს და ჯანდაბამდისაც გზა ჰქონიაო!

ამ დროს ქალი შეიშმუშნა. ბიჭმა რომ დაინახა, ცოლი იმშუშნებო, წამოხტა და ქალს მიაძახა:

– სანამ ბოლოს არ მომიღებ, არ მომეშვებიო?!

გოგომ უთხრა:

– კარგი. ესე იგი, ახლა მასში მცვლიო?!

ჭაბუკი გარეთ გავიდა და უკან ცოტა ხანში შემობრუნდა. ცოლს რომ გვერდით მიუწვა, ქალმა სახეში ერ-

თი ისეთი მუშტი დააზილა, რომ ბიჭს ცხვირიდან სისხლი წასკდა. წამოდგა, გარეთ გავიდა და დაელოდა, სანამ სისხლდენა შეუჩერდებოდა. მერე ოთახში მობრუნდა და ცოლს შეეკითხა:

– ხათუნ, რა იყო, რატომ დამარტყიო?

მიუგო:

– სად გადამძვრალხარ?! მე შენი ვნებიანი ჩურჩულიც მესმოდა და იმ უნამუსოს კრუტუნიცაო!

ბიჭმა უთხრა:

– შენ რაც გგონია, ის არა ყოფილა! წამოგდექი, გარეთ გასვლა მინდოდა და სიბნელეში მის საწოლს გადავემხე. გამოეღვიძა და შეეშინდა. იფიქრა, მასთან ბილწმა განზრახვამ მიმიყვანა. ლაპარაკი ამიტომაც დამინყო და შენ სხვანაირად ნუ იფიქრებო!

ცოლმა უთხრა:

– კარგი, ეგრე იყოს, მაგრამ სანამ არ დაიფიცებ, მანამ სიტყვასაც არ დაგიჯერებო!

ბიჭმა მიუგო:

– როგორც გუნებოს! რომელ საფიცარსაც მეტყვი, იმაზე დავიფიცებო!

ამ დროს უმცროსი და წამოდგა და იკითხა:

– რა მოგივიდათ, რატომ ჩხუბობთო?!

უფროსმა მიუგო:

– არაფერი, დაიკო! მე შენი ლაპარაკიც გავიგონე და ამისი სიტყვებიც! ახლა კი ამ ყმანვილს უნდა, წამუსი მოგწმინდოს და ყველაფერი გადაფიცოსო!

უმცროსმა უთხრა:

– დაო, კაცის სიტყვას ნუ გამოეკიდები და საწყალს დილიდან გუნებას ნუ ნაუხდენ. გაუშვი, წავიდესო!

კაცმა ისაუბრა და შინიდან გავიდა.

უფროსი და კი ეცა უმცროსს და კვილი დაუნყო:

– ჰაი, შე წამუსგარეცხილო, მე თქვენი ლაპარაკი მშვენივრად გავიგონე! იცოდე, შენს უსინდისო დედას თუ მივწვდი, ისე მოვანყო, რომ აქ ფეხი აღარასოდეს დაგადგმევინოსო!

გოგომ მიუგო:

– ისეთი რა გავაკეთე? ნუხელ თუ შინ არ გამითევია, უცხოსთან ხომ არსად დავრჩენილვარ, საკუთარი დის სახლში ვიყავი. შენ შენს თავსა და ზნეობას მიხედე, შენი სირცხვილი რომ ჯერაც არ ჩამოგვირეცხავსო!

ერთი სიტყვით, დებმა მეტისმეტად იჩხუბეს. ბოლოს უფროსმა უთხრა უმცროსს:

– აქედან მომწყდი, შინ წაეთრიე და ჩემს სახლში ფეხი აღარ დაადგაო!

უმცროსსაც სხვა რა ჩარა ჰქონდა, ადგა და წამოვიდა. ერთმა ღამემ ასე ჩაიარა. უმცროსმა დამ მეტი ვეღარ მოითმინა, მეორე დილით ადგა და სიძეს დუქანში მიაკითხა. ორი-სამი დღე ასე დადიოდა და ჭაბუკს ნახულობდა, რადგან მისი უნახაობა არაფრით შეეძლო. ერთ დღესაც ქალი ჭაბუკის დუქანში მისულიყო და ერთმანეთთან მასლაათში გართულიყვნენ, რომ უცებ თავს უფროსი და წამოადგათ. დამ უმცროსს დაუყვირა:

– უნამუსოვ, აქ რას აკეთებ, რა დაგრჩენიაო!

მიუგო:

– ფარჩის საყიდლად შემოვიარეო!

დაუყვირა:

– ფარჩის ყიდვას ამდენი ლაქლაქი და ლაილაი რაში სჭირდება?! ერთი საათია ვდგავარ და შორიდან გაკვირდებით, როგორ სხედხართ და ერთმანეთს ტკბილად ებაასებითო!

მიუგო:

– რა მასლაათი?! ვიცი, ავად ხარ. რაც არ უნდა იყოს, ჩემი და ბრძანდები და შენს ქმარს შენი ამბავი ვკითხეო!

საუბარში ბიჭი ჩაერია:

– გეყოფათ, ამ შუა ბაზარში ნუ იჩხუბებთ. თუ გინდა, შინ წაიყვანე, თუ არა და გაუშვი, თავის გზას ეწევაო!

ქალმა ფარჩის ნიმუში, ხელში რომ ეჭირა, დას მისცა და უთხრა:

– აჰა, ესეც წაიღე და დედას გადაეცი, მეტრი ოთხი ყერანი¹⁶ ღირს, თუ ინდომებ, მოდი და აიღეო!

უმცროსი და წავიდა და უფროსი უკან მიჰყვა. სახლში დედის წინ დადგა და დის ლანძღვა-გინებით გული მოიჯერა.

დედამ უთხრა:

– მართალი არა ხარ! ეგ სულ შენი ფუჭი ეჭვიაო!

ცოტა ხანში უმცროსმა დამ შხამი მოამზადა, უფროსთან წავიდა და ტკბილი სიტყვითა და ლაქარდიანი ენით მისი შემორიგება მოახერხა. ორი-სამი დღე იმათთან დარჩა. ღამით ყავა რომ მოადუღა, დის ყავაში სამსალა გაურია და ჭიქა წინ დაუდგა. უფროსს ეგონა, ჭიქაში ისევე ბანგი ჩამიყარაო და დას შეუმჩნეველად ჭიქა შეუცვალა. უმცროსმა ფინჯანი მოიყუდა და ცოტა ხანში გასივება დაიწყო. ყვიროდა: ვაი, დავინვი, ვაი, დავინვიო! კაცი გაოგნდა, რა მოუვიდაო? ცოლმა მიუგო: არაფერია, იმ ორმოში, მე რომ გამითხარა, თვითონ ჩავარდაო!

ბიჭმა ცოლს ჩხუბი დაუწყო:

– თუ თვითონ გაბრიყვდა და ავი ჩაიფიქრა, შენ ფინჯანი რალად შეუცვალე, ყავა მაინც გადაგექცია! ახლა რალა ვქნა, ეს რომ ხელში შემოგვაკვდეს?! ან შენ რანაირი და ხარ, რომ დის სიკვდილი მოინადინეო!

ქალმა დაიფიცა:

– არ ვიცოდი, ყავაში თუ სამსალა იყო. ვიფიქრე, ბანგი გაურია და აბა, თვითონ დალიოს, ნახოს, როგორ გახდება-მეთქიო.

ცოლ-ქმარი ამ ჩხუბსა და დავიდარაბაში იყვნენ, რომ უმცროსმა დამ სული განუტევა. კაცმა უთხრა:

– ახლა ადექი და თვითონვე მოიფიქრე, ცხედარს რა ვუყოთო!

ქალმა მიუგო:

– მე რა უნდა მოვიფიქრო? შენ კაცი ხარ და ჭკუა ჩემზე მეტად გიჭრისო!

ბიჭმა უთხრა:

– მე სხვა ვერაფერი მომიფიქრებია იმის გარდა, რომ მინა ამოვთხაროთ და გვამი ჩავფლათ. მიცვალე-ბულის სახლიდან გატანა შეუძლებელია, რაკილა იმას არავინ იფიქრებს, შხამი საბრალომ თვითონ დალიაო. იტყვიან, სამსალა დაალევიან და სული გააფრთხო-ნესო!

ქალმა უთხრა:

– ურიგო ფიქრი არ უნდა იყოსო!

წამოდგნენ, ნიჩბები აიღეს და ოთახის შუაგულში ორმო ამოთხარეს. საბრალო ქალი ორმოში ტანსაცმლიანად ჩააგდეს¹⁷ და მინა მიაცარეს.

ამ ამბიდან ორი დღის შემდეგ ცოლ-ქმარმა სახლის პატრონს შეუთვალა, სამოგზაუროდ მივდივართ, და საცხოვრებლად სხვაგან გადავიდნენ. პატრონმაც სახლი უმალ სხვაზე გააქირავა. ოთახმა კი რამდენიმე დღეში სუნი აიღო.

ახლა უფროსი ვეზირისას არ იკითხავთ?

რაკილა ის ერთადერთი ქალია ჰყავდა, ყოველდამ, სანამ გოგოს არ მოინახულებდა, დასაძინებლად არ წავიდოდა. პირველ ღამეს, რომ მივიდა და შვილი ვერსად ნახა, ცოლსა ჰკითხა, გოგო სად არისო? ქალმა მიუგო, დასთან წავიდაო. უფროსი ვეზირი გაუწყრა: ხომ გითხარი, იქ ნუ გაუშვებ, თორემ ესეც იმ ნამუსგარეცხილვით კაცებს აეკიდება-მეთქიო.

მეორე ღამითაც გოგო ისევე რომ არ დაბრუნდა, ვეზირმა სასწრაფოდ ფარეშს უხმო და დაავალა, წადი და უმალ შინ დააბრუნეო!

მსახური რომ მივიდა, ცოლ-ქმარი მეორე დღეს იმ სახლიდან გადასვლას აპირებდა. უთხრეს: უმცროსი და აქ არ მოსულაო.

ფარეშმა შინ ამბავი წაუღო, იქ არ ყოფილაო. დაბნეულმა მამამ ცოლს უხმო და უთხრა:

– ადექი, შე უნამუსო, მოქებზე, შენი ქალი სად წავიდა; სწორედ ამიტომ გეუბნებოდი, სახლიდან გარეთ ნუ გაუშვებ-მეთქიო.

დედა იმ ღამესვე წამოდგა, ფარეში იახლა, უფროსი ქალის სახლში მივიდა და ჰკითხა:

– შვილო, შენი და სად წავიდაო?

მიუგო:

– აქ არ გამოჩენილაო!

დედამ უთხრა:

– რას ჰქვია, აქ არ გამოჩენილა?! იმას თქვენს იქით წასასვლელი არსად ჰქონდაო!

გოგომ მიუგო:

– დედი, აქ რომ მოსულიყო, რად დაგიმალავდიო?! დედა უკან გაბრუნდა. გოგო დაიკარგა. მეორე დღით ეს ამბავი შურტას¹⁸ აცნობეს.

ამასობაში, რაკილა ცოლ-ქმარს მინა ძალიან ღრმადაც არ ამოეთხარა, ოთახში გვამისა და ხრწნილების სუნი დატრიალდა. ახალმოსახლებები იძულეული შეიქნენ, ხალიჩა აეკეცათ და ენახათ, რა ხდებოდა. ხალიჩის ქვეშ ახალნაყარი მინა შეამჩნიეს. იფიქრეს, გავთხა-

როთ და ვნახოთ, რა არისო. ამოთხარეს და შიგ ტანსაც-
მლიანად ჩაფლული გვამი დაინახეს. თუმცა, რაკილა
უკვე ხრწნილება მორეოდა, სახეზე ამოცნობა შეუძლე-
ბელი გამხდარიყო. ნავიდნენ და ეს ამბავი შურტაში გა-
ნაცხადეს, შურტამ კიდეც ხალიფას აცნობა. ხალიფამ
ბრძანა, ცხედარი მოეტანათ. ცხედარი მოიტანეს და
კუბოში ჩაასვენეს. ვეზირები მოვიდნენ და კისრები და-
იგრძელეს, აბა, ვნახოთ, ვისი გვამიაო. მარჯვენა ხელის
ვეზირმა ტანსაცმლით საკუთარი ქალი ამოიცნო და წა-
მოიძახა:

– ვაი ჩემს მოსწრებას! ხალიფავ, ეს ხომ ჩემი შვი-
ლია, რამდენიმე დღის წინ შურტას რომ ვაცნობე, დაი-
კარგა-მეთქი!

ხალიფამ ჩაღვადრები გააგზავნა და სახლის
მცხოვრებნი მოაყვანიდა. თქვეს:

– ჩვენ უბრალონი ვართ! ოთხიოდე დღეა, რაც ამ ბი-
ნაში გადმოვედით. გვამი კი ათი-თხუთმეტი დღის დაფ-
ლული უნდა იყოს, უკვე იხრწნებაო!

მაშინ ხალიფამ სახლის პატრონის მოყვანა ბრძანა.
ისიც მოიყვანეს და თქვა:

– მეც უდანაშაულო ვარ. ამ სახლში უწინ სხვა
მდგმურები მეყენა. ოთხი დღეა, რაც აქედან ნავიდნენ
და მათ შემდეგ სახლი ამ ხალხს მივაქირავე, თვითონ კი
იქ ერთი დღეც არ მიცხოვრიაო!

ხალიფამ ბრძანა, ადრინდელი მდგმურები მოიყვა-
ნეთო. სახლის პატრონმა ბიჭის საქულობაქე მიასწავლა.
ნავიდნენ და ხალიფას კარზე მოიყვანეს. ხალიფამ იც-
ნო, ეს ხომ სწორედ ის ჭაბუკია, უფროსი ვეზირის ქალი
რომ მივეციო და – ჰასანო, – დაუძახა.

ჭაბუკმა მიუგო:

– გისმენ, შენი ჭირიმეო!

ხალიფამ უთხრა:

– შენ ალალი, მართლისმეტქმელი კაცი ხარ. მითხა-
რი, ეს გვამი გეცნობა თუ არაო?

ბიჭმა მიუგო:

– სამყაროს ყიბლა ღმერთმა ჯანზე ამყოფოს! თუ
უბრძანებთ, მარტო დავგეტოვონ, ყველაფერს გეტყვით.
ამქვეყნად ხომ სიმართლის მჯობი არაფერიაო!

ხალიფამ დამსწრენი ოთახიდან დაითხოვა და ჰასან-
მა ყველაფერი დანვრილებით უამბო. უთხრა, როგორ
გაყიდა ქალმა საყურე, როგორ გახსნეს დუქანი და რო-
გორ შეუდგნენ ერთად ცხოვრებას. უმცროსი დის ამ-
ბავსაც წვრილად მოუყვა და დასძინა:

– ხალიფას ისიც უნდა მოვასხენო, რომ ჩემმა ცოლ-
მა არ იცოდა, ყავაში თუ სამსალა იყო გარეული. დავა-
ფიცე და მითხრა: არ ვიცოდი, მხოლოდ იმას ვფიქრობ-
დი, კუტი პური, ჩემთვის რომ გამოეცხო, თვითონვე
ექამაო!

ხალიფამ ახლა ქალი მოაყვანიდა და უთხრა:

– თუ შენც ჰასანივით სიმართლეს მეტყვი, არაფერს
გიზამ, თუ არა და სიკვდილით დაგსჯიო!

ქალმა იფიქრა: ჩემი და მკვდარია, ტყუილის თქმას
რალა აზრი აქვსო და ხალიფას მოახსენა:

– მბრძანებლო, შენს თავს ვფიცავ, არ ვიცოდი,
ყავაში თუ სამსალა იყო გარეული. რომ მცოდნოდა,
გადავაქცევდი და მის სიკვდილს არაფრით არ ვიყა-
ბულებდი! ბოლოს და ბოლოს, თუ ჩემი ქმარი ასე უყ-
ვარდა, საქმეს ისე მოვანყობდი, კაცთან ექვსი თვე ის
ყოფილიყო, ექვსი თვე კი ცოლობა მისთვის თვითონ
გამეწია. თუმცა, რაკილა ასე მოხდა, ახლა ჯერი ხა-
ლიფაზეა: თავი – ჩვენი, შენდობა კიდეც – ხალიფა-
სიო!

ხალიფამ მარჯვენა ხელის ვეზირი მარტო იხმო,
საქმის ვითარება ამცნო და უთხრა:

– როგორც ჩანს, ეს ცოლ-ქმარი უბრალო უნდა
იყოს. გოგოც უკვე მკვდარია და ვერაფერს უშველი!
თანაც, უფროს ქალს არაფერი დაუშავებია. გარდაც-
ვლილმა თავისი ჩაყრილი შხამი თვითონვე დალია და
უფროსი ქალის თქმისა არ იყოს, კუტი პური, რომელიც
გამოაცხო, თვითონვე შეჭამა. თუ საქმეს კარგად ჩაუკ-
ვირდები, მისი გამომზეურება, ვეზირი ხარ და, ხეირს
არ დაგაყრის; სირცხვილის მეტს არაფერს შეგძენს!
ახლა კი უცხო თვალისაგან ყველაფერი დაფარულია.
სიმართლე მარტო მე და შენ ვიცითო!

ვეზირმა უთხრა:

– არა, ბატონო, ამათ გოგოს თვალ-მარგალიტი და
ოქროული სურდათ, რომ მერე ბიჭს უკეთ ევაჭრაო!

ხალიფამ მიუგო:

– შენი ნათქვამი თითქოს სიმართლეს უნდა ჰგავდე-
სო!

მხევალი ქალი იხმო და დაავალა, მიცვალებული გა-
სინჯეთ, ნახეთ, სამკაული ასხია თუ არაო.

მხევალმა მიცვალებული გულსყურით დაათვალიე-
რა და ნახა, რომ ყველა სამკაული ადგილზე ჰქონდა.

ხალიფამ ბრძანა:

– არა, სამკაული რომ სდომებოდათ, კიდევაც ჩა-
მოხსნიდნენ. ცოლ-ქმარმა, როგორცა ჩანს, მართალი
თქვა და არც ერთ მათგანს ბრალი არ მიუძღვის, რომ
ავდგედ და მათი დასჯა მოვიწადინო!

ქალ-ვაჟს ხელი ხელს მიაცემინა და ვეზირს უთხრა:

– ესეც შენი სიძე! სახლში წაიყვანე და ღირსეული
მასპინძლობა გაუწიე! რაც არ უნდა იყოს, ეს უფროსი
ქალი შენთვის მაინც ყველაზე საყვარელი და სასურვე-
ლია. ცხედარი კი მინას მიაბარეთ და მომხდარზე ხმას
მეტად ნულარ ამოიღებ, თორემ ლაპარაკი შენ თვითონ-
ვე სიავესა და სირცხვილს მოგიტანსო.

სპარსულიდან თარგმნა
გიორგი ლოპუნიძე

შენიშვნები

- 1. „უზვი ხალათი უბოძა“ – „ხალათის ბოძება“ მაჰმადიანურ
აღმოსავლეთში მეფეთაგან თავიანთი ქვეშევრდომებისათ-
ვის მინიჭებული წყალობას ნიშნავს. „ხალათში“ შედიოდა

როგორც ერთი ხელი ძვირფასი სამეფო ტანსაცმელი, ასევე ფულადი ჯილდო, შეკაზმული ბედაური, იარაღი თუ სხვა რამ ნივთიერი საბოძვარი. „უხვი ხალატი უბოძაც“ სწორედ ამას ნიშნავს. უხვად დაასაჩუქრა, აურაცხელი წყალობა მისცა.

2. **ჰარუნ არ-რაშიდი** – აბასიანთა დინასტიის (750-1258) მეხუთე ხალიფა (786-809), აღმოსავლური ფოლკლორისა და მათ შორის, „ათას ერთი ღამის“ პოპულარული პერსონაჟი. მის დროს სახალიფომ დიდ წარმატებებს მიაღწია, განსაკუთრებულ აღმავლობას კი მეცნიერება და ხელოვნება განიცდიდა.
3. **ბაღდადი** – დღევანდელი ერაყის დედაქალაქი. აბასიანთა დინასტიის სახალიფოს დედაქალაქი.
4. **„თუ პირიდან ღვინის სუნი ამოგდიოდა“** – მუსლიმთა საღვთო წიგნი ყურანი მორწმუნეებს ღვინის სმას უკრძალავს.
5. **მუეძინი (არაბ. მუაზინი)** – რელიგიური პირი, რომელიც მუსლიმებს სარიტუალო ლოცვისკენ (იხ. კომენტარი) მოუხმობს.
6. **„დიდ არს ალაჰი“ (არაბ. „ალლაჰუ აქბარუ“)** – ღვთის განდიდების ე. წ. „თაქბირის“ ჩვეული ფორმულა. მომდინარეობს ყურანიდან და ხშირად დასტურდება მუსლიმთა ყოველდღიურ ფრაზეოლოგიაში.
7. **უდი** – აღმოსავლური სიმებიანი საკრავის ერთ-ერთი სახეობა.
8. **ნეილაბაქი** – სპარსულ-აღმოსავლური ლერწმის პატარა სალამური.
9. **ზარბი** – ერთგვარი სიმებიანი აღმოსავლური საკრავი.
10. **„მეფეთა საკადრისი პატივი მიაგო“** – შუა საუკუნეთა მაჰმადიანურ აღმოსავლეთში მკაცრად იყო განსაზღვრული მეფესთან და საერთოდ ხელისუფალთან თითოეული მოხელის მოქცევისა და საუბრის წესი და ამ წესის დაცვა ყველას თავისი ჩინისა და რანგის მიხედვით განსხვავებულად ევალებოდა.
11. **„ლაბ-ალიფივით ჩაერულ-ჩახვეულნი“** – ლამი და ალიფი არაბული ანბანის ასოებია, რომლებიც ერთმანეთთან მეზობლობაში ლიგატურით გადაებმიან. ეს გამოთქმა ფიგურალურად ხვევნას გამოხატავს. საერთოდ ანბანის ასოთა მოხაზუ-

- ლობის გამოყენება შედარება-მეტაფორათა შესაქმნელად აღმოსავლური სიტყვიერების გავრცელებული ხერხი იყო. მაგალითად, ასოთა მოხაზულობის მიხედვით, ალიფი ხშირად – ტანწერნეტ ქალთან, ჯიმი კი სატრფოს ზილფთან არის შედარებული.
12. **ჯაფარი** – ჯაფარ ბარმაქიანი, ან ჯაფარ იბნ იაჰია, აღმოსავლური ფოლკლორისა და „ათას ერთი ღამის“ მიხედვით, ხალიფა ჰარუნ-არ რაშიდის (იხ. კომენტარი) გონიერებითა და სიკეთით სახელგანთქმული ვეზირი და ახლო მეგობარი (თუმცა არაბული ისტორიული წყაროების თანახმად, მას ვეზირის თანამდებობა არ უნდა ჰქონოდა). ეკუთვნოდა კი ვეზირთა ცნობილ, ბარმაქიანთა საგვარეულოს. ჰარუნ არ-რაშიდის ბრძანებით, ჯაფარი სიკვდილით დასაჯეს, ხოლო მისი საგვარეულო გაანადგურეს 803 წელს. ჯაფარ ბარმაქიანი, ჰარუნ არ-რაშიდისა არ იყოს, აღმოსავლური ფოლკლორის პოპულარული პერსონაჟია.
 13. **ხათუნ (თურქ. ქალბატონი)** – ქალისადმი თავაზიანი მიმართვის ფორმა.
 14. **ჩადრი** – მუსლიმი ქალის სამოსელი.
 15. **„კარგი რომ ყოფილიყო, მოზიარეს თავისთვის ღმერთიც გაიჩნდა“** – მაჰმადიანურ აღმოსავლეთში ფართოდ გავრცელებული ფრაზაა, რომელიც სათავეს ისლამის მსოფლმხედველობიდან, კერძოდ კი მონოთეიზმის იდეიდან იღებს. როგორც ცნობილია, ისლამი განუხრელი ერთღმერთიანობის იდეას ქადაგებს და ერთადერთ და სწორუპოვარ უფალთან, სამყაროს შემოქმედთან რისიმე ან ვისიმე თანაზიარობას, ღმერთთან ვინმეს ამა თუ იმ ფორმით გატოლებას მომკვდინებელ ცოდვად მიიჩნევს.
 16. **აბჯი** – უფროსი დისადმი თავაზიანი მიმართვის ფორმა.
 17. **ყერანი** – ფულის ერთეული.
 18. **„ქალი ორმოში ტანსაცმლიანად ჩააგდეს და მინა მიაყარეს“** – მუსლიმები მიცვალებულს დედობილია, თეთრ სუდარაში გახვეულს კრძალავენ. ამდენად, ორმოში ტანსაცმლიანად ჩაგდება აქ ნემტის შეზღუდვის ტოლფასია.

პირველად... სულხან-საბასთან?!

*

მინანარის მაგიერ

ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ 11-ე ნომერში გამოქვეყნებული ლევან ბრეგაძის სტატია „პირველი ქართული დეტექტივი“ დიდი ინტერესით წავიკითხე, თუმცა წერილის პათოსმა და სათაურმა ამავე ჟურნალში დაბეჭდილი როსტომ ჩხეიძის სატირული ჩანაწერის „პირველად საქართველოში“ ირონიული ქვეტექსტი გამახსენა და წინდანინვე დარწმუნებული რომ არ ვყოფილიყავი ლევან ბრეგაძის პროფესიონალიზმსა და კეთილსინდისიერებაში, ამ სტატიას იმ ტენდენციის უწყინარ პაროდიად მივიჩნევედი, რომლის თანახმადაც ბოლო დროს ყველაფერი პირველად და თანაც საქართველოში ხდება. მაგრამ ლევან ბრეგაძე ის მკვლევარი არაა, საკითხის დასამისას მოდური ტენდენ-

ციებით იხელმძღვანელოს და თანაც თავის მიერ წამოჭრილი ნებისმიერი თემა ძირისძირობამდე არ გააშუქოს. ყოველშემთხვევაში თუ მთლიანად არ მივიღებთ და გავიზიარებთ მკვლევრის თვალსაზრისს, პრობლემაზე დაფიქრება ნამდვილად ღირს და რაც უფრო ხშირად ვისაუბრებთ მსგავსს საკითხებზე, ეს საქმეს თუ არგებს, თორემ დაშავებით არას დაუშავებს.

კონკრეტულად ამ საინტერესო სტატიაში კი საკამათო შეიძლება რამდენიმე საკითხი იყოს. კერძოდ ის, რომ რომელიმე ტექსტში დეტექტიური ელემენტების არსებობა სულაც არ გვაძლევს იმის საშუალებას, ეს ნაწარმოები დეტექტიური ჟანრის ქმნილებად გამოვაცხადოთ. ამაზე თვითონ სტატიის ავტორიც მინიშნებს და ერთგვარად თავსაც იზღვევს, როცა აღნიშნავს: „რა თქმა უნდა, არცერთი ეს ნაწარმოები (სულხან-საბას ნოველისათვის ფონის შესაქმნელად მოხმობილი და განხილული რამდენიმე ნიმუში – გ. ლ.) ნამდვილ დეტექტივს არ მიეკუთვნება, რადგან არცერთ მათგანში არ არის ერთობლივად წარმოდგენილი ამ ჟანრისათვის სავალდებულო ელემენტები, როგორც ეს ედგარ პოსთან გვაქვს: 1. საიდუმლოებით მოცული დანაშაული და 2. საიდუმლოებით მოცული დანაშაულის გახსნა პიროვნების მიერ, რომელიც გამოირჩევა დაკვირვების არაჩვეულებრივი უნარით, მახვილ-

გონიერებით, ძლიერი დედუქციური აზროვნებით, ადამიანის ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნით.“

მსჯელობა ისე უნდა წარიმართოს, რომ ამ ნიმუშთან განსხვავებით, სულხან-საბას არაჩვეულებრივი ნოველა დეტექტიური ჟანრის კლასიკურ თუ არა, ერთ-ერთ პირველ, ან საერთოდაც პირველ ქმნილებად გამოცხადდეს, მაგრამ ლევან ბრეგაძე კვლავაც ერიდება ასეთ პირდაპირობას და საბას ნოველის შესაფასებლად ჩესტერტონის რუსული გამოცემის ბოლოსიტყვაობას დაიმონმებს, სადაც თურმე ნათქვამია, რომ „მოთხრობები ბრაუნზე არ შეიძლება ხელაღებით მივაკუთვნოთ დეტექტივებს: ეს არის დეტექტივი და კიდევ რაღაც. როგორც ყოველთვის, ჩესტერტონმა ისე გაჭედა ჩემოდანი, რომ ღვედები აღარ იკვრება; სენდვიჩში მეტისმეტად ბევრი ხორცი ჩაღო“.

ამ ციტატის შემდგომ ლევან ბრეგაძე აცხადებს: „ეს სიტყვები სრული უფლებით შეიძლება გავიმეოროთ საბას ამ ნოველის მიმართაც.“

თუ იმ დამონმებული ციტატის ნიუანსებს გავითვალისწინებთ, რომლის გამეორებაც, ბრეგაძის აზრით, საბას ნოველასთან მიმართებით თავისუფლად შეიძლება, მაშინ ცოტა უხერხული გვეჩვენება საბოლოო დასკვნის ასეთი სახით ჩამოყალიბება: „არ არის გამორიცხული, ეს პირველი ქართული დეტექტივი, ამავე დროს, პირველი ნამდვილი დეტექტივი იყოს საერთოდ მსოფლიო ლიტერატურაში.“

ამ უხერხულობას კიდევ უფრო ამძაფრებს ის გარემოება, რომ საბას ნოველა განხილული არაა იმ ლიტერატურულ კონტექსტში, რომლის ორგანულ ნაწილადაც, ჩვენი აზრით, მთლიანად გვევლინება გენიალური „სიბრძნე სიცრუისა“. ბრეგაძის სტატია არ ითვალისწინებს და იქნებ მიზნადაც არ ისახავს სულხან-საბას თანადროული აღმოსავლური მწერლობის ნიმუშთა შეპირისპირებას „სიბრძნე სიცრუისასა“ და კერძოდ განსახილველი ნოველის ცალკეულ მოტივებთან.

მკვლევარი, ჩვენში გავრცელებული ერთი საგულისხმო ტენდენციის შესაბამისად, აღმოსავლურ მწერლობასთან სულხან-საბას ნოველის მიმართებათა დასადგენად მხოლოდ რამდენიმე ავტორის ციტატათა დამონმებით იფარგლება. ამ ციტატების ზოგადი შინაარსი კი ისაა, რომ სულხან-საბას „გრძნეული ცოლის პატრონი“ წარმოშობით ერთი ისპაანური ანეკდოტი უნდა იყოს, რომელსაც საბა საკუთარი მხატვრულ-იდუური ამოცანების შესაბამისად გარდაქმნის და ახალ, თვისობრივად განსხვავებულ შინაარსს ანიჭებს.

ბრეგაძე შენიშნავს, რომ ციტატის ავტორს ზურაბ ავალიშვილს არა აქვს ამგვარი სპარსული ანეკდოტის დამდასტურებელი საბუთები, მაგრამ ნავარაუდევია ანეკდოტი მართლაც რომ არსებობდეს, მისი საბასეული დამუშავება, ცხადია, მაინც ორიგინალურ შემოქმედებად ჩაითვლება. ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული ფაბულის დამუშავებით, როგორც ცნობილია, სიტყვაკაზმული მწერლობის უამრავი შედეგია შექმნილი.“

პრინციპულად, რა თქმა უნდა, სწორია ავტორის მსჯელობა, მაგრამ მაინც რჩება რამდენიმე საკითხი, რომლის გარკვევასაც, ჩვენი აზრით, შუა საუკუნეების

ქართული მწერლობის ნიმუშთა სრულყოფილი შესწავლისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება. კერძოდ ის, რომ „ვეფხისტყაოსნის“ შემთხვევისა არ იყოს, სულხან-საბას აღნიშნული ნოველის სპარსული (ან აღმოსავლური) პირდაპირი პირველწყაროს ძებნასა და მერე იმის გამოცხადებას, რომ ასეთი პირველწყარო არ არსებობს, სჯობს, აღმოსავლური ლიტერატურის თანადროული ნიმუშები შევისწავლოთ და ესა თუ ის ქართული ძეგლი ამ მხატვრული სივრციდან გამომდინარეც განვიხილოთ. ეს რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ქართული ნიმუშები უსათუოდ ლიტერატურის მეორეულ ფაქტად გამოცხადდეს. სულაც პირიქით, საერთო კონტექსტის საფუძვლიანად გააზრებამ იქნებ ჩვენი მწერლობის ორიგინალურობა კიდევ უფრო მეტადაც გამოკვეთოს, მაგრამ ეს ორიგინალურობა სრულყოფილად მხოლოდ აღმოსავლური ლიტერატურის ნიმუშთა ფონზე თუ გამოჩნდება.

ამ მხრივ, ის ელემენტები, რასაც ლევან ბრეგაძე სულხან-საბას ნოველაში დეტექტიური ჟანრის ჩანასახად აფასებს, სინამდვილეში, შუასაუკუნეთა აღმოსავლური და სპარსული საყოფაცხოვრებო ნოველისათვის ფართოდ დამახასიათებელი მარკერებია, რაც საბას ამ ნოველაზე გამოკვეთილად „ათას ერთი ღამის“ რამდენიმე თხზულებასა თუ არაერთ სპარსულ ზღაპარში დასტურდება.

ნათქვამის საილუსტრაციოდ კი შეიძლება ჩვენ მიერ სპარსულიდან თარგმნილი ერთი ვრცელი ზღაპარიც გამოვსვათ, რომელიც ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ამავე ნომერში იბეჭდება.

აღსანიშნავია, რომ ეს ზღაპარი, რამდენიმე სხვა ნიმუშთან ერთად, ქართულად „მამდი გალინ ხანუმის“ ცნობილი კრებულიდან ითარგმნა და ამ თარგმანის გაცნობის საშუალება ქართველ მკითხველს მალე მიეცემა, რადგან სპარსული ზღაპრების ეს ახალი კრებული „ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების“ ეგიდით ცოტა ხანში დაისტამბება. თუმცა დღეს ჟურნალში დაბეჭდილი ნიმუშისა და ნიგნში შესული კიდევ ერთი „დეტექტიური“ ზღაპრის („ზანდუკი ჩაკეტილი მხევალი ჰარუნ არ-რაშიდისა“) პირველწყაროდ „ათას ერთი ღამის“ ნოველები გვევლინება. ამ ნიმუშთა გათვალისწინება ლევან ბრეგაძის წერილს, ვფიქრობთ, ახალი ნიუანსებით გაამდიდრებდა, საბას ლიტერატურულ ავტორიტეტს კი არას დააკლებდა, რადგანაც აღმოსავლური მწერლობის ანალოგიური ტიპის თხზულებათა და თუნდაც ჩესტერტონის მოთხრობებისაგან განსხვავებით, საბას ნოველების ღრსევა ისიცაა, რომ ქართველი ავტორის „ჩემოდანი“ უგემოვნოდ გადაჭედილი არ არის და ღვედები მუდამ ძალდაუტანებლად, უდიდესი ოსტატობით იკვრება.

ასეთი რანგის ოსტატისათვის კი შემთხვევითი არც ის უნდა იყოს, რომ თავის ნოველის პერსონაჟი ისპაანში დაასახლა. ასეა თუ ისე, იქნებ ამ საკითხებისათვის უფრო მეტი ყურადღება მიგვექცია და ედგარ პოსაც პირველობას ამის მერე შევდავებოდით...

პატივისცემით,

გიორგი ლოჟანიძე

* * *

ნუნუ ჯანელიძეს ძალიან უყვარს ლიტერატურული თავ-
ყრილობები თუ პოეზიის საღამოები, ოღონდ ურჩევნია მსმე-
ნელი იყოს – სიტყვით გამოსვლა არა სთხოვონ, ლექსი არ წა-
აკითხონ... ასეთ დროს ოღონდ ჩაიკარგოს და გაქრეს, აკ-
რთობს აუდიტორია, ამინებს ამდენი მსმენელის წინაშე აღსა-
რებითი ყაიდის ლექსების კითხვა... ტრიბუნას იქნებ სხვა ში-
ნაარსის პოეზია უფრო უხდებოდეს, მაგრამ ლირიკულ აღსა-
რებასაც თავისი მნიშვნელობა აქვს, როდესაც უშუალოდ შე-
მოქმედის ბაგიდან ისმენ. დათანხმებით შეიძლება დაგეთან-
ხმოს, თავიც დაძრახოს, რა მემართებაო, მაგრამ ამინებს და
რა ჰქნას...

მანაც მოუწევდა ლექსის წაკითხვა.

მოულოდნელად გამოიძახებდნენ დარბაზში მჯდომს და
ველარ იუარებდა.

წარმოთქვამს ერთს, მეორეს... მსმენელი მონონებით
ხვდება, რაც აგულიანებს და თავისი ერთ-ერთი საუკეთესო
ლექსის წაკითხვასაც გაბედავს –
„უნდა შეგყროდა გზაზე ყივჩაღი“

თამაზ ნატროშვილი გიორგი
ლეონიძის „ყივჩაღის პაემანს“
ხალხური პოეტური შედეგის –
„შემომეყარა ყივჩაღი“ – ისეთ გა-
მოძახილად მიიჩნევდა, აკუთავა-
ვას ნოველის „უსიერ ტყეში“ ასო-
ციაციას ძალდაუტანებლად რომ
გამოიწვევს. თანაც შეგნებულ გა-
დანყვეტილებად ჩაუთვლიდა გი-
ორგი ლეონიძეს: ეტყობა, ამ ნოვე-
ლის რუსულ თარგმანს რომ გაეც-
ნო, ამან უბიძგა, თვითონაც ისევე
მოეთხრო მუხრანის პირას მომ-
ხდარი ის საბედისწერო შერკინება
ყივჩაღის პირით, როგორც აკუთა-
ვავას პერსონაჟები ჰყვებიან ერ-
თსა და იმავე ამბავს და ყველა თა-
ვისებურადო.

ხალხურ ბალადაში ქართველი
მოყმე გვიამბობდა.

ლეონიძის ლირიკულ შედეგში
ყივჩაღი გადმოგვიმლიდა თავის
გულსა და მღელვარე განცდებს.

კი მაგრამ ქალს – ვისი გულისთვისაც შერკინებოდნენ
ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ ქართველი ვაჟკა-
ცი და ყივჩაღი, იმ ქალს რაღა დაეშავებინა, რომ მისი ნაამ-
ბობით არავინ დაინტერესებულყო. ნეტა ის როგორ გაიხ-
სენებდა იმ სისხლიან დრამას – მის გულში რაღა ხდებო-
და?!

და, აი, ნუნუ ჯანელიძე აალაპარაკებდა იმ უცნობ ქალს,
თუ აკუთავავას გამოძახილია, აკუთავავას გამოძახილი ყო-
ფილიყო და გულწაკლული არცერთი პერსონაჟი არ დაგვე-
ტოვებინა.

„უნდა შეგყროდა გზაზე ყივჩაღი, ჩემდა ტკივილად უნდა
შეგყროდა, უნდა ეთხოვა შენთვის პური და, ღვინო ეთხოვა
ჩემგან შეპყრობილს“ – ჩურჩულით იწყებს, მაგრამ დარბაზი
გასუსულა და ყველა სიტყვა მკაფიოდ ისმის.

„და ჩემი თავი მოესურვილა, არ სჯერდებოდა რაკი შენს
ყმობს“ – აგრძელებს და იქ კი, მსმენელთა შორის ვილაც შუ-
ახნის ქალი აფორიაქდება:

– უი, მომიკვდა თავი!..

„უნდა შეგყროდა გზაზე ყივჩაღი, უნდა შეგყროდა, ვით
ბედისწერა, რომ ერთურთისთვის შეგეკლათ თავი და დაგეო-
კათ გრძნობები მწველი“ – ვალალებს ქალი ძველი ეპოქიდან
გადმოსახლებული ახალ დროებაში და თავისებურ რეფერენი-
ვით გაისმის დარბაზიდან ისევე ის:

– უი, მომიკვდა თავი!..

ბალადის პერსონაჟი, ვინც ხალხურ ლექსში ერთი ტირი-
ლიანი ამოძახილის ამარა რჩებოდა: ვაჰმე, უღონო ქმრისა-
საო, – არა და აღარ ჩუმდებოდა, ბილიკი გაეჭრა მკითხველი-
საკენ და ასე სწრაფად ანკი რა დააღუემებდა:

**მე რას ვიზამდი... რა უნდა მექნა,
ქალი ოცნებით სავსეა მარად.
უნდა მეპოვნა სხვა სიყვარული,
სხვა ვნებიანი დღეების ფარი.**

რეფერენი რისხვად გადაიზ-
რდება.

– ხალხნო! – ნამოიჭრება ის ქა-
ლი, შეჰყვირებს და მომხრეებს
ეძებს, – ეს ვინ ყოფილა, ხმა ამოი-
ლეთ! ქმარი მოაკვლევინა ვილაცასა
და თვითონ კიდევ სხვა სიყვარულს
დაეძებს... თან განა ჩუმადა, ხალ-
ხნო, განა ჩუმადა!..

ვილაც კაბის კალთას დაქაჩავს,
ლამობს ჩაუცხროს სიბოხოქრე: რას
ამბობ, ქალო, ლექსია ესა, ლექსი, მო-
აკვლევინა კი არა, ის არ გინდა! მშვე-
ნიერი ქმარ-შვილი ჰყავს, სამ ვაჟკაცს
უზრდის ქვეყანას... სირცხვილია,
ქა...
ქალი დაჯდომით ჯდება, მაგრამ
ბუზღუნებს: რა საკადრისი იყო ეგე-
ნი, რაც მაგან ილაპარაკა საქვეყნო-
და, განა ჩუმადა, ქა, განა ჩუმადა...
არ არის გასაჩერებელი ეგეთი ქალი
სახლშია...

ნუნუ ჯანელიძე აღმურავარ-
დნილი მიდის სკამისაკენ, მაგრამ დარბაზი არ მოეშვება და
ჩაამთავრებინებს სისხლიანი შეტაკების შუაგულში გამოხ-
ლართული ქალის მონოლოგს.

ეს ამბავი აქ მოთავდება.
მაგრამ როგორ არ გავიხსენო ის ეპიზოდი სერგო კლდი-
აშვილის მემუარებიდან, ცისფერყანწელები წყალწითელას
ძველ ხიდან მდებარე წისქვილში რომ გამართავენ პოეზიის
საღამოს.

სხვათა შორის, იმხანად თბილისში მყოფი გიორგი ლეო-
ნიძე აკლიათ.
პაოლო, ტიცინი, ვალერიან გაფრინდაშვილი, კოლაუ ნა-
დირაძე, შალვა აფხაიძე, ნიკოლო მინიშვილი, შალვა კარმე-
ლი, რაჟდენ გვეტაძე ერთმანეთს ენაცვლებიან და წისქვილ-
ში დიდხანს ისმის მათი ხმა.

გარეთ მყოფ გლეხებს ნელ-ნელა ცნობისნადილი იპ-
ყრობთ, რა ხდებოა, ჯერ კართან შეჯგუფდებიან, მერე თი-
თო-თითოდ შედიან წისქვილში და მალე იქაურობა ხალხით
ივსება.



მხატვარი
კარლო ფაჩულია

პაოლო თავისი რეპერტუარიდან რატომღაც ამჯობინებს „წერილი დედას“.

გლეხებს ესმით სიტყვები: „ბზის განიავება, კალო და კევერი, სოფლის სინმინდე, მართალი ბათმანი...“ – ემშობლიურებათ, ერთმანეთს კმაყოფილებით გადახედავენ და პაოლოს განსაკუთრებული ალტაცებით მიაჩერდებიან.

მაგრამ ეს რა ხდება?

– და დავიკუნტები ქალაქის ქუჩებში მე სალახანა.

ვაი! სალახანაო!

და თურმე ამას რა უჭირს:

– როცა მე ქურდები მეგობრად მრაცხავენ...

გლეხები ჯერ გონზე ვერ მოსულან, პაოლო კი დრამატიზმს უკიდურესობამდე ამძაფრებს:

– დედა, ინახულე შენ წმინდა ხახული! წაღი ფეხშიშველი, ქალაქში დაკარგულ შვილისთვის ღამე გაათიე...

გახარებული მზერა დაეჭვებითა და შეცოდებით შეიცვლება.

რას წარმოიდგენდნენ, აღსარებისა და სინანულის შემსწრენი თუ შეიქნებოდნენ.

უეცრად ტიცინანის სიცილი მოისმის.

მენისქვილეს ეკითხა მისთვის:

– დიდი ხანია, რაც ის ყმანვილი საპატიმროდან გამოუშვეს?

საჭირო გახდა განმარტების მიცემა, რაც მეურმეებმა დიდი ყურადღებით მოისმინესო, – ასე აბოლოვეს იმ ეპიზოდს სერგო კლდიაშვილი და ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ჰგონია, დავაჯერეთ ჩვენს სიმართლემო.

ასე პირდაპირაც ვერ ამბობს – ეტყობა, განმარტება მთლად ისეთი სარწმუნოც ვერ აღმოჩნდა.

ზრდილობის გამო დაუქნევდნენ თავს, მაგრამ გუნებაში?..

დრო გადის, გადის და... ისევ იქ დგას.

ეს უცნაური, ამოუხსნელი დრო.

* * *

სოფიო ჩიჯავაძე-კედეა საუკუნეს გადასცილდებოდა, მაგრამ მაშინაც მკაფიოდ შემორჩებოდა გამორჩეული სილამაზის კვალი.

თავის გარეგნობაზე არაფერს ამბობს მემუარულ თხზულებაში „ნასმენ-ნახული“, თუმც ერთი პასაჟი მიგვახვედრებს, უნებურად თუ როგორ ახვევდა თავბრუს ყმანვილკაცებს. თვითონაც სრულიად ახალგაზრდა ქალია, ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიაში საბერძნეთისა და რომის ისტორიას რომ ასწავლის და მოსწავლეთა მშობლები სკოლის ინსპექტორთან საყვედურს გამოთქვამენ: აღარ ვიცით, რა ვიფიქროთ, ეს ჩვენი შვილები მარტო ისტორიას რომ სწავლობენ, ვინ ქალი მოიყვანეთ ამისთანაო.

ინსპექტორი მობოდიშებით ეტყობა: თუ შეიძლება შავი კაბა ჩაიცვით, ხომ იცით, მაგ ხნის ყმანვილები ყველაფერს აქცევენ ყურადღებას, გარეგნულად სისადავე ემჯობინებაო.

ის დაუთმობდა, შეაკერინებდა შავ კაბას და ამ ახალი ფორმით გამოცხადდებოდა გაკვეთილზე.

ინსპექტორი ახლა ამას სთხოვდა: ძველად რომ გეცვათ, ისევ ის ჩაიცვით, ეს შავები მეტისმეტად გშვენიითო.

ინსპექტორი გვარად მიქაბერიძე იყო და – ეს ამბავი რომ გახმაურდებოდა – სოფიო ჩიჯავაძეს გერონტი ქიქოძე ხუმრობით „მიქაბერიძის მოდელს“ შეარქმევდა.

ერთხელაც გამოსაშვები საღამოა.

ეს ეპიზოდი აღარ არის შეტანილი იმ უაღრესად ფასეულ მემუარულ წიგნში, რომელიც ათას გვერდს აჭარბებს.



მხატვარი
გიორგი ჩაჩანიძე

სოფიო ჩიჯავაძე გამომწვევად სულაც არ არის ჩაცმული, მაგრამ ანათებს და აბორგებს იქაურობას მისი მშვენება.

ნიკო კეცხოველსაც უკვე დაუმთავრებია გიმნაზია.

მოსწავლე აღარ ჰქვია და სულ სხვა სიყინჩით დაიარება დარბაზში.

აღარც ამ მომხიბლავ ახალგაზრდა ქალს ჰქვია მისი მასწავლებელი.

და მიუახლოვდება:

– ქალბატონო სოფიო, გემუდარებით, შინ წაბრძანდეთ! ის გაოგნებულია, მომეჩვენა თუ რაო, მაგრამ კვლავ გაუმეორებენ და უფრო დაბეჯითებითაც.

– კი მაგრამ, რატომ? – როდის-როდის ხმას ამოიღებს.

და ნითლად ავარვარებული ყმანვილკაცი, თავჩაქინდრული:

– ძალიან გთხოვთ, თორემ მე პასუხს არ ვაგებ!.. ნუ დამლუპავთ...

ცხადია, ის შინ არ გამობრუნდება.

ესეც დააშოშმინებს აბორგებულ გულს.

მაგრამ ეს უცნაური ქათინაური რომ არ ეთქვა, თავს ვერასოდეს აპატივდება.

... ასე ზედმიწევნით საიდან იცის ეს საბერძნეთისა და რომის ისტორია ამ ბუნებისმეტყველმა კაცმაო, – გაოცება ვერ დაეფარათ ნლების შემდგომ.

ანტიკური ეპოქის ცოდნა ყველა სწავლულს მოეთხოვება, მაგრამ ასე ზუსტად, ასე ეპიზოდის გამოუტოვებლად?

და წყვდიადს მოარღვევდა ის ფრაზაც, სერაფიტას საფლავზე ამოტიფერულ წარწერასავით:

– გემუდარებით, შინ წაბრძანდეთ!

სიზნელე ერთი ღამისა

როგორც ამტკიცებენ, დოსტოევსკიმ ჯერ კიდევ 1872 წელს თავის რომანში „ეშმაკნი“ იწინასწარმეტყველა რუსეთის მომავალი რევოლუცია და მისი საზარელი საქმენი.

წინასწარმეტყველნი მარტოოდენ რუსულ მწერლობას როდი ამშვენებენ.

1910 წლის 13 თებერვალს გაზეთ „დროების“ 34-ე ნომერში გამოქვეყნდა ვაჟა-ფშაველას ლექსი „მთამ სრულიად სხვა სთქვა“ – პასუხი ჟურნალ „ერის“ იმავე წლის პირველ ნომერში მოთავსებულ ლექსზე „მთაბა სთქვა“, რომელიც ვაჟას ძმის, ბაჩანას (ნიკო რაზიკაშვილი) კაღამს ეკუთვნოდა.

ბაჩანა თავის ლექსში აღწერდა მშობელი ქვეყნის თავზე დატეხილ ჭირ-ვარამს და ჯიქურ ილაშქრებდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ: სული და გული ცოფით ამევსო, შურისძიების გველები, სისხლ-ხორციით გაუმადლარი მგელი და შეუბრალებელი ვეფხვი გულში ჩამისხდნენ, მწენენ და მღადრავენ, მოთმინების ბენჯი მიწყდებაო.

პოეტი გამჭვირვალედ მიაჩნებდა მოახლოებული რევოლუციის გარდფუალობას: მოსახდენი რაც მალე მოხდება, უმჯობესია, თორემ მერე გვიანლა იქნებაო.

ქართულ პოეზიაში ძნელად თუ მოიძებნება ლექსი, თავისი სიბრძნითა და შორსმჭვრეტელობით რომ უტოლდებოდეხ ვაჟა-ფშაველას პასუხს ბაჩანას მგზნებარე მონოდებაზე.

დიდი ქართველი პოეტი მხოლოდ თავის უმცროს ძმას როდი მიმართავს მკაცრი შეგონებით, მისი ადრესატია მთელი საქართველო: „მთამ ეგ არა სთქვა, ბაჩანავ, როგორც შენა გგონია, მისი ნათქვამი, ნაგრძნობი მე სულ სხვა გამიგონია. გაცვრცილმა, ნაცემ-ნაგვემმა, აღშფოთებულმა ფრიადა, ისევ თავს უთხრა: დამშვიდდი, გულო, რამ აგაზვიადა?! მომთმენი, აუჩქარები, ამწონ-დამწონი საქმისა კი არ გაძნადო მსხვერპლადა შენ შემთხვევითის წამისა. სურვილი მალეობისა მოსაწონია თავისა? ერთი წელი და ათასი ბარდაბარია ჟამისა, მამ ჩვენი ტანჯვაეც ჩავთვალეთ სიბნელედ ერთი ღამისა“.

ვაჟა-ფშაველა მთელი ქვეყნის ჭკუის დამრიგებლად იხმობდა მთას, რომელიც არაერთხელ ჩამოგრიებულა მტერთაგან შეჭირვებულ ბარში; იმონებდა იმ მთას, რომელსაც გამოეცადა ათასი ვაება, რომელსაც ეგემა ცით მოვლენილი ათასი რისხვა, მაგრამ უამრავ განსაცდელს ვერ გაეზარა მისი სიმტკიცე, ვერ დაეძაბუნებინა მისი შეუპოვარი სული.

ღიახაც არ ეჭაშნიკებოდა პოეტს სულსწრაფ უმეცართა ფაციფუცობა, მათი დაუცხრომელი პროპაგანდა და უკომპრომისობა, კიდევ უფრო შავებულ დღეებს რომ უქადდა მთელ ქვეყანას.

ვაჟა-ფშაველა ლექსად გადმოგვცემს თავის პოლიტიკურ კრედოს: „გვიან აყვავდეს, იგი სჯობ, ხილ-ხული ჩემსა არესა, მინამდე ადრე, და დაზრეს, დღეს იგემებდეს მწარესა, ცარიელს ტოტებს უშვერდეს ცაზე გადმოსულს მთვარესა“.

სისხლით კი არა, ოფლით უნდა მოვრწყოთ „ჩვენი სამშობლოს მიწანი“ და მომავალიც ჩვენი იქნებაო – ასე ოპტიმისტურად მთავრდებოდა ავი წინათგრძნობით შემოსილი ლექსი.

განა ცხადლივ არ არის ნათქვამი, რომ ქვეყნისათვის გაცილებით უკეთესი იყო გზა მშვიდობიანი ევოლუციისა, ვიდრე მძვინვარე და დაუნდობელი რევოლუცია?

აქ უნდა გავიხსენოთ, რომ ათიოდე წლით ადრე სწორედ ვაჟა-ფშაველა ირონიულად შენიშნავდა: ჩვენი წინაპრები სისხლს ღვრიდნენ სამშობლოსათვის, ჩვენ კი მეღვინით ქალაქსა ვითოხნითო...

და კიდევ ერთ ლექსში ერთმანეთს უპირისპირებდა მეღვინესა და სისხლს: „არ გვეშველება, თუ ერთს დროს, სისხლად არ იქეც, მეღვინო!“

ვის უნდა ენატრა რევოლუცია, რომელიც ამქვეყნიურ სამოთხეს ჰპირდებოდა მთელ კაცობრიობას, თუ არა მას – უპოვარსა და მიუსაფარს, ძლივძლივობით რომ გაჰქონდა თავი. უდიდეს მოაზროვნედ დაბადებული კაცი ფიზიკური შრომით არჩენდა ოჯახს და მინდორში მუშაობით ქანცგანყვეტილი, ღამღამობით, ჭრატის შუქზე წერდა „ალულა ქეთელაურს“ და „სტუმარ-მასპინძელს“.

1896 წელს შემადრწუნებელი გულახდილობით ამცნობდა ქართველ მკითხველს: „არც-რა ტანთ მცვია, არც ფეხთა, დავდივარ დედიშობილა, მეც იმათ ჯოგი-დამა ვარ, ვინც სიღარიბით ცნობილა“.

და 1913 წელს კვლავ ყოფა-ცხოვრებითი ჩივილი ამძიმებდა მაღალი პოეზიის სუნთქვას: „ტან-ფეხ-შიშველი დავდივარ, ცოლს არ მიცვია კაბაო“.

ცოლი რაღას ამბობდა, „გველისმჭამელი“ პოეტის ცოლი? აი, რას ამბობდა: „ჩვენ არ გვიგდება ყურსა, სუ სწერდა და რა მისცა ქვეყანამ, მშიერ-ტიტვლები დაგყვარა ჩვენცა და მშიერ-მწყურვალი დანვა თავადაც მინაში“.

ვის უნდა ენატრა რევოლუცია, რომელიც თავისუფლებას ჰპირდებოდა მთელ კაცობრიობას, თუ არა მას – სამშობლოს სიყვარულით გაუმადლარს, თავისუფალი აზროვნების მეხოტბეს, იმ მთების შეიღს, სადაც ხელუხლებლად ინახებოდა წინაპართაგან ნაანდერძევი „თავისუფლების ამაყი სული“.

ყვავ-ყორნებს შეომებული დაჭრილი არწივიც საქართველოს მოაგონებდა და ბნელ ხევში მოსული იაც, დიდი ჭადრები რომ ჰფარავდა. წერდა: „ელირავდა. წერდა: „ელირავდა ღუხუმსა ღამარის გორზე შადგომა“ და უსწავლელი მკითხველიც კი ხვდებოდა, საქართველოს თავისუფლებახეა ნათქვამიო.

მამ რა მოხდა, თავისუფლებასა და თანასწორობას მონყურებულმა პოეტმა რატომ შეაქცია ზურგი მოახლოებულ რევოლუციას? რამ გამოინვია ესოდენ თვალსაჩინო მეტამორფოზა პოეტის მსოფლმხედველობაში?

სავარაუდოა, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობა უნდა გამხდარიყო ის მოვლენა, რომელმაც თავისუფლების სადიდებლად შემართული კალამი აუკანკალა ხელში ვაჟას. პოეტმა იგრძნო, რომ მიწისქვეშა გუგუნნი რევოლუციისა ნაკლებად ნააგავდა თავისუფლების მელოდიას, ხოლო „თმა-გრძელა, ჭკუა-თხელა“ რევოლუციონერები სამშობლოს ბედნიერებაზე როდი ოცნებობდნენ.



ვაჟა-ფშაველა

მოჭადრაკის ბასაჭირი

ნახევარი საუკუნის წინათ მოსკოვის ცნობილი თეატრის სცენაზე დიდი საჭადრაკო ტურნირი ტარდებოდა. ერთ-ერთ დაფას უსხდნენ სახელმწიფო საბჭოთა დიდოსტატი ალექსანდრე კოტოვი და ფართო საზოგადოებისათვის უცნობი ახალგაზრდა ოსტატი.

უპირატესობა დიდოსტატის მხარეზე იყო და მისი გამარჯვება ეჭვს აღარ იწვევდა. გამოცდილი სატურნირო მებრძოლი თითქმის ოთხი საათი ფეხმოუცვლელად იჯდა მაგიდასთან და ენერგიულად მიჰყავდა საჭადრაკო პარტია სასურველი შედეგისაკენ. წუთი წუთზე ელოდნენ, რომ ახალგაზრდა მოჭადრაკე აღიარებდა თავის დამარცხებას.

ამასობაში დიდოსტატი ჩავარდა სასტიკ ცაიტნოტში. ბოლო ათ სვლაზე მას რჩებოდა მხოლოდ და მხოლოდ სამი წუთი! მის საათზე უკვე აღმართულიყო ავის მომასწავებელი აღამი, რომელიც მალე ძირს დაეშვებოდა.

მაგრამ მიუხედავად საგანგაშო ვითარებისა, არც დიდოსტატის და არც მის გულშემატივართა სიმშვიდე არ დარღვეულა. კოტოვს შესანიშნავი პოზიცია ჰქონდა და ახალგაზრდა ოსტატს ვერაფერი ვეღარ იხსნიდა კატასტროფისგან.

დიდოსტატმა მორიგი სვლა გააკეთა და განიზრახა, წუთით მიეტოვებინა სცენა. ოთახი, საითაც მიისწრაფოდა იგი, საკმაოდ შორს მდებარეობდა სცენიდან. იქ წასვლა ფრიად სარისკო საქმე იყო. მეტოქეს მყისვე რომ გაეკეთებინა სვლა, დიდოსტატის განკარგულებაში დარჩენილი სამი წუთი თითქმის მთლიანად დაიხარჯებოდა ფუჭად. მაგრამ სხვა გზა ნამდვილად აღარ ჰქონდა და წამოდგა, იქნებ მოვასწროო. აუღელვებლად დაიძრა საჭირო მიმართულებით და მაშინვე შეჩერდა, რადგანაც დაინახა, რომ მეტოქემ თავისი მხედრისაკენ გასწია ხელი სვლის გასაკეთებლად. დიდოსტატი სასწრაფოდ მობრუნდა და გატანჯული სახით მიუჯდა მაგიდას. თურმე ტყუილად გარჯილა! ახალგაზრდა ოსტატს კიდევ რამდენიმე წამით ეჭირა ხელი ჰაერში, მერე უკან წაიღო და ღრმად ჩაფიქრდა. არსადაც არ ეჩქარებოდა. თავჩაქინდრული ათვალეიერებდა თავის უიმედო პოზიციას. დიდოსტატმა ისევ განიზრახა გაქცევა, მაგრამ იგივე გამოიკრდა: ახალგაზრდა ოსტატმა თავისი მხედრისაკენ გაიშვირა ხელი და დიდოსტატმა დაამუხრუჭა.

მეტოქე, ალბათ, მიხვდა კოტოვის გასაჭირს და იმედი ჩაესახა გულში. როგორც კი წამოდგებოდა გაჭირვებული

კაცი, ახალგაზრდა ოსტატი ხელს გაიშვერდა თავისი ფიგურებისკენ და როგორც კი დიდოსტატი სკამზე დაჯდებოდა, უკან წაიღებდა ხელს და ღრმა ფიქრში ჩაძირული დაჰყურებდა საჭადრაკო დაფას. ერთადერთ ხსნად კოტოვის გასაჭირი ეგულებოდა.

დიდოსტატის ფიზიკური მდგომარეობა უკვე კრიტიკულის ზღვარზე იყო და უეცრად თავში გაუელვა: ცბიერებას ცბიერებითვე უნდა გასცე პასუხიო.

კოტოვი წამოდგა, სწრაფი ნაბიჯით დატოვა სცენა და კულისებში გაუჩინარდა. ახალგაზრდა ოსტატმა დაუყოვნებლივ გააკეთა სვლა და დიდოსტატის სამწუთიანი მარაგი ანიკნიკდა.

ახალგაზრდა ოსტატს არნახული კმაყოფილება დაეუფლა. ნაგებულ პარტიას, მეტოქის წყალობითვე, იგებდა! დიდოსტატს ხომ გარკვეული დრო სჭირდებოდა უკან დასაბრუნებლად. სამიდან ორი წუთი მაინც დაეკარგებოდა. თუმცა, ვინ იცის, ეგებ ორ წუთშიც ვერ ჩატეულიყო.

წარმოიდგინეთ ახალგაზრდა ოსტატის გაოგნება, როდესაც დიდოსტატი თვალის დახამხამებაში მაგიდას მიუჯდა. თურმე წამით მიმალულიყო კულისებში, დაეძლია გულისწადილი და, ამგვარად, გაეცურებინა მეტოქე.

როგორც გამოირკვა, თავის გამარჯვებაში ღრმად დარწმუნებულ ახალგაზრდა ოსტატს მართებული სვლა ვერ უპოვია და შეცდომა დაუშვია. დიდოსტატმა ბრწყინვალედ გამოიყენა თავისი მწირი დრო, ეფექტურად შესწირა ეტლი და ორი სვლის შემდეგ შამათი გამოუცხადა მეტოქეს.

ახალგაზრდა ოსტატმა მისალოცად გაუწოდა ხელი დიდოსტატს, მაგრამ სადღა იყო გამარჯვებული კოტოვი! ტყვიასავით გავარდნილიყო სცენიდან საჭირო მიმართულებით.

მთელ ამ ამბავს თავად დიდოსტატი კოტოვი მოგვითხრობს თავის წიგნში „ხუმრობითაც და სერიოზულადაც“. ეს ფაქტი საუცხოოდ ახასიათებს მას – საკუთარ თავზე სიცილის ნიჭი ხომ ერთეულთა ხვედრია.

კოტოვს, როგორც ჩანს, წერა ემარჯვებოდა და თავისი შემოქმედებითი პოტენციალი მემუარებთა როდი ამოუწურავს. ბელეტრისტიკასაც შესჭიდებია და ერთობ საინტერესო რომანი („თეთრები და შავები“) დაუწერია ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის ალიოხინის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

ქრონიკა

„დამწვარი წიგნების ბიბლიოთეკის“ შექმნის იდეა ეკუთვნის პოტსდამში მოზუს მენდელსონის სახელობის ევროპულ-ებრაულ კვლევით ცენტრს. პროექტის თაოსანთ სურთ აღნიშნული ბიბლიოთეკა 316 წიგნისაგან შექმნან, რომელთა ომამდელი გამოცემები იმ მრავალ ათასთა შორის აღმოჩნდნენ, 1933 წლის 10 მაისს ნაცისტებმა რომ დაწვეს აუტოდაფეზე.

დაწვამისჯილი და საბოლოოდ განადგურებული წიგნები უნდა ამოშლილიყო გერმანელთა კოლექტიური ცნობიერებიდან: ებრაელ ავტორთა წიგნები, პაციფისტური, უცხოელი ავტორების პოპულარული ნაწარმოებები, წიგნები სექსუალობასა და პროგრესულ პედაგოგიკაზე.

– „დამწვარ წიგნთა ბიბლიოთეკა“ უნდა იქცეს თავისებურ ცოცხალ მემორიალად, – განაცხადა ამ ცენტრის ხელმძღვანელმა იულიუს შიოპსმა. – გვინდა შევარჩიოთ იმდენი წიგნი, რამდენიმე თაროზე რომ დაეტიოს. და ეს თაროები დაიდგმება გერმანიის სკოლებსა და გიმნაზიებში. წიგნები უფრო ქმედითი მემორიალია, ვიდრე ქვისა და რკინის ობელისკები.

„დამწვარი წიგნების ბიბლიოთეკა“ რაც შეიძლება მეტმა სკოლამ უნდა მიიღოს. 316 ტომისაგან შემდგარი ერთი სერიის ფასი, სპონსორთა წყალობით, არ უნდა აღემატებოდეს 980 ევროს.

ახალი ბიბლიოთეკა თუნდაც სიმბოლურად დაუბრუნებს დღევანდელ გერმანიას ნაცისტთა მიერ განდევნილსა და განადგურებულ ავტორებსა და მათ წიგნებს.